# გზა

№28 14/7/2016 ფასი 1.5 ლ



## „ძალიან ერთგული ვარ“

## როგორ მოხვდა ია სუხიტაშვილი დედათა მონასტერში

გვ. 22

## ზღვაზე ყოფნისას მიღებული სტრესი

## ეკა ნიჟარაძე: „ის ქალი თმაში მწვდა და ამომათრია“

გვ. 26



## მარტვილში დატრიალებული ტრაგედია

გვ. 14

- „სახლიდან გამოსვლის წინ, მიხომ დედას სამჯერ აკოცა“
- 17 წლის მოზარდი და გინესის რეკორდსმენი მაშველი მდინარემ იმსხვერპლა



## ბუბა მათნაძის „ცხელი ზაფხული“

გვ. 58

- „ერთი გამოცდა დამრჩა ჩასაბარებელი“
- „ყველა ქალი თავისებურად საინტერესოა“



გვ. 33

- ვინ ასწავლა სტალინის შვილიშვილს ქართული სიმღერები
- „ამბობდნენ, სამუდამოდ საქართველოში დავრჩებითო...“

ISSN 1987 - 5029
9 771987 502009

მარკ ტვენი შემდეგი
სამთომეული ტომი I ტომი II

ბიბლუსი Books

# დიდი საზაფხულო ფასდაკლება

# -50% მდე




ქალაქიდან გადიხარ? გაიყოლე წიგნები! წაიკითხე, გაერთე, უკეთესად იქნები!

№28 (841)
14 – 20 ივლისი, 2016
ფასი 1.5 ლარი

გზა

ქვეყანა



## გაშარჟებული პოლიტიკა

„სახასიათო სახე აქვს, რატომღაც მგონია, ვისაც სურვილი გაუჩნდება, ყველა დახატავს. არაქართული გარეგნობა აქვს. ლოყები, თვალები მისთვის დამახასიათებელი მაკიაჟით, ეს ყველაფერი ხელს გიწყობს, რომ კარგი შარჟი გამოვიდეს. ამ ადამიანში პარლამენტარს ვერ ვხედავ. ის კარგი უფლებადამცველი უფროა, ვიდრე — პოლიტიკოსი...“

6



## „სახელმწიფოს მთავარი მიზანი და ფასეულობა ადამიანია“

„ყველაზე მეტად რაც არ მომწონს ჩვენს ქვეყანაში, არის არაპროფესიონალიზმი, არასაკმარისი განათლება და არაკვალიფიციური მიდგომა ყველაფრისადმი. უპასუხისმგებლობა, უვიცობა და უდარდელობა ყველგან იგრძნობა, რაც უსასრულო პრობლემებს ქმნის და ცხოვრების დიდი ნაწილი უსარგებლო მოლოდინში გადის...“

11

სახე



## „მე და სტასი და-ძმასავით ვართ“

„მსახიობია, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში არ თამაშობს — გულწრფელი, თბილი, დადებითი, ყურადღებიანი ადამიანია... კიდევ ბევრი რაღაც შემიძლია, ჩამოვთვალო. მაგალითად, სტასი ყველას მიმართ ძალზე პოზიტიურად არის განწყობილი...“

20

■ მინიატიურები 5
„შეტეულა-გატეულა“
ანუ დამიჭირე, თუ ბიჭი ხარ!

■ რაკურსი 6
გაშარჟებული პოლიტიკა

■ რეგიონი 8
სად — ატამი და სად — პოლიტიკა?

■ ერთი კითხვა 10
„კლასში ჩასატოვებელი“
„ოროსანი“ დეპუტატები

■ თვალსაზრისი 11
„სახელმწიფოს მთავარი მიზანი
და ფასეულობა ადამიანია“

■ კრიმინალი 12
გაურკვეველი მიზეზით
ამოხოცილი ოჯახი

■ ტრაგედია 14
მდინარე აბაშას შეწირული
მოზარდი და მაშველი

■ მათქმევინეთ! 17
მოსახლეობის თავსატეხი

■ საგანძური 18

■ ამპლუა 20
ნიკე კეშელავა: „მე და სტასი
და-ძმასავით ვართ“

■ დასვენება 21
ნინი ქარსელაძის სისუსტე

ჩემი რჩეული მსოფლიო

# ჩემი რჩეული მსოფლიო

მარკ ტვენი

სამტომეულში შედის

I ტომ სოიერის თავგადასავალი
უფლისწული და მათხოვარი

I ჰაკლბერი ფინის თავგადასავალი

III ჩემი საათი
მოთხრობები



■ ასტროპორტრეტი 22
როგორ მოხვდა მსახიობი დედათა მონასტერში

■ მსახიობი 24
პროვოკაციული სპექტაკლი პროსტიტუციაზე და პრობლემა სახელად ტერორიზმი

■ ღიმილი 26
წყალში გადატანილი შიში და ეკა ნიჟარაძის ორეული

■ მხატვარი 28
ემოცია, რომელსაც შეუძლია შეგჭამოს

■ წარმატება 30
პატარა ქართველი მომღერალი იტალიაში მიიწვიეს

■ რეპორტაჟი 31
სომხებისა და აზერბაიჯანელების მშვიდობიანი თანაცხოვრება საზღვრისპირა სოფლებში

■ სცენის მიღმა 33
რას იხსენებს სტალინის შვილიშვილის პედაგოგი

■ საზღვრებს მიღმა 36
რა ზარალი მიაყენა თემურ წიკლაურმა თეატრს

■ სიტუაცია 37
ციცინათელებში ჩასახლებული ადამიანების სულები

■ ბესტსელერი 39
ჯეინ ეარი (გაგრძელება)

■ ემიგრანტი 47
ბელგიურ შოკოლადზე უფრო გემრიელი

■ თავისუფალი თემა 49
სულის დეპრესია

■ რომანი 52
ბროწეულის გაზაფხული (გაგრძელება)

■ ტაძარი 56
სახელმწიფოებრივი წყობა უფალმა ადამიანთა დასაცავად დაუშვა

■ ერუდიტი 58
„ყველა ქალი თავისებურად საინტერესოა“

■ ასპარეზი 60
„ოქროს მატჩი“ ანუ სიომას „სოლო კონცერტი“

■ რჩეული 63
გი დე მოპასანი — „ელვასავით გამქრალი მეტეორი“

■ საქმე 65
სუფრის გაწყობის ხელოვნება

■ პოლიტიკური პროზა 68
ბანქოს სახლი (გაგრძელება)

■ მობილი-ზაცია 72
■ ჰოროსკოპი 79
■ ტაიმ-აუტი 80
■ სკანვორდი 82




## „ჩემი გმირი სექსმუშაკად იწყებს მუშაობას“

„პირად ცხოვრებაზე ლაპარაკს ყოველთვის საქმეზე ლაპარაკი მირჩევნია. რადგან მკითხე, გიპასუხ-ებ: ამჟამად საინტერესო არაფერი ხდება. მყავდა მეუღლე, უკრაინელი მსახიობი ანია რიცი ბოგდან, რომელსაც დავშორდი. დღეს ვმეგობრობთ. ანია საქართველოშიც ხშირად ჩამოდიოდა. ორი წლის წინ, მარჯანიშვილის თეატრში საქველმოქმედო ფესტივალზეც გამოვიდა...“

24



## ემოცია, რომელსაც შეუძლია შეგჭამოს

„სამოქალაქო ომის შემდგომი პერიოდი იყო და არაფერი მაინტერესებდა, ისეთი დაცლილი ვიყავი. ვკითხულობდი მხოლოდ ბიბლიას, სახარებას... ეს იყო ჩემთვის სულიერი დასაყრდენი. ომმა და არეულობამ ფაქტობრივად, გამანადგურა... იმ პერიოდში ჩემი უახლოესი მეგობარი მონაზონი იყო — დედა თებრონია, რომლის სანახავადაც საპატრიარქოში მივედი და უწმინდესს შევხვდი...“

28

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლიკა ქაჯაია, მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **გიორგი ბაბუციძე**

დიზაინი: **ლაშა გიორგაძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა:
**ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

დაიბეჭდა სტამბა კოლორში

„პალიტრამედიის“ ცხელი ხაზი: (+995 32) 219 60 13; (+995 32) 219 60 53
ელ.ფოსტა: contact@palitra.ge
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. 49; ელ.ფოსტა: gza@palitra.ge
სარეკლამო განყოფილება: (+995 32) 237 78 07

ჟურნალის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით,
ვებ-გვერდზე: www.elva.ge
ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით:
(+995 32) 2 37 50 03 (+995 32) 2 38 26 74
ადგილზე მიტანა უფასოა!



# „შეტეულა-გატეულა“ ანუ დამიჭირე, თუ ბიჭი ხარ!

**შესავლის მაგიერ** რა კარგი და სასიამოვნო კვირა გავატარეთ! ჯერ იყო და მატარებელი გაეტია გვირაბში, მერე შეკვეთილის 200-მილიონიანი „არენა“ აჩუქა ბიძინამ სახელმწიფოს და სულ ბოლოს კიდევ, „ცენტრ პოინტის“ ხალხს მიხედეს მგონი.

გასაოცარი ისაა, რომ ერთმა კაცმა — ვაშაძემ თქვა, ეგ მატარებელი ვერ გაეტევა გვირაბშიო და მთელი სახელმწიფო აპარატი, შტატიან-უშტატოები „მილიმეტროვკებით“ ზომავდნენ გვირაბსა და მატარებელსაც. ბოლოს, წიფის გვირაბს გატეულა შეარქვეს და თავად ამ სახელგანთქმულ მატარებელს — დედოფალი, რომ ის „კაპიკები“ იყო იმასთან შედარებით, რაც მოსახლეობას აწაპნა!

გაგიკვირდებათ და რჩეულიშვილების ფონზე გუბაზ ლევანიჩიც კი ანგელოზი გამოჩნდა! ამ უკანასკნელს მილიონი უნდოდა და ტუიმ კიდევ, რომ ჩამოიყვანეთ ეს ხმამოყანყალებული მომღერლები, იმ 30 მილიონიდან 10 ჩემთვის მოგეცათო! არ მოგცემდნენ, ჩემო ვახო! სადღაც ვიღაცის ათი ათასებზე ხელი წაგიცდათ, 10 მილიონს სულ ცოლსა და ცოლისდას ჩააყლაპებდი და ბინებს არ მისცემდით სულგამწარებულ ხალხს! ეს თქვენი ვაჟიც რომ




შეტეულა. თქვე მამაცხონებულებო, მატარებლის გატევა-ვერგატევაზე მეტი საქმე არა გაქვთ? ამდენი საქმეა გამოსაძიებელი, კინაღამ ღლონტმა „რუსთავი 2“-ის მოწოდებაზე რევოლუცია თუ აჯანყება დაიწყო და სრულიად „საქოცეთი“ გვირაბში გამოტეულ მატარებელს შეხარის. კარგია, რომ გაეტია, მაგრამ ბატონმა სესიაშვილმა რომ თქვა, ჩვენ სად გვაქვს მაგის ფუფუნება, სამართლიანობის აღსადგენად ფულები ვხარჯოთო, ხომ გაიგონეთ? „ჩექ ინ ჯორჯიაზე“ კარგად აფრიალეთ ფულები?!

უმადურები ვერ დაინახავენ, მაგრამ ბევრმა დაინახა ეს „შავი ზღვის არენა“. თავიდან კი იძახდნენ „ნაციონალები“, ეს ძვირი დაუჯდება ქვეყანას, რა საჩუქებელი ეგ იყოო, მერე კი დააჭირეს ენას კბილი, რომ გაიგეს, მიშასაც „ევასებოდა“ ეს პროექტიო, მაგრამ პირიდან გამოსულ სიტყვას ისევე ვერ შეაკავებ, როგორც ხელით გასროლილ ქვას! მაქვს კითხვა „ნაცებთან“: თუ გაქვთ დათვლილი, რა გვიჯდებოდა მიშას შენახვა 9 წელი? საკმაოდ ძვირი! მაშ, რატომ მაშინ არ იძახდით, მიშა მაგარი კი არა, ძვირიაო?

რაღაც მეეჭვება, რჩეულიშვილებს მარტო ჰქონდეთ შეჭმული საბრალო ხალხის ფული! ეგეც იმ საკმაოდ „ძვირში“ ხომ არ იხარჯებოდა ნეტავ? ერთხელ მაია რჩეულიშვილისა ტელეეკრანზე გვამცნობდა, ფული მომპარეს კაი ბლომად და ვიცინეო. ალბათ იმიტომ იცინოდა ქართული სამშენებლო ბიზნესის დასცინის ქართველ ძალოვანებს, — თუ ბიჭი ხარ, დამიჭირეო, რომ დაიჭირონ, ვირის აბანოში შესმულს პოლიტიკურ სარჩულს კი არა, საპირესაც დაადებენ! ცალკე თქვენი რძალია ცოდო, ქმრის დევნისა და დაჭერის მოლოდინში რამე არ დაემართოს!

დებ კერვალიშვილებსა და ტუის კი მონდომებიათ პოლიტიკაში წასვლა, მაგრამ ამ ჩვენს ბიძინას არენაზე გამოუშვია საგამოძიებო ჯგუფი და ახლა პოლიტიკაში შესვლის გზა გვეკეტებაო! თუ არ მეშლება, რჩეულიშვილი პარლამენტის ვიცე-სპიკერიც იყო და მისი გაკეთებული მხოლოდ ის მახსოვს (თუ სწორად მახსოვს!), მხცოვან ნათაძეს ბორჯომი რომ გადაასხა თავზე პარლამენტში.

**P.S.** ბიძინას ჰკითხეს, — ამხელა დასრულებული პროექტი მართლა „ნაცების“ გულის გასახეთქად აჩუქეთ სახელმწიფოსო? — არა, ვანესა მეი და კიდევ ბევრი ჩამოგვყავს, ქართველ ხალხს უნდა მოვასმენინოთ კარგი მუსიკოსების ნაშრომებიო. — კი მაგრამ, რაღა შეკვეთილში, თბილისში ხო გვაქვს ფილარმონია, იქ ვერ მოისმენენო? — მანდ, ახლოს მიშას დადგმული ველოსიპედის ძეგლია და სამტრედიიდან ჩამოსულებს სულ ავიწყდებათ ფილარმონია, მისცვივდებიან და უყურებენ მიშას „არქიტექტურას“, აგერ, კახიც ძლივს გადაეჩვია მანდ საათობით დგომასო!

*პროვოკატორი*

# გაშარჟებული პოლიტიკა ანუ კაცი სახელად „გავძეხი“ და თვალებდაკარგული ვოლსკი

თამუნა კვინიკაძე

**„ადამიანს თუ არ აქვს იუმორის გრძნობა და უნარი, შარჟი ადეკვატურად აღიქვას, ის საპასუხისმგებლო თანამდებობას საერთოდ არ უნდა გააკარო, საშიშია“, — ამბობს საერთაშორისო კონკურსებზე ათგზის გამარჯვებული, კარიკატურისტი ბესიკ დუღაშვილი. ის ამჟამად მსოფლიოს მასშტაბით „ვიტიგრაფის“ რეიტინგში საპატიო მე-6 ადგილზეა.**

*ახლახან პარლამენტის შენობაში პარლამენტართა კარიკატურების გამოფენის მოწყობაზე უარი უთხრეს. გამოსავალი მარტივად იპოვა, — კანონმდებლების შარჟები სოციალურ ქსელში გამოფინა.*

*ერთგვარი ნიჭია ისიც, რომ ხანდახან საკუთარ თავს იუმორით შეხედო. ეს ნიჭი კი ყველა ადამიანს არა აქვს.*

ბესიკ დუღაშვილი:

— პარლამენტში პირველი გამოფენა 2010 წელს მქონდა, 64 შარჟი იყო გამოფენილი და მაშინდელმა პარლამენტარებმა ძალიან იხალისეს. მერე ნახატები საჩუქრად დაურიგდათ. ჩარჩოებში ჩასმასა და სხვა წვრილმან დეტალზე პარლამენტის აპარატმა იზრუნა. მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის პარლამენტში მსგავსი გამოფენა არ გაკეთებულა, ეს პირველად საქართველოში მოხდა.

**— გამოფენის მოწყობას პარლამენტში წელსაც აპირებდი, უარი რატომ გითხრეს?**

— პირად საუბრებში პარლამენტის აპარატის წარმომადგენელი მეუბნებოდა, — „ახლა სხვა გამოფენაა“, „ჯერ დრო არ არის“, „ბატონი დავითი ჩამოვა და“... ბოლოს მივიღე წერილი, რომ ანალოგიური გამოფენები პარლამენტში არ ეწყობა.

**— ამის შემდეგ გამოფენა სოციალურ ქსელში გააკეთე. პირადად მე, შარჟებზე ძალიან ვიხალისე.**

— ბევრს შეიძლება საკუთარი თავის გაშარჟება არ მოეწონა.

**— ეს ხომ იუმორია?**

— რა თქმა უნდა, იუმორია. ჩემი აზრით, ადამიანს თუ არა აქვს იუმორის გრძნობა და უნარი, შარჟი ადეკვატურად აღიქვას, ის საპასუხისმგებლო თანამდებობას საერთოდ არ უნდა გააკარო, საშიშია.



ყველას მოსწონდა სხვების კარიკატურა, თავისი არა

**— წინა გამოფენაზე პარლამენტარების რეაქციები როგორი იყო?**

— ყველას მოსწონდა სხვების კარიკატურა, თავისი არა.

ტელევიზიით გიგი წერეთლის ინტერვიუ აჩვენეს. თავის კარიკატურასთან იდგა, ამბობდა, საერთოდ არ მგავსო, არადა, გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა. ჩხუბიც იყო, — მე რატომ არ დამხატეო? ეს საყვედური ეკა ხერხეულიძისგან მოვისმინე და წელს ოცნება ავუსრულე. გიორგი თარგამაძემ შარჟი კარგად აღიქვა. — არაჩვეულებრივი ნახატია, საინტერესო დეტალები გაქვს დაჭერილი, მაგრამ ასეთი დგომა არ მაქვსო. მცირე პაუზის შემდეგ კი დასძინა, — თუმცა, ახლაც ასე არ ვდგავარო? იმ შარჟში საკუთარი დგომის მანერა აღმოაჩინა.

**— პიროვნებები მათგან წამოსული ემოციების მიხედვით, სახეს ხომ იცვლიან?**

— რა თქმა უნდა. ბიძინა ივანიშვილი არჩევნებამდე სხვაგვარი ტიპი იყო, არჩევნების შემდეგ — სხვაგვარი. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად იღიმოდა, სახე მაინც სულ დაქანცული ჰქონდა. ახლა შედარებით დასვენებულია. პრემიერობის დროს ძალიან დაძაბული იყო.

*ბესიკ დუღაშვილი კარიკატურებს პიროვნებასა და მის რამდენიმე ფოტოზე დაკვირვების შედეგად ქმნის. რას „კითხულობს“ ფოტოებზე და რა ემოცია მოდის თითოეული მათგანისგან? ვნახოთ, როგორები არიან, კარიკატურისტის თვალით დანახული პარლამენტარები.*



ბიძინა ივანიშვილი არჩევნებამდე სხვაგვარი ტიპი იყო

დავით უსუფაშვილი

— დათოს ნახატზე მუშაობისას, პირველი ემოცია, რაც მოდის, ის არის, რომ ეს კაცი აზროვნებით ქართველი არ არის. შეხედულებითაც არ არის ქართველი. მუშაობის პროცესში, ერთდროულად რამდენიმე ფოტოთი ვხელმძღვანელობ. დავაკვირდი ამ ადამიანს და აღმოვაჩინე, რომ სულ შეწუხებული სახე აქვს. უფრო სწორად, შეწუხებული წარბები აქვს, ყველა ფოტოში ასეა, მაშინაც შეწუხებულია, როცა იღიმის.



თამაზ მეჭიაური

— ეს ადამიანი არის პარლამენტის მასხარა, მასხარა სწორედ იმ გაგებით, რაზეც ზემოთ ვილაპარაკე. ის სიმართლეს ზუსტად იმ დროს ამბობს, როცა საჭიროა. მეჭიაურის ხასიათში მთიულებისთვის დამახასიათებელი თვისებები იგრძნობა. ერთი შეხედვით მკაცრი და ჯმუხია, მაგრამ სიმპათიური სახე აქვს. მისი იუმორი ხშირად სარკაზმითაა სავსე. იუმორს ხმალივით ხმარობს, დაარტყამს და ჭრის, იტყვის და მოგცელავს.





ზურაბ ტყემალაძე

— გურამ დოჩანაშვილს აქვს გენიალური ფრაზა: „მოდიოდა კაცი, სახელად „გავძეხი“. როცა ტყემალაძის კარიკატურაზე ვმუშაობდი, თავში სულ ეს ფრაზა მიტრიალებდა. მისგან ეს ემოცია მოდიოდა. როცა შარჟზე მუშაობ, გარდა ვიზუალისა, მისი შინაგანი სამყაროც უნდა „მოხაზო“. ეს შინაგანი სამყარო გამოხედვაში, თვალებში, სახის ნაკვთებში ჩანს. მისი გამოსვლებიდან, საუბრიდან, მსჯელობიდან შეიძლება ითქვას, რომ ზურაბ ტყემალაძე არ არის სახელმწიფო ფიგურა, ის ბიზნესში უნდა იყოს. ის არ არის ადამიანი, რომელმაც სახელმწიფოს ბედი და იღბალი შეიძლება გადაწყვიტოს. აქედან გამომდინარე, ძალაუნებურად მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ის ისეთი პიროვნებაა, რაც უკვე ვახსენე, კარიკატურაშიც გადმოვეცი. ეს რეალობა მან უნდა დაინახოს და შეეცადოს, სხვაგვარი გახდეს. შარჟი ნურავის ეწყინება. თუნდაც ამ კუთხიდან დანახული. ქართველ მეფეებს ჰყავდათ მასხარა, რომელსაც მხოლოდ გამრთობის კი არა, მწარე სიმართლის მთქმელის ფუნქცია ჰქონდა. ერთადერთი მას შეეძლო, მეფისთვის პირში ეთქვა სიმართლე და ამისთვის არ დასჯილიყო.

მანანა კობახიძე

— კობახიძე პოლიტიკოსია, მაგრამ მასში გაცილებით დიდი დოზით დიასახლისს ვხედავ. როგორი ტიპის დიასახლისს, იცით? 70-80-იანი წლების ფლანელის ხალათში და სახლის ჩუსტებში ქალები რომ ჩამოსხდებიან და გაუთავებლად ლაპარაკობენ.





გია ვოლსკი

— მას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ქიზიყელი კაცი ვარ და სიმართლე უნდა ვთქვა: საკუთარი „მე“ ძალიან აქვს განვითარებული. ზოგჯერ ეს კარგი არ არის. ნახატშიც ვეცადე, ეს გადმომეცა. სახასიათოა მისი ღიმილიც. ამ დროს თვალები საერთოდ არ უჩანს. გაღიმებულს თუ დახატავ, თვალების დახატვა საერთოდ არ არის საჭირო, 2 ხაზს გაავლებ და ეგაა. გაკვირვებული როცა არის, მაშინ აქვს თვალები ნორმალურად, იღიმის და ეკარგება.



სოსო ჯაჭვლიანი

— სოსო სვანია, მის ხასიათში, ლაპარაკში, აზროვნებაში სვანური ელემენტები ხშირად იგრძნობა. საქართველოს ამ კუთხის ხალხისთვის დამახასიათებელი თვისებების მატარებელია. ხატვის დროს გავითვალისწინე ისიც, რომ მკლავჭიდელია. აქედან გამომდინარე, თავისა და კისრის ფორმა ტრაპეცია უნდა ყოფილიყო. სოსოს ისეთი მიმიკები აქვს, სხვადასხვაგვარად შეიძლება გამოიყენო, საინტერესო სამუშაო სახეა. კარგი იქნება, ამ ნამუშევარს სვანურად თუ არ გაიგებს. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობია, ბევრი აქვს ნანახი და შედარებით გამოსულია, ის მაინც სვანია.

ეკა ბესელია

— სახასიათო სახე აქვს, რატომღაც მგონია, ვისაც სურვილი გაუჩნდება, ყველა დახატავს. არაქართული გარეგნობა აქვს. ლოყები, თვალები მისთვის დამახასიათებელი მაკიაჟით, ეს ყველაფერი ხელს გიწყობს, რომ კარგი შარჟი გამოვიდეს. ამ ადამიანში პარლამენტარს ვერ ვხედავ. ის კარგი უფლებადამცველი უფროა, ვიდრე — პოლიტიკოსი.



*ჟურნალის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ, როგორები არიან კარიკატურისტის თვალით დანახული კახა კალაძე, ბიძინა ივანიშვილი, ნინო ბურჯანაძე, პაატა ბურჭულაძე, მიხეილ სააკაშვილი, ირაკლი ალასანია, გიორგი მარგველაშვილი, შალვა ნათელაშვილი და სხვები.*

# სად — ატამი და სად — პოლიტიკა?



**კახეთში „ატმის რთველი“ დაიწყო — ასე ეძახიან გლეხები ატმის კრეფას, რომელიც მათი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა. წელს ატმის ძალიან კარგი მოსავალი მოვიდა, თუმცა სეტყვამ დიდი ნაწილი დააზიანა. ამის გამო მოსახლეობას უხარისხო ატამი შერჩა ხელთ. ფერმერები ჩივიან, რომ დასეტყვილი ატამი ძალიან იაფია, ზოგი ამას მთავრობას აბრალებს, ზოგი — ბიზნესმენებს, ზოგიც — სეტყვის საწინააღმდეგო სისტემას, რომელმაც სათანადოდ ვერ იმუშავა. პოლიტიკური ძალები კი ცდილობენ, ფერმერების უკმაყოფილება სათავისოდ გამოიყენონ...**

ხათუნა ჩიგოგიძე

გია ნინიძე, *ფერმერი, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის მკვიდრი:*

— სადაც არ დაისეტყვა, კარგი მოსავალია, ხოლო სადაც დაისეტყვა, ისეთი ცუდი ხარისხის ატამი მოვიდა, რომ გაყიდვა გვიჭირს. სამაგიეროდ, კარგი ხარისხის ატმის ჩაბარება არ ჭირს. მე ერთ ჰექტარზე მქონდა ატამი გაშენებული და დამესეტყვა, უხარისხო იყო და როგორ გამეყიდა? ამიტომ ვერ ამოვიღე ის თანხა, რაც მის მოვლაში დამეხარჯა. ცუდია, სეტყვის საწინააღმდეგო აპარატმა რომ ვერ იმუშავა — ეს ძალიან დიდი წინდაუხედაობა და დანაშაული იყო, მაგრამ რა გაეწყობა? არ მომწონს, წვიმა რომ მოდის და ამასაც მთავრობას აბრალებენ, მაგრამ ატამი ხომ მალფუჭებადი პროდუქტია, ამიტომ მთავრობამ ხელი უნდა შეგვიწყოს, დროულად რომ ჩავაბაროთ. ბევრი ჩივის, ატამს 25 თეთრადაც ვერ ვყიდითო, მაგრამ კარგი ატამი უფრო ძვირადაც იყიდება. ბირჟაზე თუ დაჯექი და იწუწუნე — ჩემი მოსავალი 25 თეთრადაც არ იყიდებაო, ეს ვერაფერში დაგეხმარება. მეც უკმაყოფილო ვარ ჩემი მოსავლით და იმ ფასით, როგორითაც გავყიდე, მაგრამ სიმართლე ასეთია: უნდათ ხარისხიანი, კარგი ატამი, რომელიც სტანდარტებს აკმაყოფილებს. ზოგიერთები იმასაც ცდილობენ, გლეხების უკმაყოფილება პოლიტიკას დაუკავშირონ, მაგრამ სად — ატამი და სად — პოლიტიკა, ხალხო? ჩვენ სულაც არ გვინდა, ასე მოხდეს.

გურამი, *ფერმერი:*

— ყველაფერი გულახდილად უნდა ვთქვა, ამიტომ არ მსურს, ვინაობა გაგიმხილოთ. პრესასა და ტელევიზიასთან ერთი თხოვნა გვაქვს: ხომ შეიძლება, სოფლის მეურნეობას უფრო მეტი დრო დაუთმოთ? დამწყებ ფერმერებს აუხსნათ, როგორ უნდა მოუარონ მოსავალს, როგორ შეწამლონ ან როგორ დაიცვან თავი მავნებლებისგან. ხომ შეიძლება, გამოვიდნენ სპეციალისტები და ამ თემაზე ილაპარაკონ და არა იმაზე, „ივენთზე“ ვის რა ფერის კაბა ეცვა ან ვის რამდენი შეყვარებული ჰყავდა? ათასი ახალი პრეპარატი შემოდის, გვინდა ვიცოდეთ, როდის და როგორ გამოვიყენოთ, უკეთესი მოსავალი რომ მივიღოთ. ახლა რაც შეეხება ატმის მოსავალს — ერთი წელი თავს გვამადლიდნენ — სეტყვის საწინააღმდეგო აპარატი დაგიდგით კახელებსო. მოვიდა სეტყვა და აპარატმა არ გაისროლა — ეს ვის დავაბრალოთ? რაღაც შეცდომა მოხდაო, ეს შეცდომა კი არა, დანაშაული იყო. თუ სეტყვისგან ვერ დაგვიცავს, სეტყვის საწინააღმდეგო აპარატი რა ჯანდაბად და დოზანად გვინდა, ერთი ეს მითხარით! მოსავალი დაისეტყვა და ხელში დაბალი ხარისხის ატამი შეგვრჩა, ახლა ეს ატამი სადღა წავიღოთ?! ქვეყანაში საკონსერვო საწარმოები რომ იყოს, არც დაბალი ხარისხის ატმით ვიზარალებდით, ახლა კი, მთელი შრომა წყალში ჩაგვეყარა. გვიკიჟინებენ — მოსავალი დააზღვიეთო, მე მაგალითად, დაზღვეული მქონდა და აღარასოდეს დავაზღვევ: ყურძენი მქონდა დაზღვეული 15 ათას ლარში, რომელიც სეტყვამ დამიზიანა. სეტყვიდან ერთი თვის შემდეგ მოვიდნენ ზარალის შესაფასებლად, ამ ერთ თვეში ვენახს ვუმკურნალე, მოვუარე, გავალამაზე, ისე, რომ დასეტყვილი თუ იყო, აღარც ეტყობოდა. აიღეს და ზარალი 10%-ად შეაფასეს. ყველას 10 პროცენტს უწერენ — იმას, ვისაც ნახევარი მოსავალი დაუზიანდა და იმასაც, ვისაც მეათედი... ეტყობა, ეს 10% ხელს აძლევთ, რადგან სადაზღვევო თანხას ამცირებენ. 15 ათას ლარად დაზღვეულ ვენახში სულ ცოტა 1.500 ლარი ხომ უნდა ამეღო? ამის ნაცვლად 600 ლარი მომცეს და მითხრეს: ყურძნის ფასი შემცირდა და საბაზრო ფასის მიხედვით გიანგარიშეთო. პროტესტი გამოვთქვი და — ჩვენ ასე ვანგარიშობთო... უცოდინარი და გაუნათლებელი არც მე ვარ, ესე იგი, ანგარიში არ მცოდნია? წელს უკვე აღარ დავაზღვიე და არც მომავალში დავაზღვევ. სხვათა შორის, მსგავსი ფაქტების გამო დაზღვევაზე ბევრმა აიცრუა გული.

გიორგი მოსიაშვილი, *თელავის მკვიდრი, არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე ევროპული განვითარებისთვის“ ხელმძღვანელი:*

— ბოლო წლებში ატმის ფასი ყოველთვის განსხვავებული იყო, მაგრამ წელს უკეთესობა იგრძნობა, ვიდრე გასულ წლებში. 8 ივლისის მონაცემებით, უკვე 2 200 ათას ტონამდე ატამია

გატანილი. პირველი ხარისხის, კარგი ატამი 70-80 თეთრი ღირს, მე არ ვამბობ, რომ ეს საუკეთესო ფასია, მაგრამ სავსებით მისაღებია. პოლიტიკური ორგანიზაციები სპეკულირებენ, რომ ატამი 10-15 თეთრი ღირს, მაგრამ აქ ლაპარაკია დაბალი ხარისხის პროდუქციაზე, რომელიც დაზიანებულია. კახეთში არის მსხვილი სამაცივრე მეურნეობა და ჩამბარებელი პუნქტები, სადაც 24 საათის განმავლობაში იღებენ პროდუქციას. მე მესმის გლეხისა, მაგრამ სახელმწიფომ რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა. რაც მთავარია, რუსეთის ბაზარი გაიხსნა, ჩვენი ძირითადი მომხმარებელი რუსეთის ფედერაციაა. ამ ქვეყნის შემდეგ მოდის ყაზახეთი, უკრაინა და აზერბაიჯანი. ყველა ამ ქვეყანაში ინფლაციის მაღალი დონეა და ეს განაპირობებს ფასწარმოქმნას. მეზობელ ქვეყნებში არსებულ სიტუაციას კი ჩვენ ვერ დავარეგულირებთ. ჩემი დაკვირვებით, ამ აჟიოტაჟს ოპოზიციური პარტიები ქმნიან. მაგალითად, ამ დღეებში კახეთში ჩამოვიდა ჩვენი მხარის ყოფილი გუბერნატორი, გიორგი ღვინიაშვილი და ხალხს შეხვდა. ამ შეხვედრას გურჯაანში მეც შევესწარი. ის თავის პარტიულ მუშაკებთან — ქალბატონებთან ერთად მოვიდა და ამ ქალბატონებმა კამერების წინ დაიწყეს ლაპარაკი, თუ რა ცუდი ფასი აქვს წელს ატამს. როგორც ჩანს, დაავიწყდათ — ახლა რომ 20-25 თეთრი ღირს, 2011 წელს იმავე ხარისხის პროდუქცია 6-7 თეთრი ღირდა. მე არც საჯარო სამსახური მაქვს და არც რომელიმე პარტიის მხარდამჭერი ვარ, მაგრამ როგორც ამ კუთხის შვილი, ვამბობ იმას, რაც ვნახე: პროდუქციას იბარებენ 24-საათიან რეჟიმში, ღამის პირველ საათზეც შეგიძლიათ მიხვიდეთ და მოსავალი ჩააბაროთ.

ვახტანგ ბეჟიტაშვილი, *ექსპორტიორი:*

— ჩვენს ფირმას პროდუქცია რუსეთსა და ყაზახეთში გააქვს. იქ ხარისხიან ქართულ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნაა. მართალია, დევდარაკი ჩამოიშალა, მაგრამ მაინც მოვახერხეთ და აზერბაიჯანიდან, ალტერნატიული გზებით გავიტანეთ დაახლოებით ათასი ტონა ატამი. დღესდღეობით ხარისხიან პროდუქციაზე მოთხოვნა ყველგანაა. უბრალოდ, კარგი იქნებოდა, გადამამუშავებელი და საკონსერვო საწარმოები მომრავლდეს, რადგან დასეტყვილი და დაბალი ხარისხის ხილი სწორედ გადამამუშავებელი მრეწველობისთვისაა განკუთვნილი. თუ სწორ მიმართულებას ავირჩევთ, შევძლებთ, რომ ეს პრობლემები მოვუხსნათ გლეხებს. მართალია, ისინი ატმის ფასს უჩივიან, მაგრამ ეს სწორედ დაბალი ხარისხის პროდუქციას შეეხება, მაღალი ხარისხის ატამში საკმაოდ კარგ ფასს ვიხდით. დღეისათვის ვაშლატამა 60 თეთრი ღირს, ხოლო ატამი — 80 თეთრიდან 1 ლარამდე მერყეობს. ეს არის საბითუმო ფასი, რომლითაც გლეხები ატამს გვაბარებენ. რა თქმა უნდა, ქართველ ექსპორტიორებს იმედი გვაქვს, რომ პროდუქციას ევროპაშიც გავიტანთ, მაგრამ ერთადერთი ბარიერი, რომელიც გველობება, არის ხარისხი და მაღალი სტანდარტები. ჩვენ გვჭირდება მაღალი ხარისხის პროდუქცია და შესაბამისი სამაცივრე სისტემები. რაც შეიძლება მეტი მაცივარი უნდა გაიხსნას, რადგან ჭარბი მოსავლის დროს გლეხი თავის პროდუქციას ძალიან იაფად ყიდის, მიზეზი ის არის, რომ პროდუქციის შენახვა არ შეუძლია. დღესდღეობით ქართული ატმის ფასი რუსეთში დაახლოებით 1 დოლარია. ალბათ მოვა დრო, როცა სხვა ქვეყნებშიც იმდენი ქართული ხილი გაიყიდება, რამდენიც რუსეთში. ევროპას სხვა სტანდარტები აქვს, იქ პროდუქცია მაღალ ფასში იყიდება, მაგრამ ძალიან მაღალ სტანდარტებს ითხოვენ. ამჟამად ქართული ხილი ევროპულ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს, თანაც, რუსეთი უფრო ახლოსაა და იქ გატანა უფრო ადვილია. საკანონმდებლო ბაზა უკვე შექმნილია, მაგრამ ამ ეტაპზე ევროპულ ბაზართან ურთიერთობა ნამდვილად გაგვიჭირდება, რუსეთში ევროპული სტანდარტები ნამდვილად არ არის.

ნინო ზამბახიძე, *ფერმერთა ასოციაციის ხელმძღვანელი:*

— ჩემი აზრით, ფერმერმა თვითონ უნდა დაიცვას თავი ყოველგვარი რისკებისგან. ხომ არ შეიძლება ყველაფერი დაფინანსებული და სუბსიდირებული იყოს? რატომ უნდა გადაუხადოს მთავრობამ გლეხს ატმის გამო, რა დააშავა მარცვლეულმა, ზეთისხილმა, ან ნუშმა? კომუნიზმში ხომ ვერ გადავალთ და სახელმწიფო ყველას ვერ დაიცავს, ამიტომ ყველა უნდა მივეჩვიოთ ჩვენი პროდუქციის დაზღვევას, მით უმეტეს, რომ სახელმწიფო 80-90%-იან შეღავათს გვთავაზობს. მართალია, დაზღვევაში პრობლემები არსებობს, კომპანიები ზარალს სათანადოდ არ ანაზღაურებენ, ზოგჯერ დაგვიანებით მიდიან, ზოგჯერ ფერმერის ბრალიცაა, რომ იმწამსვე არ აცნობებს სადაზღვევო კომპანიას, მაგრამ სადაზღვევო კომპანიებიც კერძო სექტორია, სახელმწიფო მათ კომპეტენციაში ვერ ჩაერევა. სახელმწიფომ ინფრასტრუქტურა უნდა მოაწესრიგოს, სტრატეგიულ საკითხებს მიხედოს, ფერმერები კი თავიანთ ბიზნესს თვითონ უნდა მართავდნენ. ამიტომ, კოოპერატივები უნდა შექმნან და ერთობლივი ძალით ააგონ მცირე საწარმოები. ჩემი აზრით, ეს ძალიან კარგი გამოსავალია: კოოპერატივს თუ ექნება მცირე საწარმო, სადაც წვენები, ჩირი და სხვა სახის პროდუქცია დამზადდება, ფერმერები დაბალი ხარისხის ხილითაც არ იზარალებენ და თავიანთ ნაშრომს ტყუილად არ გადაყრიან. ■



ფერმერები კი თავიანთ ბიზნესს თვითონ უნდა მართავდნენ

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი. გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა. კუჭ-ნაწლავის მოწესრიგება, კოლიტი, ბუასილი, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლესი აპარატურით (უფასოა). ანონიმურობით. მყარი 100%-იანი შედეგით.

მის: წერეთლის 142, I სართული, VI კაბინეტი
ტელ: 599 90-54-78, 234-02-38 ქეთი

# „კლასში ჩასატოვებელი“ „ოროსანი“ დეპუტატები

**როგორია ჩვენი დღევანდელი პარლამენტი და პარლამენტარები, მაღალხელფასიანი დეპუტატები უნდა იყვნენ თუ არა უფრო აქტიურები და საზოგადოებისთვის მეტად სასარგებლონი და საერთოდ, რა აზრის ხართ მათზე? — ამ შეკითხვით საზოგადოებისთვის ორ ცნობილ და ერთ უცნობ რესპონდენტსაც მივმართე.**

თამთა დადეშელი

ანრი ჯოხაძე, *მომღერალი:*

— პარლამენტის სხდომებსა და ნებისმიერ აქტივობას თვალყურს ნაკლებად ვადევნებ, საინფორმაციო გამოშვებაში თუ წავაწყდები ხოლმე რამეს. არჩევანს მე ჩემი ხმით ვაფიქსირებ და თუკი მოსახლეობამ ეს ხალხი აირჩია, უნდა შეეგუოს და რაც არ მოსწონს, შემდგომი არჩევნების გზით, დემოკრატიულად შეცვალოს. თავიდანვე უნდა ხვდებოდე, ვის ირჩევ და მერე, ფაქტის წინაშე რომ დადგები, აღარ უნდა გაგიკვირდეს. ვინაიდან პარლამენტში ისეთი ადამიანებიც მოხვდნენ, რომლებიც არაფერს აკეთებენ, იდარდონ მათ, ვინც ისინი აირჩიეს.

ანა გუგუნავა, *დროებით უმუშევარი:*

— საპარლამენტო არჩევნებში მოსახლეობა იმიტომ მონაწილეობს, რომ ისეთი ხალხი აირჩიოს, რომელიც მის ინტერესებს დაიცავს. დეპუტატი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ტურგენევის „მუმუსავით“ ზის და ხმას არ იღებს, არც მისი მოსწრებაა დიდად სახარბიელო, არც ერთი საკითხი განსახილველად არ გამოუტანია, რომელიც მის ამომრჩეველს აწუხებს, მაშინ რისთვის იღებს საკმაოდ სოლიდურ ხელფასს? უსაქმურობასა და სახლში ჯდომაში? რატომ? გეცოდინებათ, პარლამენტარებს რა პრივილეგიებიც გააჩნიათ და რამხელა პენსიასაც იღებენ მერე. არ მსმენია, არც „ნაცბანდას“ და არც ჩვენი „ოცნების“ მთავრობას, რომელიმე დეპუტატს დაესვას საკითხი ე.წ. ჩარეცხილთა ანუ 40 წლის ასაკში სამსახურებიდან გათავისუფლებული ხალხის არსებობა-ვერარსებობის შესახებ, თუ როგორ უნდა მიაღწიონ მათ საპენსიო ასაკს?!

ირაკლი ჩოლოყაშვილი, *მსახიობი:*

— დღევანდელი პარლამენტი, თავისი შემადგენლობით, მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ იწვევს. ზოგი აქტიურია, ზოგი არა. ალბათ, მთლად იმაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, მიკროფონთან დგას თუ არა, დეპუტატების სამუშაო ხომ მხოლოდ სიტყვით გამოსვლა არ არის. თუმცა, ვფიქრობ, ჩუმად ჯდომა უქმად ყოფნას მაინც არ ნიშნავს, მათ ხომ კომიტეტებშიც აქვთ სამუშაო, კანონებზე და თავიანთი მოსაზრებები, შესაძლოა, წერილობით ან სხვა ფორმით გამოხატონ. როდესაც რომელიმე დეპუტატი ერთ კონკრეტულ პარტიას მიეკუთვნება, ის თავისი გუნდის სახელით საუბრობს და მათ იდეებს ახმოვანებს, ამიტომ, შესაძლოა არც იყოს საჭირო, ყველამ სათითაოდ ილაპარაკოს. ვისაც ბევრი გაცდენა აქვს, ეს სხვა თემაა, ეს ნიშნავს, რომ სხვა, უფრო „მნიშვნელოვანი“ რაღაცებით არიან დაკავებული. საპატიო და მიზნობრივ გაცდენას სხვა დატვირთვა აქვს, ან როცა ოპოზიცია ამა თუ იმ საკითხს ბოიკოტს უცხადებს, ეს მათი უფლებაა და პროტესტის ამ ფორმის გამოყენება შეუძლიათ. ■



თუკი მოსახლეობამ ეს ხალხი აირჩია, უნდა შეეგუოს



დღევანდელი პარლამენტი მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ იწვევს

ორგანიზაციის — „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ანგარიშის მიხედვით, რომელიც პარლამენტის 2015 წლის საქმიანობას ასახავს, არიან დეპუტატები, რომელთაც კინოფილმ „იმერული ესკიზების“ ერთ-ერთი პერსონაჟისა არ იყოს, მთელი წლის განმავლობაში ხმა არ ამოუღიათ... და ალბათ დიდად არც იმაზე აქვთ წარმოდგენა, თუ რა სარგებლობა უნდა მოჰქონდეს საკანონმდებლო ხელისუფლებას.

ასეთი, „უსიტყვო“ დეპუტატები, რომლებსაც მოსახლეობა, შეიძლება ითქვას, სულ ტყუილად „ინახავს“, არიან: როლანდ ახალაია, ვალერი გელაშვილი, კობა დავითაშვილი, ვლადიმერ აჩბა, გოდერძი ბუკია, კახაბერ ბუცხრიკიძე, დავით დარცმელიძე, ზურაბ ზვიადაური, ალექსანდრე თამაზაშვილი, გიორგი კარბელაშვილი, ზაზა კედელაშვილი, გოგი ლიპარტელიანი, ალი მამედოვი, ენზელ მკოიანი, კობა ნაყოფია, რამაზ ნიკოლაიშვილი, გიორგი ფეიქრიშვილი, ლევან ქარდავა, თამაზ ყაჭიშვილი, ნიკოლოზ ყიფშიძე, რევაზ შავლოხაშვილი, თეიმურაზ ჩხაიძე, სერგო ხაბულიანი, როსტომ ხალვაში, თენგიზ ხუბულური, ვიქტორ ჯაფარიძე და თამაზ ჯაფარიძე.

2015 წლის სხდომებზე ენაწყლიანობით, აქტიურობითა და სიტყვით გამოსვლების რაოდენობით ქალბატონები ლიდერობენ — პირველ ადგილზე დეპუტატი ეკა ბესელიაა, 113 გამოსვლით, მას მოჰყვებიან „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური სახეები — ხათუნა გოგორიშვილი და ჩიორა თაქთაქიშვილი, 112-112 გამოსვლით.

# „სახელმწიფოს მთავარი მიზანი და ფასეულობა ადამიანია“



**„ქართული ოცნების“ შანსები და პლუს-მინუსები, „ნაციონალური მოძრაობის“ შეცდომები და მიღწევები,ეროსი კიწმარიშვილი და „რუსთავი 2“, საზოგადოების პრობლემები და სფერო, რომელიც ყველაზე დალაგებულია — ამ თემებზე საკუთარ მოსაზრებას მწერალი დათო ტურაშვილი გვიზიარებს.**

თამთა დადეშელი

**— არსებული პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, რა იწვევს თქვენში ყველაზე დიდ პროტესტს? და როგორც მოქალაქე, როგორ შეაფასებთ დღევანდელ სიტუაციას?**

— ჩვენი რეალობა სულაც არ არის დამოკიდებული მხოლოდ პოლიტიკოსებზე და ყველაზე მეტად რაც არ მომწონს ჩვენს ქვეყანაში, არის არაპროფესიონალიზმი, არასაკმარისი განათლება და არაკვალიფიციური მიდგომა ყველაფრისადმი. უპასუხისმგებლობა, უვიცობა და უდარდელობა ყველგან იგრძნობა, რაც უსასრულო პრობლემებს ქმნის და ცხოვრების დიდი ნაწილი უსარგებლო მოლოდინში გადის. თუმცა, ყველაფერს, რაც ზემოთ ჩამოვთვალე (და ყველაფერი არც მიხსენებია), აქვს ობიექტური საფუძველი და წინა პირობა — საუკუნეების განმავლობაში დაპყრობილი ქვეყანა ვიყავით და ამიტომ მოქალაქის ელემენტარული უნარ-ჩვევებიც კი დავკარგეთ, მთავარი დარტყმა, რასაკვირველია, საბჭოთა კავშირისგან მივიღეთ.

> ჩვენ მაინც ვიყოთ არა რომელიმე ხელისუფლების, არამედ – სახელმწიფოს მხარეს...

**— თქვენი გადასახედიდან, რომელი სფერო მიდის განვითარების სწორი გზით და სად ხედავთ უკუსვლებს?**

— ყველაზე კარგად და სწორად, რაც საქართველოში ვითარდება, რაგბია და ქართულ რაგბიში, ყველაზე დიდი დოზით ვხედავ სწორედ იმას, რაც ყველაზე მეტად გვაკლია: ერთობას, პროფესიონალიზმს, სიყვარულს, შრომას და წარმატებას.

**— მახსოვს, წინა ხელისუფლების შეცდომებსა და რეჟიმის სისასტიკეზე საკმაოდ მწვავედ რეაგირებდით და არც კრიტიკას იშურებდით, მათ შორის, ზოგიერთი ტელევიზიის ეთერით. ახლა როგორ შეაფასებთ მათ ქცევებსა და მდგომარეობას? თქვენი აზრით, რიგ საკითხებში, ზედმეტად პროვოკაციულები ხომ არ არიან?**

— როგორც წინა, ასევე ნებისმიერი ხელისუფლების შეფასებისას, უნდა შევეცადოთ, ობიექტურები ვიყოთ, მათ ნამდვილად უმნიშვნელოვანესი ცვლილებები მოახდინეს საქართველოში (სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით), მაგრამ რეფორმების მთავარი უარყოფითი თვისებაც სწორედ ის არის, რომ სისწრაფეში შეიძლება, მთავარი დაგავიწყდეს, სახელმწიფოს მთავარი მიზანი და ფასეულობა კი ადამიანია. ადამიანს კი, დღიდან გაჩენისა, სამართალი და სამართლიანი სასამართლო სჭირდება და როგორიც მაშინ შექმნეს, ზუსტად ისეთი მოუბრუნდათ უკან და ყველაზე მეტად, სწორედ ისინი დაზარალდნენ იმ სასამართლოს უსამართლობით, რომელიც თვითონ შექმნეს. ჩემთვის მისაღები და მოსაწონი მხოლოდ ის ხელისუფლება იქნება, ვისთვისაც განათლება იქნება პრიორიტეტული და ვინც მიხვდება, რომ ჩვენი მთავარი პრობლემა არასაკმარისი განათლებაა და მხოლოდ განათლებული ხალხი შეიძლება იყოს კეთილგონიერი, თორემ ნიჭიერები ისედაც ვართ.

**— როგორია „რუსთავი 2“-ის საქმის თქვენეული შეფასება?**

— ამჟამინდელ ხელისუფლებას სურს, რომ „რუსთავი 2“-ის საქმეს კერძო და ქონებრივი დავის კვალიფიკაცია ჰქონდეს, მაგრამ აქ რომ პოლიტიკური ინტერესიც იკვეთება, ვხედავთ, რადგან ისიც გვახსოვს, თუ როგორ და რატომ გახდა მაშინ ქიბარ ხალვაში ამ ტელეკომპანიის წილის მფლობელი და თუ ამ ჯაჭვს გავყვებით, 1801 წლამდე თუ არა, 1921 წლამდე მაინც მოგვიწევს ჩასვლა. როგორც უნდა გვძულდეს „რუსთავი 2“-ის მოღვაწეობა სააკაშვილის დროს, ახლა, როცა იგივე ტელეკომპანია ოპოზიციურია, ამ საკითხს მაინც სახელმწიფოებრივად უნდა მივუდგეთ, რადგან არაფერი ისე არ სჭირდება ხელი-

სუფლებასა და ქვეყანას, როგორც კრიტიკული აზრი და მთავრობისგან დამოუკიდებელი ტელევიზია. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლება ამას ვერ ხვდებოდა და თუ ახლანდელიც ვერ ხვდება, ჩვენ მაინც მივხვდეთ და არჩევანი იმისდა მიხედვით გავაკეთოთ, რა სჭირდება სახელმწიფოს და ჩვენ მაინც ვიყოთ არა რომელიმე ხელისუფლების, არამედ — სახელმწიფოს მხარეს...

**— წინასაარჩევნო ცხელი პერიოდია, თქვენი აზრით, „ოცნებისა“ და „ნაციონალების“ ორთაბრძოლა პირველობისთვის მწვავე დაპირისპირებებით ჩაივლის? ხშირად გვესმის კითხვა — „მობრუნდებიან „ნაციონალები“?, — თქვენ რა აზრის ხართ?**

— ბევრი მიზეზის გამო, „ნაციონალური მოძრაობა“ ვერ გაიმარჯვებს ამ არჩევნებში, როგორც უმრავლესობა, მიუხედავად იმისა, რომ მათ, სრულიად საკმარისი დრო ჰქონდათ, დამარცხების მიზეზებზე ეფიქრათ და რადიკალურად შეცვლილიყვნენ, მაგრამ ეს არ გააკეთეს. თუმცა სამომავლოდ, თუ სწორ ანალიზს გააკეთებენ, რასაკვირველია, მათი შანსები გაიზრდება და შეიძლება ისევ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში. რაც მთავარია, თუ გაუჩნდებათ სინანული იმ შეცდომების გამო, რასაც ქვეყანაში სისტემური დანაშაულები მოჰყვა. რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, ისინი იმაზე უუნაროები აღმოჩნდნენ (სამწუხაროდ), ვიდრე მათ „ნაციონალები“ მოიხსენიებენ ხოლმე, მაგრამ ბოლო დროს, მათი შანსები, რომ „ნაციონალებზე“ მეტი ხმები მიიღონ, ისევ გაიზარდა, რადგან სააკაშვილი კვლავ გააქტიურდა და რამდენჯერაც იმას იტყვის, რომ შემოდგომაზე საქართველოში დაბრუნებას აპირებს, იმდენი პროცენტით გაიზრდება არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა. მეტიც, იმის შიშით, რომ სააკაშვილი მართლა არ დაბრუნდეს ქართულ პოლიტიკაში, ისინიც კი მისცემენ ხმებს ნებისმიერ სხვას (და მათ შორის „ქართულ ოცნებასაც“), ვინც ამ არჩევნებზე მისვლას საერთოდ არ აპირებდა. არადა, „ქართული ოცნება“, ნამდვილად არ იმსახურებს გამარჯვებას, მიუხედავად იმისა, რომ გიორგი კვირიკაშვილი, პიროვნულად, ძალიან პოზიტიური და კარგი ადამიანია. ■

# გაურკვეველი მიზეზით ამოხოცილი ოჯახი

**ამაზრზენი დანაშაული მოხდა ახალქალაქის რაიონის სოფელ ვაჩიანში. 10 ივლისს, კაჩოტიანების ოჯახის 4 წევრი — 37 წლის ქალი და მისი სამი შვილი სახლში სადისტურად დახოცილები იპოვეს. თავიდან ტრაგედიის მიზეზი მეზობლებს უბედური შემთხვევა ეგონათ, რადგან იქ მისულებს გაზის მილი გადაჭრილი დახვდათ, ირგვლივ კი გაზის საშინელი სუნი იდგა, სახლის ერთი ნაწილი დამწვარი იყო. თუმცა მალე გაირკვა, რომ ისინი სადისტურად იყვნენ დახოცილები და ამ უმძიმესი დანაშაულის ჩამდენი მათი თანასოფლელი, 24 წლის ახალგაზრდა იყო. სავარაუდოდ, მკვლელობა წინადღეს მოხდა და მეზობელმა ოჯახი ახალგაზრდა ქალის მამის სატელეფონო ზარის შემდეგ მოიკითხა.**

თეა ხურცილავა

— დამირეკა გოგოს მამამ და მითხრა, ჩემი შვილი არ ჩანს, ტელეფონსაც არ იღებს და ხომ არ დაგინახავსო? ვუთხარი, არ ვიცი, არ მინახავს, მივალ და ვნახავ-მეთქი. წავედი, რომ მენახა, რა ხდებოდა. დავიძახე, არავინ გამომხედა, სახლში უკანა მხრიდან შევედი, გვამი ვნახე. სახლში არავინ ჩანდა, ვყვიროდი, ირგვლივ გაზის საშინელი სუნი იდგა. გაზი სასწრაფოდ გადავკეტე, პოლიციაც მალე მოვიდა. ძალიან კარგი, წყნარი ოჯახი ჰქონდათ. მტერი არ ჰყავდათ და არ ვიცი, ასე რატომ გაიმეტეს. ოჯახის უფროსი რუსეთშია სამუშაოდ წასული და ქალი ბავშვებთან ერთად მარტო ცხოვრობდა, — *ამბობს მეზობელი, ჟორა პალოიანი.*

*შემთხვევის ადგილზე მისულ სამართალდამცავებსა და მეზობლებს შემზარავი სურათი დახვდათ. დედა და მისი ორი ქალიშვილი, 18 და 16 წლის გოგონები ოთახში დახოცილები ეყარნენ. არსად ჩანდა 5 წლის პატარა ბიჭუნა, მაგრამ მალე ის სხვა ოთახში გარდაცვლილი იპოვეს. პატარა ბიჭი სავარაუდოდ გაგუდულია, ხოლო გოგონებსა და მათ დედას თავში ბლაგვი საგნით აქვთ სასიკვდილო ჭრილობები მიყენებული. როგორც ამბობენ, მკვლელმა მათ „არმატურის“ ნაჭერი თავში ჩაარტყა და ისე დახოცა. ცხედრები ნაწილობრივ დამწვარიც იყო, ისინი პროზექტურაში გადაასვენეს და ექსპერტიზა ჩაუტარდათ. ექსპერტები დაადგენენ, რა დაზიანებები აქვთ დაღუპულებს მიყენებული. მეზობლების თქმით, სახლი არეული იყო. დამნაშავეს უჯრებიდან ყველაფერი გადმოეყარა.*

*პოლიციამ მომხდარზე გამოძიება 109-ე, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობის მუხლით დაიწყო.*

*სოფლის მამაკაცების რიგი დადგა პოლიციის განყოფილებასთან. დაახლოებით 15 ადამიანი დაჰკითხ-*




გაზი სასწრაფოდ გადავკეტე, პოლიციაც მალე მოვიდა




სოფლის მამაკაცების რიგი დადგა პოლიციის განყოფილებასთან

*ეს გამომძიებლებმა, რამდენიმე საათში ძალოვანებმა დანაშაული გახსნილად გამოაცხადეს და მკვლელობაში ბრალდებულიც დააკავეს. სადისტური მკვლელობის მოტივად ქურდობა სახელდება.*

*შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, მკვლელი კაჩოტიანების სახლში გასაქურდად შევიდა.*

„გამოძიებამ დაადგინა, რომ ნოდარ ა.-მ ახალქალაქის რაიონის სოფელ ვაჩიანში, ქურდობის მიზნით, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში ფანჯრიდან შეაღწია. სახლის მეპატრონემ და ოჯახის წევრებმა იგი შენიშნეს და წინააღმდეგობა გაუწიეს, რის გამოც ნოდარმა მათ თავის არეში ბლაგვი საგნით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა. ქალბატონი და მისი 2 შვილი, მიყენებული დაზიანებების შედეგად, ადგილზე გარდაიცვალნენ. ბრალდებულმა, დანაშაულის დაფარვის მიზნით, სახლში ხანძარი განზრახ გააჩინა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ოჯახის მეოთხე წევრი, მცირეწლოვანი ბავშვი, წინასწარი ინფორმაციით, გაგუდვის შედეგად დაიღუპა. სამართალდამცველებმა ნოდარ ა. ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მომხდარიდან მეორე დღეს, ახალქალაქის რაიონის სოფელ ვაჩიანში დააკავეს. შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიიდან ამოღებულია გარდაცვლილთა კუთვნილი მობილური ტელეფონები. დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს“, — *ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.*

*ბუნებრივია, ამ ინფორმაციამ მთელი საქართველო შეძრა. სოფელ ვაჩიანის მოსახლეობა პოლიციასთან შეიკრიბა და მომხდარით შეძრულები დამნაშავის ლინჩის წესით გასამართლებას ითხოვდნენ. გარდაცვლილების სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა სპეცრაზმი და მოსახლეობას ბუნებრივია, ბრალდებულთან მიახლოების საშუალებას არ აძლევდნენ. მეზობლები იმაშიც დარწმუნებულები არიან, რომ ნოდარი მარტო არ მოქმედებდა და ასეთ უმძიმეს დანაშაულს მარტო ერთი ადამიანი ვერ ჩაიდენდა.*

— ამ საშინელებას მარტო ერთი ადამიანი ვერ ჩაიდენდა. პოლიციამ უნდა გამოავლინოს სხვა მონაწილეებიც. რაც მოხდა, საშინელებაა. არ ვიცი, რა უნდა ვთქვათ, რას ერჩოდა ამ ბავშვებს? ამ საწყალ ქალს? ისინი სასტიკად ნაწამები არიან. ცხედრები შიშველი იყო, ბავშვებს ალბათ ეძინათ, იმასაც ფიქრობენ სოფელში, ხომ არ გააუპატიურა ისინი. ყველაფერს გამოძიება დაადგენს. ერთი რომ ვერ ჩაიდენდა ამ დანაშაულს, ფაქტია. რა ფული უნდა ჰქონოდა ამ საწყალ ქალს, ასე რატომ გაიმეტა მკვლელმა? მოიყვანეს მკვლელი აქ, სადაც დანაშაული მოხდა, რამდენიმე საათი შიგნით ჰყავდათ, მაგრამ გაძლიერებული იყო პოლიცია და ახლოს არავინ მიგვაკარა. სახლში ყველაფერი გადმოყრილი იყო. მკვლელს ალბათ უნდოდა, ცხედრები დამწვარიყო და ყველას ჰგონებოდა, რომ ისინი გაზით გაიგუდნენ და დაიწვნენ. ცხედრები ნაწილობრივ დამწვარია. ნახევრად დამწვარია სახლიც და ამიტომ ისინი ნათესავის სახლში გადაასვენეს. ახლა ოჯახის უფროსი ჩამოვა რუსეთიდან, ძალიან კარგი ბიჭია, მან არ იცის, რა მოხდა. უთხრეს, მამაშენია ძალიან ცუდად და ჩამოდიო, აქ კი ეს საშინელება დახვდება. როგორ გაუძლებს ამ ყველაფერს, არ ვიცი. როგორც ამბობენ, სახლიდან ძვირფასეულობა და ფული წაღებული არ არის. ძალიან კარგი ოჯახი იყო. სულ შრომობდნენ. ეს ბიჭი რუსეთში დადიოდა, იქ მუშაობდა და ისე არჩენდა ოჯახს. მათ დიდი ფული არ ჰქონდათ. ოჯახს მტერი ნამდვილად არ ჰყავდა. ეს არის მხეცი, ამას ვინ გააკეთებდა, ასეთი სასტიკი მკვლელობა არ გამიგონია, — *ამბობს მეზობელი პაკრამიანი.*

*ერთ-ერთი მეზობლის თქმით კი, ცოლს ცოტა ხის წინ რუსეთიდან ქმარმა ფული გამოუგზავნა და სავარაუდოდ, მკვლელი სახლში ამ თანხას ეძებდა. გამოძიება გრძელდება. რა ჩვენება მისცა ბრალდებულმა, ჯერჯერობით არ ვრცელდება. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში დამნაშავეს 20-წლიანი პატიმრობა ან უვადო თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. თუმცა, ეს ვერანაირი ნუგეშია დახოცილების ოჯახის წევრებისთვის.*

*ჰყავდა თუ არა ბრალდებულს თანამზრახველი ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს დამატებითი ინფორმაცია არ გაუვრცელებია.*

■

# მდინარე აბაშას შეწირული მოზარდი და მაშველი

**„დღის 4 საათი იქნებოდა, მე, ჩემი ძმა და გარდაცვლილი მიხეილ ბერიშვილის ძმა — ლევანი, მდინარესთან ახლოს ვისხედით. მიხო მოვიდა, — მდინარეში ვიბანაოთო. უარი ვუთხარით. მაშინ გვითხრა, — წყალში გადავხტები და გავცურავ, თქვენ ქვევით დამხვდით, სადაც ღელე მდინარეს უერთდებაო. ის წყალში ჩავიდა, ვხედავდით, რომ გაცურა, უცებ ზევიდან დიდი ჩანჩერი გადმოეშვა და მიხოს დაეცა, ამის შემდეგ წყალმა ერთხელ ამოატივტივა, მერე კი აღარ ჩანდა. მიხოს ძმამ, ლევანმა იყვირა, — ჩქარა, თოკი მოიტანეო. მეზობელთან გავიქეცი, ყველას ვთხოვდი დახმარებას. ამ ფაქტს ტურისტიც შეესწრო, ხიდთან ფოტოებს იღებდა, ის კაციც ყვიროდა, ბავშვი იხრჩობაო. სამწუხაროდ, მიხოს ვერ ვუშველეთ“, — ასე იხსენებს 7 ივლისის საბედისწერო დღეს ერთ-ერთი თვითმხილველი მოზარდი.**

თეა ხურცილავა

*მარტვილის რაიონის სოფელ გაჭედილში 17 წლის მიხეილ ბერიშვილი მდინარე აბაშაში დაიხრჩო და მისი ცხედარი წყლის დინებამ გაიტაცა. სავარაუდოდ, სიმაღლიდან გადახტომის დროს ბავშვმა ქვას დაარტყა თავი. მას დაზიანება საფეთქელთან აქვს. როგორც ამბობენ, წყალი არ ჰქონდა ნაყლაპი. ვარაუდობენ, რომ ის მაშინვე გარდაიცვალა.*

*სოფელში სამაშველო სამსახურები ოპერატიულად გამოიძახეს. პარალელურად, კანიონის ადმინისტრაციამ დახმარებისთვის წყალქვეშ ყვინთვის ნაციონალური ფედერაციის პრეზიდენტთან, ელგუჯა ჯამრიშვილთან დარეკა. შემთხვევის ადგილზე უმძიმესი სურათი დახვდათ. მთელი სოფელი შეკრებილიყო. ბავშვის დედისა და ახლობლების განწირული გოდება ყველას გულს უკლავდა. თავში ხელებს იშენდა მომხდარით შეძრული მამა. სასოწარკვეთილ ოჯახს ვერავინ შველოდა. ელგუჯა ჯამრიშვილი სამკაციან ჯგუფთან ერთად წყალტუბოდან მარტვილში ჩავიდა და სამძებრო სამუშაოები პირველმა დაიწყო. ურთულეს ადგილას ჩასვლის გადაწყვეტილება თავად მიიღო. მდგომარეობას ის ართულებდა, რომ წვიმდა. იგი სათანადოდ აღჭურვილი წყალში ჩავიდა. ამბობენ, ექსპედიციებს აწყობდა და მარტვილის ყველა მღვიმე და კანიონი ძალიან კარგად იცოდაო. ვითარება მალე შეიცვალა, ზევით მყოფები მას ველარ შველოდნენ, წყლის ჩანჩქერი თურმე ხან ერთ მხარეს მიახეთქებდა, ხან — მეორე მხარეს. თავი რომ გადაერჩინა, თავისი ხელით ჩახსნა თოკი ალბათ იმ იმედით, რომ გაცურვას შეძლებდა და სამშვიდობოს გააღწევდა. თუმცა, ერთ ტრაგედიას მეორე დაემატა, ბატონ ელგუჯას უკვე ველარ პოულობდნენ. ჯამრიშვილის შვილი დინების მიმართულებით წავიდა იმ იმედით, რომ იქ მამას იპოვიდა...*

**ვითარება მალე შეიცვალა, ზევით მყოფები მას ვეღარ შველოდნენ, წყლის ჩანჩქერი თურმე ხან ერთ მხარეს მიახეთქებდა, ხან – მეორე მხარეს**

ზაზა ვარშანიძე, *მაშველი:*

— შეგვატყობინეს, რომ მარტვილში ბავშვი იყო დამხრჩვალი და დახმარება სჭირდებოდათ. აჭარიდან რომ ჩამოვედით, შემთხვევის ადგილას ერთი ჯგუფი მუშაობდა. წყალში ჩასული იყო ელგუჯა ჯამრიშვილი. ეს რომ გავიგე, დავმშვიდდი, რადგან მას ყველაზე დიდი გამოცდილება ჰქონდა. ბატონი გუჯა წყალტუბოში მუშაობდა, ექსპედიციებზე. ჩემი და ჩემი ძმის აღმზრდელია. მაშველების დაახლოებით 80% მისი აღზრდილია. ვიცოდი, დიდი გამოცდილების მქონე პროფესიონალი იყო, ყველაფერს დეტალებში აგიხსნიდა ისე, რომ შეუძლებელს შეძლებდი. დრო რომ არ დაკარგულიყო, ჩვენ სხვა ადგილას წავედით — კანიონისკენ. ცოტა ხანში მისმა შვილმა მოირბინა, — მამაჩემი ხომ არ შეგხვედრიათო. მაშინ გავიგე, რომ თოკი, რომელზეც მიბმული იყო, გახსნილი ჰქონდა. მათ ეგონათ, გუჯამ გაცურა და ამიტომ წყლის ქვედა დინებაში ეძებდნენ, მაგრამ ვერ იპოვეს. საშინელ დღეში იყვნენ ბიჭები, რომლებიც მას ახლდნენ, მეც შოკში ვიყავი, მაგრამ ჩემს თავს შევუძახე, ვცდილობდი, დროულად მიმეღწია იქამდე, მაგრამ სამწუხაროდ, დაგვიანებული იყო. დიდხანს ვაკვირდებოდი იმ ადგილებს, გვიანი ღამე იყო, ფარნის შუქზე ვმუშაობდი. ღამის 2 საათზე, ცურვის დროს გამოჩნდა მყვინთავის აღჭურვილობა და გამიხარდა, იქნებ მოიცილა აღჭურვილობა და სადმე გაცურა-მეთქი, იმედს მაინც არ ვკარგავდი, მაგრამ რომ მივუახლოვდი, ვნახე, ის იყო... ცხედრის გამოტანას ვცდილობდი, ძალიან გამიჭირდა, თითქოს ვილაც მართმევდა ხელიდან, ისეთი დინება



შემთხვევის ადგილი

იყო, ცურვა მიჭირდა. ვეხებოდი ჩემს მასწავლებელს და ვერაფერს ვშველოდი. მიჭირს ლაპარაკი, ისე ძალიან განვიცდი. წყალში მარტო ვიყავი და ცურვისგან ძალიან დავიღალე. ამოყვანა დავიწყეთ. დაახლოებით ერთი მეტრი აკლდა, ნაპირზე მაინც ვერ ამოვიტანეთ. თოკი ძლიერად დაქაჩეს, წამოედო ბალონი კლდეს და ოთხივე მხრიდან ჩაწყდა თოკის სამაგრები, მხოლოდ ჟილეტის ერთი ნაწილი შეგვრჩა ხელში. შევეცადე, ცხედარი ცალი ხელით დამეჭირა, მაგრამ წყალმა ისევ გაიტაცა. ხელებში ძალა აღარ მქონდა, ამ დროს წყალმა ისე დამატრიალა, ძლივს გამოვაღწიე. ძალიან ძნელია სიკვდილს ჩახედო თვალებში. ერთხელ მას სწავლების დროს თავს გადახდენილი ვუამბე. მაშინ ზღვაში ადამიანის გადასარჩენად ძლიერ ღელვაში შევედი, გავრისკე სიცოცხლე და სხვისი დახმარების ნაცვლად მე გავხდი საშველი, ვერავინ ველარ შემოვიდა. სანაპიროზე ვერავის ვაგონებდი. ვყვიროდი და წყალში სიკვდილს რომ ვებრძოდი, თან იმას ვნატრობდი, ნეტავ, ნაპირზე გავაღწიო და იქ მოვკვდე-მეთქი. მომისმინა და მითხრა, — მაშინვე იმას იფიქრებდი, ნუთუ წყალში ვიხრჩობიო? თურმე მას ასეთი ბედი ელოდა. გინესის რეკორდსმენიც კი იყო ბატონი გუჯა. ვინ იცის, რამდენის სიცოცხლე გადაურჩენია. რა მოხდა, ვერ აგვიხსნია. ყველას გვტკივა გული. მთელი ღამე ვმუშაობდით. მოსახლეობა გამოფენილი იყო მდინარის სანაპიროზე და დინებას თვალს ადევნებდა, იქნებ ცხედრები სადმე გამორიყოსო. მეორე დღეს ბავშვის ცხედარი შენიშნეს. ის გამოვიყვანეთ და სახლში გადაასვენეს. ბიჭს ექსპერტიზა ოჯახის თხოვნით არ ჩასტარებია. საფეთქელთან აქვს დაზიანება... გუჯას ძმა, ამირანიც გამოცდილი მყვინთავია, ის ამბობდა, — ახალი უბედურება არ დატრიალდეს, სანამ წყალი არ დაწყნარდება, არ ჩახვიდეთო. შვილიც მყვინთავია. შეუძლებელი იყო იქ ჩასვლა, ისეთი შავი წყალი მოდიოდა. კალაპოტიდან გადმოსული იყო მდინარე. გვიან ღამით შეწყდა წვიმა, წყლის ნაკადმა იკლო და სამძებრო სამუშაოები დილიდან განვაახლეთ. 12 წელია, მე და ჩემი ძმა მაშველები ვართ. მამაჩემი, ბაბუაც მყვინთავები იყვნენ, ეს ჩვენი პროფესიაა, მაგრამ ყველაზე მძიმეა, როცა საყვარელ ადამიანს ვეღარ შველი. გუჯა ძალიან გვეცოდება. მისი ცხედარი 9 ივლისს, დღის 12 საათზე რამდენიმე კილომეტრის მოშორებით გამორიყა მდინარემ. სოფელ ბანძის მიმდებარე ტერიტორიაზე ვიპოვეთ.

ელგუჯა აკობია, *სამეგრელო ზემო-სვანეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს უფროსის მოადგილე:*

— 7 ივლისს 17 საათზე შემოვიდა შეტყობინება, რომ 17 წლის ბიჭს ეძებდნენ მდინარეში. გაჭედილის კანიონამდე, მდინარე აბაშის წყალში მოხდა ეს ტრაგედია. იქ ჩანჩქერი ჩამოდის და დამბა არის გაკეთებული. აქ მცხოვრები ბავშვები ბანაობენ ხოლმე. ჩვენ არ ვიცით ტრაგედიის მიზეზი, ამას გამოძიება დაადგენს. როგორც ჩანს, ადგილობრივებმა ასევე გამოიძახეს კერძო კომპანია. სანამ აჭარიდან ჩამოვიდოდნენ ბიჭები, ამ ჯგუფმა ჩამოასწრო. როგორც ამბობენ, ჯამრიშვილს მარტვილის კანიონის ხელმძღვანელმა სთხოვა დახმარება. იგი ერთ-ერთი უძლიერესი მაშველი იყო, ყველას ინსტრუქტორი და დიდი გამოცდილების მქონე. ძალიან ერუდირებული, განათლებული, ყველა სიტუაციაში გამოცდილი. ძალიან გვიჭირს იმის ახსნა, რეალურად რამ შეიწირა ეს ადამიანი. მყვინთავების სამსახურის უფროსად წლების მანძილზე მუშაობდა გუჯა. ორ ვერსიას განვიხილავთ: შეიძლება ჩანჩქერმა თავზე ნიღაბი ახადა, ვერ ისუნთქა და ამის გამო მოხდა ეს უბედურება, იქ წყალი ძალიან ბრუნავს. მეორე ვერსიით, შეიძლება წყალმა ამოატრიალა, შიგნით შეაგდო და თავი რაღაცას დაარტყა. არადა, მასზე კარგად იქაურობა არავინ იცოდა. ყველა მღვიმე, ყველა კანიონი ზეპირად იცოდა. მიზეზებს გამოძიება დაადგენს. ძალიან ვწუხვართ მომხდარის გამო. ამოსვლას შეეცადა ეტყობა, წყალი რომ ექაჩებოდა და გაკეთებული აქვს საავარიო გაშვება — თვითონ მოიხსნა თოკი. ამანაც ვერ უშველა და ვერ ამოვიდა ზევით. ალბათ თავი დაარტყა და წყალმა ჩაიყოლია. ძალიან ცუდი ადგილებია, ქვემოთ არის ოთახებივით გაკეთებული, ბადეები აქვს მდინარეს. მყვინთავების თავდაუზოგავი ბრძოლით, ორივე ცხედარი ნაპოვნია.

*მიხეილ ბერიშვილი მშრომელ ოჯახში გაიზარდა. წარმატებული სპორტსმენი იყო. მის ცხედართან მიხოს სიგელები და მედლები ელაგა. ოჯახში სამძიმარზე პრემიერ-მინისტრი, გიორგი კვირიკაშვილი, კახი კალაძე და მთავრობის სხვა წევრებიც მივიდნენ. უსაზღვროა მშობლებისა და ახლობლების ტკივილი. მიხოს ბევრი ოცნება განუხორ-*



გარდაცვლილი მიხეილ ბერიშვილი



გარდაცვლილი ელგუჯა ჯამრიშვილი

**გახდომა 5-დან 18 კგ-მდე თვეში**
**გასუქება 3-დან 5-6 კგ-მდე თვეში**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება შლაკებისგან, სისხლძარღვები-ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და სტაბილურად შეინარჩუნებთ მას.

ასევე სიმაღლეში ზრდა სწრაფად და ეფექტურად. კურსით 3-5სმ მომატებით 25 წლამდე. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშებით. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია, განმეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. უკუჩვენება 0-ია.

**შედეგები 100%-იანი.**

**ტელ: 577 29-37-41, 247-58-83**
**ქ-ნი მარიამი**



მაშინ გავიგე, რომ თოკი, რომელზეც მიბმული იყო, გახსნილი ჰქონდა

*ციელებელი დარჩა. მას ჰყავს და-ძმა. მიხო გაჭედილის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე იყო. სოფელი შეძრულია მომხდარით.*

ირა რუხაია, *კლასის დამრიგებელი:*

— ძალიან მიჭირს საუბარი. მიხო კარგად აღზრდილი, თავაზიანი, მიზანდასახული ბავშვი იყო. ყველას უყვარდა, ყველასთან მეგობრობდა და ძალიან შრომისმოყვარე



ზაზა ვარშანიძე

იყო. მისი ინტერესი სპორტი იყო, სხვადასხვა ოლიმპიადაში, ღონისძიებებში იმარჯვებდა და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. მარტვილის სპორტსკოლაში დადიოდა. პატარა იყო, მაგრამ უკვე მუშაობდა — კანიონში ტურისტებს ათვალიერებინებდა ხეობას ნავებით. სანამ სეზონი გაიხსნებოდა, მანამდე მარტვილში დარბაზში მიმტანად დაიწყო მუშაობა. იმ დღეს სახლიდან გამოსვლის წინ დედას თურმე სამჯერ აკოცა, უმცროსი და ჰყავს და დედისთვის უთქვამს, — აბა, შენ იცი დედიკო, ანანოს არასოდეს გაუბრაზდეო. ეტყობა, რაღაც წინათგრძნობა ჰქონდა. ცურვა ძალიან კარგად იცოდა, რა მოხდა, ვერ აგვიხსნია. სუფთა წყალი მოდიოდა, მაგრამ საგუბართან ამღვრეული იყო მდინარე. იქ არის დიდი ღრმულები, ეს ყველა აქაურმა მცხოვრებმა იცის. ადრეც დატრიალებულა აქ ტრაგედია, იმდენად ცუდი ადგილია. ბაბუაჩემი 1988 წელს დაიხრჩო, მთიდან ცხენით მოდიოდა და გადაიჩეხა სწორედ ამ ადგილას. 15 დღე ვეძებდით, მერე რუსეთიდან ჩამოიყვანეს მაშველები და იმათ იპოვეს ცხედარი. ადრე იყო შემთხვევა, მანქანა გადავარდა და მთელი ოჯახი დაიღუპა, კიდევ ერთი ახალგაზრდა გადავარდა მანქანით და დაიხრჩო. ერთხელ კი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს ერთი ახალგაზრდა. ძალიან დიდი ტკივილია მიხო ჩვენთვის...

ნანა კეკუტია, *გეოგრაფიის მასწავლებელი:*

— ვერ ვიჯერებ, რომ ჩემი მოსწავლე, ჩვენი კარგი მიხო, ცოცხალი აღარ არის. ის ჩემ თვალწინ გაიზარდა და დავაჟკაცდა. საოცრად თბილი, მოსიყვარულე. სულ იღიმოდა. ფიზიკურადაც ძალიან კარგი იყო, ბავშვობიდან ვარჯიშობდა და დიდი წარმატებები ჰქონდა. სიცოცხლე უხაროდა, თვალები სულ გაბრწყინებული ჰქონდა, ვერცხლისწყალივით იყო. გამოცდები კარგად ჩააბარა, გახარებული გამოვიდა. რუკასთან მუშაობა უყვარდა. კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ და ამხელა ტრაგედია დატრიალდა. ოჯახის უფროსი ვაჟია მიხო, ახალგაზრდა მშობლები ჰყავს, და-ძმაც, განადგურებულები არიან ყველანი და სანუგეშოს ვერაფერს ვეუბნებით. ხიდთან სხვა დროსაც ბანაობდნენ ბავშვები. წინა დღის ნაწვიმარი იყო, ეტყობა ქვა-ღორღი ჩამოიტანა მდინარემ. ისეთი კამკამა არ ყოფილა წყალი, როგორც ადრე. რომ ჩახტა, ალბათ ქვას თავი დაარტყა. საშინელება იყო ისიც, ცხედარს რომ ვერ პოულობდნენ. განადგურებული დედამისი იხვეწებოდა, შვილის ცხედარი მაინც მაპოვნინეთო. ყველანი გავყურებდით აბობოქრებულ მდინარეს და ვერ ვშველოდით... ვწუხვართ, მაშველის დაღუპვის გამო. მისი შვილიც შეესწრო ამ ტრაგედიას. ახლაც ყურში ჩამესმის მისი ბღავილი, როცა დაინახა, რომ მამამისი წყალმა გაიტაცა. ძნელია, რომ ვერაფერს შველი და უძლური ხარ.

თამთა წულაია, *მიხოს თანაკლასელი:*

— მიხო ძალიან მეგობრული, კომუნიკაბელური იყო. სულ კლასელებთან ტრიალებდა, ხშირად ვიკრიბებოდით და ვქეიფობდით და მიხო ყოველთვის ჩვენს კარგ განწყობაზე ზრუნავდა. ერთი წელი დაგვრჩა სკოლის დამთავრებამდე, მაგრამ ბოლო დროს რატომღაც სულ ჩვენს ბოლო ზარზე და ბანკეტზე საუბრობდა. გვიყვებოდა, როგორი წარმოედგინა ჩვენი ბანკეტი, რა სკეტჩები უნდა გვქონოდა, ამბობდა, ეს ყველასგან განსხვავებული, დაუვიწყარი და მაგარი დღე იქნებაო. არც იმას გვიმალავდა, როგორი პიჯაკი ეცმებოდა ბანკეტზე. არა მარტო ჩემთან, თურმე სხვებთანაც უთქვამს. არ დასცალდა სკოლის დამთავრება, მის გარეშე „ბოლო ზარსა“ და ბანკეტს არ გავაკეთებთ. ის არა მარტო კლასელი, ჩვენი ძმაც იყო. მომავალ წელს დავამთავრებთ სკოლას მის გარეშე, მაგრამ ყველაზე ტკივილიანი იქნება ეს დღე ჩვენთვის. შრომისმოყვარე იყო. კანიონშიც მუშაობდა ნავზე და თავისი ფული ჰქონდა. დიდი ინტერესი ჰქონდა, სახლი კარგად გაერემონტებინა. ოჯახს ეხმარებოდა. ძალიან კარგი და-ძმა ჰყავს, ძმა შეესწრო ამ ამბავს და ხმას ვერ იღებს, ისეა შოკირებული. როცა სპორტული შეჯიბრებებიდან გამარჯვებული ბრუნდებოდა, ყველას გვეამაყებოდა. ერთად აღვნიშნავდით მის გამარჯვებებს. სპორტი იყო მისი საქმე. ვერ წარმომიდგენია სკოლა მის გარეშე. ყველა ძალიან განვიცდით.

*ორივე დაღუპულის ოჯახს სამძიმარს ვუცხადებთ და ვიზიარებთ მათ ტკივილს.* ■

# მოსახლეობის თავსატეხი

## „ხალხმა დიდი გაჭირვება და შიმშილი გამოცადა“

**ქალბატონი ნათელა ქართველიშვილი, როგორც ამბობს, პოლიტიკაზე საუბრისას ძალიან ღელავს, რადგან ქვეყანაში სასიკეთოს ბევრს ვერაფერს ხედავს. ამიტომ ინტერვიუს ამჯობინა, წერილი გადმოეცა ჩემთვის, რომლის შინაარსსაც მცირეოდენი შესწორებით გთავაზობთ (სტილი დაცულია):**

ლიკა ქაჯაია

„ახლახან ერთხელ კიდევ გადავხედე სერგო მაკალათიას ბროშურას თამარ მეფეზე. მაშინ, როდესაც ომის ქარცეცხლი მძვინვარებდა, სრულიად ახალგაზრდა თამარ მეფეს წუთითაც არ შეუწყვეტია ზრუნვა პოეზიისა თუ ხელოვნების აღორძინებაზე. მწერლებს პატივს სცემდა და კარგ გარემოს უქმნიდა. ყველაზე დიდ თანხას თურმე, ლაშქრის შენახვაზე ხარჯავდა, რამეთუ სახელმწიფოს ძლიერება ამაზეა დამყარებული. ჭირ-ვარამისა და ომების გადამკიდე მეფეს, არც ომის დროს ავიწყდებოდა მშიერი ქვრივ-ობლები და მათ ეხმარებოდა. ამით იცით, რისი თქმა მინდა? 900 წელი გვაშორებს თამარ მეფის ხანას და მისნაირი გულისხმიერი, განათებული გონების მქონე პიროვნება, ხალხზე რეალურად მზრუნველი კაცი მთავრობაში არავინ გამოჩნდა. დავიჯერო, აღარ იბადებიან ქვეყნისა და სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანები? ასე ვართ განწირულები?

ქართველმა ხალხმა დიდი გაჭირვება და შიმშილი გამოცადა, რაც ომის დროსაც არ ყოფილა. თუ მთლად ახალგაზრდა თამარ მეფემ შეძლო, „ოქროს ხანა“ შეექმნა და სახელმწიფო გაეძლიერებინა, ამ პოლიტიკოსად გამომცხვარ ასაკოვანებსა თუ ახალგაზრდებს, მათზე იმედს რომ ამყარებდა ქართველი ხალხი, რა დაემართათ? დღეს მათ უმადურობაზე რომ ლაპარაკობს მთელი საქართველო, დავიჯერო, ეს არ ადარდებთ? ქალაქში ამბობენ: ჩვენთვის სადღა სცალია ბატონ ბიძინა ივანიშვილს, თავისი ბიზნესის ასაღორძინებლად მოვიდაო. კულტურისა და დასვენების ბოტანიკური ბაღი ლამის საკუთრებად აქციეთ, მიწაში ოქრო აღარ დატოვეთ, რაც მომგებიანი ადგილი და ნიადაგი იყო, საკუთრებად აქციეთ — ესაა თქვენი დანაპირები? რა ვქნა, ხალხს ვერაფერს გამოაპარებთ. ვეღარ გაგვიგია, მტერია თუ მოყვარეო, — წუწუნებენ.

ქალი დავბერდი და „გიგანტური ნერგები“ აღარ გამიგია. მართალია, ის ხე გადარჩა და დღესაც სადღაც ხარობს თურმე, მაგრამ ამ მთავრობამ გაჩეხა და გადაწვა ხუდადოვის ტყე — ეს მტკივა... ჩემს ბავშვობაში, 2 მაისს თამარობის დღესასწაულს აღვნიშნავდით და იყო ერთი ლხინი, ცეკვა და სიმღერა, მერე კი ნელ-ნელა, ამ სიხალისეს ბოლო მოეღო. მე იმ უბანში ვცხოვრობდი და კარგად მახსოვს ეს ყველაფერი. ასე, ერთი ხელის მოსმით ისტორიის გაჩანაგება, ხომ ქართველი ხალხის ღალატის ტოლფასია! ისიც ვნახეთ ტელევიზორში, მთავრობა ძაღლების მოსავლელად როგორ რიცხავდა ბიუჯეტიდან ათასებს. კი, ისინიც ცოცხალი არსებები არიან, მაგრამ ადამიანებს გვჯობნიან?პენსიონერებისათვის ვერა და ვერ გაიმეტეს 10 და 20 ლარზე მეტი. პირუტყვების შენახვა ალბათ, უფრო მომგებიანია მათთვის. განა, პენსიონერს არა აქვს უფლება, ცხოველზე უკეთ იცხოვროს? რომ არა ჩვენი ჟურნალისტების დაუღალავი შრომა, ამდენი რამის მოწმე ვერ გავხდებოდით. განა ამიტომ არ იყო ტელევიზიებზე უსასრულო თავდასხმებიც? მეც, მეტი რა დამრჩენია 80 წლის ქალს, თვალს ვადევნებ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და ვუსმენ ჩემი ქვეყნის მაჯისცემას, მაგრამ ცუდი ის არის, რომ ყველა არხზე მხოლოდ მურუსიძე-ივანიშვილის ქება ან გინება ისმის. მაშინ, როდესაც ყველა აპროტესტებდა „მთავარ“ მოსამართლედ ლევან მურუსიძის არჩევას, ბატონმა ბიძინამ სწორედ მას დაუჭირა მხარი — ალბათ იმიტომ, რომ მის დაკრულზე იცეკვებდა. ეს ხომ ის კაცია, რომელმაც სტრასბურგში ვერც ერთი საქმე ვერ მოიგო? მას



ძალიან მადარდებს ჩემი შვილიშვილების მომავალი

სულხან მოლაშვილის საქმეც ეყოფა საიმისოდ, რომ მივხვდეთ, ვინც არის სინამდვილეში...

სულხანმა სტრასბურგში საქმე კი მოიგო, მაგრამ მერე რა? ციხეში გატარებულმა წლებმა ამ გონიერ, წარმოსადეგ ახალგაზრდა კაცს თავისი დაღი დაასვა, ჯანმრთელობა შეურყია და ხელიდან გამოგვეცალა ადამიანი, რომელსაც შეეძლო, სამშობლოს სამსახურში ბევრი კარგი საქმე გაეკეთებინა. სიმართლისთვის მებრძოლი კაცი კონკრეტულმა ადამიანებმა მიზანში ამოიღეს და

**ძვალ-სახსართა პრობლემები**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიზური სპონდილიტას, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება.

მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. სისხლის მიმოქცევის აღდგენით, მარილების, შლაკებისა და ქოლესტერინისაგან გაწმენდით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესო და მყარი.

**ტელ: 599 91-37-65 ქ-ნი: ქეთათო**

იმსხვერპლეს კიდეც, სამწუხაროდ...

ძალიან მადარდებს ჩემი შვილიშვილების მომავალი: ნეტავ, როგორ ქვეყანაში მოუწევთ ცხოვრება? ერთი კი ვიცი, დღეს ჩემი სადარდებელ-თავსატეხი არის: არჩევნებზე რომელ პოლიტიკურ პარტიას დავუჭირო მხარი?



სულხანმა სტრასბურგში საქმე კი მოიგო, მაგრამ მერე რა?

ამბობენ, ბიძინამ ყველა თეატრის რეკონსტრუქცია მოახდინაო. მერედა, მითხარით, ვინ დადის ამ თეატრებში? ისევ ეგენი, ფულიანი ხალხი! აბა, გაჭირვებულ, შიმშილის ზღვარზე მყოფ ხალხს რა ეთეატრება? დალოცვილო, კარგია, ეს საქმე რომ გააკეთე, შეუფასებელია თქვენი ღვაწლი ხელოვანი ადამიანებისადმი, მაგრამ იმასაც რომ ამბობენ, ყოველი დიდი ქონების უკან რაღაც დანაშაული იმალებაო, ამას რა ვუყოთ? თქვენ ძალიან კარგად გამოგდით ბიზნესი, მაგრამ არა — პოლიტიკა. მაპატიეთ, ამ გულახდილობისთვის... კარგი პოლიტიკოსი რომ ყოფილიყავით, თეატრების მოწესრიგებით კი არა, ხალხისთვის მიცემული დაპირებების ასრულებით დაიწყებდით ხალხის გულის მოგებას... ახლა კი ფაქტია, ხალხს „ქართული ოცნება“ აღარ უნდა. დავიღალეთ ოცნებებით. თანაც, ხალხმა თქვენი კეთილგონიერების იმედით აირჩია ეს პარტია, თქვენ კი თამაშიდან „გახვედით“ და აქამდე არ ჩანდით. ახლა, წინასაარჩევნო პერიოდში ისევ გამოჩნდით არენაზე. პოლიტიკოსებიც გააქტიურდნენ და გვმოძღვრავენ, არადა, ეს წიგნი ხომ 4 წლის წინაც წავიკითხეთ? ბატონო ბიძინა, აქამდე სად იყავით?..

ყველა მთავრობა თითქოს, ერთმა კაცმა შექმნა. არა და არ მთავრდება ცხოვრება უკეთესის ლოდინში. ქარავანი კი მიდის, მინისტრები იცვლებიან, სამაგიეროდ, ხადური ზის სავარძელში მყარად. მას ხალხის საკეთილდღეოდ აბა, რა გაუკეთებია?

მიწისქვეშა გადასასვლელში დედა ჩვილით ხელში მათხოვრობს, ცოტას გაივლი და, მოზრდილებიც გთხოვენ დახმარებას... ღმერთო, ამას მარტო მე სიკეთის მკეთებლებსაც ვიცნობ. აბა, როგორ შეიძლება არ შევაქო მთაწმინდის რაიონის გამგებელი, გელა არჩვაძე და მისი მდივანი, როცა ადამიანს ღირსეულად მასპინძლობენ და მის სატკივარსაც ითავისებენ? როცა კი მივსულვარ რაიმეს სათხოვნელად, ყოველთვის სიკეთის ნაპერწკალს ვხედავდი გამგებლის თვალებში.

## ყველა პოლიტიკური გუნდი უნდა იყოს დაკომპლექტებული კარგი, გულისხმიერი, თავისი საქმის მცოდნე, ღირსეული პიროვნებებით

და ჩემნაირები ვხედავთ? ბანკებია და, უთოფო ყაჩაღები არიან. ამ ქალაქში არ ცხოვრობთ, კაცო? ერთხელ მაინც შემოიარეთ ბანკში, პენსიის რიგში მდგომებს თვალებში ჩახედეთ; გაიგეთ, რა უჭირს ხალხს... ბატონო ჩინოვნიკებო, გილაპარაკიათ პარლამენტში ადამიანების ყოფასა და გასაჭირზე? ნეტავ, ის გამაგებინა, მართლმადიდებლები ხართ თუ არა. ადამიანი საქმით ფასდება და არა — სიტყვით! და კიდევ, მუდმივ საკუთრებაში არაფერი გეძლევათ. დალოცვილებო, ერთი ქარხანა მაინც აგეშენებინათ და ახალგაზრდები დაგესაქმებინათ — აი, ეს იქნებოდა მადლიანი საქმე და ამით ბევრი ამომრჩევლის გულსაც მოიგებდით. ან კიდევ, დანგრეულ სახლებს მარტო ჩვენ ვხედავთ თბილისის ქუჩებში? ან გაამაგრე, ან დაანგრიე და თავიდან ააშენე. მარტო სასტუმროები ვის უნდა?

არა, ტყუილს სიტყვასაც არ ვამბობ და არც ცილს ვწამებ ხელისუფლებას. მიყვარს ილიას აფორიზმი,

ერთხელ, გამგეობაში მისული, შეუძლოდ გავხდი. მისმა მდივანმა — ანი მანაგაძემ წამლები მომცა, მომასულიერა და ვიდრე კარგად არ გავხდი, შინ არ გამომიშვა, მერე გამომაცილა კიდეც. მინდა, მადლობა გადავუხადო ამისთვის. სხვაგან ასე კარგად არასდროს მომქცევიან, ასეთი გულისხმიერება არ გამოუჩენიათ და არც მე ვარ უმადური ადამიანი...

ყველა პოლიტიკური გუნდი უნდა იყოს დაკომპლექტებული კარგი, გულისხმიერი, თავისი საქმის მცოდნე, ღირსეული პიროვნებებით, რომლებსაც ხალხი ეყვარებათ და არა ფული. ყველაზე ძვირად ღირებული კაპიტალი ხომ ადამიანია! თუ ექიმს ავადმყოფი არ უყვარს, ის უკვე ექიმი აღარ არის.

ღმერთმა ქნას, არჩევნების შემდეგ მოსახლეობას ისე შეგვეცვალოს განწყობა, რომ ტელეეკრანებზეც საუკეთესო გადაცემები გვენახოს და პრესაშიც კარგი რაღაცები გვეკითხოს.

## თქვენ ძალიან კარგად გამოგდით ბიზნესი, მაგრამ არა – პოლიტიკა. მაპატიეთ, ამ გულახდილობისთვის...

— მოყვარეს პირში უძრახეო. ჩემო საყვარელო ხალხო, მინდა, რაც დავწერე, მთავრობის ყურამდე მივიდეს. ჩემთვის სულერთია, რომელი პარტია იქნება უმრავლესობაში და რა გვარის კაცი მართავს ქვეყანას, მთავარია, ადამიანი უყვარდეს! მთავარია, ღირსება ჰქონდეს და ქონება წყალსაც წაუღია! „ქართულ ოცნებაში“ ბევრი კარგი პიროვნებაა ალბათ და დაბოლოს, „ქვეყანას არ ჰყავს მსაჯული, რომ მტყუანი სჯობდეს მართალსა“, — ამბობს ჯანსულ ჩარკვიანი და ძნელია, არ დაეთანხმო...“

P.S. *შემოგვიერთდით და გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები. ჩვენთვის თითოეული თქვენგანის სიტყვა მნიშვნელოვანია. დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 5(58) 25.60.81*

# დავით აღმაშენებლის მონეტა — უნიკალური ფულის ერთეული, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული

**...1089 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა 16 წლის ჭაბუკი, მეფე დავით IV. ამ სახელოვანი მეფის დროს ქართველი ხალხი ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა; დავითმა შეძლო ქვეყნის გაერთიანება და განმტკიცება, რისთვისაც ხალხმა აღმაშენებელი უწოდა. დავით აღმაშენებლის მეფობის ხანა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების ხანაა. საქართველო წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფო გახდა. დავითი აგრძელებს ბიზანტიურტიტულიანი ქართული მონეტების ორი ტიპის მოჭრას.**

პირველ ტიპზე მოთავსებულია წარწერა: „ქრისტე, ადიდე დავით აფხაზთა მეფე და სევასტოსი“, მეორეს ცენტრში კი გამოსახულია ჯვარი და წრიული წარწერა: „ქრისტე, ადიდე დავით მეფე და სევასტოსი“. მოგვიანებით, მეფემ უარი თქვა ბიზანტიურ ტიტულზე და როდესაც 1118 წელს აილო ლორე და გააუქმა ტაშირის სამეფო, სპილენძის მონეტა მოჭრა, რომლის ავერსზე გამოსახულია მეფე საიმპერატორო ინსიგნიებით, ხოლო რევერსზე — მედიდური წარწერა: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“. ეს მონეტა უნიკალურია და დღეს დიდი ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული. მონეტის წარწერის შინაარსი სრულად ასახავს ქვეყნის რეალურ პოლიტიკურ მდგომარეობას — იმ დროისთვის საქართველო წინა აზიის ერთ-ერთი უძლიერესი სუვერენული სახელმწიფოა.

იბერიაში ანუ ქართლის სამეფოში, კოლხეთისგან განსხვავებით, სამონეტო მიმოქცევა ძვ.წ. II საუკუნემდე შედარებით სუსტად იყო განვითარებული. იბერიის სამეფოში საკუთარი მონეტა არ მოჭრილა, ძვ.წ. I - ახ.წ. III საუკუნეებში კი იქ ფულადი მიმოქცევის საფუძველი რომაული და პართული ფული იყო. სამონეტო მიმოქცევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ბერძნულ-რომაული მონეტების მინაბაძები.

საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ლისიმაქეს და ალექსანდრეს სტატერების, ასევე რომის პირველი იმპერატორის, ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ.წ. 27-ახ.წ. 14 წწ.) დენარის ადგილობრივი მინაბაძები, როგორც ტექნიკური, ისე მხატვრული თვალსაზრისით, დიდად განსხვავდება ორიგინალებისგან. გამოსახულებები მინაბაძებზე დამახინჯებულია, წარწერების ნაცვლად, ხშირ შემთხვევაში, წერტილები და გაურკვეველი ხაზებია გამოსახული.



ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი.
ოქრო. ძვ. წ. I – ახ.წ. I სს.
Av. ადამიანის სქემატური პროფილი.
Rv. ღვთაება ნიკეს სქემატური გამოსახულება და წერტილები წარწერების ნაცვლად

ოქროს მინაბაძების უმეტესობა მოჭრილია ძვ.წ. I ს-სა და ახ.წ. I ს-ის დასაწყისში. რომაული დენარების ადგილობრივი მინაბაძები, სავარაუდოდ, ბრუნვაში იყო ახ.წ. I ს-ის მიწურულიდან, ვიდრე III ს-ის ბოლომდე. იბერიაში ასევე ფართოდ მიმოიქცეოდა რომაული ოქროს ფული — აურეუსები, რომლებიც მსხვილი სავაჭრო გარიგებების დროს ანგარიშსწორების ძირითადი საშუალება გახლდათ. ბრუნვაში ჩართული იყო ასევე რომაული აურეუსების ადგილობრივი იმიტაციები. ■



ალექსანდრე მაკედონელის ფულის მინაბაძი საქართველოში
სპილენძი. დავით IV აღმაშენებელი (1089–1125)

Av. საიმპერატორო ტანსაცმელში გამოწყობილი წვეროსანი მეფის გამოსახულება წელზევით, პირდაპირ. მარჯვენა ხელში გრძელი სკიპტრით. მარცხენაში – ჯვრიანი სფეროთი. თავზე – საიმპერატორო გვირგვინით. გამოსახულების მარცხნივ – ასომთავრული „დთ“ – დავით. მარჯვნივ – „მფ“ – მეფე.

Rv. მონეტის ცენტრში თანაბარტოტებიანი ჯვრის გამოსახულება. გარშემო ქართული ასომთავრული ლეგენდა: „სახელითა ქრისტესი დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა“. ყველაფერი ეს ჩასმულია ხაზოვან რკალში.

**სახე**

# სასიამოვნო პოპულარობა

**ნიკე კეშელავა ის ადამიანია, ვინც გასული 3 თვის განმავლობაში, უამრავი ქართველი გოგონასთვის საოცნებო მამაკაცთან — სტანისლავ ბონდარენკოსთან ერთად ყველაზე მეტ დროს ატარებდა. თავდაუზოგავი შრომისა და გულშემატკივართა მხარდაჭერის შედეგად, ნიკემ და სტასმა პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ გაიმარჯვეს.**

## ნიკე კეშელავა: „მე და სტასი და-ძმასავით ვართ“

ეთო ყორღანაშვილი

**— ნიკე, როგორ ხარ?**

— კარგად. როგორც იქნა, ვისვენებ (*იცინის*). ახლა მშობლიურ ბათუმში ვარ, ზღვის სანაპიროზე დავდივარ... აქაურობა ძალიან მომენატრა. დროს მეგობრებთან ერთად ვატარებ — დიდი ხანია, ისინი არ მინახავს.

**— ახლახან ბათუმში გამართულ, სამეჯლისო-სპორტული ცეკვების საერთაშორისო ტურნირში არ მონაწილეობდი?**

— კი, ისე ვმონაწილეობდი, რომ ბოლო 3 თვის განმავლობაში, მე და ჩემს მეწყვილეს — ანტონ ჩერუშევს არ გვივარჯიშია, რადგან პროექტში ვიყავი ჩართული. ტურნირში მონაწილეობა იმიტომ მივიღეთ, რომ ეს რეიტინგს გვიმაღლებს — გაცდენა არ შეიძლება. იმის გათვალისწინებით, რომ 3 თვე არ გვივარჯიშია, ტურნირში მიღწეული შედეგით კმაყოფილები ვართ.

**— ნიკე, „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ საქართველოში ძალიან პოპულარული ბიჭის, სტანისლავ ბონდარენკოს პარტნიორობა როგორი იყო?**



ისეთი არაფერი მომხდარა, რომ გვეჩხუბა



საქმეს თუ გააკეთებ, ალბათ, გამარჯვებაც მოვა...

— რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა, როცა გავიგე, რომ მისი პარტნიორი უნდა ვყოფილიყავი. თითქმის ყველა გოგო ოცნებობდა მასთან ცეკვაზე. ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ სტასის სახით, ახალი მეგობარი შევიძინე: ის ძალიან კარგი ადამიანია. მართლა და-ძმასავით ვართ...

**— სტასის თაყვანისმცემლები შენზე არ ეჭვიანობენ?**

— არა, პირიქით — ჩემ მიმართ დადებითად განწყობილები არიან. მათგან დიდ სითბოს ვგრძნობ. მინდა, ყველა გულშემატკივარს დიდი მადლობა გადავუხადო — გულთბილები და ყურადღებიანები არიან.

**— ბოლო თვეების განმავლობაში, სტასის გვერდით ყველაზე მეტ დროს შენ ატარებდი. გვითხარი, სტანისლავ ბონდარენკოს ისეთი რა შარმი აქვს, რომ უამრავ გოგონას მოსწონს?**

— მსახიობია, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში არ თამაშობს — გულწრფელი, თბილი, დადებითი, ყურადღებიანი ადამიანია... კიდევ ბევრი რაღაც შემიძლია, ჩამოვთვალო. მაგალითად, სტასი ყველას მიმართ ძალზე პოზიტიურად არის განწყობილი.

**— პროექტის განმავლობაში, შენ და სტასს რთული პერიოდი არ გქონიათ?**

— ასეთი პერიოდი ყველას აქვს: შეიძლება, ადამიანს რაღაც ისე არ გამოგივიდეს, როგორც საჭიროა, გაუგებრობა მოხდეს. ცეკვის დროს მსგავსი რაღაცები ხდება, მაგრამ ჩვენ შორის ისეთი არაფერი მომხდარა, რომ გვეჩხუბა.

**— თქვენი წყვილის გამარჯვებას ელოდი?**

— რა თქმა უნდა, გამარჯვებას პროექტის ყველა მონაწილე ელოდება (*იცინის*). ჩვენთვის უმთავრესი საქმის გაკეთება იყო. საქმეს თუ გააკეთებ, ალბათ, გამარჯვებაც მოვა...

**— გრძნობ პოპულარობას?**

— კი, მცნობენ. მეუბნებიან, — მაგარი გოგო ხარო! გულთბილად მხვდებიან.

**— პოპულარობა მოგწონს?**

— ნამდვილად სასიამოვნოა.

**— პოპულარულ და თან, ლამაზ გოგოს პლაჟზე გასვლა, დასვენება არ გიჭირს?**

— რომ ვთქვა, ყოველი მეორე ადამიანი მცნობს-მეთქი, ჯერ ასეც არ არის საქმე (*იცინის*).

**— „ცეკვავენ ვარსკვლავების“ წინა სეზონებში რატომ არ მონაწილეობდი?**

— პროექტში მეორე სეზონზე მიწვეული ვიყავი. უბრალოდ, მაშინ მეწყვილე საზღვარგარეთიდან ჩამომივიდა და უფრო მეტად, სპორტზე ორიენტირებული ვიყავით — მაშინ „წყვილში“ პირველად დავდექი, შეჯიბრებებისთვის ვემზადებოდით.

ჰოდა, „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მონაწილეობაზე უარი ვთქვი. შემდეგ, როცა მონაწილეობა კიდევ შემომთავაზეს, დავთანხმდი.

**— სამეჯლისო-სპორტულ ცეკვებში რა მიღწევები გაქვს?**

— 7-8 წლის ვიყავი, როცა ცეკვის შესწავლა დავიწყე. საქართველოში გოგონებს მეწყვილის პრობლემა გვაქვს — ბიჭების ნაკლებობა იგრძნობა. ამიტომ, „სოლო გოგონებში“ ვცეკვავდი. სხვადასხვა კატეგორიაში, საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი გახლდით. ასევე, კავკასიის ხუთგზის ჩემპიონიც ვიყავი. შემდეგ მეწყვილე ჩამომივიდა: მე და ანტონ ჩერუშევი საქართველოს ჩემპიონები, „საქართველოს თასის“ მფლობელები და საერთაშორისო ტურნირის პრიზიორები ვართ.

**— შენს ოჯახზე რას გვეტყვი?**

— მამიკოს თავისი ბიზნესი აქვს, დედიკო კი დიასახლისია. ადრე დედა ბალეტზე დადიოდა, ასევე — სამეჯლისო-სპორტულ ცეკვებზეც... ჩემი და თბილისში ცხოვრობს, მეუღლესთან ერთად.

**— მოცეკვავეობის გარდა, სხვა პროფესიაზე გიფიქრია?**

— პროფესიით მენეჯერი ვარ. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მენეჯმენტის ფაკულტეტი დავამთავრე.

**— შენი პროფესიით გიმუშავია?**

— არა (*იცინის*).

**— არც სურვილი გაქვს, რომ იმუშაო?**

— როცა უნივერსიტეტში ვსწავლობდი, მაშინაც ვიცოდი, რომ ცეკვას „გავყვებოდი“.

**— აბა, რამ გაიძულა, რომ მენეჯმენტის ფაკულტეტზე გესწავლა?**

— თავდაპირველად, სპორტის მენეჯმენტის შესწავლა მსურდა. უბრალოდ, ჩვენთან ასეთი ფაკულტეტი არ იყო. ამიტომ, ზოგადად მენეჯმენტი ავირჩიე.

**— მოგვიყევი, ბათუმში როგორ ცხოვრობ?**

— დატვირთული რეჟიმი მაქვს. ფაქტობრივად, მთელ დღეს ცეკვას ვუთმობ. როცა ცოტა თავისუფალი დრო გამომიჩნდება, მეგობრებთან ერთად ვარ. მე და ჩემს მეწყვილეს მოსწავლეები გვყავს. სტუდია ქობულეთში გვაქვს. შეიძლება, ახლა ბათუმშიც გავხსნათ... უკვე 4 წელია, რაც მე და ანტონ ჩერუშევი ერთად ვცეკვავთ.

**— თქვენ შორის რომანტიკული არაფერი ხდება?**

— (*იცინის*) არა, კარგი მეგობრები ვართ. ■

# ნინი ქარსელაძის სისუსტე

## „დასასვენებლად მარტო წასვლა ჩემთვის ტანჯვა იქნება“

**მომღერალ ნინი ქარსელაძეს ძალიან უყვარს ზღვაზე დასვენება. მითხრა: სადაც მზე, სიმშვიდე, კომფორტი და ჩემთვის საყვარელი ადამიანებია, ყველგან კარგად ვისვენებო.**

მარეხ ჟონიშვილი

**— ვიდრე დასვენებაზე ვილაპარაკებთ, მითხარი, შენს შემოქმედებით ცხოვრებაში რა სიახლეა?**

— არნო ბაბაჯანიანის შვილმა მაჩუქა მამის სიმღერა „ზალატოე ტანგო“, რომლის ახლებური ვერსია ჩავწერე. ვაპირებ რუსეთში წასვლას, მაგრამ წინასწარ ვერ გეტყვით, რა გეგმებით მივდივარ.

**— უკვე გადაწყვეტილი გაქვს, სად დაისვენებ?**

— ჯერ არ გადამიწყვეტია, დასასვენებლად კონკრეტულად სად წავალ, მაგრამ მთაში დასვენებას რომ ზღვა მირჩევნია, ეს ვიცი. ზღვა ჩემი სისუსტეა!

**— ვისთან ერთად გიყვარს დასვენება?**

— დასვენების დროს უპირატესობას მეგობრებთან ერთად ყოფნას ვანიჭებ. ასევე, კომფორტულად ვგრძნობ თავს ოჯახის წევრების გარემოცვაში. საერთოდ, მარტო ყოფნა არ მიყვარს და სულ ვცდილობ, მეგობრებთან ან ოჯახის წევრებთან ერთად ვიყო, სხვა შემთხვევაში — დასვენება კი არა, ტანჯვა გამომივა (*იღიმის*).

**— როცა დასასვენებლად მიდიხარ, თან ბევრი ბარგი მიგაქვს?**

— ყველგან და ყოველთვის, ჩემი ბარგი არის გამორჩეულად დიდი და მძიმე. არ აქვს მნიშვნელობა დღეების რაოდენობას, ყოველთვის მიმაქვს ყველაფერი, რადგან წინასწარ არასოდეს იცი, რა შეიძლება დაგჭირდეს ან მოგინდეს.

**— დასვენების დროს ყველას სურს, თავი კომფორტულად იგრძნოს. როცა ვთქვათ, სანაპიროზე მყოფს გცნობენ და ყურადღებას გაქცევენ, ეს დისკომფორტს ხომ არ გიქმნის?**

— არა, ჩემი „ცნობადობა“ კომფორტს უფრო მეტად მიქმნის, ვიდრე დისკომფორტს.

**— გაიხსენე ზაფხული, რომელიც გამორჩეულად კარგად დაგამახსოვრდა.**

— ყველაზე კარგად 2 წლის წინ, მონაკოში გატარებული ზაფხული მახსენდება, რომელიც ბიძაჩემთან, ჩემი ბავშვობის დროინდელ მეგობართან და რუს ამხანაგებთან ერთად გავატარე. მართლაც, დაუვიწყარი იყო...

**— ქართული კურორტები თუ მოგწონს?**

— ძალიან მიყვარს ბათუმში დასვენება.

**— ზღვის განუყოფელ ნაწილად რა მიგაჩნია?**

— საცურაო კოსტიუმი და ნამზეურის მისალები ინდური ზეთი.

**— დასვენების პერიოდში შოპინგი თუ გიყვარს?**

— ხშირ შემთხვევაში, წინასწარ ვყიდულობ და ვამზადებ ყველაფერს, რაც შეიძლება დასვენების დროს დამჭირდეს, მაგრამ ზოგჯერ მიწევს საშოპინგოდ მაღაზიებში სიარულიც (*იღიმის*).

**— ოდესმე, საკურორტო რომანი გქონია?**

— უკვე დიდი ხანია, დასვენების პერიოდში არავინ გამიცნია და შესაბამისად, არც ფლირტი მქონია... ■



ჩემი „ცნობადობა“ კომფორტს უფრო მეტად მიქმნის, ვიდრე დისკომფორტს



# ია სუხიტაშვილის სამოთხე დედამიწაზე

## როგორ მოხვდა მსახიობი დედათა მონასტერში

**„მას შეუძლია იყოს მაცდური, სასტიკი, გულუხვი... ყველაფრის გაკეთება და მიღწევა მომენტალურად სურს. აუცილებელია იცოდეს, რას გააკეთებს ხვალ, ზეგ ან თუნდაც, 2 კვირის შემდეგ, რადგან გაურკვევლობა ფსიქოლოგიურ წონასწორობას ურღვევს და ყველაზე უმნიშვნელო წინააღმდეგობაც კი ხასიათს უფუჭებს. ტემპერამენტიანი, თავნება და „ფეთქებადია“. მოსწონს ფლირტი. ერთგული შეყვარებულია“, — ასე ახასიათებენ ასტროლოგები მაიმუნის წელში დაბადებულ ქალწულს, ეს კი მსახიობ ია სუხიტაშვილის ზოდიაქოს ნიშანია.**

თამუნა კვინიკაძე

— ლომისა და ქალწულის ნიშნების გზაგასაყარზე ვარ. ჩემს ხასიათში ლომის თვისებებიც იგრძნობა. პირადი ჰოროსკოპის შედგენა სულ მინდოდა, მაგრამ ვერ მოვახერხე. თან ვფიქრობ, ამაზე დამოკიდებული არ გავხდე.

**— ცვალებადი, ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათით გამოირჩევი?**

— წონასწორობას ადვილად ვკარგავ. მინდა, ყველაფერი გეგმის მიხედვით გავაკეთო, მცირედი გადახვევაც კი მაღიზიანებს. არ არსებობს, დილით ცუდ ხასაითზე გამეღვიძოს, მაგრამ შესაძლებელია, უმნიშვნელო დეტალმა განწყობა გამიფუჭოს. ცუდი ხასიათიდანაც ადვილად გადმოვეწყობი კარგზე. პატარა ნაპერწკალი მაბედნიერებს.

**— „ჭკვიანი, მოხერხებული და გამომგონებელია. ადვილად უმკლავდება ყველაზე რთულ პრობლემასაც კი“.**

— სულ ვამბობ, კაცი რომ ვყოფილიყავი (ფიზიკური აღნაგობით, კაცი ქალზე ძლიერია), მდიდარი ვიქნებოდი-მეთქი. ცხოვრებაში არაფერი დამეზარებოდა. მშენებლობაზე მუშად ვიმუშავებდი, ფიზიკურ შრომას არ ვიუკადრისებდი. ძალიან მიკვირს ადამიანების, რომლებიც მატერიალურად სხვებზე არიან დამოკიდებული და ფიზიკური შრომა ეთაკილებათ. როგორც ვიცი, მსოფლიოს მდიდარ ადამიანთა რიცხვში ყველაზე მეტი, ქალწულის ნიშნითაა დაბადებული.

**— „მას ყველაფრის გაკეთება და მიღწევა მომენტალურად სურს. ყველაზე უმნიშვნელო წინააღმდეგობაც კი ხასიათს უფუჭებს“.**

— აი, ზუსტად ჩემზეა. ხასიათს ძალიან მიფუჭებს „ცუდი ენები“. მე ვარ ადამიანი, რომელსაც არ უყვარს თავის მართლება, რაიმეს მტკიცება. მგონია, ამ დროს ხალხს ეჭვს მეტად უჩენ. საქმეში მაქსიმალისტი ვარ, ბოლომდე ვიხარჯები, ენერგიას არ ვიშურებ, მთლიანად იმ საქმით ვარ მოცული. თეატრსა და კინოში ბევრი მომსახურე პერსონალია. როცა ვამჩნევ, რომელიმე მათგანი საქმეს უპასუხისმგებლოდ უდგება, ძალიან ვღიზიანდები. პარტნიორის სიზარმაცე ჭკუიდან მშლის.

**— ვინ არის პარტნიორი, ვისთანაც დიდი სიამოვნებით მუშაობ?**

— ბაჩო ჩაჩიბაია და ზუკა პაპუაშვილი. ამ ორ ადამიანთან ერთად მუშაობა ჩემთვის უდიდესი სიამოვნება, კომფორტი და ფუფუნებაა.

**— „ზოგჯერ გაუბედაობითა და ყოყმანით გამოირჩევა“.**

— გაუბედაობა? არა მგონია, ეს თვისება მქონდეს. მე რისკზე წასვლასაც არ ვუფრთხი, მით უმეტეს, როცა ამის საჭიროებას ვგრძნობ. შესაძლებელია მხოლოდ ფინანსურ ამბებში ვიყოყმანო. ერთხელ თანხა სამშენებლო კომპანიაში შევიტანე და ცხვირი წავიტეხე, ახლა ვერ ვწყვეტდი, კიდევ გადამედგა თუ არა ეს ნაბიჯი. საქმესთან დაკავშირებით ყოყმანი არ მჩვევია. ამ შემთხვევაში, საკუთარი თავის იმედი ბოლომდე მაქვს.

**— „ტემპერამენტიანი, თავნება და „ფეთქებადია“.**

— ძალიან „ფეთქებადი“ ვარ და ეს თვისება დამღუპავს. ვებრძვი, ძალიან ვცდილობ და ვერაფრით დავამარცხე. ტემპერამენტიანი ვარ. ზოგჯერ ვფიქრობ, არ გადავიწვა. გადაღებებზე რომ ვარ, ვგრძნობ, მეორე კი არა, მესამე სუნთქვა როგორ მეხსნება. ერთხელ 42 საათი ვიმუშავე შეუსვენებლად. საქმეს ყოველთვის უდიდესი პასუხისმგებლობით ვეკიდები. როცა კინოზე ვმუშაობ, სულ ვფიქრობ: ის კონსერვდება, გადის ეკრანზე და მერე ველარაფერს გამოასწორებ. ამიტომ სანამ შანსი მაქვს, მირჩევნია, რამდენიმე დუბლი გადავიღო, არ დავიზარებ, ოღონდ რომელიმე ეპიზოდი გულში ხინჯად არ დამრჩეს და ეკრანზე საკუთარი თავის ნახვისას, თვალების დახუჭვა არ მომინდეს. ეპიზოდი ერთ დუბლშიც გადამიღია, მაგრამ ამისი სპორტული ჟინი სულაც არ მაქვს.

**— თავნება ხარ?**

— ბავშვობაში მეტად თავნება ვიყავი. ახლა გარშემო მყოფი ადამიანების რიდი მაქვს. ბავშვობაში ცოტათი თავხედიც ვიყავი, განებივრებულიც. საზოგადოება როცა გიცნობს და შენი ცხოვრება ხელისგულზე ჩანს, ისეთი საქციელი არ უნდა ჩაიდინო, რომ ვიღაცას იმედი გაუცრუო.

**— მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას, სხვების აზრს რამდენად ითვალისწინებ?**

— მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ყოველთვის თავად მიმიღია, მერე რაღაცები მინანია, მაგრამ იმასაც ვაცნობიერებ, რომ ყოველთვის სწორად და უშეცდომოდ ვერ ვიცხოვრებ.

**— „ძალიან ცნობისმოყვარეა. ზოგი მიიჩნევს, რომ ყველაფერში ცხვირის ჩაყოფა უყვარს“.**

— არ მიყვარს ჭორაობა. მეზიზღება, როცა ჩემს ცხოვრებაში იქექებიან; თავად ასე არასდროს მოვიქცევი, მაგრამ მომხდარა, მეგობარს დაურეკავს და საერთო ნაცნობზე რაღაც ახალი ამბავი უთქვამს, საუბარში ავყოლივარ. მაგრამ სხვების პირადში ჩარევა არ მჩვევია!

**— წარმატებული რის ხარჯზე ხარ?**

— ვერ ვიტყვი, რომ უნიჭო ვარ. არ მესმის გამოთქმის: „ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცი“. ნიჭმა როგორ უნდა მოგასვენოს? ძალიან შრომისმოყვარე ვარ, ამას თამამად ვიტყვი.

**— შენს შრომისმოყვარეობაზე შენივე კოლეგებისგან და რეჟისორებისგან არაერთხელ მსმენია, მაგრამ ასტროლოგები ფიქრობენ, რომ წარმატებული ამბიციური ბუნების გამო ხარ.**

— ამბიციური ვარ, მაგრამ არ მგონია, არაჯანსაღი ამბიცია მქონდეს. არ მესმის ადამიანების, რომლებსაც ჯერ საერთოდ არაფერი გაუკეთებიათ და საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვთ. ჯერ გადახტი და „ჰოპლა“ — მერე დაიძახე.

**— „მოსწონს ფლირტი და მარტივად იქცევს ყურადღებას. ის ერთგული შეყვარებულია“.**

— ტკივილამდე ერთგული ვარ და ამიტომაა, მერე ძალიან რომ მტკივა. ფლირტი კარგი რამეა. მგონია, რომ ყველა ადამიანს მოსწონს.

**— „მისთვის უდიდესი სიყვარული მოდის გონებით და არა — გულით“.**

— ნეტავ, ეგრე იყოს. ცხოვრებაში ბარიერები ვერ შემაფერხებს. ვიშრომებ, ვიწვალებ, ღამეებს გავათენებ და ჩემსას მაინც გავიტან, მაგრამ გულს ვერაფერს ვუხერხებ. ამიტომ ვცდილობ, ჭკუა სხვას ზედმეტად არ დავარიგო. რთულია დადგე ქადაგად და ვინმეს მორალი უკითხო, როცა ამ სიტუაციას თავადაც ვერ აკონტროლებ.

**— „მას შეუძლია იყოს მაცდური, სასტიკი, გულუხვი... გააჩნია სიტუაციას და მიზანს, რომელიც იმ წუთში აქვს დასახული“.**

— შემიძლია ვიყო საშინლად თბილი და საშინლად სასტიკი. როდესაც ადამიანისთვის ყველაფერს აკეთებ, მისთვის სულსა და გულს არ იშურებ, საპასუხოდ კი მადლიერებაც არ იღებ, ეს რთულია. მე მიყვარს, როცა ანგარიშს მიწევენ.

**— წარსულში ბევრი ტკივილი გქონდა?**

— საკმარისად.

**— შენში რა კვალი დატოვა?**

— უნდობელი გამხადა. არის რაღაც, რასაც ვერასდროს ვერავის ვაპატიებ.

**— მიშა მესხთან დაშორების თემაზე შეიძლება, გკითხო?**

— ამ თემაზე არასდროს ვილაპარაკებ.

**— „მისთვის აუცილებელია, გარშემო ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდეს მიჩენილი. არათუ პირადი ნივთები და ტანსაცმელი, ცხოვრებაც კი დაგეგმილი და გადანაწილებული აქვს“.**

— მართალია. კარადაში ტანსაცმელი ფერების მიხედვით მაქვს დალაგებული. ჩემ გარშემო ყველაფერი წესრიგში უნდა იყოს. დილით აუცილებლად, დალაგებულ სახლში უნდა გავიღვიძო. სისუფთავეზე ვგიჟდები. ალერგია მაქვს, რაიმე ნივთს ნათითურები რომ ეტყობა. რამდენიმე დღის წინ, სახლში მუშებმა მაცივარი მოიტანეს, გახსნეს, უნდა ჩაერთოთ, რომ შეემოწმებინათ და ვთხოვე, — ისე გააკეთეთ, ნათითურები არ დაეტყოს-მეთქი (*იცინის*). — გაწმინდეთ მერეო. — კი, გავწმენდ, მაგრამ მაინც არ მსიამოვნებს-მეთქი. ხალხი გავაგიჟე.



მონასტერში 22 მონაზონი ცხოვრობს

**— „უსაქმურ ქალწულს პრაქტიკულად, ვერ ნახავთ. თუ სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებს, სახლში საქმეს მაინც გამონახავს“.**

— მართალია, უსაქმოდ ყოფნა არ მსიამოვნებს, ვიწყენ ხოლმე. ბოლო დროს ხშირად ჩავდივარ ვარძიაში, დედათა მონასტერში. იქ არის ჩემი სამოთხე დედამიწაზე. დედებს ბევრი საქმე აქვთ და ვეხმარები. მონასტერში 22 მონაზონი ცხოვრობს. თითოეული ძალიან მიყვარს.

**— მონასტერში როგორ მოხვდი?**

— ჩემი მეგობარი ძალიან მორწმუნე გოგოა. ვთხოვე, რომ წახვალ, ერთხელ მეც წამიყვანე-მეთქი. მისი მადლიერი ვარ, რომ ამ ადგილას მიმიყვანა. ზოგჯერ რამდენიმე დღეც ვრჩები. არასდროს მეზარება დილით ადრე ადგომა. ერთხელ ჩემი იქ ყოფნისას, ზამთრისთვის „კონსერვებს“ აკეთებდნენ. ქილები დავურეცხე,



ია სუხიტაშვილი ახალი როლებისთვის ემზადება. რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრში „ვეფხისტყაოსნის“ დადგმას იწყებს. ია ერთ-ერთ მთავარ როლში იქნება. გარდა ამისა, დიტო ცინცაძე აპირებს ფილმის გადაღებას და მსახიობს თანამშრომლობა უკვე შესთავაზა.

— ძალიან საინტერესო როლი შემომთავაზა; ისეთი, ჯერ რომ არ მითამაშია და გადაღებების დაწყებას დიდი ინტერესით ველოდები.

# ბექა ელბაქიძის დაბრუნება

პროვოკაციული სპექტაკლი პროსტიტუციაზე და პრობლემა სახელად ტერორიზმი

## „ჩემი გმირი სექსმუშაკად იწყებს მუშაობას“

**ამბობს, რომ სახელი და გვარი — ბექა ელბაქიძე საქართველოში დატოვა და ევროპაში მას იცნობენ, როგორც გაბრიელ ნაპოლეონ ელბანოს. ნაპოლეონი მისი ბაბუის სახელია, გაბრიელი — ნათლობის, ხოლო ელბანო — ელბაქიძის იტალიური ვარიანტი გახლავთ. ახლა ბექა საქართველოშია და ევროპაში აწყობილ კარიერაზე, თბილისში დაგეგმილ ორ ქართულ პრემიერასა და პირად ცხოვრებაზე მოგვითხრობს.**

თამუნა კვინიკაძე

— თბილისში ახლახან დავბრუნდი. ბოლო თვეებში აქტიურად ვმუშაობდი ბელგიასა და ესპანეთში. შემოდგომამდე საქართველოში ვიქნები, შემდეგ კი ბარსელონაში გავემგზავრები.

**— ევროპაში რას საქმიანობ?**

— იტალიაში აგენტი მყავს, რომელიც ვენეციის ფესტივალზე გავიცანი, სადაც რუსუდან ჭყონიას ფილმის — „გაიღიმეთ“ ჩვენება გვქონდა. მას შემდეგ ვთანამშრომლობთ. პერიოდულად, ახალ პროექტებს მიგზავნის. ერთ სატელევიზიო სერიალში ვითამაშე, სამ ფილმში გადამიღეს, აქედან ორი მოკლემეტრაჟიანი და ერთი სრულმეტრაჟიანი ფილმია, რომელიც ეკრანებზე წელს გამოვა. გარდა ამისა, ორ სპექტაკლში ვითამაშე. აქედან ერთ-ერთი სპექტაკლი არის ჩემი რომანის ადაპტაცია, რომელზეც იტალიელმა რეჟისორმა იმუშავა. რომანი დასრულებულიც არ მაქვს და მას „ქალის ფერი“ ჰქვია.

**— თემა რა არის?**

— პროსტიტუცია. სიუჟეტი რეალურ ამბავზეა აგებული. იტალიელ რეჟისორთან ჩემი დაკავშირება შემთხვევით მოხდა. იმ პერიოდში მეგობარ ნატალია სიმონოვასთან ერთად ვმუშაობდი. მას სჭირდებოდა ქალის მონოლოგი. ჩემი რომანიდან ფრაგმენტი იტალიურად ვუთარგმნე და მივეცი. მოეწონა, მერე



იტალიაში აგენტი მყავს

მთლიანი ტექსტით დაინტერესდა, ძალიან მოიხიბლა და რეჟისორს დაუკავშირდა. ასე შედგა თეატრთან ჩემი თანამშრომლობა. ეს არის სპექტაკლი, რომელსაც ოქტომბრის შუა რიცხვებში, საქართველოში მუსიკისა და დრამის თეატრში ვითამაშებთ. პროექტი კულტურის სამინისტროსა და იტალიის საელჩოს პატრონაჟით ხორციელდება. რეჟისორი იტალიელია, სპექტაკლში თავადაც ვთამაშობ და მუსიკისა და დრამის მსახიობებიც გვიერთდებიან. სპექტაკლი იტალიურ ენაზე იქნება.

**— შენს როლზე მიამბე.**

— სპექტაკლში ვთამაშობ კასაბლანკელ ბიჭს, რომელიც ფრანგისა და არაბის ნაჯვარია. პროფესიით მხატვარია. ჩადის ევროპაში, რომ საკუთარი ნამუშევრები გაყიდოს და კარიერა აიწყოს. საბოლოო ჯამში,

მწვანილი გავურჩიე, სამზარეულოში თეფშებს ხშირად ვრეცხავ, ვალაგებ... ეს ყველაფერი მსიამოვნებს, იქ კი საქმე არასდროს ილევა.

**— „ჩვევას, გარშემო ყველა და ყველაფერი გააკრიტიკოს, მის მიმართ ბევრი ადამიანის არცთუ დადებითი განწყობა შეიძლება მოჰყვეს“.**

— ეს ჩასაფრებული პოზიციიდან არასდროს გამიკეთებია, მაგრამ ჩემდა უნებურად, შესაძლოა რაღაც მითქვამს. გამიზნულად მიკრიტიკებია ის ხალხი, ვინც რობერტ სტურუას უპირისპირდება.

**— „ის ბუნებით ლიდერი არ არის, კულისებს მიღმა სამუშაო ურჩევნია პროჟექტორების შუქსა და მქუხარე აპლოდისმენტებს“.**

— ბავშვობაში მსახიობობაზე არ მიოცნებია, მაგრამ ეს პროფესია იმდენად მიყვარს, რომ არ ვიცი, რას შევადარო. ამ შემთხვევაში ასტროლოგებს ვერ დავეთანხმები. რატომ უნდა ვიყო მეორე ან მესამე, როცა მაქვს შანსი, ვიყო პირველი?

არქეოლოგობა მინდოდა და დარწმუნებული ვარ, ძალიან კარგი არქეოლოგი ვიქნებოდი. მერე პედაგოგობა მსურდა, ჟურნალისტობაც... გვაბრალებენ, — მსახიობები ტაშის ხამები ხართო, მაგრამ რეალურად, აპლოდისმენტები ყოველი სპექტაკლის შემდეგ, მაყურებლის მიერ დაწერილი ნიშანია. ბუნებრივია, გინდა, ტაში ყოველთვის მქუხარე იყოს. ■



რატომ უნდა ვიყო მეორე ან მესამე, როცა მაქვს შანსი, ვიყო პირველი?

იმედი უცრუვდება და გამოსავალს რომ ვერ პოულობს, სექსმუშაკად იწყებს მუშაობას: დადის ასაკოვან ქალებთან გამოძახებაზე. ტრაგიკული პერსონაჟია.

**— რთული სათამაშოა?**

— სათამაშო ენაა რთული. ვლაპარაკობ იტალიურად, არაბულ-ფრანგული აქცენტით. გარდა ამისა, ეს სპექტაკლი ექსპერიმენტულ ჟანრშია გაკეთებული, წინ წამოწეულია ქორეოგრაფია, რაც მსახიობის პლასტიკას მოითხოვს. რთული სცენოგრაფიაა. ეს არის ამბავი იმედგაცრუებაზე, დაკარგულ ადამიანებზე, რომლებმაც მიუხედავად ყველაფრისა, გადაწყვიტეს, ცხოვრება გაეგრძელებინათ. პროსტიტუციასთან ერთად, თავს იჩენს შიდსის პრობლემა. ეს სპექტაკლი სტიგმაზეც არის. დასნებოვნებული ადამიანები თავს საზოგადოებისგან გარიყულად გრძნობენ. რეალურად კი, მათი ამბავი ბევრმა არც იცის. სპექტაკლის სახელწოდებაა „ღამე მშვიდობისა, ლილი მარლენ".

**— მარლენი ვინ არის?**

— მარლენი იმ ქალის ფსევდონიმია, რომელიც სტრიპტიზ-კლუბში ცეკვავს.

**— ამ როლს ქართველი მსახიობი შეასრულებს?**

— არა, ამ პერსონაჟს რუსი მსახიობი, ნატალია სიმონოვა განასახიერებს.

**— პროვოკაციული სპექტაკლი ჩანს. როგორ მიიღო ის ევროპელმა მაყურებელმა?**

— გეთანხმები, ცოტათი პროვოკაციულია, ტექსტებიც ძალიან პირდაპირი და „მჭრელია". ამ ყოფისთვის დამახასიათებელი ყოველდღიურობა სცენაზე შეულამაზებლად არის გადმოტანილი. იქ სპექტაკლი მოეწონათ.

**— ქართველი მაყურებლისგან რას ელი?**

— ქართველი მაყურებელი ძალიან კრიტიკულია. ცოტათი დაძაბული ვარ. ვნერვიულობ, ქართულ სცენაზე (თუ არ ჩავთვლით კინოსა და ტელევიზიას, პოეზიის ან მუსიკალურ საღამოებს) მაყურებლის წინაშე ამ ფორმით არასდროს წარვმდგარვარ.

**— მეორე პროექტი რომელია?**

— ესეც საერთაშორისო პროექტია, „8 სეანსი" ჰქვია. პროექტის ავტორი მეც ვარ. მასზე არგენტინელ დრამატურგთან ერთად ვიმუშავე. ეს პროექტი ექვს ენაზეა ნათარგმნი და 2016, 2017, 2018 წლებში მოხდება მისი ჩვენება მსოფლიოს რვა ქვეყანაში (საქართველო, იტალია, საფრანგეთი, ბელგია, ესპანეთი, გერმანია, ბრაზილია, პორტუგალია). თემა ადამიანის უფლებები და ტერორიზმია. ამ შემთხვევაში, არა მხოლოდ ფიზიკური ტერორიზმი, ის ფსიქოლოგიური ტერორიც იგულისხმება, რომელიც XXI საუკუნეში ადამიანებზე ხორციელდება.

**— ხშირ შემთხვევაში, მსხვერპლი ამას ვერც აცნობიერებს.**

— აი, ზუსტად ამაზეა. მოქმედება ფსიქოსარეაბილიტაციო ცენტრში ხდება. რვა გმირი თავის ამბავს გვიამბობს. თან, ვიდეოფირებს ვიყენებთ: ეს არის კინო თეატრში, ანუ მოქმედების ნაწილი თამაშდება სცენაზე, ნაწილი წინასწარ იქნება გადაღებული.

**— რომელ თეატრში ითამაშებთ?**

— ეს სპექტაკლი გარკვეულწილად, სტერეოტიპების მსხვრევაზეა. ამიტომ, შეგნებულად მივიღე გადაწყვეტილება, გამოვსულიყავი ვილის თეატრში საქველმოქმედო ფესტივალზეც გამოვიდა.

**— თქვენი დაშორების მიზეზი რა იყო?**

— კონკრეტულად ერთ მიზეზს ვერ დავასახელებ. ხდება ხოლმე, ურთიერთობა რაღაც წერტილამდე მიდის და მერე მთავრდება.

**— ვიდრე იტალიაში წახვიდოდი, საქველმოქმედო საქმიანობაში აქტიურად იყავი ჩართული. ამ მხრივ გააქტიურებას ხომ არ აპირებ?**

— ბოლო პერფორმანსი 2 წლის წინ, ქუთაისში გვქონდა. ამ ყველაფერს ყოველგვარი დაფინანსების გარეშე ვაკეთებდით. ორასამდე ქართველი და უცხოელი არტისტი იყო ჩართული. ისინი უსასყიდლოდ გვთანხმდებოდნენ, ვმოგზაურობდით რეგიონებში, მაგრამ ბოლოს მაინც ჩიხში შევედით. თანხა აღარ



მყავდა მეუღლე, უკრაინელი მსახიობი ანია რიცი ბოგდან, რომელსაც დავშორდი

თეატრალური სივრციდან და ჩვენება ალტერნატიულ სივრცეში მომხდარიყო. ასეთი ალტერნატიული სივრცე არის ნინოშვილის ქუჩაზე, ყოფილი ფაბრიკის ტერიტორიაზე, სადაც ძალიან მალე კულტურული ცენტრი იხსნება.

**— რეჟისორი ვინ იქნება?**

— გურამ მაჩხანაშვილი.

**— საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება გაქვს. ამ ყველაფრის მიღმა, შენს პირადი ცხოვრებაში რა ხდება?**

— პირად ცხოვრებაზე ლაპარაკს ყოველთვის საქმეზე ლაპარაკი მირჩევნია. რადგან მკითხე, გიპასუხებ: ამჟამად საინტერესო არაფერი ხდება. მყავდა მეუღლე, უკრაინელი მსახიობი ანია რიცი ბოგდან, რომელსაც დავშორდი. დღეს ვმეგობრობთ. ანია საქართველოშიც ხშირად ჩამოდიოდა. ორი წლის წინ, მარჯანიშგროვდებოდა და ორგანიზატორებსაც გვერიდებოდა ხალხის წინ და უკან დაუსრულებლად ტარება.

**— წლების შემდეგ საკუთარ მომავალს სად ხედავ: სამშობლოში თუ უცხოეთში?**

— არ მინდა, საქართველო დავკარგო. ახლაც დავამთხვიე, რომ იქაური თავისუფალი დრო საქართველოში ნაყოფიერად გამომეყენებინა. საინტერესო პროექტებზე ყოველთვის სიამოვნებით ვიმუშავებ. მაგრამ აქ ძალიან პატარა ასპარეზია. ტელევიზიაში დაბრუნება არ მინდა. დიდი გამოცდილება მივიღე, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ დაკარგული დროა. თან, პროფესიითაც არ ვარ ჟურნალისტი. პრემიერების შემდეგ, ბარსელონაში გავემგზავრები, სადაც ერთწლიანი სამსახიობო სკოლა უნდა გავიარო.

# წყალში გადატანილი შიში და ეკა ნიჟარაძის ორეული



დაუვიწყარი შეხვედრა ზვიად გამსახურდიასთან

**სპექტაკლში — „ზაფხულის ღამის სიზმარი“ როლების განაწილებისას, ლევან წულაძემ ეკა ნიჟარაძეს უთხრა: „შენ ითამაშებ, ოღონდ — უნდა გაიხადო!“ ძალიან დაიბნა, პაუზის შემდეგ კი რეჟისორმა დასძინა: ნიჟიერად უნდა გაიხადოო. სპექტაკლი შედგა და წლების მანძილზე, ნიჟარიდან შიშველი ამოდიოდა, მაგრამ ამ ფაქტს არავინ გაულიზიანებია, რადგან ამას ნამდვილად, ნიჭიერად აკეთებდა. ეკა ნიჟარაძე სცენურ და საყოფაცხოვრებო ამბებს იხსენებს.**

ნანული ზოტიკიშვილი

## სიცილი სცენაზე

— სასაცილო თუ გამოუვალ სიტუაციაში ხშირად ვხვდებოდი. ამას მსახიობი ვერ ასცდება. პირადად მე, ამ დროს იუმორი მშველის. ასეთი ამბები, ძირითადად, სცენას უკავშირდება. ერთხელ სპექტაკლის მსვლელობისას, ჩემი ეპიზოდი დავასრულე და კულისებში უნდა გავსულიყავი. თავი სცენისკენ მქონდა მიბრუნებული და უკან-უკან მივდიოდი. უცებ, ფარდას წამოვკარი ფეხი და ისეთი ხმაურით დავეცი, რომ დარბაზში მსხდომები ფეხზე წამოხტნენ. ჯერ ვერ მივხვდი, რა მოხდა. გონს რომ მოვედი, ისტერიკული სიცილი ამივარდა. სასაცილო იყო, აბა, რა? თავი კულისებში მქონდა და ფეხები — სცენაზე. ამ დროს ონისე ონიანის სახე უნდა გენახათ: როლში შესული, ვერ ხვდებოდა, ეცინა, ტექსტი გაეგრძელებინა თუ ჩემს დასახმარებლად მოსულიყო. როცა ხალხი მიხვდა, რომ არაფერი მომიტეხია და გადავრჩი, ახლა ისინი გაიგუდნენ სიცილით. კიდევ კარგი, სპექტაკლი კომედიური ჟანრისა იყო. ერთხელ კი, ცეკვა-ცეკვით სცენაზე უნდა ავსულიყავი. უცებ, წავბარბაცდი და პირდაპირ მაყურებლებში გადავეშვი. იმ მომენტში მართლა არ გამიცინია. ისე გამიშეშდა კისერი, რა გამაცინებდა? წამოვხტი, მაგრამ, ვაი იმ წამოხტომას.

## აზარტული საყოფაცხოვრებო საქმეში

— საქმეს რომ ვიწყებ, მერე იდეები მებადება, ენერგია მეძლევა. მომწონს, როცა ბევრი რამეა გასაკეთებელი და საჭიროა წავიდე, ვიყიდო, გავზომო, მოვზიდო. რემონტი ცალკე თემაა, ესეც მიზიდავს. მოგეხსენებათ, მუშები სპეციფიკური ხალხია, მუშაობა მაინცდამაინც არ უყვართ. მქონდა შემთხვევა, როცა არაჩვეულებრივი და გადასარევი „მალიარი“ ბიჭები, დღის ორი საათისთვის მოდიოდნენ, მე კი დილის ექვსზე უკვე ფეხზე ვიყავი. დაგვიანების მიზეზი ასეთი იყო: ცხელოდა, ღამე არ გვეძინა და გვიან ავდექით და ა.შ. ცოტას იმუშავებდნენ, მერე ინტერნეტი, ტელეფონი, „ფეისბუკზე“ შეძრომა და, ერთხელაც, ძალიან გავბრაზდი. ვუთხარი: მე სამსახურში ასე თუ დავიგვიანე და თან, ამდენჯერ, ჯერ საყვედურს მომცემენ, მერე გამაგდებენ-მეთქი. ავუხსენი, რომ ეს მათთვის სამსახურია და უნდა მუშაობდნენ კონკრეტული საათიდან კონკრეტულ საათამდე.

სხვა შემთხვევაში, „მალიარი“ საერთოდ დავკარგე. ბავშვები პატარები არიან და მორიგ რემონტს ვაკეთებ. კოჯორში ვისვენებდით, სადაც 19 აგვისტოს ანუ ფერისცვალების შემდეგ, უეცრად ზამთარი დგება და ბავშვებთან ერთად იქ ველარ გაჩერდები. ჩემი გათვლებით, ამ დროისთვის რემონტი დამთავრებული იქნებოდა. თუმცა, მუშებს თავისი განრიგი აქვთ, არსად ეჩქარებათ. ერთ დღესაც, თბილისში ჩამოვედი და რომ მგონია, სახლში „მალიარი“ მუშაობს, სადაა კაცი? მეზობლებს ვეკითხები და, — რა ხანია, არ გამოჩენილაო. ტვინის ყველა უჯრედი „ამენთო“. ვიცოდი მხოლოდ მისი სახელი და მიახლოებით მისამართი, რომელიც ერთადერთხელ ახსენა. წავედი და კითხვა-კითხვით მივაგენი. ვიპოვე რაღაც სარდაფში, „ზაპოიში“ მყოფი. რომ დამინახა, მაშინვე გამოფხიზლდა. მიხვდა, მისი საქმე ცუდადაა. ჩუმად ვეუბნები, — ადექი ახლა და წამოდი-მეთქი. სახლში მოვიყვანე და გავაფრთხილე: „ვიდრე ყველაფერს არ დაამთავრებ, აქედან ვერ წახვალ!“ როცა საქმეს მორჩა, „ტყვეობიდან“ გავათავისუფლე. მერე კი კარგი ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ ეს სისუსტე სჭირდა. ცუდი თვისება მაქვს, რემონტის შემდეგ გავა 2-3, მაქსიმუმ 5 წელი და მბეზრდება, სიახლე მინდა. ავეჯს ხომ დღეგამოშვებით ვაადგილებ. თუ ვინმეს ეს გეგმაში აქვს, ვეუბნები, — მოვალ და უცებ გადავდგამ-მეთქი (*იღიმის*).

## ორეული

— თეა გობეჯიშვილი და მე სტუდენტობის დროიდან ვმეგობრობთ, ჯგუფელები ვართ. ხშირად ვერეოდით ერთმანეთში. დედაჩემი ამბობს ხოლმე, — ზოგ ფოტოზე თეას დედას ჰგავხარ, მე კი თეა მგავსო. სასაცილოა. ინსტიტუტში ბევრს ვაბნევდით: შეიძლება, ვიღაც მომსალმებოდა პირველ სართულზე და უცებ, მეოთხეზე ისევ დავენახე. სინამდვილეში, თეას ხედავდა. ძალიან იბნეოდნენ. კარგა ხანს „ვერნისაჟში“ ვცეკვავდი და იქაც, ხალხს ალბათ, ფოკუსი ეგონა: ერთი კულისიდან ის გადიოდა და უცებ, მეორიდან მე გამოვდიოდი.

ერთხელ მანქანით პეროვსკაიაზე მოვდიოდი. ძალიან ვიწრო ქუჩაა და ვიღაცამ წესები უხეშად რომ დაარღვია, ბუნებრივია, არ შევარჩინე: წესიერად იარე-მეთქი, მივაძახე

და გზა გავაგრძელე. ეს ბიჭი გმირთა მოედანზე დამეწია. მეძახის: არ გრცხვენია, ჩემი ცოლის მასწავლებელი ხარ და როგორ მეჩხუბებიო? ე.ი. თეა ვგონივარ, მაგრამ არაფერი მითქვამს. გავაგრძელე გზა. კვლავ წამომეწია და, — ეკა, შენა ხარ? თეა მეგონეო.

ბაზარში ყველს ვყიდულობ. გვერდით ქალი მიდგას და გაღიმებული მიყურებს: თქვენ ის ხართ, ვინც მე მგონიხართო? — რა ვიცი, ქალბატონო, თქვენ ვინ გგონივართ-მეთქი? — აი, ის, ირაკლი ჩარკვიანის კლიპში რომ ცეკვავსო. თეაზეა ლაპარაკი, მაგრამ ისეთი აღფრთოვანებული სახე ჰქონდა, ისე უნდოდა თეა ვყოფილიყავი, აღარ ვუთხარი, შეგეშალეთ-მეთქი და თეას სახელით ბევრი მადლობაც გადავუხადე.

### ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ

— სკოლის დამთავრების წელს, მე და ჩემი მეგობრები, უფროსების გარეშე პირველად წავედით ყაზბეგში. დედა გვერდზე სადარბაზოშიც არ მიშვებდა და უცებ, მეგობრებთან ერთად დავისვენე. 16-17 წლის გოგონები მეგობრის მამამ წაგვიყვანა. ყაზბეგში „ინტურისტის" სასტუმროში დავბინავდით. არაჩვეულებრივი ხედი იყო კავკასიონსა და გერგეტზე... 9 აპრილისა და ეროვნული მოძრაობის წელი იყო. ჩვენ სტუდენტობისთვის ვემზადებოდით, ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად ჩავებით, სისხლი გვიდუღდა. პირველ ღამეს ბევრი ვისაუბრეთ და ამ თემასაც შევეხეთ. დილით საუზმეზე რომ ჩავედით, შეგვხვდა ბატონი ზვიად გამსახურდია, მეუღლესა და ვაჟებთან ერთად. გაოცებულები დავრჩით. ცოტა შეგვეშინდა კიდეც, თითქოს მისტიკას ჰქონდა ადგილი — აბა, რანაირად აღმოჩნდა იქ?! იმ წელს ერთად დავისვენეთ. ვერ გეტყვით, რომ მათთან აქტიური ურთიერთობა გვქონდა. რასაკვირველია, როცა ვხვდებოდით, ვესალმებოდით. ძალიან დიდი შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავით, რომ ჩვენთან ერთად ბატონი ზვიადი ისვენებდა. ყაზბეგელები მთის ხალხია და თბილისიდან შორტიანი გოგონები რომ ჩავედით, ცოტა რეაქცია ჰქონდათ, მაგრამ ჩემი თბილისელი მეგობრებიდან რამდენიმე წარმოშობით ყაზბეგიდან იყო და ყოველმხრივ დაცულები გახლდით. რამდენიმე დღე იქაურ დიალექტს ვეგუებოდით. მახსოვს, მაგალითად, კარი არ მოაჯახუნოს ასე ამბობდნენ: „კარი არ მაახათქუნო"... საოცარი დრო გავატარეთ, ფეხით ავდიოდით გერგეტზე. ტურბაზაში „ზზორებზე" მყოფი მორაგბეები გავიცანით და დღემდე ვმეგობრობთ. ისე მოგვეწონა იქაურობა, რომ მეორე წელსაც ჩავედით და ბატონი ზვიადიც, ცოლ-შვილთან ერთად, ისევ იქ დაგვხვდა.



თეა გობეჯიშვილი და მე სტუდენტობის დროიდან ვმეგობრობთ

### ᲬᲧᲚᲘᲡ ᲨᲘᲨᲘ

— წყლის ისე მეშინია, ფეხს თუ ვერ დავადგამ ფსკერზე, ზუსტად ვიცი, ინფარქტით მოვკვდები. 12-13 წლის ასაკში გაგრაში ვისვენებდით და შიშიც იმ დროიდან მომყვება. ბებია-ბაბუა იყვნენ გაგრაში და ჩვენც მათთან ჩავედით. იქ უკრაინელი ცოლ-ქმარი ისვენებდა, ოლიმპიური ჩემპიონები ცურვაში. ძალიან კარგი ხალხი იყო. ქალმა გადაწყვიტა, ჩემთვის ცურვა ესწავლებინა. მაშველი რგოლით შემიყვანა „ბუიოკამდე". რადგან გავყევი, ე.ი. მაშინ არ მეშინოდა. უცებ მომხსნა რგოლი და, ახლაც მახსოვს, როგორ ვიძირებოდი. ქალის ფეხებთან რომ აღმოვჩნდი, ჩავებღაუჭე და მასაც ვახრჩობდი. თმაში მწვდა, ამომათრია და დამაგდო პლაჟზე, — ეს ბავშვი აღარ დამანახვოთო. ეს მომენტი სულ მახსენდება და მეზიზღება წყალში თამაში, წყლის შეწუწუნებაც კი. გაგიკვირდებათ და, ზოდიაქოთი წყლის ნიშანი — მორიელი ვარ. თუმცა, 21 ნოემბერს, ზოდიაქოების გასაყარზე დაბადებული. შემდეგი ნიშანი მშვილდოსანი, ცეცხლის ნიშანია და როგორც ჩანს, ჩემში ცეცხლი და წყალი ერთმანეთს ებრძვის.



სასაცილო თუ გამოუვალ სიტუაციაში ხშირად ვხვდებოდი

### ᲜᲘᲟᲐᲠᲐᲫᲔᲔᲑᲘ

— მერაბ და გია ნიჟარაძეებს ვენათესავები. მერაბი მორაგბე სანდრო ნიჟარაძის (რუსკა მაყაშვილის მეუღლე) მამაა, ხოლო გია — ბიძა (რაგბის კავშირის ყოფილი თავმჯდომარე). ასეთი მისალმება გვაქვს: ისინი მეტყვიან, — „შენმა გვარმა იმრავლოს", მე ვპასუხობ, — „შენმა გვარმა იხაროს". იმერელი ნიჟარაძე ვარ. ბევრია სვანი, აჭარელი. ჩემი დიდი ბაბუა ქუთაისის პირველი გიმნაზიის დირექტორი იყო. ჩვენ წარმოშობით სამტრედიის რაიონის სოფელ გუბიდან ვართ. როგორც ამბობენ, წინაპრები დიდი მამულების პატრონები იყვნენ. იმ სოფელში არ ვარ ნამყოფი, ისე კი მინდა, ერთხელ მაინც ჩავიდე. მამას საოცარი იუმორი ჰქონდა. 36 წლისა იყო, როცა დავიბადე. 13-14 წლისა წყნეთის პიონერთა ბანაკში ვისვენებდი. მამამ თავის უახლოეს მეგობარ თამაზ ნათიძესთან ერთად მომაკითხა. იმ დროისთვის არც მამას და არც მის მეგობარს თავზე თმა აღარ ჰქონდათ. ბანაკის შესასვლელში დაცვის თანამშრომელს მამამ უთხრა, — ეკა ნიჟარაძესთან ვარო. მას უკითხავს: ბაბუა ბრძანდებითო? — არა, მე მამა ვარ, ბაბუა მანქანაში ზისო.

# ემოცია, რომელსაც შეუძლია შეგჭამოს




„მინდოდა, ჩემს ნამუშევრებზე ისეთი წარწერები ყოფილიყო, რასაც სხვები ვერ წაიკითხავდნენ“

**ცნობილმა ქართველმა მხატვარმა, რუსუდან ფეტვიაშვილმა ხატვა 2 წლისამ დაიწყო. პირველი გამოფენა 6 წლის ასაკში ჰქონდა, 8 წლისას უკვე ორჯერ — მოსკოვში, 13 წლისას კი პარიზში... შემდგომ წლებში გამოფენები გამართა: ავსტრიაში, ბუდაპეშტში, ესპანეთში, ინგლისში, აშშ-ში. მისი ილუსტრაციებით გამოიცა „ვეფხისტყაოსანი“ და „ქართული ხალხური ზღაპრები“. მისი მოხატულია სამების ტაძარში დაბრძანებული სახარებაც. მისი სახელი შესულია კემბრიჯის ბიოგრაფიული ცენტრის მიერ გამოცემულ წიგნში: „XX საუკუნის 2000 გამოჩენილი ადამიანი“.**

მანანა გაბრიჭიძე

— მთავარია, რასაც აკეთებ, იმ საქმეში აბსოლუტურად გულწრფელი იყო. ძალიან უნდა გიყვარდეს შენი საქმე, მასში ბედნიერებასა და სიხარულს პოულობდე. რა თქმა უნდა, წარმატებებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და ეს სტიმულს გაძლევს, მაგრამ მაინც, გარეგნული მხარე მეორეხარისხოვანია. შეიძლება, შემოქმედს უზარმაზარი სახელოსნო არ გქონდეს, მაგრამ შენთვის მყუდრო ადგილი მოძებნო ფანჯარასთან და თვალუწვდენელ სივრცეში შენი სამყარო შეიქმნა.

**— დიდ წარმატებას მიაღწიეთ მსოფლიო მასშტაბით. ეს არანაირ ემოციას არ იწვევს?**

— რა თქმა უნდა, იწვევს... გსიამოვნებს, როდესაც შენი აფიშაა გაკრული პარიზში ან ბერლინში. როდესაც ხედავ, გამოფენის გახსნაზე ადამიანები როგორი აღფრთოვანებულები არიან — ეს ძალიან დიდი ემოციაა, მაგრამ ამავე დროს გჭამს კიდეც. შეიძლება, ამან სულიერი ჰარმონია დაგირღვიოს. განსაკუთრებულად რთულია ბავშვობაში, როდესაც შენკენ დიდი ტალღა მოდის და ამისგან დედა მიცავდა. ცდილობდა, არც გაზეთსა და ჟურნალში წამეკითხა ჩემ შესახებ დაწერილი სტატიები და არც ტელევიზიით მენახა ჩემთვის მოძღვნილი გადაცემები. ამ ყველაფერს მარიდებდა, რათა სულიერი ჰარმონია შემენარჩუნებინა.

**— გვიამბეთ „ჰერმესთან“ თანამშრომლობის შესახებ.**

— აღმაშენებლის გამზირზე მქონდა გალერეა, რომელიც ზურაბ ჟვანიას ეგიდით გაიხსნა, 2000 წელს. იქ გალერეაც იყო, სახელოსნოც, სტუმრებსაც ვიღებდი — პრეზიდენტიდან დაწყებული, ჩემი ახლობლებით დამთავრებული... ძალიან ხშირად მოდიოდა სტუმრად თურქეთის ელჩის მეუღლე, რომელიც პარიზელი გახლავთ. იგი სულ მეუბნებოდა, — შენი ნახატები ისეთი სტილის არის, „ჰერმესს“ ძალიან დააინტერესებსო. მსაყვედურობდა, პარიზში რომ ჩადიხარ, რატომ არ უკავშირდები „ჰერმესსო“. ამ სიტყვებს ისე ხშირად მიმეორებდა, რომ მეც გონებაში გამიჯდა. შემდეგ ყველაფერი შემთხვევით მოხდა: ჩემი მეუღლის ფრანგ მეგობარს ჩემი ნახატების კატალოგები ჰქონდა და „ჰერმესის“ ერთ-ერთ მთავარ წარმომადგენელს მიაწოდა. პარიზში რომ ჩავედით, ჩვენმა მეგობარმა მიღება გააკეთა და წვეულება გემზე გამართა. მან პარიზელი საზოგადოება მოიწვია, რათა ჩვენი თავი მათთვის წარედგინა. არაჩვეულებრივი საღამო გამოვიდა. სენის ნაპირზე იდგა გემი ქართული დროშით, სტუმრებს მიართვეს ქართული კერძები და ღვინო... იქაც მობრძანდა „ჰერმესის“ წარმომადგენელი, თავის მეუღლესთან ერთად. მას ნანახი ჰქონდა ჩემი ნახატების კატალოგები, გამესაუბრა და რამდენიმე დღეში მთავარ დიზაინერთან შეხვედრა მომიწყო... იქ ყველაფერი 8 წლით ადრე იგეგმება. მითხრეს, შენი ნახატები ძალიან ლამაზია, მოგვწონს. თუ ჩვენთვის გააკეთებ რაიმე განსაკუთრებულს, ურიგოდ ჩაგსვამთო... ერთი კომპოზიცია უკვე გავაკეთე და ძალიან მოეწონათ, მაგრამ ამ ტილოზე საქართველო იყო ცენტრში მოქცეული და მის ირგვლივ — მსოფლიო. სუბიექტური აღმოვჩნდი და მთლიანად ჩემი სამშობლოს თემა ავიღე. მაინც აპირებდნენ ყიდვას, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში თავი შეიკავეს. ახლა ვაპირებ სტამბოლში დავაბეჭდვინო ეს კომპოზიციები და ისინი ჩემს გალერეაში იქნება...



ძალიან უნდა გიყვარდეს შენი საქმე

რაც შეეხება „ჰერმესს“, არანაირი ვალდებულება ერთმანეთის წინაშე არ გვაქვს. ეს მხოლოდ მეგობრული ურთიერთობაა. ამჯერად ვმუშაობ კომპოზიციაზე, რომელიც ვფიქრობ, მისაღები იქნება მათთვის!

**— თქვენ „ვეფხისტყაოსანი“ გააფორმეთ...**

— „ვეფხისტყაოსანი“ და „ქართული ხალხური ზღაპრები“ ფრანგულ ენაზე უნდა გამოეცათ და მნიშვნელოვანი იყო ილუსტრაციები. როდესაც ადამიანი ნაწარმოებს არ იცნობს, პირველ რიგში, ილუსტრაციამ უნდა მიიზიდოს. კომუნისტების დრო იყო და რუსებმა თავიანთი მხატვრები წარუდგინეს, მაგრამ კატეგორიული უარი მიიღეს, რუსუდან ფეტვიაშვილი თუ დახატავს, სხვა არ გვინდაო. მაშინ მეათე კლასში ვიყავი. ეს შემოთავაზება ჩემს განწყობას აბსოლუტურად დაემთხვა. „ვეფხისტყაოსანი“ ჩემთვის ენერგიის წყარო იყო, ამით ვცხოვრობდი და თითქმის ზეპირად ვიცოდი. სრულ ჰარმონიაში ვიყავი ამ ნაწარმოებთან და ძალიან დიდი სიყვარულით გავაკეთე ყველაფერი. ორი წელი ვიმუშავე და გამოვიდა კიდეც პარიზში წიგნი, ჩემი ილუსტრაციებით.

**— საქართველოს პატრიარქმა სახარებაზე მუშაობა მოგანდოთ...**

— ხელნაწერ სახარებაზე მუშაობა ათი წელი მიმდინარეობდა. დღეს მსოფლიოში ყველაზე დიდი ხელნაწერი სახარებაა, ხბოს ტყავზე შესრულებული და გადაწერილი რამდენიმე სასულიერო პირის მიერ... როდესაც პატრიარქმა მაკურთხა, სამოქალაქო ომის შემდგომი პერიოდი იყო და აღარაფერი მაინტერესებდა, ისეთი დაცლილი ვიყავი. ვკითხულობდი მხოლოდ ბიბლიას, სახარებას და პავლე მოციქულის ეპისტოლეები თითქმის ზეპირად ვიცოდი. ეს იყო ჩემთვის სულიერი დასაყრდენი. ომმა და არეულობამ ფაქტობრივად, გამანადგურა... იმ პერიოდში ჩემი უახლოესი მეგობარი მონაზონი იყო — დედა თებრონია, რომლის სანახავადაც საპატრიარქოში მივედი და უწმინდესს შევხვდი. მითხრა, — ხელნაწერ სახარებაზე მუშაობენ და ხომ არ გაქვს სურვილი, ამ საუკუნო საქმეში მონაწილეობისო (უწმინდესი მანამდე ორჯერ იყო ნამყოფი ჩემს გამოფენაზე)? ისიც მკითხა, ვიცოდი თუ არა ნუსხური და ასომთავრული. ორივე ვიცოდი, რადგან ბავშვობაში ნახატებზე ასომთავრულად ვწერდი.



როდესაც ხედავ, გამოფენის გახსნაზე ადამიანები როგორი აღფრთოვანებულები არიან — ეს ძალიან დიდი ემოციაა

მინდოდა, ჩემს ნამუშევრებზე ისეთი წარწერები ყოფილიყო, რასაც სხვები ვერ წაიკითხავდნენ. მერე აღმოვაჩინე, რომ ასომთავრული ბევრმა იცოდა და გადავწყვიტე, ეგვიპტური დამწერლობა მესწავლა. შევისწავლე ნუსხურიც. 12 წლისას გამოფენა რომ მქონდა, მისმა უწმინდესობამ მე და დედაჩემი თავისთან, რეზიდენციაში დაგვიბარა. პატრიარქმა „დავითნი“ მაჩუქა და ჯვარი, რომელსაც მთელი ცხოვრება ვატარებ. ვინაიდან „დავითნი“ ნუსხურად იყო, უწმინდესმა მითხრა, ისწავლეო... მე კი ასომთავრულიც ვიცოდი და ნუსხურიც. დავიწყე მუშაობა. პატრიარქმა მითხრა, აქ შენი სახლია და თუ გინდა, აქვე იცხოვრეო. ეს ყველაზე ძვირფასი სიტყვებია, რაც კი მომისმენია... დილიდან საღამომდე იქ ვმუშაობდი. დილიდან წირვას ვესწრებოდი. როგორც წესი, ბერები ხატავდნენ სახარებას, მე კი არც ბერი ვიყავი, არც მონაზონი და მჭირდებოდა მაქსიმალური მობილიზება. ეს ჩემთვის გარდამტეხი პერიოდი იყო. ამ სამუშაოს შემდეგ სასიცოცხლო ძალები მომიზღვავდა... 3 წელი ვმუშაობდი სახარების მინიატიურებზე, შემდეგ მისმა უწმინდესობამ მაკურთხა, რომ შემედგინა ჯგუფი, რომელიც სწრაფად დაამთავრებდა საქმეს, რადგან მუშაობის პროცესი ძალიან დიდხანს გაგრძელდა. 20 ადამიანი იყო ჩვენს ჯგუფში და 2000 წელს დავასრულეთ საქმე. ■



შენი ნახატები ისეთი სტილის არის, „ჰერმესს“ ძალიან დააინტერესებსო

ცხოვრება

# პატარა ქართველი მომღერალი იტალიაში მიიწვიეს

## „პირველ ადგილს არ ველოდი“

**ქართველების წარმატება უცხოეთში ყოველთვის სასიხარულოა, მით უფრო, როცა წარმატებას პატარები აღწევენ. 14 წლის ლუკა კაჭარავამ იტალიაში ფესტივალ-კონკურსზე — „იტალიის მზე“ პირველი ადგილი დაიმსახურა. როგორც კომპოზიტორმა მაკა აროშიძემ გვითხრა, აღნიშნული ფესტივალი ესპანეთში დაფუძნდა, მხარდამჭერები კი არიან: ბრიტანეთი, იუნესკო. ეს ლიცენზირებული ფესტივალია და ოფიციალურად, მხარს უჭერს იმ ქალაქის მერია, სადაც ღონისძიება იმართება.**

ლალი ფაცია

— ფესტივალის დამფუძნებელი, ესპანელ პარტნიორებთან ერთად, ქართველი დავით ჯაფარიძეა, რომელიც დიდი ხანია, უცხოეთში ოჯახით ცხოვრობს. შარშან ლუკამ ფესტივალზე მეორე ადგილი დაიმსახურა.




პროგრამა ორგანიზატორების მიერ გვქონდა განსაზღვრული




ლუკა 14 წლის იტალიაში გახდა

**— როგორ მოხვდა ლუკა კაჭარავა ამ ფესტივალზე?**

— მიწვევა მიიღო. იტალიაში წასვლას ისედაც გეგმავდა და ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა. კონკურსი ტოსკანაში, კერძოდ, მონტეკატინ ტერმეში ჩატარდა, საკურორტო ქალაქია. სცენა ცენტრალურ მოედანზე, მშვენიერი ხედის ფონზე იყო და იქაურობა ხალხით გახლდათ სავსე. კონკურსანტები სხვადასხვა ქვეყნიდან (ესპანეთი, შვედეთი, რუმინეთი, მოლდავეთი, უკრაინა, ყირგიზეთი) იყვნენ. ლუკა 14 წლის იტალიაში გახდა და ბავშვებიც ძირითადად, ამ ასაკობრივი ჯგუფიდან იყვნენ.

**— საქართველოდან მხოლოდ ერთი კონკურსანტი იყო მიწვეული?**

— კი, საქართველოს მხოლოდ ლუკა წარმოადგენდა. შარშან ესპანეთში რომ ვიყავით, მაშინ ირლანდიაში მცხოვრები ქართველებიც მონაწილეობდნენ: ქართული კულტურა წარმოადგინეს და პირველი ადგილი დაიმსახურეს.

**— ლუკამ წელს რა სიმღერები შეასრულა?**

— პროგრამა ორგანიზატორების მიერ გვქონდა განსაზღვრული: სავალდებულო იყო იმ ქვეყნის სიმღერის შესრულება, სადაც კონკურსი გაიმართა. ამიტომ ლუკას რეპერტუარში ერთი ნეაპოლიტანური „სანტა ლუჩია“ შევიტანეთ, შემდეგი სიმღერა კი ქართველი კომპოზიტორის ნამუშევარი უნდა ყოფილიყო: ჩვენ გია ყანჩელის სიმღერა შევარჩიეთ, მულტფილმიდან — „ჯადოსნური კვერცხი“. ასევე, აუცილებელი გახლდათ ქართული ფოლკლორული ნამუშევარიც და აჭარული სახუმარო — „აჭარელი ვიყავ განა“ შეასრულა. თითოეულმა დიდი მოწონება დაიმსახურა. მაგალითად, ლუკას მიერ შესრულებულმა ნეაპოლიტანურმა „სანტა ლუჩიამ“ დიდი ოვაციები გამოიწვია.

**— როგორც გავიგე, ეს ფესტივალი გაისად საქართველოში უნდა ჩატარდეს.**

— დიახ, ოქტომბერში ჩვენთან გაიმართება და ამ საქმეს ორგანიზაცია „ქალთა თანადგომა“ დავით ჯაფარიძესთან ერთად, შეთანხმებულად გაუწევს ორგანიზებას. ცხადია, ლუკა აქაც იმღერებს. ეს ბავშვი მარტო სიმღერას კი არა, ყველაფერს აქცევს ყურადღებას: მსახიობის ოსტატობას, სცენაზე დგომის მანერას. ძალიან არტისტული და სცენურია. მოკლედ, მსმენელსა და მაყურებელზე დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს.

**— რთული არ იყო უცხო ქვეყანაში, უამრავი ხალხის წინაშე გამოსვლა?**

ლუკა კაჭარავა:

— რთული იყო და ცოტა ვინერვიულე კიდეც. პირველ ადგილს არ ველოდი, თუმცა, გამარჯვება მიზნად მქონდა დასახული. ფესტივალის ორგანიზატორები მომავალ წელს საქართველოში რომ ჩამოვლენ, მაშინაც ვიმღერებ. წელს უამრავი უცხოელი კონკურსანტი გავიცანი და მათ დავუმეგობრდი, რაც ძალიან მახარებს...

**— მომღერლის კარიერაზე ოცნებობ, არა?**

— არა, მომღერლობაზე არ ვფიქრობ, სიმღერის გარდა, ბიზნესიც მიტაცებს; ბიზნესმენეჯერობა მინდა.

მაკა აროშიძე:

— შარშან ფესტივალზე „ქალთა თანადგომამ“ წეროვნის ბავშვთა სახლიდან, დევნილი პატარები წამოიყვანა და ლუკა სწორედ იქ დაუახლოვდა მათ. მერე საახალწლოდ კლიპიც გადაიღეს, წეროვანში ჩავიდა და საქველმოქმედო კონცერტი გამართა... ხათუნა ჩარკვიანსა და შორენა ტაბატაძეს — „ქალთა თანადგომის“ წარმომადგენლებს ბევრი კარგი გეგმა აქვთ და მინდა, მათ წარმატებები ვუსურვო.

# „ჩვენ ვმეგობრობთ!..“

## სომხებისა და აზერბაიჯანელების მშვიდობიანი თანაცხოვრება საზღვრისპირა სოფლებში

**როგორც კი საქართველოს ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში ცენტრალურ ადგილებს გასცდები, პირველი, რაც თვალში გეცემა, უგზოობაა... წინა ხელისუფლების მსგავსად, არსებულმაც დაიწყო წინასაარჩევნოდ გზების დაგებით მოსახლეობის გულის მოგება, მაგრამ ეტყობა, ეს საკმარისი არ არის. ქვეყანაში პრობლემა ჯერ კიდევ მწვავედ დგას და ამის თვალსაჩინო მაგალითია მარნეულის მუნიციპალიტეტი და მასში შემავალი სოფლები, რომლებიც საქართველო-სომხეთის საზღვარზე მდებარეობს...**

ლალი პაპასკირი

*რამდენიმე დღის წინ, როგორც კი მარნეულის ცენტრს გავცდით და სოფელ ახქერფისკენ გადავუხვიეთ, მივხვდი, აქაურ გზას ვერც ერთი მთავრობის დაპირებამ ვერ უშველა... სოფელი მარნეულისგან თითქმის 60 კილომეტრით არის დაშორებული და მოსახლეობის უმეტესობა სომეხია...*

*სულის მოსათქმელად გავჩერდით. ერთი შეხედვით, მოსახლეობას ძალიან უჭირს, მაგრამ მოუვლელი სახლ-კარისა და ბაღ-ბოსტნის მიუხედავად, თითქმის ყველა ეზოში დგას ორი-სამი სატელიტური ანტენა.*

— რომელ არხებს უყურებთ? — *ვეკითხები თავსაფრიან, შუახნის ქალბატონს.*

— ქართული ცუდად ესმის, რუსული — ისე რა, — *მპასუხობს და ოქროსფერი ან სულაც, ოქროს კბილები მოუჩანს მოღიმარს. სახლში ვიჭყიტები. ტელევიზორი ჩართულია. რომელიღაც სომხურ არხზე სერიალი გადის.*

— „მოი ჟენა რუსკი ნე ზნაეტ“, — *დამტვრეული რუსულით მიხსნის მამაკაცი, რომელსაც ხელში პომიდვრით სავსე ვედრო უჭირავს:* — „მი პლოხო ზნაემ რუსკი“.

— „ა, გრუზინსკი?“ — *პასუხის მოლოდინში დავიძაბე და ყველა ის დაპირება გამახსენდა, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხელისუფლების წარმომადგენელი ეთნიკური უმცირესობის ინტეგრაციაზე რომ გვესაუბრებოდა... როგორც ადგილობრივმა სომეხმა ამიხსნა, რამდენჯერმე მოიყვანეს სკოლებში ქართული ენის მასწავლებლები, შედეგად — მათ სომხური ისწავლეს, სომხურენოვანმა მოსახლეობამ კი სახელმწიფო ენა — ვერა...*

— „დეტი ლუჩშე ზნაიუტ“, — *ამბობს და შინ გვეპატიჟება:* — „მი ლუბიმ გოსტი, ზახადიტე...“

*ეზოში დავსხედით. მამაკაცმა გვითხრა, რომ ვახანი ჰქვია და ოთხი შვილი ჰყავს. ცხოვრების პირობებზე ვკითხე. რუსულად მიპასუხა:*

— როგორც სხვებს, ჩვენც გვიჭირს. ბოსტნეული მოგვყავს, რომელსაც შეძლებისდაგვარად ვყიდით. ახლა ჩემი შვილები ბოსტანში მუშაობენ. კარტოფილი, პომიდორი, ბადრიჯანი, ბულგარული წიწაკა და სტაფილო მოგვყავს, მაგრამ



რაც უფრო ღრმად შედიხარ სოფელში, უგზოობის პრობლემა უფრო მწვავედ იგრძნობა

ჩაბარების ფასი ძალიან დაბალია. მაცივრები არ გვაქვს და თუ მაშინვე არ ჩავაბარეთ, ლპება. აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დასაწყისში თურქები, სომხები ჩამოივლიან, ჩალის ფასად ჩაიბარებენ ჩვენს ნაშრომს და თურქეთში გადაიტანენ. იქ დიდი მაცივრები აქვთ და შენახვაც შეუძლიათ. დეკემბერში ისევ აქეთ გადმოიტანენ და სამმაგ ფასში გაყიდიან ქართულ ბაზრებზე... მე და ჩემმა ძმამ სარდაფი ავაშენეთ. იქ მიწაში ვინახავთ კარტოფილს, მაგრამ სხვა ჭირნახულს რა ვუყოთ?..

*ამასობაში, მეზობლებიც შემოგვიერთდნენ. ერთ-ერთმა გულახდილად გვითხრა:*

— მამაკაცების უმეტესობა სამუშაოდ რუსეთში მიდის. იქ რაღაცას კი შოულობენ, მაგრამ უკან დაბრუნებას თითქმის არავინ აპირებს. ახალგაზრდებს ხშირად, ცოლად რუსები მოჰყავთ და აქეთ არც კი იყურებიან. სულ 400-მდე კომლი ვიქნებით ამხელა სოფელში...

*ადგილობრივების საუბარში საბჭოთა საქართველოს ნოსტალგია იგრძნობა, როდესაც სამუშაო ყველას ჰქონდა, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში უპრობლემოდ დადიოდნენ და ეთნიკური განსხვავება არ იგრძნობოდა... როგორც გავარკვიე, ქართულად ვერც ახალგაზრდა თაობა საუბრობს, მხოლოდ რამდენიმე სიტყვის გაგება შეძლეს...*

*ვახანის ოჯახს დავემშვიდობეთ და სოფლის შუაგულისკენ მიმავალ გზას დავადექით. თუ ადგილობრივების საბჭოური წარმოების ავტომანქანებს არ ჩავთვლით, ტრანსპორტი თითქმის არ შეგვხვედრია. რაც უფრო ღრმად შედიხარ სოფელში, უგზოობის პრობლემა უფრო მწვავედ იგრძნობა.*

*სოფელ ახქერფს მდინარე ორად ყოფს: იქით სომხეთია, აქეთ საქართველო. ეს ის ადგილია, საიდანაც რამდენიმე წლის წინ ნახევარ*



ეს წოფია, ეთნიკური სომხებითა და აზერბაიჯანელებით დასახლებული ადგილი

*ჰექტარზე მეტი მიწა „გაქრა“: ეს ტერიტორია საბჭოურ რუკაში საქართველოს მხარეს ფიქსირდებოდა. 1992 წელს ის იჯარით ჰქონდა აღებული ერთ-ერთ საქართველოს მოქალაქე სომეხს, რომელმაც მოგვიანებით მიწის შესყიდვა გადაწყვიტა, მაგრამ სახელმწიფო უწყებაში განუმარტეს, რომ ეს ტერიტორია ჩვენ აღარ გვეკუთვნოდა...*

*სომეხ მესაზღვრეებს ჩვენი დანახვა დიდად არ ესიამოვნათ, მაგრამ ცდილობენ, ეტიკეტი დაიცვან. აქედან ერთი ხელის გაწვდენაზეა* XII-XIII *საუკუნეებში აგებული ჰუჯაბის ქართული მონასტერი, რომელიც ახლა სომხეთის მხარესაა. სომეხი მესაზღვრეები ფოტოს გადაღებას გვიკრძალავენ და იქაურობის დატოვებას გვთხოვენ...*



სომეხი მესაზღვრეები ფოტოს გადაღებას გვიკრძალავენ

*ახქერფიდან სოფელ თაზქერფისკენ დავიძარით და იმ ადგილას მივედით, სადაც საქართველო-სომხეთს მდინარე დებედა ყოფს. მარჯვენა სანაპიროზე ნაძვნარია, რომელიც მთაზე გაშენებულ სოფელს გადაჰყურებს. ნაძვნარი სომხეთის ტერიტორიაა, ხოლო სოფელი — საქართველოს ეკუთვნის.*

*თაზაქენდი არის ბოლო სოფელი, რომლითაც საქართველოს საზღვარი მთავრდება. მთაზე გაშენებულ საზღვრისპირა სოფელში 100 ოჯახი ცხოვრობს. გარშემო არსებული რელიეფი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს სოფლის ყველა სახლი თითო გორაზეა შემდგარი. გზაც იმდენად უსწორმასწოროა, ახქერფის დანჯღრეული და ორმოებიანი გზა მოგენატრება. სოფელს დაახლოებით 35 კილომეტრი აშორებს მარნეულიდან... მდინარე დებედას პირას მდგარ მეთევზეებს მივადექით. ჩემდა გასაკვირად, აქ ესმით ქართული.*

— აქ კარგი თევზი იცის და ხშირად ვთევზაობთ. აბა, რა ვქნათ, სამსახური არავის აქვს და როგორც მოგვიხერხდება, თავს ისე ვირჩენთ...

**— ერევანში არ გადადიხართ?**

— რისთვის? იქ ჩვენზე მეტად უჭირთ... აქედან ჩააქვთ ქალებს რაღაცები გასაყიდად, უფრო მეტად — ტანსაცმელი... სხვა მხრივ, საზღვრის სიახლოვე ჩვენთვის არავითარი სარგებლის მომტანი არ არის. ჩვენი მთავარი საზრუნავი მიწაა, რომელიც სოფლის მოსახლეობას არ ჰყოფნის. მიწა ყველას რომ ჰყოფნიდეს, დავამუშავებდით და მოსავალი გვექნებოდა. თავის დროზე, როდესაც ვიღაცებს ფული ჩაუვარდათ ხელში, რამდენიმე ჰექტარი იყიდეს; ვისაც არ ჰქონდა, იმათ ეს „მიწათმფლობელები“ დღიურ მუშად ქირაობენ, — მეუბნება 72 წლის ზაკო. მისივე თქმით, მიწათმოქმედების გარდა, მეცხოველეობასაც მისდევენ: — ძროხების ფერმა გვაქვს, რძეს და ყველს ვყიდით, — მიღიმის და თევზით სავსე ვედროში ხელს ყოფს, ყველაზე დიდ თევზს არჩევს: — გემრიელია, „სუჯუკთან“ ერთად შეწვით შამფურზე, ძალიან მოგეწონებათ.

— სუჯუკი სომხურად მწვადს ნიშნავს, — განმიმარტა მეგობარმა...

**— ქართულად საუბარი მაინცდამაინც არ გიჭირთ...**

— (*მაწყვეტინებს*) რატომ უნდა გვიჭირდეს? საქართველოში ვცხოვრობთ!.. — მპასუხობს მოხუცი ამაყად.

ვჩქარობთ, რომ კიდევ ერთი სოფლის ნახვა მოვასწროთ — ეს წოფია, ეთნიკური სომხებითა და აზერბაიჯანელებით დასახლებული ადგილი. სოფელი სომხეთის საზღვრიდან ორ კილომეტრშია. მოსახლეობის დაახლოებით ორი მესამედი ეთნიკური აზერბაიჯანელია, დანარჩენი — სომეხი გახლავთ. ადრე აქ რამდენიმე ბერძნული ოჯახიც ცხოვრობდა.

სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მრავალწლიანი კონფლიქტის მიუხედავად, ამ ეროვნების ადამიანები აქ უკვე რამდენიმე ათეული წელია, გვერდიგვერდ, მშვიდობიანად ცხოვრობენ. ერთმანეთს ჭირსა და ლხინში მხარში უდგანან.

საბჭოთა კავშირის დროს აშენებული ორსართულიანი კორპუსის წინ ვჩერდებით. ეზოში ხალხმრავლობაა. უცხოებს ინტერესით გვიყურებენ, შემდეგ კი სუფრასთან გვეპატიჟებიან: პატარა იოსეფ აბადოვი 10 წლის გახდა და იუბილეს სომეხ თანატოლებთან ერთად აღნიშნავს! სუფრაზე სომხური კერძებიც არის და აზერბაიჯანულიც. თურმე, მათ სოფელში ყოველთვის ასე ხდება.

— იქ ომია, მაგრამ ჩვენ რა? ეს პოლიტიკაა, ბინძური პოლიტიკა! ჩვენ კი უბრალო ხალხი ვართ, მუშაობა, მიწა და საქართველო გვიყვარს, — ამბობს იუბილარის შეზარხოშებული მამა და ცივი საზამთროს უზარმაზარ ნაჭერს მაწვდის: — 90-იან წლებში, როდესაც ომი იყო, აქ ზოგჯერ პურის ფულიც კი არ გვქონდა და ჩვენი სომეხი მეზობლები პროდუქტს გვინაწილებდნენ, ამის

დავიწყება შეუძლებელია. არავინ იცის, ხვალ და ზეგ ქვეყნებს შორის რა მოხდება, მაგრამ ჩვენმა შვილებმა აქ ერთმანეთის გვერდით უნდა იცხოვრონ.

ეზოდან სომხური საუბარი მესმის. რამდენიმე ქალი ჩრდილქვეშ ისვენებს. ამჯერად, მათ გამოველაპარაკე. მითხრეს, რომ საყოფაცხოვრებო პრობლემებზე შეიძლება, სომხებმა ან აზერბაიჯანელებმა ერთმანეთში იჩხუბონ, მაგრამ არ გვახსოვს, სომეხსა და აზერბაიჯანელს შორის დაპირისპირება მომხდარიყოსო.

განსხვავებული მრწამსის მიუხედავად, სოფელში მცხოვრები ორივე ეროვნების მოსახლეობა რელიგიურ დღესასწაულებსაც ერთად აღნიშნავს: — აზერბაიჯანელი მეზობლები ყოველ წელს ჩვენთან ერთად ხვდებიან აღდგომას, ჩვენ კი მათ ნოვრუზის (ისლამური „ახალი დღის დღესასწაულის“) დროს ვსტუმრობთ, — ამბობს სომეხი შუშანა და დასძენს: — ყველა იმ ადამიანს თანავუგრძნობთ, ვისი ახლობელიც ომმა შეიწირა. თუმცა, დაძაბული ვითარება ამ სოფლის მოსახლეობის ურთიერთობაზე არ აისახება.

— როდესაც ბაქოში ჩავდივარ, ნათესავები მეკითხებიან: არ გეშინია, სომხებთან ერთად რომ ცხოვრობო? — აზერბაიჯანულად ამბობს მეტაქსია აუსეფიანი: — მათ ვპასუხობ, — არა, ისინი ჩემი მეგობრები არიან-მეთქი.

ისლამური წესების მიხედვით, კაცებსა და ქალებს ერთად სადილობა არ შეუძლიათ, მაგრამ ამ ტრადიციას რამდენიმე ჭიქა არაყი არღვევს, ისევე, როგორც ალკოჰოლის მიუღებლობის წესს.

მასპინძლებს ვემშვიდობებით და წოფის ციხისკენ მივდივართ, ჩემი ექსკურსიამძღოლი კი მიყვება: ეს არის შუა საუკუნეების ციხესიმაგრე. წოფის ციხის მიდამოებში ადამიანის ცხოვრების კვალი ქვედა პალეოლითის ხანიდან დასტურდება. აქაური დანგრეული გამოქვაბული მუსტიეს ხანის სადგომია... ციხე VI-XIII საუკუნეებში ფუნქციონირებდა. წოფის ციხესთან ნასოფლარი და ორი დარბაზული ტიპის საყდარია, რომლებიც VI-VII საუკუნეებით თარიღდება...

სამწუხაროდ, ციხის კედლები უმძიმეს მდგომარეობაში დაგვხვდა... ■

# რას იხსენებს სტალინის შვილიშვილის პედაგოგი

## „ვახტან ჭაბუკიანმა წაიღო ჩემი სიცოცხლის ნახევარი“



**წარმატების ზენიტში მყოფს, რუსთაველის თეატრის მაყურებელი კარგად იცნობდა. ყველა სპექტაკლი, რაც კი ამ სცენაზე იდგმებოდა, მუსიკალურად სწორედ მისი გაფორმებული იყო. ახლა მისი რეალობა რადიკალურად შეცვლილია და დამსახურების მიუხედავად, ისე ვერ ცხოვრობს, როგორც იმსახურებს. თუმცა, იმედსა და შემართებას მაინც არ კარგავს. ლეილა სიყმაშვილი ამჟამად ბარებში, როიალზე უკრავს. თანამედროვე ჰიტებისა თუ კლასიკის მისეული ვარიანტების მოსასმენად, მეც და სხვა მსმენელიც ამ ადგილებს სიამოვნებით ვსტუმრობთ...**

თამთა დადეშელი

*ახალგაზრდა თაობა კონცერტმაისტერს ნაკლებად იცნობს. ამიტომ გადავწყვიტე, მასთან ინტერვიუ ჩამეწერა. ქალბატონი ლეილა განვლილ ცხოვრებას, დაუვიწყარ მეგობრებსა და მათთან ერთად გატარებულ დროს იხსენებს.*

— 75 წლის ვარ და შეიძლება ითქვას, 60 წლის სამუშაო სტაჟი მაქვს. სკოლაში 5 წლის შემიყვანეს და 15 წლისამ დავამთავრე. კონსერვატორიაში პირველ წელს ვერ მოვხვდი: დამიწუნეს, როგორც ყველაზე უნიჭო ბავშვი და სამსახურში გამაგდეს. 16 წლის ვიყავი, როცა ვახტანგ ჭაბუკიანთან დავიწყე მუშაობა და 12 წელი მასთან ვიყავი. მერე ისე მოხდა, რომ გოგონა, რომელიც რუსთაველის თეატრში კონცერტმაისტერად მუშაობდა, დეკრეტში გავიდა. მის ნაცვლად მიმიღეს და დავბერდი კიდეც რუსთაველის თეატრში. 60 წლის ვიყავი, როცა სამსახურიდან წამოვედი, მერე კი უბინაობისა და უსახსრობის გამო, რუსეთში წავედი...

**— ასაკით საკმაოდ პატარა იყავით, როცა ვახტანგ ჭაბუკიანთან დაიწყეთ მუშაობა. როგორ მიგიღოთ?**

— იქ ჩემი მეზობელი მუშაობდა და მან მიმიყვანა. ვახტანგი მხოლოდ სცენაზე მყავდა ნანახი და ჩემთვის ის ღმერთის მერე, პირველი კაცი იყო. ბალეტზე ბავშვობიდან ვგიჟდებოდი, მაგრამ ყოველთვის პუტკუნა ვიყავი — 2 წლისა, 30 კილოგრამი გახლდით და ჩემი წონის გამო, ვინ შემიყვანდა? ამიტომ, ოცნება ოცნებად დამრჩა... ვახტანგთან მიმიყვანეს, მას ჩემთვის უნდა მოესმინა და გადაეწყვიტა, ამიყვანდნენ თუ არა კონცერტმაისტერად. მე კი ჭაბუკიანი რომ დავინახე, ხელებმა კლავიატურაზე თავისით დაიწყო ხტუნვა. — დაწყნარდი, შვილო, ასე რატომ ნერვიულობო? — მკითხა და ნოტები წინ დამიდო, მაგრამ ისეთი დაბნეული ვიყავი, ზედ ვერაფერს ვხედავდი. დაკვრა იციო? — მკითხა. — რაც გინდათ, ყველაფერს დავუკრავ-მეთქი. ჰოდა, დავიწყე: „ვალსი“, „პოლკა“, „მაზურკა“, „მარში“? ყველაფერი დავუკარი, თან, არაერთი ვარიანტი. გაგიჟდა, ნოტებს არც უყურებს, ისე უკრავს! გამოგვადგება ეს ბავშვიო, — მოადგილეს უთხრა. ასე დავიწყე მუშაობა, 16 წლისამ. ვახტანგი რომ გარდაიცვალა, ეს ძალიან განვიცადე. ის 60 წლამდე სცენაზე იდგა და „ოტელო“ 60 წლის იუბილეზე იცეკვა. ასეთი მოცეკვავე მსოფლიოს არ ჰყოლია. მან საოცარი მოლხენაც იცოდა და სუფრასთან და წვეულებებზე რიგში ვიდექით, ვახტანგთან რომ გვეცეკვა. ასეთი ბედნიერი ცხოვრება მქონდა 12 წლის განმავლობაში.



როცა მისგან წამოვედი, ძალიან გაბრაზდა, აღარ მელაპარაკებოდა

როცა მისგან წამოვედი, ძალიან გაბრაზდა, აღარ მელაპარაკებოდა. საბალეტო სტუდიაში ჩემი ქალიშვილი რომ მივიყვანე, არ მესალმებოდა და ეს ჩემთვის ისეთი ტრაგედია იყო, ენით ვერ გადმოგცემ. ვიჯექი და ვტიროდი: რა ძვირად მინდა ეს რუსთაველის თეატრი, როცა ასეთი ადამიანი დავკარგე-მეთქი.

**— შეგირიგდათ?**

— კი, რა თქმა უნდა. მერე უკვე ავად გახდა, ორი ჯოხით დადიოდა, ბოლოს ლოგინად ჩავარდა...

**— რუსთაველის თეატრში ათწლეულები გაატარეთ. ბევრმა მსახიობმა, ასე ვთქვათ, თქვენს ხელში გამოიარა. მათთან მეგობრობდით. როგორი იყო თქვენი პირველი შთაბეჭდილება ამ გენიოსებით სავსე კოლექტივში მოხვედრისას?**

— რუსთაველის თეატრში ბალეტმაისტერი იურა ზარეცკი იყო, რომელიც საბალეტო სტუდიაში მუშაობდა, მის გაკვეთილებზე ვუკრავდი და „რუსთაველში" გადასვლაც სწორედ მან შემომთავაზა, — რეზო მირცხულავა ბულგაკოვის „ფარისეველთა შეთქმულებას" დგამს. გია ყანჩელმა მუსიკა უკვე დაწერა და სასწრაფოდ, კონცერტმაისტერი სჭირდებათ, უნდა წამოხვიდეო. მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველის თეატრში ხუთი წლიდან პარტერში ვიჯექი და სპექტაკლებს ვესწრებოდი (დედაჩემი სანდრო ახმეტელის მკვიდრი ბიძაშვილი იყო. სხვათა შორის, გარეგნულადაც ჰგავდნენ — ერთნაირი ხუჭუჭა თმა და ნაკვთები ჰქონდათ), იქ სამუშაოდ მისვლა გავაპროტესტე, მაგრამ ბოლოს, მაინც დამითანხმეს. იქაც ისე გავოცდი, როგორც ჭაბუკიანის დანახვისას: ამდენი ცოცხალი ლეგენდა: რამაზ ჩხიკვაძე, ეროსი მანჯგალაძე, მედეა ჩახავა, გოგი გეგეჭკორი და სხვები რომ დავინახე, დუსტმოყრილი ტარაკანივით ავეკარი კედელს. მერე საშა იოსელიანმა ჩემზე სატელევიზიო ფილმი გადაიღო, რამაზმა კი იხუმრა: ზარეცკის ვუთხარი, — ეს ქორფა, ახალგაზრდა გოგო რომ შემოვიდა და გვითხრეს, თქვენი კონცერტმაისტერიაო, ვიფიქრე, ამ მხეც და ველურ არტისტებში ამან რა უნდა გააკეთოს, გაგვექცევა და ტყუილად მოიყვანე-მეთქი. არადა, გაგვექცა კი არა, რუსთაველის თეატრი „მაგაზე იდგა" და სტურუას სპექტაკლებმა მის კისერზე გადაიარაო.

1971 წლის ნოემბერში მივედი, პრემიერა დეკემბერში იყო და მეც, საორკესტრო ორმოში ვიჯექი. იქ მომისმინა დიდმა რეჟისორმა სტურუამ და მერე, „ყვარყვარეს" დადგმა რომ დაიწყო, მოინდომა, სცენაზე დავესვი. — აქვე რომ გნახო გაშოტილი, სცენაზე არ გამოვალ-მეთქი, — გავჯიუტდი. — ახლა არ დაიწყო კახური ისტერიკებიო, — იბუზღუნა რობიკომ და მაინც, თავისი გაიტანა. 1975 წელს „კავკასიური ცარცის წრის" — საოცარი სპექტაკლის პრემიერა იყო. მერე „რიჩარდ მესამე" და ა.შ. მოკლედ, ყველა წარმოდგენის სცენაზე ვუკრავდი, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი სცენის უკან გადავინაცვლე, სადაც თხელი ფარდა ჩამოუშვა.

**— ცნობილია, რომ რამაზ და ნატაშა ჩხიკვაძეებთან განსაკუთრებული მეგობრობა გაკავშირებდათ...**

— რამაზი უდიდესი მოვლენა იყო... ხელებში ჩამაკვდა და მეორე დღეს ინსულტი დამემართა. ჯერ ხომ ჭაბუკიანმა წაიღო ჩემი სიცოცხლის ნახევარი და მეორე ნახევარი — რამაზმა. გარდა იმისა, რომ გენიალური არტისტი იყო, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ჩემთვის უდიდესი მეგობარი გახლდათ ისიც და ნატაშაც. ერთი ოჯახივით ვიყავით. უჩემოდ მათთან სუფრა არ გაშლილა და არ არსებობდა, იქ კუბური „ავე მარია" არ მემღერა. ცოლ-ქმარი გასტროლებზეც დამატარებდა. „კავკასიური ცარცის წრე" ბოლოს 2005 წელს ვითამაშეთ. 2008 წელს, რამაზს რომ „ვარსკვლავი" გაუხსნეს, უჩემოდ ითამაშა, რადგან მოსკოვიდან ვერ ჩამოვედი...

**— ცოტა ხნის წინ, სოციალურ ქსელში სტალინის შვილიშვილის ფოტო გავრცელდა. მის უცნაურ იმიჯსა და გარეგნობაზე ბევრი ისაუბრეს. როგორც ცნობილია, თქვენ ოლგას პედაგოგიც იყავით და ქართული სიმღერები შეასწავლეთ. გვიამბეთ, როგორ მოხვდა ის თქვენთან და შემდეგ უკვე, თქვენ — კირა ალილუევასთან?**

— დიდი ბელადის ქალიშვილი — სვეტლანა ალილუევა თბილისში რომ ჩამოვიდა, დამირეკა იმ ბინაში, რომელიც მიწისძვრამ დამინგრია და ქუჩაში დავრჩი... მითხრა, — იოსებ ჯუღაშვილის ქალიშვილი ვარო. ვიფიქრე, ვიღაც მაშაყირებს-მეთქი, მაგრამ განაგრძო: თქვენი მისამართი და ტელეფონი თეატრალური ინსტიტუტის რექტორმა — ეთერ გუგუშ-



ჭაბუკიანი რომ დავინახე, ხელებმა კლავიატურაზე თავისით დაიწყო ხტუნვა



კვირაში ორჯერ მათთან მივდიოდი და სიმღერაში ვამეცადინებდი

ვილმა მომცა. 14 წლის ქალიშვილი მყავს და მინდა, ქართული სიმღერები ისწავლოს, ეთერმა კი მითხრა, ლეილა სიყმაშვილზე უკეთ, ამას არავინ გააკეთებსო. უარს რატომ ვეტყოდი? ორი წლის განმავლობაში, კვირაში ორჯერ მათთან მივდიოდი და სიმღერაში ვამეცადინებდი. მაშინ ავტომობილიც მყავდა. გოგონამ ქართული სიმღერები შესანიშნავად ისწავლა, თვითონვე უკრავდა და მღეროდა. თავიდან მითხრეს, — სამუდამოდ აქ ვრჩებითო, მაგრამ მერე მაინც წავიდნენ. სვეტლანას დედის მხრიდან ბიძაშვილი ჰყავდა, ყოფილი მსახიობი — კირა ალილუევა. ვიდრე თბილისში ცხოვრობდნენ, რუსთაველის თეატრშიც მიმყავდა და ყველა სპექტაკლი ნანახი ჰქონდათ. დავმეგობრდით. პლეხანოვზე ჩემი სახლი რომ დაინგრა, ქუჩაში დავრჩი და ბინის ქირასაც ვეღარ ვიხდიდი, მოსკოვში წასვლა გადავწყვიტე და ალილუევას დავურეკე, — სანამ ბინას ვიშოვი, ცოტა ხანს შენთან გავჩერდები-მეთქი. მათთან სამივე წავედით — მე, ჩემი შვილი და შვილიშვილი, რომელიც მაშინ ათი წლის იყო. ცოტა ხანს კი არა, ამ ქალმა აღარ გამოგვიშვა სახლიდან, ათი წელი ვიცხოვრეთ მასთან. 80 წლის იყო და ეს კიბოთი დაავადებული ქალი 90 წლამდე ვაცოცხლე, ისე ვედექი გვერდში.

**— მოსკოვში ცხოვრების დროს, ალბათ მათთანაც იკრიბებოდნენ იქაური ინტელიგენციის წარმომადგენლები. ვისთან გქონდათ ურთიერთობა?**

— მათთან სულ მაღალი დონის რეჟისორები იკრიბებოდნენ. დამირეკავდნენ ხოლმე, — „ლეილაჩკა, ხაჭაპური, საცივი, ტოლმა ბუდეტ?“ და მეც ცხადია, ამ ადამიანებს იმედს არ ვუცრუებდი... მოსაგონარი ბევრი მაქვს და ამ ყველაფრის ერთ ინტერვიუში ჩატევა რთული იქნება...

*ინტერვიუს ბოლოს გულახდილი საუბარი გვქონდა და ქალბატონ ლეილას თავის პრობლემაზეც ვკითხე...*

— ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობ და ალბათ, აქედანვე გამასვენებენ... ჩემი შვილი იტალიაში წავიდა, — იქნებ ბინის ფული შევაგროვოო, მაგრამ იტალია ამერიკა არ არის, იქაც ძალიან დაბალია შრომის ანაზღაურება. პოლიტიკისგან შორს ვარ, არც „ბიძინისტი“ გახლავართ და არც „მიშისტი“. ივანიშვილის მიერ დანიშნული პენსია მაქვს, რომლითაც ბინის ქირას ვიხდი და ამ ადამიანის



რამაზი უდიდესი მოვლენა იყო...

მადლობელი ვარ. 1997 წელს, მოსკოვში სპექტაკლის შემდეგ, ბიძინა ივანიშვილმა „კავკასიური ცარცის წრის“ მთელი კოლექტივი თავისთან დაგვპატიჟა, სუფრა გაგვიშალა და მის თეთრ როიალზეც დავუკარი, იმ სასახლეს ჭერი ავხადე. თუმცა, არა მგონია, დღეს მას ვახსოვდე. რომ მივიდე და ვუთხრა, — ქუჩაში დავრჩი და მიშველეთ-მეთქი, დარწმუნებული ვარ, დამეხმარება, მაგრამ ძალიან უნიათო გახლავართ. ადამიანის შეწუხება და რაიმეს თხოვნა არ შემიძლია...

1981 წელს იტალიაში გასტროლზე რომ ვიყავით, ერთ დილას, გია ფერაძე მომადგა. უკან ვიღაც ბიჭი უდგას, დიდი სპორტული ჩანთით. — ერთი ბავშვი მოგიყვანე, ქართველი ბიჭია, მილანში, ლა სკალაში სტაჟირებაზეა და გინდა, იქაურობა დაგათვალიერებინოსო? — როგორ არ მინდა-მეთქი! — კარგი სპაგეტი და პიცა რომ გაჭამოსო? — რატომაც არა, მაგრამ რის საფასურად-მეთქი? — ამ ჩანთაში მისი ტანსაცმელია. დაურეცხე, დაუუთოვე და ხვალ წაგიყვანსო. — ვინ არის-მეთქი? — ვკითხე და, პაატა ბურჭულაძეო. მართლაც, მეორე დღეს მოვიდა, თავისი ჩანთა წაიღო და დანაპირებიც შეასრულა. ჩვენი მეგობრობა კარგა ხანს გაგრძელდა, მერე კი ყველაფერი დამთავრდა... დღეს პაატა ბინებს არიგებს, მაგრამ მე პაატამდე ვერ მივედი. მოსკოვიდან სამგვერდიანი წერილი გამოვუგზავნე, სადაც ჩემს გაჭირვებაზე მოვუთხრობდი, მაგრამ როგორც მითხრეს, დედამისმა ეს წერილი დახია და ურნაში ჩააგდოო... ასეთი ბედის ვარ და რა ვქნა? სადამდეც გავძლებ, გავძლებ.

ELVA.GE
გამოიწერეთ ჟურნალი „გზა“
და ისარგებლეთ ადგილზე მიტანის
უფასო მომსახურებით
დაგვიკავშირდით:
2 38 26 73; 2 38 26 74
ELVA.GE წიგნების და პრესის ხელმოწერის კომპანია

# რა ზარალი მიაყენა თემურ წიკლაურმა თეატრს

## „გვეშინოდა, რომ აღარ შეგვიშვებდნენ დარბაზში“

**ემიგრანტ ქალბატონს — ლიგია მუშკუდიანს ჩვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი უკვე იცნობს. მან საზღვარგარეთ არაერთი ქართველი მომღერლის კონცერტს გაუწია ორგანიზება, რითაც სამშობლოდან შორს მყოფ ემიგრანტებს ცხოვრების ერთ დღეს ულამაზებს ხოლმე. ამჯერად, ქალბატონი ლიგია თემურ წიკლაურთან პირველ შეხვედრას იხსენებს და იმ სიურპრიზებზე საუბრობს, რომელიც ძალიან მალე, ემიგრანტებს გულს სითბოთი აუვსებს. წერილის სტილი დაცულია:**

„საქართველოს სახალხო არტისტი, ბატონი თემურ წიკლაური იუბილარია. წელს იგი 70 წლის გახდა — აქედან 40 წელი სცენაზე დგას და თავისი არაჩვეულებრივი ხმის ტემბრით, ულამაზესი სიმღერებით დღესაც გვატკბობს. იმ სიმღერებით, რომლებზეც თაობები გაიზარდნენ და დღესაც იზრდებიან; სიმღერებით, რომელსაც დრომ ვერაფერი დააკლო და ვერ გაახუნა. თუმცა, ჩემი აზრით, ამაში ისიც თამაშობს უდიდეს როლს, რომ ბატონი თემურ წიკლაური არის არა მარტო კარგი მომღერალი, არამედ დიდი ქართველი, კარგი მეუღლე, კარგი მამა, კარგი შვილი, კარგი მეგობარი და ბევრი რომ არ გავაგრძელო, კაცი-ლეგენდა. უბედნიერესი ადამიანი ვარ, რომ მასთან რამდენიმეჯერ მომიწია შემოქმედებითმა თანამშრომლობამ და ვამაყობ, რომ მისი მეგობარი მქვია. მინდა, ჩემი და საბერძნეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების სახელით, თქვენი ჟურნალიდან კიდევ ერთხელ მივულოცო 70 წლის იუბილე და ვუსურვო ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, მზეგრძელობა, მაყურებელთა სიმრავლე და სიყვარული.



წელს იგი 70 წლის გახდა

ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინა საიუბილეო კონცერტმა, რომელიც გაიმართა შემოქმედებითი გაერთიანება „ლამარიას“ ეგიდით ქალაქ ათენში, ქართველი ემიგრანტებისათვის და მიეძღვნა მისი 70 წლის იუბილეს. გვაქვს სასიამოვნო ინფორმაცია ამერიკასა და გერმანიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისათვის, რომელზეც წერილის ბოლოს მოგახსენებთ...

ჩემი და ბატონი თემურ წიკლაურის მეგობრობა დაახლოებით 7 წლის წინ დაიწყო, როდესაც გადავწყვიტე ქალაქ ათენში მომეწყო კონცერტი ქართველი ემიგრანტებისათვის, იდეა კი მამა თეიმურაზ კალანდაძემ მომაწოდა. ერთხელ, წირვის დამთავრების შემდეგ, მან გვერდზე გამიხმო და მითხრა: ლიგია, არაჩვეულებრივ საქმეს აკეთებ ქართველი ემიგრანტებისათვის და თემურ წიკლაურის ჩამოყვანაზე არ გიფიქრია? იცი, რომ უძლიერესი მომღერალია. მის სიმღერებზე თაობები გაიზარდნენ. ის თაობები, რომლებიც აქ, ემიგაციაში იმყოფებიან და დარწმუნებული ვარ, ეს კონცერტი მათთვის უდიდესი საჩუქარი იქნებაო. მამა თეიმურაზს პირობა მივეცი, რომ ამ იდეას აუცილებლად განვახორციელებდი. თუმცა, სახლში წამოსულმა დავიწყე ფიქრი იმაზე, რომ ძალიან დიდ რისკზე მივდიოდი. იმიტომ კი არა, რომ ბატონი თემური კარგად ვერ წარდგებოდა ქართველი ემიგრანტების წინაშე ან მის პროფესიონალიზმში მეპარებოდა ეჭვი. არა, დღემდე იმ აზრისა ვარ,



საქართველოს მისი სადარი ნამდვილად არ ჰყავს

რომ იგი გახლავთ მსოფლიო დონის მომღერალი და საქართველოს მისი სადარი ნამდვილად არ ჰყავს. დარწმუნებული ვარ, სხვა ქვეყანაში რომ დაბადებულიყო, მსოფლიოს აღიარებული მომღერალი იქნებოდა. თუმცა, ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის, ის ახლაც მსოფლიო დონის მომღერალია და ჩვენ უნდა ვიამაყოთ, რომ იგი საქართველოს შვილია. უბრალოდ, ვფიქრობდი, რომ იგი „მძიმე მომღერალია“ და ჩვენი, ისედაც მძიმე ემიგრანტული ცხოვრება უფრო მეტად არ გაგვემუქებინა და დაგვემძიმებინა მისი სიმღერებით...

მიუხედავად ამისა, მაინც დავიწყე ფიქრი და გამოკითხვა ქართველ ემიგრანტებს შორის, გაუხარდებოდათ თუ არა მასთან შეხვედრა და როდესაც დავრწმუნდი, რომ კონცერტი გაამართლებდა, დავიწყე გზების ძიება მასთან მოსალაპარაკებლად. უამრავი ცნობილი ადამიანის შეწუხება მომიხდა, რომ მასთან დალაპარაკება მომეხერხებინა, მაგრამ სიახლოვეს არ მიკარებდა.

ჩემი მცდელობა, მის დასათანხმებლად დაახლოებით 6 თვეს გაგრძელდა. „ოთხი გიას“ წევრები ჩემი ქალიშვილის, ანა მარიას ნათლიები არიან. ერთ-ერთი საუბრის დროს გია ნაცვლიშვილთან დავიწუწუნე, ბატონი თემურის კონცერტის „გაკეთება“ მინდა და ახლოს არ მიკარებს-მეთქი. გიამ, — მოდი, ჩემს დას, თინას დავალაპარაკებ. ძალიან უყვართ ერთმანეთი და მას უარს ნამდვილად არ ეტყვისო. მართლაც, ცოტა ხანში

დამირეკა, — სასწრაფოდ გადარეკე, გელოდებაო. თან, იქვე დასძინა: მგონი, დავითანხმეთ და აბა, შენ იცი, წარმატებას გისურვებო. დავრეკე.
— გისმენთ, ქალბატონო ლიგია, რა გინდათ ჩემგანო? ფეხზე წამოვდექი. რატომღაც მეგონა, მიყურებდა და ხმის კანკალით ვუთხარი: თქვენი კარგად ყოფნა მინდა, — და საუბარი რომ არ გაეწყვეტინებინა, ჩქარ-ჩქარა მივაყარე, — ათენში თქვენი კონცერტის მოწყობა მსურს, ქართველი ემიგრანტების გასახარებლად და გეხვეწებით, უარი არ მითხრათ-მეთქი. 5 წუთი ხმა არ ამოუღია. ეს წუთები კი საუკუნედ მომეჩვენა. ბოლოს მითხრა: კი, ბატონო, მე ჩამოვალ, მაგრამ იცოდე, ერთი კაციც რომ ადგეს და დარბაზიდან გავიდეს, სცენაზე გამოგიყვან და ემიგრანტებს ვეტყვი, — მე არ მოვდიოდი და ძალით ჩამომიყვანაო. ოღონდ კი ჩამოსულიყო და, — ყველაფერზე თანახმა ვარ-მეთქი, შიშით ჩავძახე ყურმილში. შევთანხმდით თვეზე და რიცხვზე. როგორც მერე ქალბატონმა თინა ნაცვლიშვილმა მითხრა, ბატონ თემურს უთქვამს: მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, რომ წავიდე, მაგრამ „მძიმე მოსასმენი“ ვარ და მე, როგორც თემურ წიკლაური თემურ წიკლაურს, ორი საათიც ვერ მოვუსმენ. მან ისეთი მომღერლები უნდა წაიყვანოს, რომლებიც ემიგრანტებს ცოტათი მაინც გაუხალისებენ ცხოვრებას და ამ გოგოს ეს ვერ გავაგებინეო. ქალბატონ თინას მისთვის ასეთი პასუხი გაუცია: ოღონდაც წადი და ერთი კარგი სიმღერა ჩემზე იყოსო. არ ვიცი, ამან გაჭრა თუ ჩემგან „დაიღალა“, მაგრამ ფაქტია, ჩვენი ტანდემი შედგა.

პირველ კონცერტზე 500-კაციან დარბაზში 700 კაცი მოვიდა. სამი საათის განმავლობაში ხალხი სანთლებით ხელში, ფეხზე იდგა და ისე უსმენდა ჩვენს სათაყვანებელ მომღერალს. კონცერტის დამთავრების შემდეგ ბატონმა თემურმა გულში ჩამიხუტა და დიდი მადლობა გადამიხადა ყველაფრისათვის. მას მერე კიდევ სამჯერ ეწვია ათენს. ერთ-ერთი კონცერტი კი ორგანიზატორებს გვაჩუქა, როგორც თვითონ გვითხრა, „ძმაკაცურად“, ჩვენ კი შემოსული თანხა ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს გადავურიცხეთ.

წინა კონცერტზე კურიოზიც შეგვემთხვა ორგანიზატორებს და გვეშინოდა, რომ თეატრის მეპატრონე აღარ შეგვიშვებდა დარბაზში. ერთ-ერთი რეპეტიციის დროს ბა-



ერთ-ერთი კონცერტი კი ორგანიზატორებს გვაჩუქა, როგორც თვითონ გვითხრა, „ძმაკაცურად“

ტონმა თემურმა მიკროფონში ჩასძახა, — „ღვინო კახურო“ და სცენის კედლებიდან დინამიკები გადმოცვივდა... გაგიჟდა თეატრის მეპატრონე, — ეს ვინ გყავთ ქართველებს?! ალბათ, მალე დარბაზსაც დამამხობთ თავზეო. თუმცა, რომ ვუთხარით, — გვინდა, ისევ თქვენმა თეატრმა გვიმასპინძლოს-თქო, დაივიწყა „უბედური შემთხვევა“ და დიდი სიყვარულით ჩაიხუტა გულში ჩვენი სათაყვანებელი მომღერალი. ალბათ, ამაში იმანაც ითამაშა დიდი როლი, რომ ბატონმა თემურმა რამდენიმე ბერძნული სიმღერა შეუსრულა მას და ყველა ბერძენ მაყურებელს, რომლებიც მის კონცერტს ესწრებოდნენ და ამითი გამოვისყიდეთ თეატრისთვის მიყენებული „ზარალი“.

ბოლოს გამართული კონცერტი კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, შედგა შპს „ლამარიას“ ეგიდით და მიეძღვნა ბატონი თემურ წიკლაურის იუბილეს. ახლა კი ინფორმაცია, რომელმაც გადამაწყვეტინა ამ წერილის დაწერა და რომელიც დიდი სიურპრიზი იქნება ამერიკასა და გერმანიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისათვის (ძალიან მიხარია, რომ ამ საქმეში ერთი აგურის დადების ბედნიერება მეც მერგო წილად): 28 აგვისტოს, მარიამობას და ამავე დროს, წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებელი ეკლესიის დაბადების დღეს ნიუ-იორკში, რესტორანში შედგება ბატონი თემურის საიუბილეო კონცერტი, ხოლო 3 სექტემბერს ჩვენი უსაყვარლესი ებრაელები მოუწყობენ შეხვედრას. ამ კონცერტის ორგანიზატორი გახლავთ ჩემი მეგობარი და უამრავი ღონისძიების ავტორი ნიუ-იორკში, ბატონი გელა საჩალელი; ხოლო 30 სექტემბერს, ქალაქ ბერლინში, კომპანია „Makowski Rusa“-ს მიწვევით, თემურ წიკლაური ერთ ლამაზ საღამოს აჩუქებს გერმანიაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს. წარმატებები მინდა ვუსურვო როგორც ბატონ თემურს, ისე კონცერტის ორგანიზატორებს და დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს უსაყვარლეს ჟურნალ „გზას“, რომელმაც მომცა



პირველ კონცერტზე 500-კაციან დარბაზში 700 კაცი მოვიდა

საშუალება ჩემი ემოციისა და სიხარულის გამოხატვის“.

P.S. *ვუერთდებით ქართველი ემიგრანტების მილოცვებს და ბატონ თემურ წიკლაურს ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ!* ■

# სულის სალბუნი

## ციცინათელებში ჩასახლებული ადამიანების სულები

ინგა ჯაყელი

ციცინათელები ქალაქში არასოდეს მინახავს და დიდობაში მივხვდი, რატომაც — ქალაქს სიმშვიდე და ის ბუნებრიობა აკლია, რაც სულში რომანტიკას და უჩვეულო მოთხოვნილებას ბადებს. ქალაქში არც ის ფიქრები მოგდის თავში, რაც ცივილიზაციისგან შორს მყოფს გაბრუებს და ისეთ რამეს დაგანახვებს, მანამდე რომ წარმოდგენა არ გქონდა...

ბავშვობაში ყოველ ზაფხულს დავყავდი მშობლებს სოფელში. პირველად იქ ვნახე ეზოში მოფარფატე მანათობელი არსებები და ძალიან შემეშინდა. მეგონა, ზღაპარი გაცოცხლდა ჩემ თვალწინ...

დამფრთხალი ბებიამ ჩამისვა კალთაში და უცნაური რამ მითხრა:

— ციცინათელები იმ ადამიანების სულებია, ვინც ჩვენგან წავიდნენ და სამოთხეში გადასახლდნენ. მოფრინდებიან ხოლმე და ამ ნათებით გვეფერებიან. გვეუბნებიან, რომ კარგად არიან და ძალიან მოვენატრეთ, ჩვენთან ყოფნა უხარიათ...

მაშინ ბევრი ვერაფერი გავიგე და სიმართლე გითხრათ, უფრო მეტად შემეშინდა იმ უწყინარი მწერების, რომელთა მოახლოებაზეც დამალვას ვცდილობდი იმაში დარწმუნებული, რომ თუ შევეხებოდი, აუცილებლად დავიწვებოდი. სიკვდილზეც ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა და მისიც ისევე მეშინოდა, როგორც ღამით ტყიდან გამოსული აყმუვლებული მგლების. იმედით შევყურებდი დაგმანულ კარს და დარწმუნებული ვიყავი, რომ ბებიას და უფრო — ბაბუას შიშით, ვერც მგელი მომიახლოვდებოდა, ვერც სიკვდილი და ვერც ის ციცინათელები, სულებად შენილბულები რომ ანათებდნენ უცნაური იდუმალებით. მაშინ სიტყვა „სულის“ მნიშვნელობაც არ ვიცოდი...

მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა. აღარც ბებიაა, აღარც ბაბუა, მამამაც დამტოვა, დედამაც და ჩემთვის ძვირფასმა უამრავმა ადამიანმაც. დამრჩა ტკივილი და უსაშველო მონატრება, მარტოობის უსაშველო განცდა და უმწეობა იმის გამო, რომ გინდა და ვერ ხედავ, არ გესმის, ვერ ეხები, ვერ გრძნობ...

ბებია აქამდე არც დამსიზმრებია.



არც მწვავდა და არც ტკივილს მანიჭებდა – მხოლოდ მამხნევებდა...

გამიკვირდა, რომ უკვე „ძალიან დიდს“ გამომეცხადა და მისაყვედურა: სოფელში რატომ არ ჩამოდიხარ? მენატრები, გეძებ და ვერ გპოულობო...

აღარც კი ვიცი, როდის ვიყავი ბოლოს სოფელში. შემრცხვა, ყველა საქმე გვერდზე გადავდე და იმ სოფლისკენ ავიღე გეზი, სადაც ველარც მე ვიცანი ბევრი და მეც გაოცებულები შემომყურებდნენ. მაინც გაუხარდათ, როცა ბოქლომი შევხსენი ჟიშკარს, გასაღები მოვარგე აჭრიალებულ კარს და ფანჯრები გავაღე...

ძია ვალიკომ ცელი მოიტანა და ეზოში ბალახი მოთიბა, მისი ცოლი — ციალა ბიცოლა კი სახლის მოწესრიგებაში დამეხმარა და სასაფლაოზეც გამომყვა. ბალახს დაეფარა სურათები და გულში პატიება ვთხოვე მოხუცებს...

ხელით დავგლიჯეთ ნარ-ეკალი და ცივი წყალიც მოვიტანეთ წყაროდან. საფლავებზე ხილი და ტკბილეული დავაწყვეთ.

— ეჰ, კარგები იყვნენ, ღმერთმა გაანათლოთ! — ღვინო მოსვა ციალა ბიცოლამ და მეც მომაწოდა...

იმ ღამეს სოფელში დავრჩი. ძია ვალიკო მაძალებდა, მათთან გამეთია ღამე: შუქიც ჩაჭრილია, სახლიც ძველია. რა ძალაა მანდ დარჩენა, ჩვენთან იყავიო...

— ბებიას გამო ჩამოვედი და ერთი ღამე მაინც მინდა, ღია იყოს მისი სახლის კარი და ფანჯრები...

სასიამოვნოდ გრილოდა და სავარძელი ეზოში გამოვიტანე. ჩავჯექი თუ არა, მაშინვე დავინახე ციცინათელები და ბებიას ნათქვამი გამახსენდა, — ციცინათელებად გადაქცეულ გარდაცვლილთა სულებზე... „მივხვდი“, მონატრებულმა და გახარებულმა გარდაცვლილი ახლობლების სულებმა „მომაკითხეს“ და ჩემდა გასაოცრად, ის სურნელიც კი ვიგრძენი, ბებიის კაბასა და ხელებს რომ ასდიოდა: ვაშლების, რძის, ახალმოთიბული ბალახის...

რამდენი ხანია, არ მიტირია და იმ დღეს ვიტირე, მაგრამ ეს სიხარულისა და შვების ცრემლები იყო. სულს სალბუნად რომ დაედო და ბედნიერება შემაგრძნობინა, ის ცრემლები...

იმ ღამეს პირველად გავბედე და ციცინათელა ხელისგულზე დავისვი. იჯდა და ციმციმებდა, არც მწვავდა და არც ტკივილს მანიჭებდა — მხოლოდ მამხნევებდა...



# ჯეინ ეარი

## შარლოტა ბრონტე

დასაწყისი იხ. „გზა“ №6-27

თამარ მაღრაძისა და ზეინაბ ხახანაშვილის თარგმანი

### თავი ოცდამეექვსე

ვერც კი შევნიშნე, როგორი დღე იყო, მოწმენდილი თუ ნისლიანი, როდესაც ხეივანში ჩავედით. მე არც ცას ვუყურებდი და არც მიწას, მხოლოდ საკუთარ გულში ვიყურებოდი და ორივე, როგორც გული, ისე თვალები, მეჩვენებოდა, რომ მისტერ როჩესტერზე იყო მიჯაჭვული. მინდოდა, დამენახა ის უხილავი საგანი, რომელსაც, რაც წინ მივდიოდით, ასეთი ულმობელი და მკაცრი თვალით უჭვრეტდა. ასევე მინდოდა, გამეგო მისი ფიქრები, რომელთა ძალას ასე ეწინააღმდეგებოდა და ეურჩებოდა.

ის ეკლესიის ეზოს ჭიშკართან შეჩერდა, შეამჩნია, რომ სულს ძლივსღა ვითქვამდი.

— მკაცრი ვარ, არა, სიყვარულში? — მკითხა მან. — შეისვენე რამდენიმე წამი და დამეყრდენი, ჯეინ.

ახლაც შემიძლია გავიხსენო ის სურათი: ჩემ წინ იყო მშვიდად აღმართული ძველი, ნაცრისფერკედლებიანი საყდარი; სამრეკლოს გარშემო ჭილყვავნი დაფარფატებდნენ, მაღლა დილის მზის სხივებით წითლად პირატკეცილი ცა მახსოვს, აგრეთვე, საფლავის მწვანე ბორცვები და არც ორი უცხო ადამიანის ლანდი დამავიწყდება, რომელნიც ამ პატარა ბორცვებს შორის დააბოტებდნენ და მხოლოდ სულ რამდენიმე, ხავსით დაფარულ საფლავის ქვაზე სამახსოვროდ ამოკვეთილ წარწერებს კითხულობდნენ. მე ისინი იმიტომ შევამჩნიე, რომ, როგორც კი ჩვენ შეგვნიშნეს, ეკლესიის უკან მიიმალნენ. ეჭვიც კი აღარ მეპარებოდა, რომ ისინი ტაძარში განის კარიდან შემოვიდოდნენ და ჯვრისწერის ცერემონიალს დაესწრებოდნენ. მისტერ როჩესტერმა ისინი ვერ შენიშნა, რადგან თვალმოუშორებლად მე ჩამყურებდა სახეში, რის გამოც ძარღვებში სისხლის მოძრაობა შემიწყდა; შუბლზე ცვარივით გამოჟონა ოფლმა და სახე და ტუჩები გამიცივდა. როდესაც გონს მოვედი, მან ფრთხილად ჩამატარა ბილიკზე საყდრის კარამდე.

შევედით მდუმარებით მოცულ პატარა საყდარში; თეთრ სტიქარში გამოწყობილი მღვდელი დაბლა, საკურთხეველთან გვიცდიდა; დიაკონიც მის გვერდით იდგა; ირგვლივ სრული მყუდროება გამეფებულიყო. მხოლოდ ორი ჩრდილი მოძრაობდა ჩვენგან შორს, კუთხეში. ჩემი ვარაუდი გამართლდა; უცნობები ჩვენზე ადრე შეპარულიყვნენ იქ და ახლა როჩესტერების აკლდამის გვერდით ჩვენკენ ზურგშექცეულნი იდგნენ. ისინი მოაჯირის იქით ძველ, ჟამთა სვლისაგან დალა-

ქავებულ მარმარილოს ძეგლს ათვალიერებდნენ, რომელზეც გამოსახული მუხლმოდრეკილი ანგელოზი, სამოქალაქო ომის დროს მარსტონ მურის ბრძოლაში დაღუპული დაიმერ დე როჩესტერისა და მისი მეუღლის, ელისაბედის, ნეშტს დარაჯობდა.

ჩვენ საკურთხეველთან სწორედ იმ ადგილზე დავდექით, რომელიც მხოლოდ ჯვრისწერისთვის იყო გამოყოფილი. უკანა მხრიდან ფრთხილი ნაბიჯის ხმა შემომესმა. თავი გვერდზე მივაბრუნე და ცხადად შევამჩნიე, ერთ-ერთი უცნობი ჯენტლმენთაგანი საკურთხეველს უახლოვდებოდა. მღვდელმსახურება დაიწყო. ახსნა-განმარტება ქორწინების როლზე უკვე წაკითხული გვქონდა, როცა მღვდელმა ერთი ნაბიჯი წინ გადმოდგა, ოდნავ გადმოიხარა მისტერ როჩესტერისკენ და განაგრძო:

— გთხოვთ და, ამასთანავე, გიბრძანებთ ორივეს (რადგან განკითხვის დღეს, მართლმსაჯულების წინაშე, გულში ჩამარხული ყველა საიდუმლო უნდა გამოაშკარავდეს), თუ რომელიმე თქვენგანს აქვს რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზი, რის გამოც არ შეუძლია კანონიერი ქორწინებით შეუღლდეს მეორესთან, საჭიროა, ახლავე აღიაროს, თორემ დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ, მათ კავშირს, რომელნიც სრულიად სხვა გზით, ე.ი. ღვთის მიერ დადგენილი კანონის გარეშე, შეუღლებულან, ზეციური მამა არ ამტკიცებს, ქორწინება კანონიერად არ ითვლება.

ის შეჩერდა, როგორც ამას წესი მოითხოვდა. განა, ოდესმე დარღვეულა დუმილი ამ წინადადების შემდეგ რაიმე პასუხით? შესაძლებელია, საუკუნეში ერთხელ. მღვდელმაც წიგნიდან თვალმოუშორებლად ერთ წამს სული მოითქვა და უნდოდა განეგრძო. მან ხელიც კი გაიწოდა მისტერ როჩესტერისკენ და პირიც გააღო, რომ ეკითხა: „გსურთ ჯვარი დაიწეროთ ამ ქალზე?“ რომ სულ ახლოს, გარკვევით გაისმა ვიღაცის ხმა:

— ჯვრისწერა არ მოხდება. გიცხადებთ, მას წინ დიდი დამაბრკოლებელი მიზეზი ეღობება.

მღვდელმა მოსაუბრეს ახედა და დადუმდა. დიაკონიც თითქმის ასევე მოიქცა. მისტერ როჩესტერი ოდნავ შეირხა, მის ფეხქვეშ თითქოს მიწისძვრისაგან დედამიწა შერყეულიყოს. მერე შეეცადა, უფრო მტკიცედ მოემაგრებინა ფეხი მიწაზე და თავმოუბრუნებლად, ისე, რომ არავისთვის შეუხედავს, თქვა: — განაგრძეთ.

ირგვლივ სამარისებური დუმილი გამეფდა, როდესაც დაბალი და ყრუ ხმით მან ეს სიტყვები წარმოთქვა. მერე კი მისტერ ვუდმა უცებ განაცხადა: — ასეთი განცხადების შემდეგ არ შემიძლია განვაგრძო, ყველაფერი უნდა გამოირკვეს. საჭიროა ვიცოდე, ყოველივე ეს სიცრუეა თუ სიმართლე.

— ჯვრისწერა ჩაშლილია, — დაუმატა ბოლოს ვიღაცის ხმამ ჩვენ უკან. — შემიძლია ჩემი მტკიცება დავასაბუთო: ამ ქორწინებას წინ ძალიან დიდი დაბრკოლება ეღობება.

მისტერ როჩესტერმა ყველაფერი გაიგონა, მაგრამ ჩანდა, ყურადღებას აღარ აქცევდა. იდგა სასტიკი და შეუდრეკელი. ოდნავადაც არ იძვროდა, მხოლოდ ხელს არ მიშვებდა. ოჰ, როგორ ღელავდა და როგორ ძლიერად მიჭერდა ხელს ხელზე! როგორ ჰგავდა ამწუთას მისი გაფითრებული, ძლიერი და მტკიცე ნებისყოფის გამომხატველი შუბლი ძნელად სატეხ მარმარილოს; როგორ ანათებდა თვალები ან რა დაძაბული მზერა ჰქონდა და რა ველური ცეცხლი უღვიოდა მათში.

ჩანდა, მისტერ ვუდი დაიბნა.

— მაინც, რა დაბრკოლებაა ასეთი? — იკითხა მან. — იქნებ მისი თავიდან აცილება შეიძლება და გავმართლდეთ?

— საეჭვოა, — წარმოთქვა იმავე ხმამ. — მე მას შეუძლებელი ვუწოდე და არც უსაბუთოდ ვლაპარაკობ.

მოსაუბრე წინ წამოდგა, მოაჯირზე გადმოიხარა და განაგრძო. თითოეულ სიტყვას მტკიცედ, გარკვევით, მშვიდად და, ამასთანავე, ხმადაბლა წარმოთქვამდა.

— საქმე, უბრალოდ, პირველ ქორწინებას ეხება. მისტერ როჩესტერს მეუღლე ჰყავს, რომელიც ჯერ ისევ ცოცხალია.

მეხის დაცემაც ვერ ამითრთოლებდა ისე ნერვებს, როგორც ამ ხმადაბლა წარმოთქმულმა სიტყვებმა იმოქმედა ჩემზე. მათმა მომწამვლელმა ძალამ სისხლი ისე ამიჩქროლა, რასაც ვერც ყინვა და ვერც ცეცხლი ვერ მაგრძნობინებდა. ძალ-ღონე მოვიკრიბე: ვგრძნობდი, გული არ წამივიდოდა; მისტერ როჩესტერს შევხედე და ვაიძულე, მასაც შემოეხედა ჩემთვის. მას მთელ სახეზე მიწისფერი დასდებოდა; ჯიუტად მომზირალ თვალებში ცეცხლი უკრთოდა. ის არაფერს უარყოფდა და ყოველივეს ამქვეყნად გამომწვევად შეჰყურებდა; არც იღიმებოდა, არც მელაპარაკებოდა და, თითქოს, ვეღარც იმას გრძნობდა, რომ მის გვერდით სულიერი არსება იდგა. ის მხოლოდ წელზე ხელს მხვევდა და, რაც შეეძლო, თავისკენ მიზიდავდა.

— ვინ ხართ თქვენ? — ჰკითხა მან აბეზარს.

— ჩემი გვარი ბრიგსია. სასამართლოს რწმუნებული ვარ ლონდონიდან.

— თქვენ გსურთ დამიდასტუროთ, რომ მე ცოლი მყავს?

— მინდა, გაგახსენოთ თქვენი მეუღლის არსებობა, სერ, რომელსაც კანონი ცნობს, თუ თქვენ არა.

— მოწყალება მოიღეთ, აღმიწერეთ და მითხარით მისი გვარი, სახელი, წარმოშობის ადგილი ან სად ცხოვრობს ის?

— სიამოვნებით. — მისტერ ბრიგსმა მშვიდად ამოიღო ჯიბიდან ქაღალდი და, მისი საქმიანობისთვის დამახასიათებელი, ცხვირში მოდუდღუნე ხმით, წაიკითხა: ვამტკიცებ და შემიძლია დავასაბუთო, რომ ამა და ამ წლის (თხუთმეტი წლის წინ) ოც ოქტომბერს ედვარდ ფეირფექს როჩესტერმა, თორნფილდის ამა და ამ საგრაფოში მცხოვრებმა და ფერნდინის მამულისა და სასახლის პატრონმა, რომელიც შაირის საგრაფოშია, ინგლისში, ჯვარი დაიწერა ჩემს დაზე, ბერთა ანტუანე-

ტა მეზონზე, ვაჭარ ჯონს მეზონისა და მისი მეუღლის, კრეოლი ქალის, ანტოინეტას ქალიშვილზე. ქორწინება მოხდა ქალაქ სპენიშტაუნის ეკლესიაში, იამაიკაზე. ქორწინების ჩანაწერი შეიძლება მონახოთ საეკლესიო დავთრებში, ხოლო ახალი პირი ხელთა მაქვს. ხელის მოწერა: რიჩარდ მეზონი.

— ეგ თუ ნამდვილი საბუთია, მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ მე ჯვარდაწერილი ვიყავი, და არა იმას, რომ იქ ჩემს მეუღლედ მოხსენიებული ქალი ჯერ კიდევ ცოცხალი იყოს.

— სამი თვის წინ ის ცოცხალი იყო, — განაცხადა მოსამართლემ.

— საიდან იცით?

— ამ ფაქტის დასადასტურებლად, მე მყავს მოწმე, რომლის ჩვენების უარყოფა თქვენ ძალიან გაგიძნელდებათ.

— წარმოადგინეთ ის აქ, თუ არა და, ჯანდაბამდე გზა გქონიათ!

— მე მას ახლავე წარმოგიდგენთ, რადგან ის სწორედ აქ გახლავთ. მისტერ მეზონ, კეთილინებეთ და წინ წამოდექით.

ამ გვარის გაგონებაზე მისტერ როჩესტერმა კბილები გააღრჭიალა და, თითქოს სხეულში ძლიერმა კრუნჩხვამ გაუარაო, ისე აცახცახდა. ისე ახლოს ვიდექი, რომ სიბრაზისა და სასოწარკვეთილებისგან გამოწვეულ თრთოლას მთელ მის სხეულში ცხადად ვგრძნობდი. მეორე უცნობი ადამიანი, რომელიც აქამდე სადღაც, უკანა მხარეს იდგა, წინ წამოდგა. სასამართლოს რწმუნებულის მხრის ზემოთ ფერმკრთალი სახე გამოჩნდა. დიახ, ეს, მართლაც, მისტერ მეზონი იყო. მისტერ როჩესტერი მიტრიალდა და მას ცეცხლის მფრქვეველი თვალები შეანათა. მისტერ როჩესტერს თვალები, როგორც წინათ ხშირად მოგახსენებდით, შავი ჰქონდა, მაგრამ ახლა არა მარტო დასწითლებოდა, არამედ თითქოს სიღრმეში სისხლისფრად ანთებოდა. სახე ისე წითლად უვარვარებდა, გეგონებოდათ, გულის სიღრმიდან მომდინარე ცეცხლი მომწვანო ლოყებსა და გაფითრებულ შუბლზეც წაჰკიდებიაო. ის შეინძრა, ძლიერი მკლავი მაღლა ასწია; მზად იყო, გაეკრა მეზონისთვის, დაენარცხებინა ეკლესიის ფილაქანზე და ასეთი შეუბრალებელი გარტყმით სული ამოერთმია კიდეც მისთვის, მაგრამ მეზონმა უკან დაიხია და საცოდავად წამოიკნავლა: — ღვთის გულისათვის, მისტერ როჩესტერ!

მისტერ როჩესტერს ზიზღმა აღშფოთება გაუნელა. მისი გულისწყრომა გაქრა, თითქოს სასოწარკვეთილებამ შთანთქა ყოველივე, და მხოლოდ იკითხა:

— რა გაქვს სათქმელი?

მეზონმა გაფითრებული ტუჩები აამოძრავა და რაღაც ჩაილუღლუღა.

— ჯანდაბამდე გზა გქონია, თუ გარკვევით ერთი სიტყვის წარმოთქმაც არ შეგიძლია. კვლავ გიმეორებ: რა გაქვს სათქმელი.

— სერ, სერ! — შეაწყვეტინა მღვდელმა. — ნუ გავიწყდებათ, რომ ღვთის სახლში იმყოფებით. — შემდეგ მან ისევ მეზონს მიმართა და წყნარად ჰკითხა: — თქვენ იცით, სერ, ამ ჯენტლმენის მეუღლე ცოცხალია ჯერ კიდევ თუ არა?

— მხნეობა მოიკრიბეთ, — სთხოვა ვექილმაც. — ილაპარაკეთ!

— ის ახლაც თორნფილდის სასახლეში ცხოვრობს, — თქვა მეზონმა უფრო გარკვევით. — მე ის იქ გასულ აპრილს ვნახე. მე მისი ძმა ვარ.

— თორნფილდ-ჰოლში? — წამოიძახა მღვდელმა, — შეუძლებელია! დიდი ხანია მეზობელი მიდამოების მკვიდრი ვარ და არასოდეს გამიგონია, რომ მაგ სახლში მისის როჩესტერი ცხოვრობდეს.

დავინახე, გესლიანმა ღიმილმა ბაგე როგორ მოუგრიხა მისტერ როჩესტერს და ჩაიბუტბუტა:

— არა, ღვთის შეწევნით, მე ვიზრუნე, რომ არავის სცოდნოდა მისი არსებობა ამ გვარით და არც ვინმეს სცნობოდა ის.

ასე ათი წუთის განმავლობაში ის რაღაცას ფიქრობდა და თავის თავს ესაუბრებოდა. ეტყობა, გადაწყვეტილება მიიღო და განაცხადა:

— კმარა! ყველაფერი გამოაშკარავდება ახლავე, როგორც ლულიდან გასროლილი ტყვია თავს ვერ დაიჭერს. ვუდ, დახურეთ თქვენი წიგნი, სტიქარი გაიხადეთ! ჯონ გრინ, — მიმართა დიაკონს, — დატოვეთ ეკლესია, ჯვრისწერა დღეს აღარ გაიმართება. — ისიც დაემორჩილა. თვით მისტერ როჩესტერმა კი ბოლოს გაბედულად და გამომწვევად განაგრძო: — ორცოლიანობა საშინელი სიტყვაა... მე კი, თურმე, მაინც ამას ვაპირებდი, მაგრამ ბედმა გზიდან გადამაგდო, განგებამ თვით შემიშალა ხელი, შესაძლებელია, უკანასკნელად. ამ წუთში კი მე სატანაზე ცოტა უკეთესი ვარ და, როგორც ჩემი სულიერი მოძღვარი იტყოდა, უეჭველია, ღვთის უმკაცრეს სასჯელს ვიმსახურებ — ჩაუქრობელ ცეცხლსა და სამუდამო ტანჯვა-წამებას. ჯენტლმენებო, ჩემი გეგმა ჩაშლილია. რასაც ვექილი და კლიენტი მოგახსენებენ, მართალია. მე ჯვარდაწერილი ვიყავი და ის ქალიც, რომელიც მაშინ შევირთე, ცოცხალია. ვუდ, თქვენ ამბობთ, რომ არასოდეს არაფერი გსმენიათ მისის როჩესტერზე, ამ სახლის დიასახლისზე, მაგრამ ის კი ვიცი, თქვენს ყურს ძალიან ხშირად სმენია ჭორი იდუმალებით მოცულ, ცხრაკლიტულში გამოკეტილ შეშლილ არსებაზე, რომელსაც ამ სახლში ინახავენ. ზოგიერთი, ალბათ, ჩაგჩურჩულებდათ, რომ ის ჩემი უკანონოდ შობილი ნახევარდა იყო, ზოგი კი, ალბათ, გაძევებულ სატრფოს ეძახდა. მე კი გიცხადებთ ახლა, რომ ის ჩემი მეუღლეა, რომელიც თხუთმეტი წლის წინათ შევირთე. მისი გვარი და სახელი ბერთა მეზონია, აი, ამ მამაცი პიროვნების და, რომელიც ახლა თავისი აცახცახებული სხეულითა და გაფითრებული სახით გიჩვენებთ, რამდენის ატანა უნდა შეეძლოს გულად მამაკაცს. გული გაიმაგრე, დიკ, ნუ გეშინია, მე შენ ისევე ვერ გაგარტყამ, როგორც ქალს! ბერთა მეზონი შეშლილია. შთამომავლობით ის ასეთ

ოჯახში დაიბადა. სამ თაობაში მხოლოდ სულელები და მანიით შეპყრობილნი დაბადებულან. ბერთას დედა, კრეოლი ქალი, როგორც მის ქალიშვილზე დაქორწინების შემდეგ შევიტყვე, ლოთიც იყო და შეშლილიც. მანამდე ამ ოჯახურ საიდუმლოზე კრინტსაც არ ძრავდნენ. ბერთა კი, როგორც მორჩილი შვილი, ორივე მხრივ, მშობლის განსახიერება გახლდათ. აი, როგორი მომხიბვლელი მეუღლე მყავდა: წმინდაზე წმინდა, ჭკვიანი და თავდაჭერილი. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა ბედნიერი ვიყავი ამქვეყნად და რა დიდებული სანახაობის მოწმე გავხდი! თქვენ რომ ყველაფერი იცოდეთ, ჩემი მაშინდელი ცხოვრება ზეციური განცხრომა გეგონებოდათ. ახლა კი ყოველგვარი ახსნა-განმარტება ზედმეტად მიმაჩნია! ბრიგს, ვუდ, მეზონ, მე ყველას ჩემს სახლში გეპატიჟებით, თქვენი თვალით ნახეთ მისის პულის ავადმყოფი, ეგრეთ წოდებული ჩემი მეუღლე! თქვენ იქ ნახავთ, მოტყუებით როგორ ქალზე დამაწერინეს ჯვარი. განსაჯეთ, მქონდა თუ არა ნება, დამერღვია ეს საქორწინო ხელშეკრულება და მეძებნა ურთიერთობა, ბოლოს და ბოლოს, ნამდვილ ადამიანთან. ამ გოგონამ, — განაგრძო მან და მე შემომხედა, — თქვენზე მეტი არ იცის, ვუდ, ამ საზიზღარი საიდუმლოების შესახებ. მას ყველაფერი სამართლიანად და კანონიერად მიაჩნდა. არასოდეს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ამ კავშირით ეს გაქნილი არამზადა მახეს უგებდა და უკვე ჯვარდაწერილი იყო ამ უშნო, სულელ და პირუტყვად ქცეულ ქალზე! ყველა წამოდით, მომყევით, ჩქარა!

ხელს ჯერ ისევ მაგრად მიჭერდა ხელზე და ასე გამოვიდა საყდრიდან. სამი ჯენტლმენი უკან გამოგვყვა. დარბაზის წინ ეტლი გველოდა.

— უკან წაიყვანე, საჯინიბოში, ჯონ, — უთხრა მისტერ როჩესტერმა მას ცივად, — დღეისთვის საჭირო აღარ არის.

შესვლისთანავე მისის ფეიერფექსი, ადელი, სოფი და ლი ჩვენს შესახვედრად და მოსალოცად გამოცვივდნენ.

— თვალით არავინ დამენახოს! — დაუყვირა მათ პატრონმა, — მომშორდით, არ მინდა მოლოცვა. ვის სჭირდება ახლა ის? ყოველ შემთხვევაში, მე აღარ გამომადგება, მან უკვე თხუთმეტი წლით დაიგვიანა.

მან გზა განაგრძო და კიბის საფეხურებს შეუდგა; ხელს ჯერ კიდევ არ მიშვებდა; ჯენტლმენებს კი თავის ქნევით ანიშნებდა, უკან გაჰყოლოდნენ. ისინიც მოგვყვებოდნენ. ავიარეთ პირველი სართულის კიბე, გავიარეთ დერეფანი და მესამე სართულისკენ გავეშურეთ. აქ მან თავისი გასაღებით, რომელიც თითქმის ყველა კლიტეს ხსნიდა, შავი კარი გააღო და გობელენებით მორთულ ოთახში შეგვიყვანა. ოთახში უზარმაზარი საწოლი და მოჩუქურთმებული კარადა იდგა.

— ალბათ, გეცნობათ ეს ადგილი, მეზონ? — ჰკითხა მას ჩვენმა წინამძღოლმა. — მან, მგონი, აქ დაგკბინა და დაგჭრა დანით?

მისტერ როჩესტერმა კედელზე ჩამოშვებული ფარდები გადასწია და მეორე კარი გამოჩნდა; ისიც გააღო და დავინახეთ უფანჯრო ოთახი. ბუხარში ცეცხლი ენთო, რომელსაც მაღალი და მაგარი რკინის საფარი კარი იცავდა. ჭერიდან ჯაჭვი ეშვებოდა, რომელზეც მაღლა, ჰაერში გამოკიდებულივით ლამპა მოჩანდა. გრეის პული ცეცხლთან იყო დახრილი და, ჩანდა, კარდალაში რაღაცას ხარშავდა. ოთახის ბნელ სიღრმეში, თითქმის მის მეორე ბოლოში, რაღაც უჩვეულო გამოსახულება მიმოდიოდა წინ და უკან. ერთი შეხედვით, არავის შეეძლო ეთქვა, რა იყო ის, ცხოველი თუ ადამიანი. როგორც ჩანდა, ოთხ ფეხზე დაფოფხავდა და ისე ღმუოდა და ფრუტუნებდა, როგორც რომელიმე გარეული ცხოველი, თუმცა სხეულს ტანსაცმელი უფარავდა. ხშირი, შავი, შეჭაღარავებული თმა გარეული ცხოველის ფაფარივით გაშლილი და ერთმანეთში არეულ-დარეული, სახესა და თავს მთლიანად უმალავდა.

— დილა მშვიდობისა, მისის პულ! — უთხრა მისტერ როჩესტერმა. — როგორ ხართ? როგორ არის დღეს თქვენი ავადმყოფი?

— როგორც არის, ვუძლებ, სერ, გმადლობთ, — უპასუხა გრეისმა და საკიდარზე კავით ფრთხილად ასწია მაღლა მოთუხთუხე საჭმლის ქვაბი.

— შფოთავს, მაგრამ ჯერჯერობით არ გაშმაგებულა.

საზარელმა ყვირილმა უცებ გააბათილა მისი პასუხი. ტანსაცმელში გამოწყობილი აფთარი უკანა ფეხებზე წამოდგა და წელში გასწორდა.

— ოჰ, სერ, ის თქვენ გხედავთ უკვე, — წამოიძახა გრეისმა. — უმჯობესია, გაეცალოთ აქაურობას.

— მხოლოდ რამდენიმე წუთი, გრეის, მხოლოდ რამდენიმე წუთი დამაცადეთ.

— ფრთხილად, სერ! ღვთის გულისათვის, ფრთხილად!

შეშლილი აღმუვლდა. სახეზე ჩამოშლილი, გრძელი, აბურძგნილი თმა მოიშორა და მნახველებს ველურივით დაუწყო ყურება. მაშინვე ვიცანი ეს ნაკვერჩხალივით აელვარებული სახე და შეშუპებული ნაკვთები. მისის პული წინ წამოვიდა.

— ჩამომეცალეთ გზიდან, — მიმართა მას მისტერ როჩესტერმა და გვერდით გასწია. — ახლა დანა არა აქვს, ალბათ, და თავს როგორმე დავიცავ.

— ვერავინ გაიგებს, რა აქვს მაგას, სერ, ძალიან დიდი ეშმაკია. მოკვდავთა ჩვეულებრივი წინდახედულება მაგის ცბიერებას ვერ ჩასწვდება.

— უმჯობესია, აქაურობას გავცილდეთ, — დაიჩურჩულა მეზონმა.

— ჯანდაბამდე გზა გქონია! — მიაძახა სიძემ.

— ფრთხილად! — წამოიყვირა გრეისმა.

სამივე მამაკაცმა ერთდროულად უკან დაიხია, მისტერ როჩესტერმა ელვის სისწრაფით ზურგს უკან მომიქცია. შეშლილი გადმოხტა, ყელში სწვდა და ლოყაში კბილები ჩაასო. დაიწყო ბრძოლა. ქალი მოყვანილობით დიდი იყო, სიმაღლით თითქმის თავისი მეუღლის ტოლი და, ამასთანავე, სრული; ბრძოლის

დროს ვაჟკაცურ ძალას ავლენდა. მიუხედავად მისტერ როჩესტერის ათლეტური სისხარტისა, ქალმა რამდენჯერმე ისე წაუჭირა ყელში ხელი, კინაღამ დაახრჩო. მისტერ როჩესტერს, რასაკვირველია, შეეძლო ერთი სილის გაწვნით დაენარცხებინა დაბლა, მაგრამ ხომ არ გაარტყამდა; მხოლოდ თავს იცავდა მისგან. ბოლოს შეშლილს ორივე მკლავი დაუჭირა, გრეის პულმა თოკი მიაწოდა და ხელები უკან მაგრად შეუკრეს. დანარჩენი თოკით კი მან ის სკამზე მიაბა. ყველაფერი ეს შეშლილის ყურთასმენის წამღებ, გააფთრებულ ყვირილში მოხდა, ამასთანავე, ის სიშმაგისგან იკრუნჩხებოდა და ხელიდან დასხლტომას ცდილობდა. ბოლოს, მისტერ როჩესტერი მაყურებლებს მიუბრუნდა, შეხედა მათ და ბაგეზე მწარე და უბედური ადამიანის ღიმილმა გადაურბინა.

— აი, ეს გახლავთ ჩემი მეუღლე, — წარმოთქვა მან. — რაც მახსოვს, მხოლოდ ასეთი მოხვევა იცის, როგორც ცოლმა; მხოლოდ ასეთი ალერსი, რაც ნუგეშს მცემს მოცლილობის დროს. ეს კი ის არის, ვისზედაც ვოცნებობდი, რომ ჩემი ყოფილიყო (ხელი მხარზე დამადო). ეს ახალგაზრდა გოგონა დამწუხრებული, მაგრამ მშვიდი დგას ჯოჯოხეთის პირისპირ და უშფოთველად შესცქერის ამ ჯადოქრის ხტუნვასა და ხრიკებს. მე ისე მსურდა მისი სიახლოვე, როგორც ჯოჯოხეთურად ცხარე კერძის შემდეგ რაიმე გემრიელი საჭმელი მოუნდება ადამიანს. ვუდ, ბრიგს, შეხედეთ მათ შორის ამ დიდ სხვაობას! შეადარეთ ეს ნათელი, მოციმციმე თვალები ამ ჩასისხლიანებულ თვალებს; ეს სახე — ამ ნიღაბივით სახეს; ეს სხეული — მის ხორცის ბელტებად ქცეულ სხეულს... და მაშინ განსაჯეთ ჩემი საქციელი, სახარების მქადაგებელო მღვდელო და თქვენც, კანონის დამცველო მოხელევ! გახსოვდეთ, რა სამსჯავროს წინაშეც მე წარვდგები თქვენი წყალობით, იგივე სამსჯავრო გაგასამართლებთ თქვენც! ახლა კი გამეცალეთ აქედან, ჩემი საუნჯე უნდა ჩავკეტო.

ყველანი გარეთ გამოვედით. მისტერ როჩესტერი კიდევ დარჩა შიგნით რამდენიმე წუთს, ალბათ, უნდოდა გრეის პულისთვის რაიმე განკარგულება მიეცა. კიბეზე ჩასვლისას სასამართლოს რწმუნებული მომიბრუნდა და ასე მომმართა:

— თქვენ, ქალბატონო, სრულიად თავისუფალი ხართ ყოველგვარი დანაშაულისგან. თქვენს ბიძას ეს ამბავი უთუოდ ძალიან გაახარებს, თუ, რასაკვირველია, ცოცხალი დახვდება მისტერ მეზონს, როდესაც ის მადეირაზე დაბრუნდება.

— ჩემი ბიძა? რა იცით მის შესახებ? თქვენ იცნობთ მას?

— მისტერ მეზონი იცნობს. თქვენი ბიძა, მისტერ ეარი, რამდენიმე წლის განმავლობაში ქ. ფანჩელში მათი სავაჭრო ფირმის კორესპონდენტი ყოფილა. და როდესაც თქვენს ბიძას თქვენგან წერილი მიუღია, რომელიც თქვენსა და მისტერ როჩესტერის მოსალოდნელ ქორწინებას ატყობინებდა, მისტერ მეზონი ამ დროს მადეირაზე ისვენებდა თურმე ჯანმრთელობის აღსადგენად. იქიდან იამაიკაზე დაბრუნებისას, სრულიად შემთხვევით, გზად მისტერ ეარს შეხვედრია. თქვენს ბიძას საუბარში ეს ამბავიც უხსენებია, რადგან იცოდა, რომ ჩემი კლიენტი იცნობდა ვიღაც ჯენტლმენს ინგლისში, გვარად როჩესტერს. განცვიფრებულსა და, როგორც წარმოგიდგენიათ, მეტად განაწყენებულ მისტერ მეზონს საქმის ვითარება მთლიანად გამოუმჟღავნებია. ძალიან ვწუხვარ, რომ გეუბნებით, მაგრამ ბიძათქვენი ამჟამად სიკვდილის პირასაა. თუ მხედველობაში მივიღებთ მისი სნეულების ხასიათს, მოსალოდნელ გაუარესებას და იმასაც, თუ მისი ავადმყოფობა რა სტადიაშია ახლა, დაუჯერებელია, რომ ის კვლავ წამოდგეს. როგორც ხედავთ, მას მაშინვე ინგლისს გამომგზავრება თვითონ არ შესძლებია, რათა იმ მახიდან გამოეხსენით, რომელშიც კინაღამ გაგაბეს. სწორედ ამის გამო მას უთხოვია მისტერ მეზონისთვის, იქ დრო აღარ დაეკარგა, რაც შეიძლება ჩქარა წამოსულიყო აქეთ და ყოველი ღონე ეხმარა ამ მაცდურობით მოწყობილი ქორწინების ჩასაშლელად. მან ის ჩემთან გამოგზავნა, რომ დავხმარებოდი. მეც ყოველი ღონე ვიხმარე ამ საქმის მოსაგვარებლად და ჩემი თავის მადლობელიცა ვარ, რომ არ დავაგვიანე. ეჭვი არ არის, თქვენც ასევე იქნებით გახარებული. დარწმუნებული რომ ვიყო, თქვენი ბიძა მისტერ მეზონის მადეირაში ჩასვლამდე არ გარდაიცვლება, გირჩევდით, გაჰყოლოდით მას, მაგრამ, ამ გამოუვალი მდგომარეობის გამო, უმჯობესია ინგლისში დარჩეთ, სანამ რამე ამბავს შეიტყობდეთ მისტერ ეარისგან ან რაიმე ცნობას მიიღებდეთ მასზე.

— კიდევ არის რაიმე საქმე ან ჩვენი დარჩენა აქ საჭიროა? — მიუბრუნდა ის მისტერ მეზონს.

— არა, არა, წავიდეთ, — მღელვარებით უპასუხა მან. აღარც კი დაუცდიათ, რომ მისტერ როჩესტერს გამოთხოვებოდნენ, ისე გაემართნენ სადარბაზო კარისკენ. მღვდელი ცოტა ხანს კიდევ დარჩა რამდენიმე სიტყვის სათქმელად. არ ვიცი, საყვედური უნდოდა ეთქვა თუ გაეკიცხა თავისი სამრევლოს ასეთი ქედმაღალი წარმომადგენელი. როდესაც ეს მოვალეობაც მოიხსნა, ისიც წავიდა.

ჩემს ოთახში დავბრუნდი. ნახევრად ღია კართან ვიდექი და მესმოდა, როგორ გაეცალა ისიც იქაურობას. სახლი დაცარიელდა. ჩავიკეტე. კარში სასწრაფოდ ურდული გავუყარე, რომ არავინ შემოსულიყო ან არავინ დამდევნებოდა. ჯერ კიდევ იმდენად მშვიდად ვიყავი, რომ არც ვტიროდი და არც ვწუხდი. ჩემდა უნებურად საქორწინო კაბა გავიხადე და ჩემი შალის კაბა ჩავიცვი, რომელზეც წინა დღეს გავიფიქრე, რომ უკანასკნელად მეცვა. მერე დავჯექი; სისუსტე და დაღლილობა ვიგრძენი; ხელები მაგიდაზე დავაწყვე, ზედ თავი დავაყრდნე და ახლა უკვე შემეძლო მეფიქრა. აქამდე მხოლოდ მესმოდა, ვხედავდი, ვმოძრაობდი, აქეთ-იქით დავყვებოდი, საითაც წამიყვანდნენ ან წამათრევდნენ;

თვალყურს ვადევნებდი, ერთი შემთხვევა როგორ მოსდევდა მეორეს, ან ერთი საიდუმლო როგორ ააშკარავებდა მეორეს; მაგრამ ახლა მხოლოდ ვფიქრობდი.

დილა საკმაოდ მშვიდი იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირე ხანს შეშლილთან შეხვედრის წუთებს. ეკლესიაში მთელმა ამ ამბავმა უხმაუროდ ჩაიარა. არც დიდი გრძნობათა ღელვა გამოუმჟღავნებია ვინმეს, არც ხმამაღალი ჩხუბი და ყვირილი ყოფილა, არც კამათი, აყალმაყალი, ქვითინი და ცრემლი. მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ითქვა სრულიად მშვიდად ჯვრისწერის საწინააღმდეგოდ და მისი შეუძლებლობის შესახებ. მისტერ როჩესტერმაც რამდენიმე შეკითხვა დასვა მოკლედ და უკმეხად, რასაც მოჰყვა პასუხი, ახსნაგანმარტება და მოწმეთა ჩვენებით დასაბუთება. ჩემმა პატრონმა გულწრფელად აღიარა სინამდვილე და შემდეგ ცოცხალი დამამტკიცებელი საბუთები გვიჩვენა თავისი სიტყვების დასადასტურებლად. ბოლოს, უცხო ადამიანები წავიდნენ და ყველაფერი დამთავრდა.

ჩვეულებრივ, ახლა ჩემს ოთახში ვიყავი სრულიად ისეთივე, როგორიც წინათ, თვალში საცემი არავითარი ცვლილება არ მომხდარა, არც სახელი გაუტეხია ჩემთვის ვინმეს, არც რაიმე ზიანი მოუყენებია, არც არაფერი დაუშავებია და, მაინც, სად იყო გუშინდელი ჯეინ ეარი? სად იყო მისი ცხოვრება და იმედები?

ჯეინ ეარი, იმედიანი ახალგაზრდა ქალი, რომელიც ასე გატაცებით ელოდა მომავალს, თითქმის მეუღლე, ახლა გულგაცივებულ და მარტოხელა არსებად ქცეულიყო. მისი ცხოვრება გაუფერულდა, იმედები კი დაემსხვრა. საშობაო ყინვა დაუდგა შუა ზაფხულში. დეკემბრის თეთრმა ქარიშხალმა წამოუქროლა ივნისში; ყინვამ მწიფე ვაშლები დააზრო; ნამქერმა იმსხვერპლა გაშლილი ვარდები; მინდვრებსა და ყანებს თეთრი სუდარა გადაეფარა; ორღობეები და გზის პირები, რომლებიც ჯერ კიდევ წინაღამეს ყვავილებით იყო მორთული, დღეს თოვლს დაუფარავს და ბილიკიც კი აღარსად ჩანს ამ გაუკვალავ ადგილებში. ტყეები კი, რომლებიც ამ თორმეტი საათის წინათ ფოთლებს აშრიალებდნენ და ისეთ სურნელს აფრქვევდნენ, როგორსაც ატეხილი ჭალები ტროპიკულ ქვეყნებში, ახლა დიდ მანძილზე გადაჭიმული, გაძარცული, გაველურებული და დათოვლილი ისე გამოიყურება, როგორც ფიჭვის ტყეები ზამთრობით, ნორვეგიაში. ყველა ჩემი იმედი ჩაკვდა. ის მტარვალმა ბედისწერამ ისევე განგმირა, როგორც განრისხებულმა ჰეროდემ ყველა პირველშობილი ბეთლემში. გადავხედე ჩემს სათაყვანო სურვილებს. ნაირფრად გაშლილნი, ჯერ კიდევ გუშინ ისინი ბრწყინვალე ფერებში მეხატებოდნენ. ახლა კი, გაყინულნი და უმოძრაოდ ქცეულნი, ჩემ თვალწინ ეყარნენ სისხლისგან დაცლილი გვამებივით, რომელთაც სასიცოცხლო ნიშანწყალი აღარასოდეს დაუბრუნდებათ. ჩავუკვირდი ჩემს სიყვარულს, გრძნობას, რომელიც ჩემს პატრონს ეკუთვნოდა და რომელიც მან გააღვივა; ის ისე თრთოდა და ცახცახებდა ჩემს გულში, როგორც ტანჯული ყრმა უპატრონო აკვანში. დაუძლურებული, მძიმე ნაღველს შეეპყრა; მისტერ როჩესტერის მკლავთა ხვევნას აღარ ესწრაფოდა და აღარც მისი მკერდის სითბოს გაზიარება შეეძლო. ოჰ, აღარასოდეს დაუბრუნდებოდა ეს გრძნობა მას, რადგან რწმენა დაიმსხვრა და ნდობა გაცამტვერდა! მისტერ როჩესტერი ის აღარ იყო ჩემთვის, რაც წინათ, რადგან ის არ აღმოჩნდა ისეთი, როგორიც მეგონა. მე არ ვაწერდი მას რაიმე მანკიერებას, არც იმის თქმა შემეძლო, რომ მან მიღალატა, მაგრამ გაქრა თვისება, რომელიც უმწიკვლო სიმართლეს ღაღადებდა მუდამ. ამიტომ უნდა გავცლოდი მას, ამაში ღრმად ვიყავი დარწმუნებული ახლა, მაგრამ როდის, როგორ ან საით, ეს ჯერ კიდევ ვერ გამერკვია. ეჭვი არ მეპარებოდა, თვითონაც აჩქარდებოდა, განვეშორებინე თორნფილდისთვის. ჩანდა, ნამდვილი გრძნობით მას არც შეეძლო ვყვარებოდი. ეს, ალბათ, მგზნებარე წამიერი გატაცება იყო, რომელიც მოულოდნელად, რაღაც დაბრკოლებათა გამო შეწყდა და ახლა, ალბათ, აღარც ვუნდოდი. მასთან შეხვედრაც კი შიშით მზარავდა ახლა. ალბათ, თვალით დასანახავადაც კი ვძულდი. ოჰ, თურმე, როგორ ბრმად შევცქეროდი ყოველივეს და რა უმწეო ვიყავი.

თვალები დახუჭული მქონდა, სიბნელე ჩამოწვა და მოშავო კვამლის ბოლქვებად დაცურავდა ჩემ გარშემო. შავი ფიქრები გულს შემომაწვა და ნიაღვარივით აიარია. თავდავიწყებამდე მისულს, დაუძლურებულსა და სულ მთლად ღონემიხდილს ისე მეჩვენებოდა, თითქოს დამშრალი, დიდი მდინარის ფსკერზე ვიწექი; მესმოდა, შორეული მთებიდან როგორ მოისწრაფოდა თავაწყვეტილი ნიაღვარი; ვგრძნობდი, როგორ მიახლოვდებოდა ის და ადგომის სურვილიც კი არ გამაჩნდა. გაქცევის ძალა არ შემწევდა. ვიწექი გულწასული და სიკვდილს ვნატრობდი. მხოლოდ ერთი ფიქრიღა თრთოდა ჩემს სხეულში, მასლა შერჩენოდა ოდნავი სასიცოცხლო ძალა. ეს იყო ღვთის ხსოვნა, ის წარმოუთქმელ ლოცვებში გაცოცხლდა. ლოცვის სიტყვები ჩემს დაბნელებულ გონებაში აქეთ-იქით დაქროდა. მინდოდა, ჩურჩულით მაინც წარმომეთქვა, მაგრამ ძალა არ მყოფნიდა.

— ნუ წახვალ ჩემგან შორს, თორემ ტანჯვა მიახლოვდება და არავინ არის, რომ მომეშველოს.

ის სულ ახლოს იყო და, რადგან მე ვერ შევევედრე ზეცას, რომ აეშორებინა ის ჩემთვის, ვერც ხელები დავიკრიბე გულზე, ვერც მუხლი მოვიყარე მის წინაშე და ვერც ბაგე გავხსენი. ის თავს დამატყდა. ადიდებულმა, ძლიერმა ნიაღვარმა გადამიარა. მთელი ჩემი განწირული ცხოვრების მწარე შეგნება, ჩემი დაკარგული სიყვარული, სამუდამოდ ჩამქრალი იმედები და დასამარებული რწმენა, თავისი საშინელი ძალით, პირქუშობითა და ვარამით, თავს დამატყდა. ამ უმძიმესი წუთების აღწერაც კი შეუძლებელია. სინამდვილეში, ამ ღვართქაფმა სულში ჩაიარა; გაუვალ ლაფში ჩავეფალი; ვგრძნობდი, რომ ველარც ავდგებოდი; უფრო და უფრო ვიძირებოდი, დაბოლოს, წარღვნამ წამლეკა კიდეც.

## თავი ოცდამეშვიდე

ვინ იცის როდის, როდესაც საღამო მოახლოვდა, თავი ავწიე და გარშემო მიმოვიხედე. დავინახე, მზე დასავლეთით გადაწვერილიყო და მისი სხივები კედელს ოქროს ვარაყად შემოვლებოდა. ჩემს თავს შევეკითხე:

— რა უნდა ვქნა ახლა?

გონებამ კი ასეთი პასუხი გასცა: დაუყოვნებლივ დატოვე თორნფილდი! — ეს სიტყვები ისეთი ბრძანებით მიკარნახა და იმდენად შემაძრწუნებლად, მეტი აღარაფრის გაგონება აღარ მინდოდა. — არ შემიძლია ამ სიტყვების ატანა ახლა, — ვუპასუხე მე, — ედვარდ როჩესტერის მეუღლე რომ აღარა ვარ, ეს ჩემთვის არც ისეთი მძიმე ნაღველია, — ვუმტკიცებდი მას.

დაე, უმშვენიერესი სიზმრიდან გამღვიძებოდა და დავრწმუნებულიყავი, რომ ყოველივე მხოლოდ არარაობა და ცდუნება იყო. რასაკვირველია, ეს საშინელება იქნებოდა, მაგრამ შემეძლო ყველაფერი გადამეტანა და თავი ხელში ამეყვანა. ის კი, რომ უკვე გადაწყვეტილი იყო, დაუყოვნებლივ და სამუდამოდ დამეტოვებინა მისტერ როჩესტერი, ყოვლად აუტანლად მიმაჩნდა. მე არ ძალმიძდა ეს.

მაგრამ შინაგანი ხმა მიმტკიცებდა, რომ შემეძლო ეს, და მიწინასწარმეტყველებდა კიდეც, რომ ასეც მოვიქცეოდი. საკუთარ გადაწყვეტილებას შევებრძოლე. მინდოდა, უძლური აღმოვჩენილიყავი და ამერიდებინა საშინელი განსაცდელი, რომელიც ჩემ წინ აღმართულიყო. ბედი მომავალში კიდევ უფრო აუტანელ ტანჯვა-წამებას მიქადდა, მაგრამ გულქვა გონება ამ ფიქრს მაშინვე ყელში სწვდა, მოახრჩო და თანაც გამქირდავად ჩასძახა: — მას მხოლოდ ახლა ჩაუცდა ფეხი გაუვალ ჭაობში და ვფიცავ, ჩემი რკინისებური მკლავით მოვახერხებ და ტანჯვა-წამების უძირო უფსკრულში გადავჩეხავო.

— დაე, სხვებმა გამომგლიჯონ მისი ხელიდან მაშინ! — წამოვიყვირე მე. — დაე, სხვა მომეხმაროს!

— არა, ამ სულიერ წამებას შენ თვითონ გადაიტან, არავინ დაგეხმარება, შენ თვითონ ამოითხრი მარჯვენა თვალს და შენ თვითონვე მოიჭრი მარჯვენა ხელსაც. შენს გულს სამსხვერპლოზე მიიტან, შენვე იქნები მოძღვარი და დამსჯელი მისი.

უცებ ადგილიდან წამოვიჭერი, რომ ამ საშინელ სიმარტოვეს გავცლოდი, რომელშიც ეს უგულო მოსამართლე თან მდევდა, ვეღარც იქ გამეფებულ მდუმარებას ვუძლებდი, სადაც მისი საზარელი ხმა გაისმა და ახლა იქაურობას ავსებდა. როგორც კი წელში გავსწორდი, თავბრუ დამესხა. მივხვდი, რომ მთელი დღის მღელვარებისა და უჭმელობისგან მთლად დაუძლურებული ვიყავი. არც საჭმელი და არც სასმელი იმ დღეს ჩემს პირს არ გაჰკარებია. დილითაც ხომ საუზმე არ მინდოდა და ხელი ვერაფერს ვახლე. ახლა მძიმე სევდა მარწუხივით მიჭერდა გულზე და ვფიქრობდი: აი, რა დიდხანს ვიყავი ჩაკეტილი ოთახში და ჩემი ამბის გაგებაც კი არავის მოსურვებია, აღარც დაბლა მეძახდნენ. პატარა ადელსაც კი არ მოუკაკუნებია კარზე, არც მისის ფეირფექსს მოვუძებნივარ. მეგობრებს ყოველთვის ავიწყდებათ ისინი, ვისაც ბედი გაწირავს, — ჩავიჩურჩულე ჩემთვის; ურდული გამოვწიე, კარი გამოვაღე და გარეთ გამოვედი. რაღაცას გადავაწყდი; თავბრუ ისევ მესხმოდა; თვალთ მიბნელდებოდა, მთელი სხეული მოდუნებული მქონდა; ძალა ვეღარ მოვიკრიბე და წავიქეცი, მაგრამ მიწაზე კი არა, ვიღაცის გამოწვდილმა ხელმა დამიჭირა. ავიხედე მაღლა და შევამჩნიე, რომ მისტერ როჩესტერის მკლავებზე ვესვენე, რომელიც ჩემი ოთახის ზღურბლთან, სკამზე იჯდა.

— როგორც იქნა, გამოხვედი, — მითხრა მან. — ძალიან დიდი ხანია გიცდი მოყურადებული. მაგრამ არც ქვითინისა და არც ოდნავი მოძრაობის ხმაც კი არ გამიგონია. ხუთ წუთს კიდევ თუ ავიტანდი ამ სამარისებურ სიჩუმეს და მერე კი ყაჩაღივით უნდა შემომემტვრია კარი. ასე რომ მარიდებ თავს, გამოიკეტე ოთახში და მარტოდმარტო ეძლევი მწუხარებას! უმჯობესი იყო, მოსულიყავი და ჩემ წინ გამოგეთქვა საყვედური და გულისწყრომა. ვიცი, რომ ფიცხი ხარ, ველოდი, სცენას გამიმართავდი. მეგონა, ცხარე და შეუწყვეტელი ცრემლთა დენის მოწმე შევიქნებოდი და ვემზადებოდი, მინდოდა, ის ცრემლი ჩემს მკერდზე დაღვრილიყო, ისინი კი ამ უსულო იატაკსა და მაგ ცხვირსახოცზე დაიღვარა. მაგრამ მოიცა, მე მგონი, ვცდები, შენ სულაც არ გიტირია. ვხედავ შენს გაფითრებულ სახეს და სხივჩამქრალ თვალებს, მაგრამ მათ ცრემლის კვალი არ ემჩნევათ. ნუთუ შენმა გულმა დაანთხია სისხლის ცრემლები? კეთილი, ჯეინ, ნუთუ, ერთ სიტყვასაც არ მეუბნები საყვედურით, არაფერს მწარესა და გესლიანს? არაფრით გსურს დამიფლითო გრძნობა, შხამიანი ისარი მიჩხვლიტო და გამახელო? შენ ზიხარ იქ, სადაც მე დაგსვი და მიყურებ დაღლილი და უსიცოცხლო გამომეტყველებით. ჯეინ, არასოდეს გამივლია ფიქრად, ასეთი ჭრილობა მომეყენებინა შენთვის. თუ რომელიმე ადამიანს ჰყოლია ერთადერთი პაწაწინა კრავი, რომელიც ისეთივე უძვირფასესი ყოფილა მისთვის, როგორც საკუთარი ქალიშვილი, რომელსაც ის საკუთარი ჯამიდან აჭმევდა, ასმევდა და საკუთარ მკერდზე აძინებდა, ხოლო მერე კი, რაღაც შეცდომის გამო, სასაკლაოზე თვითონვე დაღვარა მისი სისხლი, ალბათ, ისიც ვერ შეძლებდა თავისი გამოუსწორებელი შეცდომა ისე მძიმედ მოენანიებინა, როგორც მე ვინანიებ ახლა. შეგიძლია, ოდესმე მაპატიო, ჯეინ?

მკითხველო, მე იმწუთასვე, იქვე ვაპატიე მას ყოველივე. მის თვალებში ისეთი სინდისის ქენჯნა ვიხილე, მის ხმაში ისეთი მწუხარება ისმოდა, ყოველ მის მოქმედებაში იმდენი ვაჟკაცური ძალა, მის გამოხედვასა და მთელ მის გარეგნობაში კი იმდენად უცვლელი სიყვარული, რომ ყველაფერი მაშინვე ვაპატიე. მაგრამ ეს უსიტყვოდ, მდუმარედ მოხდა მხოლოდ ჩემი გულის სიღრმეში.

— შენ ახლა იცი, რომ მე არამზადა ვარ, ჯეინ, არა? — მკითხა მან სწრაფად, დაინტერესებულმა და ჩაფიქრებულმა, ვფიქრობ, ჩემი დაუსრულებელი დუმი-

ლითა და მორჩილებით შეშფოთებულმა, რომელიც სისუსტით უფრო აიხსნებოდა, ვიდრე სურვილით, ხმა არ ამომელო.

— დიახ, სერ.

— მაშინ გულახდილად და მოურიდებლად მითხარი ყველაფერი, ნუ შემიბრალებ.

— არ შემიძლია, დაღლილი ვარ და ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს. თუ შეიძლება, წყალი მომაწოდეთ.

მან თრთოლით ამოიკვნესა, ხელში ამიყვანა და ქვედა სართულისკენ გაეშურა. ჩემს ბინდგადაკრულ თვალებში ყველაფერი ისე იყო ბურუსით მოცული, რომ პირველად ვერც ვიცანი, რომელ ოთახში შემიყვანა. უცებ ცეცხლის მაცოცხლებელი სითბო ვიგრძენი, მიუხედავად იმისა, რომ ზაფხული იყო, ჩემს ოთახში მთლად გავყინულიყავი. მან ჭიქით ტუჩებთან ღვინო მომიტანა. სულ რამდენიმე წვეთი გავსინჯე და უკეთესობა ვიგრძენი. მერე, რაც საჭმელი შემომთავაზა, უარი არ მითქვამს და მალე სულ გამოვკეთდი. ახლა შევამჩნიე, რომ ბიბლიოთეკაში, მის სავარძელში ვიჯექი. ისიც ჩემთან ახლოს იყო. — ოჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ სწორედ ახლა, ამ წუთებში, უწამებლად და უმტკივნეულოდ განვშორებოდი ამ ქვეყანას, — გავიფიქრე ჩემთვის, მაშინ აღარ მომიხდებოდა ასეთი ძალით დამეწყვიტა ჩემი გულის სიმები მისტერ როჩესტერთან განშორებისას. მაინც, როგორც ჩანს, მე უნდა განვშორდე მას, მაგრამ მე არ მინდა მისი დატოვება და არც მისი განშორება შემიძლია.

— ახლა როგორ ხარ, ჯეინ?

— ბევრად უკეთესად, სერ, მალე სულ კარგად ვიქნები.

— ღვინო კიდევ მოსვი, ჯეინ.

დავემორჩილე. შემდეგ მან ჭიქა მაგიდაზე დადგა, ჩემ წინ გაჩერდა და ყურადღებით დამაკვირდა. უცებ შეტრიალდა, რაღაც გაურკვევლად წამოიძახა, რომელიც, მე მგონი, ფარული ვნებათაღელვით უფრო იყო სავსე. ოთახში სწრაფად ჩაიარა და უკანვე მობრუნდა. ისე გადმოიხარა ჩემკენ, თითქოს კოცნა უნდოდა, მაგრამ გამახსენდა, რომ მისი ალერსი ჩემთვის უკვე აკრძალული იყო და მისი სახე ხელით ავირიდე.

— როგორ! რატომ მექცევი ასე? — წამოიძახა მან სწრაფად. — ოჰ, მივხვდი. შენ არ აკოცებ ბერთა მეზონის ქმარს. შენ ფიქრობ, რომ ჩემი ხვევნა და ალერსიც სხვისთვის არის განკუთვნილი.

— ყოველ შემთხვევაში, ისინი მე არ მეკუთვნის, სერ, და არც რაიმე უფლება მაქვს მათზე.

— რატომ, ჯეინ? ახლა შეგიბრალებ და თავიდან აგაცილებ გასაჭირს, რომ ბევრი არ ილაპარაკო, შენ მაგივრად მე ვუპასუხებ: იმიტომ, რომ მე უკვე მყავს ცოლი. ასე მიპასუხებდი, არა? ხომ სწორად მივხვდი?

— დიახ.

— თუ ასე ფიქრობ, ძალიან უცნაური წარმოდგენა გქონია ჩემზე. მაშინ შენ მე მთვლი ცბიერ ოინბაზად, გარყვნილ ადამიანად, საზიზღარ და ყოვლად დამცირებულ კაცად, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს, უანგარო სიყვარულში დაგარწმუნოს, რათა ადვილად გაგაბას ცდუნებით დაგებულ მახეში, წაგგლიჯოს ქალური უმანკოება, სინდისი და გაგძარცვოს მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისა და განცხრომისთვის. რას იტყვი ამაზე? როგორც ვხედავ, აღარაფერი შეგიძლია მიპასუხო. პირველ ყოვლისა, ჯერ კიდევ ძალიან სუსტადა ხარ და ძლივს სუნთქავ, მეორე მხრივ კი, ჯერ არა ხარ მიჩვეული, რომ ბრალი დამდო და გამკიცხო, გარდა ამისა, უკვე სატირლადაც ემზადები: ვიცი, თუ ბევრს ილაპარაკებ, ღაპაღუპით წასკდება ცრემლი. მაგრამ გატყობ, მაინც არ გსურს საყვედურით ამავსო, შეურაცხყოფა მომაყენო და სცენა მომიწყო. შენ ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობ, როგორ მოიქცე; საუბარს უმიზნოდ თვლი; მე შენ გიცნობ და ფხიზლადაც ვარ.

— სერ, მე არ მსურს თქვენს საწინააღმდეგოდ მოვიქცე, — ვუთხარი მე და ჩემმა მთრთოლარე ხმამ მაგრძნობინა, რომ წინადადება უნდა შემემოკლებინა.

— შენს გონებაში არა, მაგრამ ჩემსაში კი შენი გეგმები მე მოსპობას მიქადის. როგორც ვიცი, იმის თქმა გინდა, რომ მე ცოლიანი კაცი ვარ და, ყველანაირად შეეცდები, რომ მომერიდო, როგორც ცოლიან მამაკაცს, გზიდან ჩამომეცლები. აი, სწორედ ამიტომ თქვი უარი, რომ გეკოცნა ჩემთვის. შენ გინდა სრულიად უცხო ადამიანად იქცე; იცხოვრო ამ ჭერქვეშ, როგორც მხოლოდ ადელის აღმზრდელმა და, თუ ოდესმე საალერსო სიტყვა დამცდა, ან შენ თვითონ მოგიზიდა წინანდელმა სითბომ ჩემკენ, მაშინვე იმას იტყვი: ამ კაცმა კინაღამ თავის საყვარლად მაქცია და კლდედ და ყინულად უნდა აღვიმართო მის წინაშეო, და შენ მართლა კლდედ და ყინულად გადაიქცევი.

ხმა გავიმაგრე, რომ მეც მეპასუხა:

— ჩემ გარშემო ყველაფერი შეიცვალა, სერ, და მეც უნდა გამოვიცვალო. ამაში ეჭვის შეტანაც არ შეიძლება. თავიდან რომ ავიშორო გრძნობათა ასეთი მერყეობა და, ამასთანავე, ეს დაუსრულებელი ჭიდილი მოგონებებსა და საკუთარი გულის ძახილს შორის, მხოლოდ ერთი გზა არსებობს: ადელს სხვა აღმზრდელი უნდა ჰყავდეს, სერ.

— ოჰ, ადელი სკოლაში უნდა გავგზავნოთ, ყველაფერი უკვე მოვაწესრიგე. მე თვითონ სრულიადაც არ მინდა გაწამო იმ საშინელი მოგონებებით, რომელიც თორნფილდთან გაკავშირებდა. ეს დაწყევლილი ადგილია, აჩენის თავშესაფარი[1], საზიზღარი აკლდამა, სადაც ხორცშესხმული სიკვდილის შავბნელი აჩრდილი გაშლილი ცის ნათელს შეღალადებს. ეს ქვის ჯოჯოხეთია, რომელსაც ერთი ბოროტი სული დაჰპატრონებია, რომელიც ადამიანის წარმოდგენით შექმნილ აურაცხელ ბოროტ სულზე ბევრად უარესია.

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***

---

***1 ბიბლიის მიხედვით, აჩენმა თავის ხალხს ღვთის გულისწყრომა დაატეხა თავს, რადგან მტრის ბანაკიდან წამოღებული ნადავლი საკუთარ თავშესაფარში დამალა.***

# ბელგიურ შოკოლადზე უფრო გემრიელი

## საქართველოს „არალეგალური ელჩი“

როლანდ ხოჯანაშვილი

XX საუკუნის 90-იან წლებში ბევრმა ქართველმა სამშობლო დატოვა. ანა ბალამწარაშვილი ერთ-ერთი ემიგრანტია, რომელსაც არასდროს ავიწყდება, ვისი „გორისაა“. ქალბატონი ანა პროფესიით პედაგოგია. დიდი შრომისმოყვარეობის ხარჯზე, უცხოეთში წარმატებული გახდა. თუმცა, ერთი რამ აქვს სადარდელი: არ უნდა, რომ სამშობლოში დაბრუნების დრო გამოეპაროს.

ანას ბელგიაში პედაგოგიური განათლება ბევრად არ გამოადგებოდა, ამიტომ სამართალმცოდნისა და ნიდერლანდური ენის სპეციალისტის ხარისხები ბელგიურ უნივერსიტეტებში სწავლით დაიმსახურა. უდავოა, რომ ევროპაში აფასებენ გონიერ ადამიანს. ანას მიენიჭა ნაფიცი თარჯიმნის სტატუსი და სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა, მათ შორის, სამეფო პროკურატურაში, სასამართლოში, გენერალურ კომისარიატში.



არ უნდა, რომ სამშობლოში დაბრუნების დრო გამოეპაროს

ქალის მთავარი მისია, როგორი წარმატებულიც უნდა იყოს საზოგადოებრივ ასპარეზზე, მაინც მეუღლეობა და დედობაა. მეუღლესთან, მერაბ მანდარიასთან ერთად, ანამ სამი შვილი გაზარდა. ვაჟიშვილი — ზურაბი ბიზნესმენია. ის კვირაში ერთ დღეს — ოთხშაბათს საქართველოს დღედ აცხადებს და ევროპელებს სამშობლოს აცნობს. ელენე სტუდენტია და აქტიურად მისდევს სპორტს (18 წლამდე ასაკის გოგონათა კალათბურთის საქართველოს ნაკრების წევრია), ხოლო ნატალი მომავალი რეჟისორი გახლავთ.

„სამშობლო“ ანასთვის ლიტონი სიტყვა არასდროს ყოფილა. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს საქართველოში იმყოფებოდა და შეესწრო გორზე დატეხილი ომის ქარცეცხლს (ანას გვარი წარმოშობით გორის სოფელ აძვიდანაა). ომის დასრულებისთანავე, ბელგიელი სამეგობროს დახმარებით, ჰუმანიტარული ტვირთი შეაგროვა და საკუთარი ხელით დაარიგა აძვსა და მეჯვრისხევში. იმედს არ კარგავს, რომ ოდესმე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება და ბელგიურ შოკოლადზე უფრო ტკბილ სამშობლოში სრული ჰარმონია დაისადგურებს.

იმის ჩამოთვლა, თუ რას აკეთებს ანა სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და მოხუცებისათვის, შორს წაგვიყვანს. ალბათ, ისიც საგულისხმოა, რომ ჩვენი წერილის გმირს ჯიუტად სჯერა: საქართველოშიც დადგება ის დრო, როცა მოხუცები და ბავშვები ისე იცხოვრებენ, როგორც ცხოვრობენ ბელგიაში.

როგორი იყო ანას ცხოვრება ემიგრაციამდე? — თავად ლაღად ჰყვება ყველაზე ლამაზ და სევდიან სკოლამდელ ასაკზე: „ჩემი ცხოვრება დაბადების დღიდან უცნაურად დაიწყო. ბიჭს ელოდნენ, მაგრამ გოგონა დაიბადა. „ოქროსქოჩრიანი ბიჭის“ მომლოდინე მშობლები იმ დროს ისევ სწავლობდნენ. დედა სტუდენტი იყო, მამა სწავლის პარალელურად, მუშაობდა. ჩემი გაზრდა ბებიამ (დედის მხრიდან), პაპამ, დეიდამ და ბიძამ იტვირთეს. ამბობენ, კარგი ბავშვი იყავიო. გავიზარდე ბოლნისის რაიონში. ყველაფერს პირველს იქ ვეზიარე, მათ შორის — პირველ ჭიქა მაჭარსაც. ბებია დედაც იყო ჩემთვის. მკაცრი და უზომოდ მოსიყვარულე პაპა მიხეილი მაღალი, მხარბეჭიანი, დიდი ლამაზი ხელებით, სამამულო ომის ვეტერანი და უამრავი ჯილდოს მფლობელი, გეოლოგი გახლდათ. პირველად მან მაჩვენა კაზრეთის ოქროს საბადოები. მაშინ ის ბრჭყიალა ქვები მანათობელი ვარსკვლავები მეგონა იმ ზღაპრიდან, ძილის წინ ბებია რომ მიყვებოდა... იმ დროს დეიდა გასათხოვარი იყო, ბიძა — უცოლო და მე — მათი „გასართობი“ ქერა, კულულებიანი გოგონა, რომელიც დღესაც იმ შეგრძნებებითა და მოგონებებით ცხოვრობს. როცა სკოლის ასაკის გავხდი, თბილისში გადავბარგდი. სახლში დამხვდა გაბუშტული, ლამაზი თოჯინა დიდი შავი თვალებით, კუნაპეტივით კულულებიანი თმით. აღმოჩნდა, რომ

ეს თოჯინა ჩემი და იყო. შემდეგ უკვე დედამ ორი ერთნაირი, მჩხავანა ბავშვიც მოიყვანა: ტყუპი ძმა.



ანა არ მალავს, რომ სიყვარულში გაუმართლა

ერთხელაც, მომინდა უფროსი დის როლი მომერგო და ორივე ერთად ავიყვანე ხელში. ამომიტრიალდნენ და „დამიცვივდნენ“. სასწრაფოდ „ავკრიფე“. მერე ეს ტირილისგან გადაბჟირებული არსებები დავაწვინე საწოლზე და კივილით გავიქეცი დედასთან: მგონი, შიათ-მეთქი. დედა ყველაფერს მიხვდა და დამტუქსა. მეწყინა! სხვათა შორის, ასე მტუქსავს დედა დღემდე... ისე, თბილისში ორი დამცველი რაიონიდანვე გამომყვა: დეიდა და ბიძა ჩემთან ერთად წამოვიდნენ თბილისში. აბა, ჩემს თავს ჩემსავე მშობლებს როგორ „ანდობდნენ“ ასე ადვილად?!.“

სკოლის ასაკს რომ მიაღწია, კულულებიანი გოგონა კიკინებიან ანად გადაიქცა, რომელსაც თმაზე დიდი ბაფთები ეკეთა.

„პირველ კლასში დამსვეს ერთ ძალზე მსუქან, მაგრამ საყვარლად მომზირალ წითელლოყება ბიჭის გვერდით, რომელიც დღემდე ჩემი საუკეთესო მეგობარია. სწავლის დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ჩემმა საყვარელმა პირველმა მასწავლებელმა, იზოლდა მიქელაძემ გამოაცხადა, რომ მე მნიშნავდა კლასის ორგანიზატორად...

როცა მესამე კლასში ვიყავი, მივადექი სამასწავლებლოს, იქ რას ვხედავ, ხელჩართული ბრძოლაა ორ სიმპათიურ ყმაწვილს შორის; ორივე ჩემი კლასელია, ორივე ქერაა და ცისფერთვალება! მასწავლებლის შეკითხვაზე, თუ რა აჩხუბებდათ? — ხმაშეწყობილად გასცეს პასუხი: ორივეს ანა გვიყვარს და არ ვიცით, ვის აარჩევსო!

პირველად როდის გაწითლდიო? — რომ მკითხონ, ამ ამბავს გავიხსენებ...“

ამბობენ, რომ სოციალიზმის დროს ყველაზე ტკბილი პერიოდი ბრეჟნევის მმართველობის დროს იყო (თუ არ ჩავთვლით ავღანეთში საბჭოური ჯარების შეყვანას). ჩემს მახსოვრობას შემორჩა სატელევიზიო გადაცემა, თუ როგორ ჩაუშვეს საფლავში ბრეჟნევის ცხედარი, ანა კი ამ ამბავს ასე იხსენებს:

„ბრეჟნევი გარდაიცვალა! — შემოვიდა ნუნუ მასწავლებელი კლასში და გვამცნო. აქვითინდა მთელი კლასი, რადგან ყველა ბავშვის „ოცნებები“ ბიძია ლიონიას უკავშირდებოდა. მოგეხსენებათ, რას ნიშნავს ოცნების დამსხვრევა! ახლა რომ გვახსენდება ის დღე, გულიანად ვხარხარებთ მე და ნუნუ მასწავლებელი. გაფრინდა ბავშვობა, რომლის ჩასაკეტად გალია ვერ ვიშოვეთ...“

ცალკე თემაა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის წლები ანასთვის:

„1989 წელი, სუნთქვა და შეგრძნება იმისა, რომ თან დიდი ხარ და თან იბრძვი იდეისთვის, რომელსაც სამშობლოს თავისუფლება ჰქვია! ტანკები, სისხლი, მიცვალებულები, იმედგაცრუება, მაგრამ ბრძოლის ჟინი! 9 აპრილს მოვიწამლე და დედაც დავტანჯე, მაგრამ არ უკითხავს, რატომ ან როდის შეგიყვარდა ასე სამშობლოო?! მითხრა: 18 წლის ხარ, ახლა უფრო მეტი მოგეთხოვება, შენი და-ძმები შენგან იღებენ მაგალითსო და ა.შ. მინდოდა თუ არა, უნდა გავზრდილიყავი და უმაღლესში ჩაბარების ციებცხელება გადამეტანა. სტუდენტი გავხდი, მაგრამ მოვინდომე უფრო მეტი — მე ხომ ბავშვობიდან ორგანიზატორი ვიყავი! გამოვაცხადე, „საღამოს“ ფაკულტეტზე უნდა ვისწავლო, თან ვიმუშავებ, ჩემი ფული მინდა მქონდეს-მეთქი“.

ანა არ მალავს, რომ სიყვარულში გაუმართლა და სანიმუშო ოჯახი შექმნა. როცა ემიგრაციის დაუნდობელი ქარი გულს მოუნდომებს გაცივებას, ამ დროს ანას მეუღლის იმედი აქვს. ცოლ-ქმარი გაექცა ომს, უდენობას, უიმედობას, სიბნელეს და მზისქვეშეთში ადგილის დასამკვიდრებლად ბევრი ძალა დახარჯა:

„ძნელია, იპოვო შენი თავი უცხო ქვეყანაში. როცა მეკითხებიან: „რომელი ქვეყნის მოქალაქე ხარ?“ ყველასთვის გასაგონად ვამბობ: Georgi! მე თავი ამოვყავი დალაგებულ, დავარცხნილ, აშენებულ ქვეყანაში და ვფიქრობდი, დროში დავიკარგე-მეთქი. აქ დავიმორცხვე, განა იმიტომ, რომ იმ ქვეყნის შვილი ვიყავი, ვისაც არ მისცეს საშუალება, როცა უნდოდა ეტირა და როცა უნდოდა — ეცინა! იმიტომ დავიმორცხვე, რომ არ იცოდნენ ჩემი ლამაზი, დატანჯული ქვეყნის შესახებ. გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, გამეცნო მათთვის საქართველო!“

ანამ მოახერხა და მიზანს მიაღწია! ახლა ბელგიელები ამაყობენ ანას ოჯახთან ახლობლობით. მას უკვე აქვს „ბელგიაში საქართველოს არალეგალური ელჩის“ სტატუსი და სადარდელი ეგებ „აქეთ“ გვქონდეს, თუ ანას სამშობლოში დაბრუნების დრო გამოეპარა... ■



დავიმორცხვე, რომ არ იცოდნენ ჩემი ლამაზი, დატანჯული ქვეყნის შესახებ

# სულის დეპრესია

## „შეუძლებელია, იყო პიროვნება, თუ იზოლირებული და მარტოსული ხარ“



**ოჯახის შექმნა ის საკითხია, რომელიც ადვილი გადასაწყვეტი სულაც არ არის, მით უმეტეს, მასობრივი უმუშევრობის ფონზე, მაგრამ ზოგიერთი მაინც რისკავს, ოჯახს ქმნის და თავისებურად ზრუნავს ერის გამრავლებაზე. ამბობენ, რომ ბოლო დროს ქორწინებებმა იმატა კიდეც. თუმცა, ქუთაისელი კუკური აბულაძის თქმით, სიტუაცია საგანგაშოა და ქვეყანაში მარტოობის ეპიდემია თვალში საცემია. ცოტა ხნის წინ, მან წერილი გამოგვიგზავნა, სადაც სახელმწიფოს სთხოვს, მარტოხელა ადამიანებისთვის შეიქმნას რაიმე სახის დაწესებულება, სადაც ისინი საკუთარი მეორე ნახევრის პოვნას შეძლებენ და შექმნიან ღირსეულ ქართულ ტრადიციულ ოჯახს.**

ლიკა ქაჯაია

„პრობლემური საკითხით დაინტერესებულ მრავალრიცხოვან პირთა სახელითა და მათივე დაკვეთით, თქვენდამი პატივისცემით განმსჭვალული პედაგოგი, ისტორიკოსი და საზოგადოებათმცოდნე კუკური აბულაძე გწერთ ამ წერილს, ქალაქ ქუთაისიდან“ (სტილი დაცულია):

„მოგესალმებით ჟურნალ „გზის“ კოლექტივს, ხალხის ინტერესების ობიექტურ გამომხატველს! დიდი ხანია, თქვენი ჟურნალის მკითხველი ვარ. მომწონს ყველა რუბრიკა, განსაკუთრებით კი საუბრები ამა თუ იმ სახის პრობლემაზე. როდესაც ჟურნალ „გზის“ ბოლო ნომერი გადავფურცლე და გავეცანი სტატიას — „გაუთხოვარი ქალბატონის სატკივარი“, მომინდა, მარტოობის მეტად მტკივნეული პრობლემის შესახებ მეც, კიდევ ერთხელ მესაუბრა. ეს ის თემაა, რომელზეც 5 წლის წინ ვწერდი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში, მაგრამ ყურადღებას არავინ მაქცევდა. არადა, დრომ თავისი გაიტანა და ეს პრობლემა დღესაც აქტუალურია. ადამიანთა მარტოობა, ეს არის სულისა და ხორცის ტკივილი.

2014 წელს ქუთათურთა სახელით, ჩემი წერილი თქვენს ჟურნალშიც დაიბეჭდა, მაგრამ სამწუხაროდ, ამ წერილს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ქუთაისის ადგილობრივი ხელისუფლება პრობლემას მხოლოდ ღიმილით უსმენს.

მოგეხსენებათ, რომ ქვეყანაში უამრავი გადაუჭრელი პრობლემა დაგროვდა. ამ პრობლემების ერთბაშად გადაჭრა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ თანდათანობით კი შესაძლებელი გახდება. საჭიროა მხოლოდ საზოგადოების ყურადღება და კონკრეტული საქმის მოსაგვარებლად ინტერესი გამოიჩინონ.

> არსებობს საფრთხე, რომ მალე საკუთარ ქვეყანაში ქართველები უმცირესობაში აღმოვჩნდებით

მართალია, XXI საუკუნეში ვცხოვრობთ, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს: პრობლემები ყოველთვის იყო, არის და მომავალშიც იქნება. მრავალრიცხოვან პრობლემათა შორის, მსურს ერთ-ერთ მწვავე, თითქოს და შეუმჩნეველ, ზოგისთვის კი სასაცილო თემაზე გავამახვილო ყურადღება. იმ თემაზე, რომელზეც ხმამაღლა და თამამად ლაპარაკს ადამიანები ერიდებიან. არადა, თანამედროვე საზოგადოებაში მარტოობის ეპიდემიის ნიშნები უკვე ადვილად შესამჩნევია. მართალია, თქვენი ჟურნალი ნაწილობრივ ეხმიანება ამ საკითხს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, ნებისმიერი საქმე ბოლომდე უნდა იქნეს მიყვანილი.

სტატისტიკის თანახმად, არსებობს საფრთხე, რომ მალე საკუთარ ქვეყანაში ქართველები უმცირესობაში აღმოვჩნდებით. სოციოლოგებისთვის საგანგაშოდ თვალში საცემია, რომ ქართველები, სხვა ეთნოსებთან შედარებით, თითქმის არ ვმრავლდებით. ადამიანებს სხვადასხვა მიზეზის გამო უჭირთ დაქორწინება. დემოგრაფიულ პრობლემებთან ბრძოლის პროგრამებს ნებისმიერ სახელმწიფოში ადგენს და ახორციელებს ხელისუფლება. იქმნება საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოძრაობები. მოგეხსენებათ, რომ უკანასკნელი ოცწლეულის განმავლობაში, საქართველოში ცნობილი მოვლენების გამო, მრავალი ქართული ოჯახი დაინგრა. ადამიანები დარჩნენ მარტოხელებად და მარტოსულებად, ყოველგვარი იმედის გარეშე. მარტოობა კი რასაც ნიშნავს, ჩვენზე უკეთესად მოგეხსენებათ — ეს არის სულის დეპრესია, ხვალინდელი დღის უიმედობა და უპერსპექტივობა. ხალხი ყველგანაა, მაგრამ შენ გვერდით არავინ არის. გავიხსენოთ დიდი ბარათაშვილის სიტყვები: „საბრალოა მხოლოდ სულით ობოლი, ძნელად ჰპოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი“. ხალხსაც კი აქვს ასეთი გამონათქვამი: „მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალია“. შეუძლებელია, იყო პიროვნება, თუ იზოლირებული და მარტოსული ხარ. მიწიერ ცხოვრებაში ოჯახურ სითბოსა და სიყვარულზე უფრო დიდი სიხარული არ არსებობს.

ამ პრობლემური საკითხით დაინტერესებულ ადამიანთა გამოკითხვის შედეგად, უამრავ მარტოხელად დარჩენილ ადამიანს სურვილი აქვს, პირველად ან ხელახლა შექმ-

ნას ოჯახი, მაგრამ ამას ხმამაღლა და ოფიციალურად ვერ ამბობენ, ისევ ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე. ჟურნალებში გამოქვეყნებული განცხადებები კი ბევრი ვერაფრის მომტანია და თანაც, არასერიოზულია — ყოველმხრივ ჩამოყალიბებული, ასაკოვანი ადამიანებისათვის, ვისაც მარტოობის გამო ნამდვილი ქართული ოჯახის შექმნა სურს.



მიწიერ ცხოვრებაში ოჯახურ სითბოსა და სიყვარულზე უფრო დიდი სიხარული არ არსებობს

თბილისისგან განსხვავებით, ჩვენს ქალაქ ქუთაისში ისეთი ოფიციალური სამსახური, როგორიცაა „ურთიერთგაცნობისა და დაოჯახების ცენტრი“ ან კიდევ, „მარტოხელა ქალთა და მამაკაცთა კლუბი“, არ არსებობს. მრავალი ადამიანის გამოკითხვის შემდეგ, ამ საკითხით დაინტერესებულმა პირებმა დავასკვენით, რომ საჭიროა თბილისის მსგავსად, ქუთაისშიც გაიხსნას ურთიერთგაცნობისა და დაოჯახების ცენტრი, რომელსაც თავისი შინაგანაწესი და დებულება ექნება (არა აქვს მნიშვნელობა, ეს დაწესებულება სახელმწიფო იქნება თუ კერძო). ახლა, როცა დემოგრაფიულმა პრობლემებმა მკვეთრად იჩინა თავი, ამ საკითხის გადაწყვეტა ყველას საქმეა, მით უფრო, ხელისუფლების, როგორც ზემდგომი, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მიიჩნევს, რომ შობადობასთან დაკავშირებით დღეს საქართველოში კრიტიკული მდგომარეობაა. ის ამბობს: ვფიქრობ, უნდა დავუბრუნდეთ იმ წესებს, რომლითაც ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ; უნდა დავუბრუნდეთ მრავალშვილიანი ოჯახის შექმნის ტრადიციას, სადაც სიყვარულითა და პატივისცემით იცხოვრებს ყველა თაობის წარმომადგენელი. ოჯახი კი სახელმწიფოს საძირკველია. ამიტომ, ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი ოჯახის, როგორც ტრადიციული ინსტიტუტის განვითარებასო...

მსურს გავიხსენო დიდი საეკლესიო მოღვაწის, გიორგი მთაწმინდელის სიტყვები: „რომელთა ქართველთა გამრავლებაი ილვაწონ, საუკუნომცა არს სახსენებელი და კურთხევაი მათი“. ასე ფიქრობდნენ ჩვენი წინაპრები და ალბათ, ამიტომაც გავუძელით ჟამთა სიავეს, დღეს კი „ქართველი ერის კვდომის ტემპმა ნაციონალური კატასტროფის მასშტაბი მიიღო“, — წერს საქართველოს დემოგრაფიული კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ბატონი ანზორ თოთაძე. მეტად საშიშია ემიგრაციის პროცესიც. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა 3,7 მილიონია და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდის მიერ გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით, 2050 წლისთვის 3,2 მლნ-მდე შემცირდება, რაც ჩვენი ერის კატასტროფას ნიშნავს!

ქართველები, ცხოვრების მძიმე პირობების გამო, მიდიან საქართველოდან და მათ ადგილებს უცხოტომელები იკავებენ. ჯერ კიდევ ვერ ვხვდებით, რა საფრთხის წინაშე ვართ. რად გვინდა ეს მიწაწყალი, თუ აქ ქართველმა ერმა არ იცხოვრა?

დღეს ჩვენს ქალაქში უამრავი მარტოხელა ადამიანი დადის და ისინი ერთმანეთს სურვილის მიუხედავად, ვერ ხვდებიან, სალაპარაკოს ვერ პოულობენ, რომ ურთიერთობა დაიწყონ და მარტოობის პრობლემა გადაჭრან.

ქუთაისში ცენტრის შექმნა ხელს შეუწყობს მარტოხელების პრობლემის გადაჭრას, ერის გამრავლებას, ადამიანთა ოპტიმისტურ განწყობას, მომავალი თაობის უკეთესად აღზრდას, და ადამიანთა დასაქმებასაც. ასეთი ცენტრები სხვა ქალაქებშიც უნდა არსებობდეს. ბოლოს და ბოლოს, საშუამავლო საოჯახო ცენტრები ევროპის მრავალ ქალაქშია და ჩვენც ხომ ევროპისკენ მივისწრაფვით? ამ პრობლემურ საკითხზე ჩვენ მივმართეთ რამდენიმე შესაბამის დაწესებულებას, მაგრამ რატომღაც, მათ ირონიულად შემოგვხედეს და ჩვენი, საზოგადოებრივი აზრი და სურვილი არ გაითვალისწინეს. გვიპასუხეს: ეს ადამიანთა პირადული საკითხიაო. მართალია, ეს საკითხი პირადულია, მაგრამ ეს პირადული იმდენად გადაიზარდა საზოგადოებრივში, რომ იძულებული ვართ, ხმა ამოვიღოთ.

რაც შეეხება დემოგრაფიულ სამსახურს — ასეთი სამსახური ჩვენს ქალაქში ვერ ვიპოვეთ, რათა დახმარება გვეთხოვა.

„საზოგადოება ნამდვილად იმსახურებს, რომ პოლიტიკოსები მეტი პასუხისმგებლობით მიუდგნენ საკუთარ ქმედებებსა და განცხადებებს. იფიქრონ და დასახონ ხალხის პრობლემების მოგვარების გზები“, — ამბობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბატონი გიორგი კვირიკაშვილი და ამ ფონზე მით უმეტეს, ჩვენთვის გაუგებარია, ქალაქის ადგილობრივი ხელისუფლება რატომ არ ახორციელებს ხალხის სამართლიან მოთხოვნებს, ისინი ხომ ჩვენ, ხალხმა ავირჩიეთ? გამოდის, რომ ხალხს ძალა არ ჰქონია. ადამიანი სახელმწიფოს მთავარი ღი-

რებულებაა და მას სახელმწიფოს იმედი ყველაფერში უნდა ჰქონდეს, რადგან სხვა თუ არაფერი, ის თავის ქვეყანას ემსახურება. აქამდე ხალხი უსმენდა მთავრობას, მაგრამ ახლა დადგა დრო, როცა ხალხის მიერ არჩეულმა მთავრობამ უნდა მოუსმინოს ადამიანებს, ემსახუროს მათ და განახორციელოს სამართლიანი მოთხოვნები.

აღნიშნული პრობლემით დაინტერესებულ ადამიანთა მიზანია, ცივილიზებული ფორმით, კანონის დაცვით და არა — ძალადობით, ბედისგან დაჩაგრულ მარტოხელა ადამიანებს მივანიჭოთ სიხარული, რათა მათ შექმნან ისეთი ოჯახები, რომელიც დაფუძნებული იქნება ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით სურვილზე. როცა ადგილობრივი ხელისუფლება ამაზე არ ზრუნავს, ამით ხელს უშლის ქვეყანაში და კონკრეტულად, ჩვენს ქალაქში ოჯახების შექმნას. ჩვენი მიმართვის შემდეგ მათგან გამოგზავნილ პასუხებში ნათლად ჩანს, რომ დემოგრაფია არავის აღელვებს.

ჩვენი აზრით კი, ქართული მართლმადიდებლური ოჯახების შექმნა, ადამიანების გაბედნიერება, მათი მხარში დგომა მეორეხარისხოვანი საკითხი არ უნდა იყოს მთავრობისთვის. ქალაქის ხელისუფლების

ჯერ კიდევ ვერ ვხვდებით, რა საფრთხის წინაშე ვართ. რად გვინდა ეს მიწა-წყალი, თუ აქ ქართველმა ერმა არ იცხოვრა?

წინასაარჩევნო მოწოდება: „ერთად ვიზრუნოთ ქუთაისზე“, არა მარტო ქალაქის ინფრასტრუქტურაზე ზრუნვას უნდა ნიშნავდეს, არამედ საზოგადოების ყველა ფენაზე ზრუნვასაც უნდა ითვალისწინებდეს. ეს პრობლემა უნდა გააშუქონ ტელევიზიებმა, მოეწყოს დისკუსია და საკითხი გადაწყდეს საზოგადოების სასარგებლოდ.

ადამიანი სახელმწიფოს მთავარი ღირებულებაა და მას სახელმწიფოს იმედი ყველაფერში უნდა ჰქონდეს

ვფიქრობთ, თქვენი თანადგომითა და მხარდაჭერით ეს პრობლემა, რომელიც წლების მანძილზე გრძელდება, აუცილებლად გადაიჭრება“.

*P.S. „გზა“ გაძლევთ შანსს, თქვენც გახდეთ ჩვენი რესპონდენტი!*

*თუ ფიქრობთ, რომ სხვებისგან რაიმეთი გამოირჩევით ან საკუთარი საინტერესო თავგადასავლის მოყოლა გსურთ, თუ სურვილი გაქვთ ვინმეს სიყვარულში გამოუტყდეთ ან სულაც, სოციალურ პრობლემებზე საკუთარი აზრი დააფიქსიროთ, მაშინ მოგვწერეთ ტელეფონის ნომერზე: 5(58) 25.60.81 ან მეილზე: lika.qajaia@gmail.com*

## რეკორდული 2013

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2006-დან 2015 წლის ჩათვლით, ყველაზე მეტი ქორწინება 2013 წელს, ხოლო ყველაზე ნაკლები — 2006 წელს დაფიქსირდა.**




## ქორწინება

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონცემებით, 2015 წელს ყველაზე მეტი ოჯახი თბილისში შეიქმნა, ყველაზე ნაკლები კი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში. რეგიონების მიხედვით, რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობის საერთო სურათი კი ასე გამოიყურება:**



ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
http://svetnov.wordpress.com/
*gza.fantazia@gmail.com*
სვეტა კვარაცხელია

# ბროწეულის გაზაფხული



დასაწყისი იხ. „გზა“ №27

მინდოდა, რაღაც მკვახე მეთქვა, მაგრამ თავი შევიკავე და ესღა ამოვთქვი:

— ის ვალდებულია, კლიენტებთან თავაზიანი იყოს, ეს მისი მოვალეობაა.

— მაგრამ განა ისე ხშირად უწევს შენნაირი ახალგაზრდა და ლამაზი მანდილოსნების მომსახურება. თვალი აქვს მიჩვეული, აქ ხომ ძირითადად მუდმივი კლიენტები დადიან.

— როგორც შენ, არა? — ისე გადავედით შენობითზე, არც კი გაგვიფრთხილებია ერთმანეთი. არც იყო საჭირო, უკვე საკმარისზე მეტად გავშინაურდით.

— ალბათ, — დამეთანხმა, მაგრამ იმავე წამს დაამატა, — რა გჭირს? როგორი ულონო თავდაცვაა შენი მხრიდან? ნუთუ შენთვის ასეთ საშიშროებას წარმოვადგენ? მართლა გეშინია ჩემი?

— რა თქმა უნდა, არა! — ზედმეტად სწრაფად და ტემპერამენტიანად მივუგე, თუმცა მართლა მეშინოდა მისი.

ხმადაბლა, მაგრამ გულიანად გაიცინა, წინ გადმოიხარა და იდაყვზე ტუჩებით მსუბუქად შემეხო.

გამაჟრჟოლა. შევეცადე, ჩემი რეაქცია არ შეენიშნა და თვალი ავარიდე.

— დამშვიდდი, გოგონი, — მშვიდად მითხრა, — მინდოდა, სასიამოვნო საღამო მომეწყო შენთვის, მეტი არაფერი. მსურდა, გემრიელად გეგრძნო თავი.

მტრულად გავხედე. ჩემს მზერაზე სიცილი აუტყდა.

— როგორი საგანგაშო მზერა იყო, — მხიარულად შესძახა და ცალი წარბი მაღლა აუხტა, — შენს ცოცხლად შეჭმას არ ვაპირებ, დამიჯერე, ეს ჩემი სტილი არ არის. — მის ხავერდივით დაბალ ხმაში სიცივე გაისმა, თვალები კი მოულოდნელად უფრო გაუმუქდა.

— არც მიფიქრია, — მხნედ მივუგე, — ეჭვიც არ მეპარება, რომ ამწუთას მაძღარი ხარ ათასნაირი დესერტით, — სარკასტულად მივუგე და მაშინვე ვინანე, მაგრამ გაქცეულ სიტყვებს უკან ველარ დავაბრუნებდი.

მომეჩვენა, თითქოს ცოტათი დაიბნა, მაგრამ მალევე მიხვდა, რასაც ვგულისხმობდი და გამჭოლი მზერა მომაპყრო.

— როგორი შესაშური მეხსიერება გაქვს, პატარავ, — წაიდუდუნა მცირეოდენი პაუზის შემდეგ, — ვხედავ, მომავალში მეტი სიფრთხილის გამოჩენა მომიწევს შენთან. აღმოჩნდა, რომ ყველაფერი, რასაც ვიტყვი, შეიძლება ჩემს წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული.

თვალები დავხარე, მაგრამ ამან არ მიშველა, მის ეკალივით მჩხვლეტავ მზერას მაინც ვგრძნობდი.

— კოქტეილი კიდევ ხომ არ გინდა? — ნახევრად თავაზიანი ტონით მკითხა.

— არა, აჯობებს, არ დავლიო. არ მინდა დავთვრე.

— ძალიან ჭკვიანურია! — შეფარული დაცინვა გაკრთა მის თვალებში, — მაშინ წავიხემსოთ, თორემ შიმშილით სული გამძვრა.

ცოტა სოკო გადავიღე, თან თვალი დარბაზს მოვავლე. არ გამკვირვებია, როცა რამდენიმე ქალის მზერა დავიჭირე. ისინი ჩემს თანამესუფრეს მალულად გამოხედავდნენ ხოლმე. წესით, ასეც უნდა ყოფილიყო. მისნაირი მამაკაცი ყველგან მიიქცევდა ქალების ყურადღებას. თავისი მომნუსხველობით ყოველთვის შეეძლო მიეღო ის, რაც სურდა. ყველგან და ყველასთან დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მამაკაცურ მომხიბვლელობასთან ერთად მაგნიტური მიმზიდველობითაც იყო დაჯილდოებული, რაც აშკარად გამოარჩევდა სხვა მამაკაცებისგან, როგორც მგელს ძაღლების ხროვაში.

— შენს ბათოს აქ არასდროს მოუყვანიხარ? — მოულოდნელი შეკითხვა დამისვა, რამაც გამაოცა.

— ბათო რამ გაგახსენა? რატომღაც, ბოლო დროს ხშირად ახსენებ მის სახელს.

— კარგი სახელი ჰქვია და... — გაიხუმრა.

პასუხი არ გავეცი. შემეშინდა, ზედმეტი არ მომივიდეს და არ გავანაწყენო-მეთქი. ჭამას უხმოდ შევუდექით და ცოტა ხანში დავმშვიდდი.

ოფიციანტი ისევ მოვიდა. მირზამ კიდევ შეუკვეთა კერძები და დესერტიც მიაყოლა. ვუყურებდი მას და მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობდი — როგორ მეშინოდა მისი. ეს არ იყო შიში ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. უბრალოდ, ვიგრძენი, რომ მისი სურვილის წინააღმდეგ ვერასდროს წავიდოდი. თუ მოისურვებდა, ნებისმიერ

დროს შეძლებდა ჩემს დაუფლებას. ამ მხრივ იგი ჩემს აქამდე ნაცნობ ყველა მამაკაცზე საშიში იყო. მიუხედავად ამისა, გაურკვეველი ძალით რაღაც იდუმალება მიზიდავდა მასში.

— იცი, რა მაინტერესებს? — თვალები მივანათე, — რატომ მოისურვე ჩემთან შეხვედრა და განმარტოება? — ფრთხილი მზერა მივაპყარი.

— წმინდა ცნობისმოყვარეობის თვალსაზრისით.

— ცნობისმოყვარეობის?

— რატომაც არა? გეგონა, სიყვარულს აგიხსნიდი?

— აზრადაც არ გამივლია. — მივახალე, — ასეთი რამის აღიარება, ვფიქრობ, ყველაზე ნაკლებადაა შენგან მოსალოდნელი.

— როგორც ვხვდები, ჩემზე დიდი წარმოდგენა არ გაქვს, ა?

— განა ამის საფუძველი არსებობს?

დაჟინებით ჩამაცქერდა თვალებში და ჩუმად წარმოთქვა:

— იცი? ფუტკარს მაგონებ. თან ტკბილი, სასარგებლო პროდუქტის მოცემა შეგიძლია, თან სასტიკად მწარედ იკბინები.

ამ დროს პირთან მიტანილი ლუკმაჩამოცმული ორაგულის მწვადი ხელში გაუშეშდა. მის მზერას თვალი ჩემდა უნებურად გავაყოლე და შევნიშნე ქალი, რომელიც გაოცებული მისჩერებოდა. შემდეგ ქალმა ხელი დაუქნია. მირზა დაიძაბა.

— შენი ძველი მეგობართაგანია? — შემპარავად ვკითხე.

— ჰო. — მშრალად მომიგო და ჩანგალი თეფშზე დადო. — არ გინდა, ვიცეკვოთ?

ყველაზე მეტად მასთან ცეკვას გავურბოდი, მაგრამ, ამავდროულად, სიგიჟემდე მინდოდა ერთად გვეცეკვა. ვერ ვხვდებოდი, ასეთი გაორება რატომ მჭირდა.

— ვიცეკვოთ, — მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ დავთანხმდი.

— წამო. — იგი ჩემკენ გადმოიხარა, ხელი გამომიწოდა, ჩემი თითები თავისაში ჩაიხვია და წამომაყენა.

როცა დარბაზის შუაგულისკენ წამიყვანა, მუხლები ამიკანკალდა. ახლა კვლავ მის მკლავებში აღმოვჩნდებოდი და ამ წუთებს რა გადაიტანდა.

აუჩქარებელი მოძრაობით მომხვია წელზე ხელი და ისე შეწყობილად გავსრიალდით რბილ იატაკზე, თითქოს მრავალი წელი ერთად გვეცეკვოს. ნელი ვალსის მელოდიამ და მისმა სიახლოვემ ისე დამახვია თავბრუ, შემეშინდა, გული არ წამივიდეს-მეთქი.

— ჰო, ცდა ამად ღირდა. — ზედ ყურთან მიჩურჩულა, მაგრამ არ შემოუხედავს, თითქოს სხვას ელაპარაკებაო, სადღაც იცქირებოდა, სივრცეში. — და ნეტავ ამდენ ხანს რას ვუცდიდი, ხომ არ იცი?

პირი გავაღე, რათა ირონიული პასუხი გამეცა, მაგრამ შევხედე თუ არა თვალებში, დავმუნჯდი. მის მზერას უკვე ვეღარ ვუძლებდი. მოულოდნელად თავი ოდნავ დახარა და ტუჩებზე შემეხო, ოღონდ სულ რამდენიმე წამით. მე კი ამ რამდენიმე წამმაც ჩემი დამმართა. ერთიანად ავიშალე და დავიშალე. ფეხებს ვეღარ ვამოძრავებდი და რამდენიმე ილეთი შემეშალა კიდევაც. რას ვაკეთებ! ამ კაცისთვის ქალი მხოლოდ გართობის საშუალებაა, მისთვის მორიგი გასართობი თოჯინა ვარ, რომლითაც ერთი საღამო გაილამაზა. რისი იმედი უნდა მქონდეს? მიუხედავად ამისა, მსიამოვნებდა მის მკლავებში ნებივრობა, ვდნებოდი, მისი გულისცემა რომ მესმოდა, მის სუნთქვას რომ ვგრძნობდი ჩემს ყურთან...

— მირზა, რავა ხარ, ბიჭო? — გაისმა ამ დროს ქალის მკვეთრი ხმა.

ეს ის ქალი იყო, წეღან ხელი რომ დაუქნია. მის გვერდით ვიღაც მამაკაცი იდგა.

— მზიკო, შენ ხარ? გოლა, გამარჯობა! — მირზამ ცეკვა შეწყვიტა და წყვილს ხელი მძლავრად ჩამოართვა, თან გადაკოცნა. — როდის ჩამოხვედით?

— წინა კვირას. შენ რა, არ იცოდი? — ქალი აგდებულად ელაპარაკებოდა.

— რატომ უნდა მცოდნოდა? — მხრები აიჩეჩა მირზამ, გვერდით დამიყენა და მხარზე ხელი გადამხვია. — გაიცანით, ანიკა, ჩემი მეგობარი და თანამშრომელი.

ორივეს გავუღიმე. არც მათ დაიშურეს ღიმილი.

— ამას გვიმალავდი? — ისეთი ცინიზმი გაისმა მზიკოს ხმაში, დავიძაბე.

— შენ კი უნდა დაგიმალოს კაცმა ასეთი ვინმე, თორემ ხომ მოსდე მთელ ქვეყანას, — გაიცინა მზიკოს კავალერმა და მირზას თვალი ჩაუკრა.

— ოჰ, როგორი ენამახვილი ხარ! — დაუბრიალა ქალმა თვალები გოლას. — უმიზეზოდ მე არასდროს არაფერს ვიძახი. ამ გოგონამ კი უნდა იცოდეს, რომ რუხ მგელთან აქვს საქმე. ფრთხილად იყავით, საყვარელო ანიკა, როგორც ჩანს, მოშივდა ამ ვაჟბატონს და სანადიროდ გამოვიდა.

— მზიკო, გეყოფა! — უხეშად წაავლო ხელზე ხელი გოლამ ქალს და მირზას მიუბრუნდა, — არ მიაქციო ყურადღება, დღეს ვერ არის თავის მოტორზე.

— არა უშავს, მისგან არ მწყინს, — ცალყბად გაიღიმა ჩემმა შეფმა და მზიკოს ლოყაზე უჩქმიტა, — ვიცი, რატომაც ბრაზობს და მესმის მისი.

იმდენად არ მომეწონა მათი საუბარი, რომ მირზას ხელისგან თავი გავითავისუფლე და მაგიდასთან დავბრუნდი. ისინი კარგა ხანს ლაპარაკობდნენ რაღაცაზე, ხან გაიცინებდნენ, ხან სერიოზულ სახეს მიიღებდნენ. მერე მირზა ორივეს დაემშვიდობა და დაბრუნდა.

— მაპატიე, მარტო რომ დაგტოვე. არ ვიცოდი, საქორწინო მოგზაურობიდან თუ იყვნენ დაბრუნებულნი.

— საქორწინო მოგზაურობიდან? — გავიოცე, — რა საქორწინო მოგზაურობიდან?

— ნუ, არის ასეთი ტრადიცია,



თან ცოტა უცნაური, რომელსაც ჩვენ, ჰომო საპიენსის განსაკუთრებული „სახეობის“ წარმომადგენლები, მტკიცედ ვიცავთ გარკვეული ცერემონიალის შემდეგ. — გაიხუმრა.

— გადასარევად ვიცი, რასაც ნიშნავს საქორწინო მოგზაურობა, — უხეშად მივუგე, — უბრალოდ, ერთი რამ არ მესმის: ამ კაცს რატომ მისთხოვდა, როცა შენ უყვარხარ?

გაოცებულმა დამხედა.

— საიდან მოიტანე, რომ მე ვუყვარვარ?

— ასეთი ტონით მხოლოდ განაწყენებული ქალები საუბრობენ, სიყვარულში გულგატეხილნი.

მირზამ ამოიხვნეშა და დაჯდა. ერთხანს უხმოდ მიყურა, მერე კი ხმადაბლა დაიწყო:

— გინდ დაიჯერე, გინდ არა, მაგრამ მე ღირსების ჩემეული კოდექსი მაქვს, რომელსაც მკაცრად ვიცავ. მას მე კი არ ვუყვარვარ, თავის დაქალს იცავს, რომელთანაც შორეულ წარსულში რაღაც დონეზე ურთიერთობა მქონდა და შემდეგ გავწყვიტე. უმიზეზოდ არ მომხდარა ეს, მაგრამ ქალებს ხომ გიჭირთ სიმართლის აღიარება, გსურთ, რომ ყოველთვის თქვენ იყოთ ყველაფერში მართალი.

ჩამეცინა.

— ვხედავ, არ გჯერა ჩემი.

— მე ეს არ მითქვამს.

— შენ რაში გჭირდება რამის თქმა? — შეფიქრიანებული თვალებით შემომხედა. — იცი, რა მაინტერესებს? ჩემდამი ხარ ასე უარყოფითად განწყობილი, თუ ყველა მამაკაცი ამ დღეში გყავს? მიკვირს, ბათო როგორ გიძლებს.

— ბათოს თავი დაანებე, თუ შეიძლება! — ხმას ავუწიე.

— დიდი სიამოვნებით.

— მე საწყენად არ მითქვამს...

— ფრთხილად, ანიკა! ადამიანურ მოთმინებასაც აქვს საზღვარი. შენ წარმოდგენაც არ გაქვს ჩემი ცხოვრების წესზე, ამიტომ მორალს ნუ მიკითხავ.

— რაც ვიცი, ისიც საკმარისია იმისთვის, რომ თამამად ვთქვა, ამაზრზენი ადამიანი ხარ-მეთქი. — უკვე ველარ ვთოკავდი თავს, მისი თავდაჯერებულობა მაცოფებდა.

— განებივრებული ბავშვივით იქცევი, — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია.

— მაგას რატომ მეუბნები? იმიტომ, რომ სხვა შენი ქალებივით ყელზე არ გეკიდები?

იდუმალი გამომეტყველებით მომაჩერდა.

— ჯერ ერთი, შენ არ მიეკუთვნები ჩემი ქალების რიცხვს. ზრდილობის გულისთვის მაინც უნდა დაგეცადა, სანამ ასეთ რამეს შემოგთავაზებდი.

მისმა სიტყვებმა საშინლად გამაწითლა და მინდოდა, პროტესტი გამომეთქვა, მაგრამ არ მაცალა:

— ძალიან ცუდი წარმოდგენა შეგექმნა ჩემზე და ეს არ მომწონს.

— აუტანლად საზიზღარი პიროვნება ხარ. მიჭირს ამის თქმა, რადგან ჩემი უფროსი ბრძანდები, მაგრამ ვერ ვითმენ.

— სიძულვილი, შიში... ახლა ზიზღიც დაემატა... როგორც ჩანს, საკმაოდ ძლიერ გრძნობებს ვნერგავ შენში. მე კი მინდოდა, თბილი საღამო გამოგვსვლოდა... — სინანულით სავსე ხმით ამოიხვნეშა. — აი, დესერტიც მოგვიტანეს... მოდი, აღარ ვიჩხუბოთ, როგორმე მშვიდობიანად დავასრულოთ ეს საღამო, კარგი?

— თუ შეიძლება, წავიდეთ, აღარ მინდა დესერტი! — გაღიზიანებული წამოვდექი და ჩანთა მხარზე მოვიგდე.

ერთი კი ამომხედა გაოცებით, მაგრამ არაფერი უთქვამს. ოფიციანტს სთხოვა, ანგარიში მომიტანეო და როცა ფული გადაიხადა, უსიტყვოდ გაეშურა გასასვლელისკენ. მეც უკან მივყევი.

უკანა გზაზე არც ერთს კრინტი არ დაგვიძრავს. ვერა და ვერ შევძელი დამშვიდება. რაღაც მაფორიაქებდა. მანქანის სალონი ზედმეტად ინტიმური იყო, მირზა კი ასე ახლოს იჯდა ჩემთან. მისი სხეულის ოდნავ შესაგრძნობი სურნელი, მისი მამაკაცური სურნელი თავგზას მიბნევდა. ვგიჟდებოდი ამ კაცზე, უკვე დატყვევებული ვიყავი მისით და სწორედ ეს მაშინებდა.

როცა მანქანა ჩემს სადარბაზოსთან შეაჩერა, არ დავუცადე და ეგრევე გადმოვხტი.

— დიდი მადლობა. სასიამოვნო დრო გავატარე, — თავი დავხარე და ჩამოწეული სარკმლიდან შევძახე.

— როგორი მატყუარა გოგო ხარ, რომ იცოდე. — ამ სიტყვებით თვითონაც გადმოვიდა ავტომობილიდან და წინ გადამიდგა.

სუნთქვა შემეკრა. ერთიანად დამეჭიმა სხეული. აი, ახლა მაკოცებს და მორჩა, ნაწილებად დავიშლები. მერე ჩემს თავზე ნამდვილად არ ვაგებ პასუხს.

მართლაც, გადმოიხარა ჩემკენ და... ლოყაზე მაკოცა.

სულ ეს იყო? მეტი არაფერი? საოცარმა იმედგაცრუებამ შემიპყრო. თურმე როგორ გამინაწყენებია... კოცნაც კი აღარ გაიმეტა ჩემთვის...

— ღამე მშვიდობისა, ანიკა! — ჩაიჩურჩულა.

— მშვიდობიან ღამეს გისურვებ. — მეც ჩავიჩურჩულე და რომ არ ავტირებულიყავი, სასწრაფოდ შევვარდი სადარბაზოში...

მეორე დღეს ისე ცივად მომესალმა, ნირი წამიხდა. მთელი დღე არ დაურეკავს ზარი, არ გამოვუძახებივარ, არც საქმე მოუცია. ვიჯექი ჩემს მაგიდასთან და ველოდებოდი, როდის დამიძახებდა. არ დააყენა საშველი. სადილადაც კი არ გავედი, იქნებ ზუსტად მაგ დროს დავჭირდე-მეთქი. უცნაური ის იყო, რომ თვითონაც არ გამოდიოდა კაბინეტიდან. ექვსი საათი რომ გახდა, კარი გაიღო და ჩემს ოთახში გამოსული ისევე ცივად დამემშვიდობა, როგორც დილით მომესალმა. გასვლისას უცებ შემომიბრუნდა და გულგრილი ტონით დამიბარა:

— ხვალ და ზეგ არ ვიქნები, ხუთშაბათისთვის კი მოემზადე, ობიექტზე უნდა გავიდეთ.

თავი დავუქნიე თანხმობის ნიშნად და გავწითლდი.

ორი დღე მართლაც არ გამოჩენილა. საშინლად გაიწელა ის ორი დღე, მეგონა, ორი თვე გავიდა, რაც არ მენახა. როგორ განვიცდიდი. ვნანობდი თითოეულ სიტყვას, რომელიც რესტორანში მივახალე. ისევ არამკითხე მოამბის როლში გამოვედი. მე რომ მის ადგილზე ვყოფილიყავი, ასეთ მდივანს სამსახურიდან უყოყმანოდ დავითხოვდი. მან კი, ვინ იცის, მერამდენედ დამინდო. რატომ?

ხუთშაბათიც დადგა. მანქანაში ორივე ვდუმდით — მირზაშვილი, ეტყობა, თავისას ფიქრობდა. ნეტავ რას? იმას, თუ რომელ მორიგ ლამაზმანს შეხვედროდა საღამოს? ასეთი რამეების გაფიქრებაზე გული უსიამოვნოდ მეკუმშებოდა. აშკარად ვეჭვიანობდი.



საღამო ხანი იყო, როცა საქმე მოვითავეთ. კომპანიის ერთ-ერთმა თანამშრომელმა, ნიკა ლომოურმა მანქანამდე მიგვაცილა.

— ანიკა, ცოლს ვშორდები, იცი? ორი კვირა და მორჩა, თავისუფალი კაცი ვიქნები, — რატომღაც, ამის თქმაზე ხმას დაუდაბლა, — იქნებ...

— მგონი, დროა, გზას გავუდგეთ! — უეცრად მირზაშვილის მკაცრი ხმა გაისმა.

— ნახვამდის, ნიკა. — ამის თქმაღა მოვასწარი და წინა სავარძელზე მოვკალათდი.

— რას გეჩურჩულებოდა ლომოური? — უფრო ჩაიბუზღუნა, ვიდრე მკითხა.

— ცოლთან გაყრის პროცესზე მელაპარაკებოდა. — ცივად მივუგე. ამწუთას თითქოს სრულებით გულგრილი ვიყავი ამ კაცის მიმართ და როცა მან ერთად წახემსება შემომთავაზა, მტკიცე გადაწყვეტილება მივიღე — მერჩივნა, შიმშილით მოვმკვდარიყავი, ვიდრე მასთან ერთად მევახშმა.

— მერე ძალიან დამიგვიანდება. აჯობებს, დრო არ დავკარგო... ამაღამ უამრავი საქმე მაქვს.

— ძალიან კარგი! — თითქოს მემუქრებაო, ისე ჩაილაპარაკა და სისწრაფეს მოუმატა.

ჩემს კორპუსთან ჩვეულებრივად გადმოვიდა, ბინის გასაღები გამომართვა და სადარბაზოს მიაშურა. ისე ჩქარობდა კარის გაღებას, თითში ხიწვიც კი შეერჭო. რა ჯანდაბა დაემართა? აქამდე ზედაც არ მიყურებდა და ასე მოულოდნელად რა მოეპრიანა?

შემეცოდა, ისე განიცადა ხიწვის შერჭობა. ალბათ ძალიან ეტკინა, ასეთი ემოცია რომ გამოხატა. ჩემდა უნებურად მივწვდი მის ხელს.

— დამოუკიდებლად არაფრის გაკეთება არ შეგიძლია, არა? — ქარაფშუტულად ვიკითხე.

— მეხუმრები? — გაუტყდა.

რა დროს ხუმრობა იყო, საცაა, ერთმანეთს დავჭამდით.

— შემოდი, ამოგიღებ მაგ ხიწვს, თორემ სახლამდე ვერ მიაღწევ, ვატყობ, — სიცილი ვერ შევიკავე.

უხმოდ შემოაბიჯა ოთახში და სავარძელში ჩაჯდა. ჩემი კოსმეტიკის ჩანთა გავხსენი და პინცეტი მოვძებნე.

— თუ წყნარად იქნები, არ გატკენ.

— თუ არ ვიტირებ, კანფეტსაც მომცემ? — ოდნავ მოშვებული ხმით მკითხა.

ღიმილი მომერია, ხასიათი გამომიკეთდა. ცოტა კი ვეწვალე, მაგრამ მაინც ამოვიღე ხიწვი და დავანახვე.

— აი, ასეთმა პაწაწუნელა რაღაცამ როგორი ტკივილი მოგაყენა, — გავეხუმრე.

— ჰო. — ნირწამხდარმა მომიგო.

ამწუთას ისეთი უმწეო გამომეტყველება ჰქონდა, გული ამიჩუყდა. ღმერთო, როგორ მიყვარს, ნეტავ იცოდეს. უნებლიეთ მისკენ გადავიხარე და ოდნავ შევეხე. ჟრუანტელმა მთელ სხეულში ელექტრონივით დამიარა. ზედმეტად ახლოს აღმოვჩნდით ერთმანეთთან. მირზამ დრო იხელთა და მკლავებში მომიქცია. ნაზი, მაგრამ მომთხოვნი ხელები ჩემს ზურგზე ამოძრავდნენ. სიამოვნებისაგან კანი ამეხორკლა, ერთიანად დამბურძგლა. ვერ მოვითმინე და პიჯაკს შიგნით შევუცურე თითები ერთადერთი სურვილით — რაც შეიძლება ახლოს ვყოფილიყავი მასთან, მჭიდრო მივკვროდი და მთლიანად შემეგრძნო. მირზას სხეულის სითბომ, მისი თხელი პერანგიდანაც რომ ადვილად აღწევდა, სული შემიგუბა და თავბრუ დამახვია. ვერ წარმოვიდგენდი, ასე იოლად თუ დავემორჩილებოდი მის ძლიერ მკლავებს. მასაც იგივე სურვილი კლავდა. ვნებაატანილი მეალერსებოდა მკერდზე, ზედატანის ღილები ჩამიხსნა და თითები ურცხვად ჩამიცურა უბეში. მერე თავდავიწყებით მკოცნიდა ყელში. თითქოს მთლიანად გავლღვი და ის იყო, უნდა მივნებებოდი ამ წამლეკავ ტალღას, რომ უეცრად აღმომხდა:

— გამიშვი, მირზა... გამიშვი, გამიშვი...

მან ხელი მაშინვე შემიშვა და გაოცებული მომაჩერდა. განზე გავიწიე და შვებით ამოვისუნთქე, რაკი დავრწმუნდი, რომ ძალას არ მატანდა.

— დღეს ეს გეგმაში ნამდვილად არ მქონია. — ჩურჩულით მითხრა.

მომეჩვენა, რომ ნანობდა მომხდარს.

ფერწასული ვიჯექი. ახლა საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ სიგიჟემდე მიყვარდა. ისიც ვიცოდი, რომ, როცა მარტო დავრჩებოდი, როცა მირზა წავიდოდა, მისი სიყვარული და მასზე ფიქრი ტანჯვად მექცეოდა.

— ჰო, ეს მართლაც არ გვქონია დაგეგმილი, — მექანიკურად დავეთანხმე და თავი ისე გავიქნიე, თითქოს მოძალებული სურვილის მოცილება მსურდა.

მირზა წამოდგა. მისკენ არ გამიხედავს — მხოლოდ ნაბიჯების ხმა მესმოდა. კარის გაჯახუნებაც გავიგონე...

ამიერიდან მოსვენება სამუდამოდ მქონდა დაკარგული...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# სახელმწიფოებრივი წყობა უფალმა ადამიანთა დასაცავად დაუშვა

**განვაგრძობთ საუბარს სახელმწიფოების წარმოშობისა და მმართველობის ფორმებთან დაკავშირებით...**

შორენა მერკვილაძე

**— როგორ მოხდა ევროპული სახელმწიფოების წარმოშობა?**

**მამა მაკარი:**

— ევროპული სახელმწიფოები ძირითადად გერმანული ტომებისგან წარმოიშვა. ესპანეთში ლათინი მოსახლეობა ცხოვრობდა, მაგრამ ვიცით, რომ ესპანეთი გერმანელებმა დაიპყრეს და ამის შემდეგ წარმოიშვა სახელმწიფო. ევროპის ტერიტორია, სადაც გერმანელი ტომები არ ცხოვრობდნენ, არის იუგოსლავიის ყოფილი ქვეყნები და ალბანეთი; აღმოსავლეთ ევროპაში — სლავები და რუმინელები, რომლებიც ჰუნების შთამომავლები არიან; ბერძნები და ფინელები, და დანარჩენი ევროპა წარმოიშვა



სხვადასხვა გერმანელი ტომებისგან. იმ პერიოდში, როდესაც რომის იმპერია აღზევების ზენიტში იმყოფებოდა, გერმანულ ტომებს განუვითარებელი ცივილიზაცია ჰქონდათ. უმეტესწილად, სოფლის მეურნეობას ან მესაქონლეობას მისდევდნენ, მეთევზეობითა და ნადირობით ირჩენდნენ თავს. როდესაც მათ გვერდით გამოჩნდა ისეთი მდიდარი ქვეყანა, როგორიც რომის იმპერია იყო, ნელ-ნელა დაიწყეს გადასახლებები, დაპყრობები, დარბევები. შემდგომში სწორედ ეს ტომები მონაწილეობდნენ რომის იმპერიის დასასრულში, თუმცა ვერ მოახერხეს ცივილიზაციის იმ დონეზე შენარჩუნება, რაც რომის იმპერიაში არსებობდა. რომაული ცივილიზაცია განადგურდა. ამ პერიოდს ისტორიკოსები ბნელ საუკუნეებს ეძახიან. შემდეგ ევროპულმა სახელმწიფოებმა ნელნელა დაიწყეს აღორძინება, მაგრამ ტექნიკური ცივილიზაციის თვალსაზრისით, მხოლოდ XVI-XVII საუკუნეებში მიაღწიეს იმ დონეს, რაც რომის იმპერიას ჰქონდა, ხოლო სამართლებრივ საკითხებში — მხოლოდ XX საუკუნეში. თუმცა, ეს სამართალი მხოლოდ თავისუფალ ადამიანებზე ვრცელდებოდა და არა — მონებზე. რომის იმპერიის არსებობის დროს ევროპა არ იყო ერთიანი სახელმწიფო. შემდეგ უამრავი პატარ-პატარა სახელმწიფო ჩამოყალიბდა. მალე ამ სახელმწიფოებს შორის დაიწყო დაპირისპირებები, ზოგი გაძლიერდა, ზოგი დასუსტდა. დამოკიდებულება ევროპელთა შორის ყოველთვის პროტესტისკენ იყო მიმართული. თუ რომელიმე სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს დაიპყრობდა, დაპყრობილი პროტესტს გამოთქვამდა და ხელისუფალთა ან აზნაურთა წინააღმდეგ ჯანყდებოდა. ამან ევროპის რესპუბლიკური მმართველობისკენ გადახრა გამოიწვია, მაგრამ ეს საკმაოდ გვიან, დაახლოებით XX საუკუნეში მოხდა. ამ დრომდე ევროპული სახელმწიფოების უმრავლესობას მეფე მართავდა და არა — არჩეული ხელისუფლება. პირველი სახელმწიფო, სადაც საყოველთაო კენჭისყრით აირჩიეს პარლამენტი და მოსახლეობის უმეტესობა მონაწილეობდა, ქალიც და მამაკაციც, ეს იყო საქართველო — 1919 წლის პარლამენტის არჩევნებში. ეს გაცილებით გვიან მოხდა სხვა სახელმწიფოებში.

**— რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოების არსებობას და რატომ ქმნიდნენ ადამიანები სახელმწიფოებს?**

— ადამიანის სულიერი არსებობისთვის სახელმწიფოების არსებობას მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ იმისათვის, რომ თავად ადამიანებს შორის ურთიერთობა მოწესრიგდეს, მათი ცხოვრება მიწიერად უნდა იყოს მოწესრიგებული, საჭიროა მიწიერი მმართველობა. ადამიანებს საერო მმართველი არ სჭირდებათ, მათი მმართველი ღმერთია, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ ადამიანები ღვთივსათნოდ, ღვთის მცნებებით ცხოვრობენ, მაგრამ თუ ადამიანები იწყებენ ღვთის მცნებების დარღვევას, იწყებენ ცოდვების ჩადენას — მკვლელობას, ქურდობას, ძარცვას... თავიანთი ცოდვებით კი არა მხოლოდ საკუთარ თავს, სხვებსაც ზიანს აყენებენ, უფალი ამის გამო უშვებს, რომ ვიღაცა ვიღაცაზე ბატონობდეს. მიწიერი კანონები იმისთვის არსებობს, რომ რაც შეიძლება ნაკლები დანაშაული მოხდეს დედამიწაზე. სახელმწიფოებრივი წყობა, საერო ხელისუფლების არსებობა უფალმა სწორედ ადამიანთა დასაცავად დაუშვა. სახელმწიფოებს აყალიბებდა ადამიანების ძალაუფლებისკენ მიდრეკილებაც, ასე ყალიბდებოდა პირველი სახელმწიფოები, თუ არ ჩავთვლით ბერძნულ ქალაქ- სახელმწიფოებს, სადაც სახელმწიფოების ჩამოყალიბება სხვა პრინციპით ხდებოდა, ვიდრე აღმოსავლეთის ქვეყნებში — სპარსეთში, ბაბილონში, ეგვიპტეში... აქ ყველაფერი უშუალოდ ძალადობის ნიადაგზე ყალიბდებოდა. რაც შეეხება საბერძნეთის სახელმწიფოებს, უფრო ურთიერთთანამშრომლობაზე აგებული სახელმწიფოები გვხვდებოდა, მაგრამ ხელისუფალნი რაღაც დოზით ყოველთვის ძალადობდნენ ადამიანებზე ანუ იდეალურად სამართლიანი ხელისუფლება, ადრინდელ პერიოდში, ფაქტობრივად არ არსებობდა.

რაც მეტად აკონტროლებს მო-

სახლეობა ხელისუფლებას, იგი მეტად სამართლიანია, რადგან იცის, რომ ადამიანთა ნებაზეა დამოკიდებული. თუ ადამიანები კარგავენ ხელისუფლებაზე კონტროლს, სახელმწიფო უსამართლო და ძალადობრივი ხდება.

**— რა არის სასულიერო მმართველობის დანიშნულება?**

— წარმართობის პერიოდში საერო და სასულიერო მმართველობა უფრო მეტად იყო გადაჯაჭვული ერთმანეთზე. რაც შეეხება ისრაელის სახელმწიფოს, მსაჯულთა ხანაშიც და შემდგომ მეფობის პერიოდშიც, არსებობდა სასულიერო მმართველობა ანუ სინედრიონი მართავდა ქვეყანას. სხვა მმართველობა არ ჰქონდა ისრაელს. თანამედროვე პერიოდს რაც შეეხება, თუ რელიგიური მიმდინარეობები მართავენ ქვეყანას, ეს ცუდ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, რადგან ამ შემთხვევაში ხდება ფუნდამენტალიზმის წინა პლანზე წამოწევა და ღვთისგან ადამიანისადმი მინიჭებული უპირველესი უფლების — თავისუფალი ნების დარღვევა. ეკლესია არის ის ორგანიზაცია, ის ადგილი, რომლის მეშვეობითაც ადამიანი ზეცაში უნდა ავიდეს. ეკლესია არ არსებობს იმისათვის, რომ მიწიერი საკითხები მოაგვაროს, სახელმწიფოებრივ ქმედებებში ჩაერიოს. როდესაც ეკლესია მიწიერი საკითხების მოგვარებაზე გადადის, კარგავს თავის უმთავრეს ფუნქციას — იზრუნოს ადამიანთა სულიერ ცხოვრებაზე. როგორც უნდა ვიზრუნოთ ხორციელი პრობლემების მოგვარებაზე, თუ სულიერი პრობლემები დავივიწყეთ, ვერანაირ შედეგს ვერ მივიღებთ. შეიძლება ადამიანს მოუგვარდეს მიწიერი პრობლემები, მაგრამ ეს ხელს არ შეუწყობს მის ღმერთთან დამკვიდრებას. ეკლესიის მოვალეობა ადამიანის ღმერთამდე მიყვანაა.

ძველი აღთქმის ეკლესია განაგებდა ადამიანების ურთიერთობას ღმერთთან და ადამიანებს შორის. სჯული ადამიანებს ასწავლიდა, რა არ უნდა ჩაედინათ და თუ ჩაიდენდნენ, რა სასჯელი ელოდათ, თორემ ძველი აღთქმის ეკლესია არ ყოფილა ჩვეულებრივი სახელმწიფო მმართველობითი სტრუქტურა, თავისი ჯარით, პოლიციით... მისი მოვალეობა ადამიანებს შორის ურთიერთობების მოწესრიგება იყო, თანაც არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ძველი აღთქმის პერიოდია, როდესაც ეკლესია ადამიანებს ამზადებდა უფალთან შესახვედრად, მის მოვალეობაში მიწიერი საკითხების მოგვარებაც შედიოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც უფალი მოვიდა, ჯვრას ეცვა და მკვდრეთით აღდგა, ეკლესიის ფუნქციიდან აბსოლუტურად ყველა მიწიერი საკითხი გამოვიდა, ახალაღთქმისეული ეკლესია ზეეროვნული გახდა. ქრისტიანობის გავრცელების პირველ საუკუნეებში, როდესაც ქრისტიანებს შეიპყრობდნენ და ეკითხებოდნენ, რომელი ქალაქიდან იყვნენ, მიუგებდნენ, რომ მათი ქალაქი ზეციური იერუსალიმი იყო, ხოლო, როდესაც ეროვნებას ეკითხებოდნენ, ამბობდნენ, რომ ქრისტიანები იყვნენ. სხვადასხვა ქვეყნის ქრისტიანებს შორის განსხვავება არ არსებობდა, ყველანი ერთმანეთის ძმები იყვნენ, ხოლო მას შემდეგ, რაც სახელმწიფოებმა ქრისტიანობა მიიღეს, ანუ ხელისუფალნიც ქრისტიანები გახდნენ, ეროვნულ ნიადაგზე დაპირისპირებები დაიწყო. ■




დისკის სპეციალური ფასი - 5 ₾
ჟურნალთან ერთად - 6 ₾
ეს ჩვენი სამშობლოა - ქართული იდეა

# „ყველა ქალი თავისებურად საინტერესოა“

**ბუბა მათნაძე 2 წელზე მეტია, რაც „ჩემი ცოლის დაქალებში“ ჩაერთო. დროის დიდი ნაწილი, რომელიც წიგნების კითხვისთვის უნდა დაეთმო, გადასაღებ მოედანზე გაატარა. ახლა ის აბიტურიენტია, მაგრამ მომავალ პროფესიად არა მსახიობობა, არამედ პიარის მენეჯერობა აირჩია.**

თამუნა კვინიკაძე

## პრეამბულის მაგიერ

— თავისუფალ დროს მთლიანად თეატრში ვატარებდი. მამუკა ლომაშვილის მიერ დაარსებული „მეორე სახლი“ მართლა ჩემი მეორე სახლი იყო, იქ გავიზარდე. წიგნის კითხვაზე მეტად კარგი ფილმები მიყვარს. ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაზე ვგიჟდები. მის პერსონაჟებთან ერთად დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი, ხალასი იუმორითა და სითბოთი სავსე ადამიანები არიან. განსაკუთრებით ილიკო მიყვარს, ეს როლი ნათამაშებიც მაქვს. ძალიან მომწონს „ანა ფრანკის დღიურებიდან“ ექიმი დუსელი, თავისებური ადამიანია, პედანტია. სხვათა შორის, მეც პედანტი ვარ. ყველაფერი გაწერილი მაქვს, დაგეგმილად ვცხოვრობ, სისუფთავე მიყვარს. არასდროს არსად არ ვიგვიანებ, მირჩევნია, თავად ველოდო, ვიდრე დავაგვიანო.

ქალი პერსონაჟებიდან რომელი შემიყვარდებოდა? რთული შეკითხვაა, ამაზე არასდროს მიფიქრია. ყველა ქალი თავისებურად საინტერესოა, ერთადერთი რაც გადაჭრით შემიძლია ვთქვა, ისაა, რომ ისეთი გოგო არ შემიყვარდება, როგორი ცოლიც სერიალში მყავს.

ახლა გამოცდების პერიოდი მაქვს. მომავალ პროფესიად მსახიობობა არ ამირჩევია, ტექნიკურ უნივერსიტეტში მინდა მოვხვდე, პიარი საინტერესო სფეროა. მინდა, მომავალში ამ მიმართულებით ვიმუშაო და მსახიობობა მეორად პროფესიად მქონდეს. 3 გამოცდა უკვე ჩავაბარე. შედეგით უკმაყოფილო არ ვარ, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში, სულ გადასაღებ მოედანზე ვიყავი და ვერ ვიმეცადინე. ერთი გამოცდა დამრჩა ჩასაბარებელი.

**— ფეხბურთი გიყვარს?**

— ძალიან, საქართველოსა და გერმანიის ნაკრებ გუნდებს ვგულშემატკივრობ.

**— 1921 წელს ფრანგების ინიციატივით პარიზში დააარსეს ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაცია, რომელსაც დღეს ვეძახით...**

— ფიფას.

**— რა განათლება ჰქონდა ნოდარ დუმბაძეს?**

— არ ვიცი.

**— ეკონომისტი იყო. ინდოელები ამბობენ, რომ მას თავიდან უნდა მოექცე, როგორც მეფეს, მერე — როგორც მონას, შემდეგ — როგორც მეგობარს. ვისზეა ლაპარაკი?**

— შეიძლება შვილს გულისხმობდნენ, არა?

**— გამოიცანი. „ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ანტიქრისტე მოვნათლე,“ — წერდა 1725 წელს თავის დღიურში ერთ-ერთი ვენეციელი მღვდელი, რომელსაც ცოტა ხნის წინ მოენათლა ჩვილი სახელად ჯაკომო. ამ ადამიანმა 73 წელი იცოცხლა და ამ ხნის მანძილზე სარეცელი 122 ქალთან გაიყო, მათ შორის იყვნენ მაღალი წრის მანდილოსნები, წარჩინებული მსახიობები, მოცეკვავეები. ის მოძალადე არ ყოფილა, „მსხვერპლთა“ უმეტესობას ის უყვარდა. სახელისა და სიმდიდრის ძიებაში თითქმის მთელი ევროპა მოიარა. იყო ჯარისკაცი, მუსიკოსი, ბიბლიოთეკარი. არაერთხელ იჯდა ციხეშიც. მიპასუხე ვისზეა ლაპარაკი?**

— კაზანოვაზე.

**— აინშტაინის აზრით, წარმატება შედგება 3 ნაწილისგან. პირველი ეს არის იღბალი, მეორე — თამაში, დაასახელე მესამე.**

— ნიჭი?

**— ცდები.**

— ვერ გიპასუხებ.

**— ენაზე კბილის დაჭერის უნარი.**

— როგორც ჩანს, გენიოსების არ მესმის.

**— რა ჰქვია არწივის შვილს?**

— მართვე.

**— რომელი ნივთიერება სწევს თოვლის ტემპერატურას 0 გრადუსზე მაღლა?**

— არ ვიცი.

**— მარილი.**

— ა! ყინულს მარილს რომ აყრიან, დნება.

**— „საწერეთლოში ბევრი გამოჩენილი აზნაურიშვილი იყო, მაგრამ ბაქარა ბაქრაძეს კი ვერავინ შეედრებოდა. სწორედ ბაქარა ბაქრაძის შვილი იყო გლახუნა ბაქრაძე, რომელსაც თათრებმა მეტსახელი შეარქვეს“, — წერდა აკაკი წერეთელი. რა მეტსახელით იყო ცნობილი გლახუნა ბაქრაძე?**

— ბაში-აჩუკი.

**— რა სიტყვები წერია ქართულ გერბზე?**

— „ძალა ერთობაშია“.

**— ბოდრუმი თურქეთის ცნობილი კურორტია, მსოფლიოს საოცრებებიდან ერთ-ერთი ამ პატარა ქალაქში იყო, მისი ნანგრევების მოსანახულებლად ქალაქს დღესაც მრავალი ტურისტი სტუმრობს. რომელ საოცრებაზეა ლაპარაკი?**

— არ ვიცი.

**— ჰალიკარნასის მავზოლეუმი. დაალაგე სიტყვები ისე, რომ ანდაზა გამოვიდეს: კარი, ტკბილი, გააღებს, რკინის, ენა.**

— „ტკბილი ენა რკინის კარს გააღებს“.

**— რას უწოდებენ წმინდა მიწაზე სალოცავად წასულ მორწმუნეებს?**

— პილიგრიმებს.

**— რა იყიდება „სოთბისა“ და „კრისტის“ აუქციონებზე?**

— ნახატები?

**— ანტიკვარული ნივთები იყიდება. რომელ ქართულ**

**ფილმშია აღწერილი ხეჭეჭურის ნერგებისთვის წასული ბაბუა-შვილიშვილის საინტერესო თავგადასავალი?**

— „ნერგებში“.

**— ვისი გადაღებულია ეს ფილმი?**

— ვერ გიპასუხებ.

**— რეზო ჩხეიძის. როგორ პიროვნებას უწოდებენ ინდიფერენტულს?**

— ვერ ვიხსენებ.

**— უინტერესოს, გულგრილს.**

— მე ქართული სიტყვებით ლაპარაკს ვამჯობინებ.

**— რომელი ჯირკვალი გამოყოფს ადრენალინს?**

— ადრენალინის ჯირკვალი, ასეთი საერთოდ თუ არსებობს.

**— თირკმელზედა ჯირკვალი გამოყოფს. XIX საუკუნის მიჯნაზე ნიუ-ორლეანში მეძავები ამ მცენარისგან დამზადებულ სუნამოს იყენებდნენ. მსოფლიოში მისი 300-მდე, საქართველოში კი 2 სახეობაა გავრცელებული. გამოიყენება მედიცინაშიც. რომელ მცენარეზეა ლაპარაკი?**

— არ ვიცი.

**— ჟასმინი. რომელ სისხლძარღვებში მიედინება სისხლი ყველაზე ნელა?**

— კაპილარებში.

**— მაია წყნეთელის მამაკაცური სახელი გახსოვს?**

— მათე ბიჭს ეძახდნენ.

**— რით გამოირჩევა ვენესუელაში მდებარე ჩანჩქერი ანხელი?**

— ვარდნის ყველაზე დიდი სიმაღლე აქვს.

**— რომში ის სიმამაცის სიმბოლოდ ითვლებოდა. ომის დროს, ვინც პირველი შეიჭრებოდა მოწინააღმდეგის ქალაქში, უფლებას აძლევდნენ, ხელში ეს მცენარე სჭეროდა. ხოლო ვინც მისით თავს დაუმსახურებლად გაილამაზებდა, სენატის გადაწყვეტილებით, ციხეში სვამდნენ. რომელ მცენარეზეა ლაპარაკი?**

— (*ფიქრობს*)

**— მიგანიშნებ. ერთ-ერთ ყვავილზეა ლაპარაკი.**

— არ ვიცი.

**— ვარდი. პოეზია გიყვარს?**

— ნაკლებად, მაგრამ შეიძლება ისეთი ლექსი მითხრა, გამოვიცნო.

**— „თუ გიცდიათ მდინარეში ჩანგლით თევზის ჭერა?/ სულ უბრალო საქმე არის, ზიხარ უცდი, გჯერა.../ ასეთია ჩვენი საქმეც, ანუ ლექსის წერა:/ კალმით ხელში მაგიდასთან, ზიხარ, უცდი, გჯერა...“ ვინ არის ამ ლექსის ავტორი?**

— არ ვიცი.

**— მიხეილ ქვლივიძე. იაპონიაში არსებობს გამოთქმა: „ჰასიზე მძიმე არაფერი აუწევიაო“. რა არის ჰასი?**

— ჩხირები, რომლითაც საკვებს მიირთმევენ.

**— „მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე სიყვარულით გული ერთხელაც არ ამძგერებია, თუმცა მოჩვენებით ხშირად მომჩვენებია, ტრფიალების ალი მწვავს-მეთქი. ეტყობა, ვერც ვერასოდეს ვიგრძნობ ამ გულის ძგერას... ავხორცი თუ ვარ? მაშა! არ მოუტყუებიხართ, ოღონდ განა საშიშარი ვარ. ქალს დავინახავ თუ არა, როდი შევყივლებ და ვეძგერები. სრულიად ურისკოდ შეიძლება ჩემთან ერთად საზოგადოებაში გამოჩენა, მით უმეტეს თუ ხმის მისაწვდენ მანძილზე პოლიციელი მორიგეობს“... — ეს არის მწერლის მიერ შეულამაზებლად დახატული ავტოპორტრეტი. დაასახელე ეს მწერალი.**

— ვერ გიპასუხებ.

**— გი დე მოპასანი. მის გამო გი დე მოპასანი საყვარელი ქალაქის დატოვებას აპირებდა. საფრანგეთის მთავრობამ კი მიიღო წერილი, რომელსაც ხელს ინტელიგენციის 40-მდე წარმომადგენელი აწერდა. ისინი წინააღმდეგი იყვნენ პროექტისა, რომელიც შემდგომ მაინც განხორციელდა. ეს იყო...**

— ეიფელის კოშკი.

**— XX საუკუნის 80-იან წლებში ამერიკაში გამოვიდა „სუნების წიგნი“. ვისთვის იყო ეს წიგნი განკუთვნილი?**

— პარფიუმერიის შემქმნელებისთვის.

**— ცდები, ძაღლებისთვის იყო განკუთვნილი. რომელი ოჯახის წარმომადგენლები არიან: ლომები, ლეოპარდები, ვეფხვები?**

— კატისებრთა ოჯახის.

**— ისინი ძმები იყვნენ: ადოლფი და რუდოლფი. ერთმანეთი არ უყვარდათ. სავაჭრო ბაზარზე მათი დაპირისპირება პირად სიძულვილში გადაიზარდა. ისინი 2 ცნობილი ფირმის დამაარსებლები იყვნენ. დაასახელე ეს ფირმები.**

— „ადიდასი“ და „პუმა“.

**— რა ერქვა ვახტანგ გორგასლის ვაჟს, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ ქართლში გამეფდა?**

— დაჩი.

**— თბილისში მდებარე ეს უძველესი ბაზილიკური ეკლესია დაჩის ბრძანებით აშენდა. რომელ ტაძარზეა ლაპარაკი?**

— ანჩისხატის ტაძარი.

**— ცნობილი ამერიკელი ბიზნესმენი მსოფლიოს პირველი მილიარდერი ჯონ როკფელერი ახალგაზრდობაში ამბობდა: „ორი დიდი სურვილი მაქვს, გამოვიმუშაო მილიონი და ვიცხოვრო 100 წელი“. აისრულა თუ არა მან ორივე სურვილი?**

— მილიარდი გამოიმუშავა, არა მგონია, 100 წელი ეცოცხლოს.

**— 98 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაბოლოს, დაასრულე ოსკარ უაილდის ცნობილი გამონათქვამი: „მე ვირჩევ მეგობრებს მათი იღბლით, ნაცნობებს — კარგი ხასიათით, ხოლო მტრებს...“**

— ვერ დავასრულებ.

**— „...მტრებს მათი ინტელექტით“.** ■



# „ოქროს მატჩი“ ანუ სიომას „სოლო კონცერტი“

**საფრანგეთში გამართული ევროპის წლევანდელი ჩემპიონატი მართლაც ჩინებული სანახაობა გამოდგა. მეც და გულშემატკივრებმაც ამ ერთი თვის განმავლობაში ბევრი ლამაზი მატჩი ვიხილეთ. თუმცა, სიმართლე გითხრათ, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მაინც დამრჩა. კონტინენტის ამ ჩემპიონატში ლამის ნახევარი ევროპა მონაწილეობდა და მათ შორის სამწუხაროდ კვლავ არ იყვნენ ქართველი ფეხბურთელები. ალბათ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, ვიდრე ისლანდიელებივით გაიხარებენ ჩვენი ქომაგები. სხვათა შორის, ევროპის პირველი ჩემპიონატის ფინალიც, ახლანდელის მსგავსად, 10 ივლისს, პარიზში გაიმართა. საბჭოთა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაშიც მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი და გივი ჩოხელი თამაშობდნენ, 2:1 დაამარცხა იუგოსლავიის გუნდი და „ევროპის თასის“ პირველი მფლობელი გახდა. იმ ორი გოლიდან ერთი სლავა მეტრეველმა გაიტანა, მეორე კი — მიხეილ მესხის ჩაწოდებით ვიქტორ პონედელნიკმა. ოღონდ, ყველაფერი ეს შორეულ, 1960 წელს იყო, ახლა კი...**

გოგი ფრანგიშვილი

*ამიტომაც „ბებერი კონტინენტის“ წლევანდელ ჩემპიონატზე საუბარს აქ მოვრჩები და სასიამოვნოდ მოსაგონარ ვეტერან ფეხბურთელთან, ვლადიმერ ბარქაიასთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ. მით უმეტეს, რომ ამ დღეებში იგი მერვე ათეულ წელს მიუკაკუნებს და გასახსენებელიც საკმარისზე მეტი აქვს.*



ვლადიმერ ბარქაია

**— ბატონო ვლადიმერ, ასაკი ერთობ სოლიდური გაქვთ. როგორ გრძნობთ თავს, ჯანმრთელობას ხომ არ უჩივით?**

— ჯანმრთელობის მხრივ ახლა არაფერი მიჭირს. რამდენიმე თვის წინ გერმანიაში ვიყავი, მუხლის ოპერაცია გავიკეთე. ბერლინში ჩემი ქალიშვილი ცხოვრობს, თამრიკო, ოჯახთან ერთად.მისი ქალიშვილის, დიანასაგან კი უკვე დიდი ბაბუა ვარ. ბიჭი ჰყავს. დღე-დღეზე მეორეს ელოდება, ექიმების ვარაუდით, გოგო უნდა იყოს. ეს ძალიან დიდი ბედნიერებაა. კიდევ მყავს შვილები, ია და სოსო. ერთი შვილიშვილი ჩემთან ერთად ცხოვრობს თბილისში. მეუღლე, თინათინი კი ჩემსავით ცოტა შემომიბერდა, მაგრამ რაც მთავარია, ყველანი კარგად ვართ. ერთი ეგაა, მატერიალურად ისე ვართ, როგორც ყველა პატიოსანი კაცი.

**— 80 წელს მიტანებული ადამიანისათვის ეს ასაკი სოლიდურია თუ საკმარისი არ არის?**

— აბა, საკმარისი როგორ შეიძლება იყოს? მე მგონი, ახლა იწყება ცხოვრება. იცით, როგორ არის? თავი ისევ პატარა ბიჭი მგონია. ვერ ვგრძნობ ჩემს ასაკს, არც ვუყურებ. სხვათა შორის, არც ტელევიზორს ვუყურებ. იმ დღეს მე და ჩემი მეუღლე ტელევიზიით ქართულ სიმღერებს ვუსმენდით. „გაფრინდი შავო მერცხალო“ იმღერეს, ცრემლი მომადგა თვალზე. მომენატრა ჩვენი სიმღერები, ნაღდი, ქართული, ჩვენი დროის. ახლა მე მგონი, ახალგაზრდებმა არც იციან სიტყვა „სამშობლო“, ჩემი თაობის „დინამოელებისთვის“ კი ფეხბურთი მარტო ბურთი და მოედანი არ იყო. ჩვენი გამარჯვება, ქართველი კაცის გამარჯვებას ნიშნავდა.

**— იცით, რა მაინტერესებს? თქვენ, სიომა ბარქაიამ, თქვენი ცხოვრების მანძილზე რისი გაკეთება მოასწარით და რისი — ვერა? რომელი ოცნება აისრულეთ და რომელი — ვერა?**

— ვერ ავისრულე ჩემი გაგრა, ჩემი სოხუმი. დავკარგეთ. დავკარგე ჩემი სახლი, ჩემი საფლავები, ჩემი სამშობლო და ალბათ ვერც მოვესწრები მათ დაბრუნებას. პოლიტიკისაგან ყოველთვის შორს ვიყავი, ამიტომ ვიტყვი, არავის აინტერესებს ჩვენი აფხაზეთი, არც ერთ მთავრობას. არავის ეწყინოს, სამწუხაროდ, ასეა. როგორღაც ვეტერანი ფეხბურთელები სოჭში შევიკრიბეთ, ქართველები, აფხაზები, რუსებიც იყვნენ, თითქოს ისევ ძველი მეგობრები ვიყავით, მაგრამ ეს უკვე ის ბიჭები არ იყვნენ. მე გაგრაში დავიბადე, აფხაზეთის ნაკრებში ვთამაშობდი. ბავშვობისა და ახალგაზრდობის მეგობრები იქ მყავდა. ჩემი ოჯახი ცხოვრობდა იქ, მერე კი ჩემს სახლში აფხაზი, გვარად სილაგაძე ჩასახლდა. როგორ მოგწონთ, სილაგაძე და აფხაზი?

**— რამდენადაც ვიცი, მეტსახელი, სიომა სწორედ გაგრაში შეგარქვეს.**

— მართალია, ჩემი ცხვირის თავისებური კონფიგურაციის გამო მეზობლის ბიჭმა, ვოვა ლებედევმა შემარქვა და დღემდე შემომრჩა. თუმცა, პირადად მე, მეორე, წმინდა საფეხბურთო მეტსახელი, სტალიჩნი უფრო მომწონს. საქმე ის არის, რომ მოსკოვში, საბჭოთა კავშირის დედაქალაქში, ხშირად გამქონდა გოლები. მოსკოვის „სპარტაკს“, მაგალითად, 7 ბურთი გავუტანე, ერთხელ კი „ჰეთ თრიკიც“ შევასრულე. 1959 წლის საკავშირო ჩემპიონატში მასპინძლები 2:0 გვიგებდნენ. პირველი გოლი რომ გაგვიტანეს, გულშემატკივრებმა საჰაერო ბუშტები ააფრინეს. მეორე გოლის შემდეგ ერთხმად — „სპარტაკ! სპარტაკ!“ სკანდირება დაიწყეს. მალე ჩემი ჩაწოდებით თენგიზ მელაშვილმა ერთი ბურთი გაქვითა, მაგრამ მათ მესამედაც აიღეს ჩვენი კარი. აი, ამის შემდეგ კი ჩემი „სოლო კონცერტი“ დაიწყო. ზედიზედ სამი გოლი გავიტანე და მატჩიც 5:4 მოვიგეთ. იმავე სეზონში, მოსკოვშივე ადგილობრივი დინამოელებიც დავამარცხეთ. მანამდე მთელი 17 წელი არ მოგვეგო იმათ მოედანზე. ამ მატჩშიც ორივე ბურთი მე შევაგდე. სწორედ ამის შემდეგ შემარქვეს „Столичный“. თუმცა, სიმართლე გითხრათ, მე „ლუჟნიკების“ სტადიონზე, ცსკა-ს კარში გატანილი გოლი უფრო დამამახსოვრდა. დაახლოებით 30-35 მეტრიდან, პირდაპირ „ცხრიანში“ შევაგდე ბურთი. იმ წელს, სეზონის დასაწყისში სტადიონის დირექციამ სპეციალური პრიზი დააწესა ყველაზე ლამაზი გოლისათვის. წესით,

ჩემთვის უნდა მოეცათ, მაგრამ სეზონი რომ დამთავრდა, ის პრიზი არავის გადასცეს.

**— თბილისის „დინამოში“ ვინ მიგიწვიათ?**

— „დინამოში“ 1956 წელს ჩავირიცხე. პირველ სეზონში ათი მატჩი ვითამაშე და ერთი გოლი გავიტანე. 1959 წელს კი გუნდში ანდრო ჟორდანია დანიშნეს უფროს მწვრთნელად. ის ძალიან ნიჭიერი სელექციონერი იყო. კოჭებში ატყობდა ბიჭებს, ვისგან დადგებოდა კარგი ფეხბურთელი. ჩემი თამაში მას გაგრაში ჰქონდა ნანახი. სწორედ მისი დაჟინებული მოთხოვნით გადმომიყვანეს თბილისში. ჩემ გარდა მან კიდევ არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელი მიიწვია „დინამოში“, გიორგი სიჭინავა, გურამ პეტრიაშვილი, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა... ხურცილავას ფეხბურთელობას არავინ იფიქრებდა, ბატონმა ანდრომ კი აიყვანა და მსოფლიო კლასის ფეხბურთელიც დადგა.

**— თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებთან რომ დიდი მეგობრობა გაკავშირებდათ, გასაგებია, მაგრამ სხვა კლუბის მოთამაშეებთან თუ მეგობრობდით?**

— ბევრთან, საკმაოდ ბევრთან. ვალენტინ ივანოვი, ვალერი ვორონინი, ნიკოლაი მანოშინი, მაგრამ გამორჩეულად ახლოს ლეგენდარულ მეკარესთან, ლევ იაშინთან ვიყავი. თუმცა, ერთხელ ისიც მაგრად გავამწარე, მოსკოვში გოლი შევუგდე. იმხანად ის მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატი იყო. მოვუტრიალდი და მივაძახე — Вынимай депутат! იაშინი გაშვებულ ბურთზე უფრო მეტად ჩემმა სიტყვებმა გაამწარა. საფეხბურთო კარიერა რომ გავასრულე, ერთი პერიოდი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ვხელმძღვანელობდი. იაშინის დაბადების დღე ახლოვდებოდა. ცოტა ფული შევუგროვე, გაგრაში დავურეკე მეგობარს, გურამ გაბისკირიას, სამი ყუთი ღვინო, „ლიხნი“ გამოვაგზავნინე. მოსკოვში იაშინს წავუღე. სახლში რომ შევედით, ის და მისი ყოფილი დუბლიორი მეკარე, ვლადიმირ ბელიაევი ისხდნენ კონიაკის პატარა ბოთლით. ძალიან გაუხარდა ჩემი დანახვა, მერე კი რომ გაიგო, ეს 60 ბოთლი ღვინო სპეციალურად მისთვის ჩავიტანე, ლამის ჭკუიდან გადავიდა კაცი. ხელმოკლედ ცხოვრობდა, ხეირიანი ავეჯიც არ ჰქონდა სახლში. ამოვიღე ის შეგროვებული ფული და მივეცი. იტირა. — მე მხოლოდ იაპონელებმა მაჩუქეს ავტომობილი, მაგრამ ჩემთვის პატარაა და ვერ ვჯდები, ქალიშვილს უნდა ვაჩუქოო, — მითხრა.

**— ბატონო სიომა, თქვენი ცხოვრების მანძილზე ბევრი ქართველი ფეხბურთელის თამაში გინახავთ და ეგებ საუკეთესო 11 ფეხბურთელი დამისახელოთ.**

— შეუძლებელია, იმდენი დიდებული ოსტატი გვყავდა, ყველა ვერ მოხვდება ამ შემადგენლობაში. ამიტომ ვერ გეტყვით. ერთი კი შემიძლია ვთქვა, რომ მიშა მესხი, სლავა მეტრეველი და თავდასხმის ცენტრში ბორის პაიჭაძე, ეს სამეული ნებისმიერ გუნდში ითამაშებდა. რაც შეეხება დამოუკიდებელი საქართველოს ფეხბურთელებს, შოთა არველაძე სამჯერ დაასახელეს საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად, ბორის პაიჭაძე კი საქართველოს მეოცე საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელადაა აღიარებული. დასკვნა თავად გამოიტანეთ.

**— თბილისის „დინამოში“ ათი წლის განმავლობაში 230-მდე მატჩი ჩაატარეთ და 70-მდე გოლიც გაიტანეთ. თქვენი დროის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელი იყავით, მაგრამ საბჭოთა ნაკრების მწვრთნელები დიდად მაინც არ გწყალობდნენ.**

— ნაკრებში 1965 წელს მიმიწვიეს, დანიის ნაკრებთან, ინგლისის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ. ძალიან ძლიერი გუნდი გვყავდა, არც მე მითამაშია ცუდად, ორი ბურთი შევაგდე. თითო — სლავამ და მიშამ გაიტანეს და 6:0 მოვიგეთ. ერთი კვირის მერე კი მოსკოვში მსოფლიოს ორგზის



სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია, მიშა მესხი

ჩემპიონები, ბრაზილიელები ჩამოვიდნენ. პელე, გარინჩა ფლავიო, ჯალმა სანტოსი, ჟერსონი... ამხანაგური მატჩი ვითამაშეთ. გასახდელში უფროსმა მწვრთნელმა ყველა გაგვაოცა თავისი მითითებებით: — მატჩი არ უნდა მოვიგოთ, თორემ მომავალ წელს, ინგლისში მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებას მოგვთხოვს ქვეყნის ხელმძღვანელობაო. სიმართლე გითხრათ, თამაშის წინ ვფიქრობდი, რომ მეტოქეები არც ისე ძლიერები იყვნენ,



ბარქაიას მორიგი იერიში

როგორც ამბობდნენ, ამიტომ არც ვნერვიულობდი, მაგრამ დაიწყო თამაში და ახლა უკვე ბრაზილიელებმა გაგვაოცეს. ამ ვირტუოზებს პრაქტიკულად ყველაფერი გამოსდიოდათ. პელეს მეურვეობა გიორგი სიჭინავას ჰქონდა დავალებული, მაგრამ პელეს ვინ გააჩერებდა? ორი გოლი თავად გაგვიტანა, ერთიც მისი ფილიგრანული გადაცემით ფლავიომ შეაგდო. 3:0 მოგვიგეს. თამაშის შემდეგ მოროზოვი გვსაყვედურობდა: — პელე როგორ ვერ დაიჭირეთო? სიჭინავამ უპასუხა: — მე ვიცი მაგას ვინ დაიჭერდა, ლავრენტი ბერიაო.

იმ მატჩის დავიწყება შეუძლებელია. წარმოიდგინეთ, საბჭოთა ნაკრების 11 ფეხბურთელიდან, ხუთი ქართველი ვთამაშობდით. მართალია წავაგეთ, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად მსოფლიოს ორგზის ჩემპიონების წინააღმდეგ ვითამაშე.

**— იმ მატჩის დამთავრების შემდეგ ქართველმა ფეხბურთელებმა: მესხმა, მეტრეველმა, სიჭინავამ და კავაზაშვილმა სამახსოვრო ფოტო გადაიღეს პელესთან ერთად. თქვენ მათ შორის არა ხართ, რატომ?**

— რამდენიმე დღეში საკავშირო ჩემპიონატის საპასუხისმგებლო მატჩი გვქონდა და მწვრთნელს თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე შეცვლა ვთხოვე. ასე რომ, თამაშის დასრულების მერე მოედანზე უკვე აღარ ვიყავი და ფოტოც ვერ გადავიღე.

**— ამ მატჩის შემდეგ მოროზოვს ნაკრებში უკვე აღარ მიუწვევიხართ, თუმცა ორ შეხვედრაში ორი გოლი ცუდი შედეგი სულაც არ არის.**

— მოროზოვს ფეხბურთის თავისებური ხედვა ჰქონდა. აღარ დამიძახა გუნდში. იმ დროისათვის უკვე მუხლი მაწუხებდა, კარიერის დასრულებაზე დავიწყე ფიქრი. უკვე ისე ვეღარ ვთამაშობდი და წამოვედი, ვიდრე ტრიბუნები დამისტვენდნენ. გულშემატკივრების რეაქციას მეც და სხვებიც მტკივნეულად განვიცდიდით. ყოფილა შემთხვევები, წაგებული მატჩის შემდეგ დაუკრავთ ჩვენთვის ტაში და — პირიქითაც. მახსოვს, ერთხელ ძნელი მატჩი მოვიგეთ თბილისში, მაგრამ გივი ჩოხელს არ გამოუვიდა თამაში. შეხვედრის დამთავრების შემდეგ მთხოვა გივიმ — მამაჩემი შენი მანქანით წაიყვანე სახლშიო. გზაში ბატონი დიმიტრი, ეს დინჯი კახელი კაცი მეუბნება, — ბიჭო, სიომა, ჩემს შვილს უთხარი, ფეხბურთს თავი დაანებოსო. გამიკვირდა, — რატომ-მეთქი? — ჩემი ცოლი ერთი გამხდარი ქალია და ლამის მთელმა სტადიონმა გადაუარა გინებით, არ მინდა, თავი დაანებოსო.



გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, პელე, ანზორ კავაზაშვილი, მიხეილ მესხი

**— ჩვენმა „დინამომ“ კლუბის არსებობის ისტორიაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ოქროს მედლების მოპოვება სულ ორჯერ შეძლო. პირველად ჩემპიონის ტიტულს 1964 წელს, თქვენი თაობა დაეუფლა. თუმცა ზოგი იმასაც ამბობს, მაშინ საბჭოეთის მთავარი „ბოსი“ ნიკიტა ხრუშჩოვი მოხსნეს და „დინამოც“ იმიტომ გახდა ჩემპიონიო.**

— ხრუშჩოვი მართლა ცოტა ხნით ადრე გაათავისუფლეს პოსტიდან, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, ჩვენ მთელი ჩემპიონატის მანძილზე ერთთავად სულ ლიდერებში ვიყავით. ფეხბურთის საკავშირო ფედერაციაც გვარიანად გვებრძოდა. ბოლო ტურის მატჩი თბილისში, კიშინიოვის „მოლდოვა“ გვქონდა. მათ უკვე აღარაფერი არ შველოდათ, რომც მოეგოთ ჩვენთვის, უმაღლესი ლიგიდან მაინც vარდებოდნენ. თავი გაიგიჟეს, ბოლომდე გვებრძოდნენ. თამაში უკვე მთავრდებოდა, გამარჯვების გოლის გატანა რომ შევძელი და 1:0 ძლივს მოვიგეთ. შეხვედრის მერე ვკითხეთ მიზეზი. აღმოჩნდა, რომ მოსკოვში, საკავშირო ფედერაციაში შეჰპირებიან, „დინამოს“ თუ ერთ ქულას მაინც დააკარგვინებთ, უმაღლეს ლიგაში დაგტოვებთ, სპორტის ოსტატების წოდებას მოგანიჭებთ და საზღვარგარეთ ტურნეშიც გაგიშვებთო. ჩვენ რომ ფრედ გვეთამაშა, მოსკოვის „ტორპედო“ ხდებოდა ჩემპიონი, მაგრამ მოვიგეთ და ტორპედოელებთან ერთად, ქულათა თანაბარი რაოდენობა მოვაგროვეთ. დებულების თანახმად, პირველად საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში, დაინიშნა დამატებით, „ოქროს მატჩი“. რაღა თქმა უნდა, მოედანი ნეიტრალური უნდა ყოფილიყო, მოსკოვმა კი ლენინგრადი შემოგვთავაზა. საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ, გიორგი სიხარულიძემ სამაგიეროდ ქუთაისი შესთავაზა, — ნოემბერში აქ უკეთესი ამინდებიაო. საბოლოოდ, ტაშკენტი შეარჩიეს.

თავიდან უზბეკი გულშემატკივრები „ტორპედოელებს“ ქომაგობდნენ, მაგრამ ილია დათუნაშვილმა პირდაპირ კუთხურიდან რომ ჩაახვია ბურთი ედუარდ შაპოვალენკოს კარში, დამატებით დროში კი 2:1 დავწინაურდით კიდეც, ტრიბუნები უკვე ჩვენ გვიჭერდნენ მხარს. გახსოვთ ალბათ, საბოლოოდ 4:1 გავიმარჯვეთ და პირველად გავხდით საბჭოთა კავშირის ჩემპიონები. მანამდე ჩემპიონები მხოლოდ მოსკოვის გუნდები ხდებოდნენ, მხოლოდ ერთხელ მისცეს კიევის „დინამოს“ ტიტულის მოპოვების უფლება. ეს დაუწერელი კანონი იყო. ამიტომაც არის ის ჩვენი გამარჯვება ასეთი მნიშვნელოვანი. ■

# გი დე მოპასანი — „ელვასავით გამქრალი მეტეორი“

დასაწყისი იხ. „გზა“№27

ირინა ჯანდიერი

### პირადი ცხოვრება, ქალები და საბედისწერო დასასრული

მიუხედავად საყოველთაო პოპულარობისა, მოპასანი გულდასმით აცალკევებდა თავის პირად ცხოვრებას გარემოს მომაბეზრებელი ცნობისმოყვარეობისგან. მკითხველებს ის საკუთარ ნაწარმოებებს ჩუქნიდა, მაგრამ პირადი ცხოვრების მათთვის გახსნა, ფართო სამსჯავროზე გამოსატანად, არ ემეტებოდა და არ სურდა. მისი „ამაყი, მორცხვი გული, რომელსაც დასცინეს“, როგორც ერთხელ თავად აღიარა, მხოლოდ მას ეკუთვნოდა — ერთადერთს. გი დე მოპასანი თავისი პორტრეტის დაბეჭდვის უფლებასაც კი არ იძლეოდა. დაიბარა, რომ სიკვდილის შემდეგ, ყველა დოკუმენტი და წერილი გაენადგურებინათ. ის მუდმივად ცდილობდა, დისტანცია შეენარჩუნებინა საზოგადოებისგან. თავს არიდებდა სახალხო გამოსვლებსა და პატივის მიგებას. ცნობილია მოპასანის სიტყვა იმის შესახებ, რომ მწერალს სამმა რამემ შეიძლება აჰყაროს პატივი: პუბლიკაციამ რესპექტაბელურ ჟურნალ „რევიუ დე დე მონდში“; საპატიო ლეგიონის ორდენით დაჯილდოებამ და ფრანგულ აკადემიაში არჩევამ.

ჯერ კიდევ გზის დასაწყისში, მოკრძალებული ახალგაზრდა კაცი, რომელმაც ქალებთან მიდგომა არ იცოდა, ხშირად სტუმრობდა ბორდელებს. როცა მდიდარი და სახელგანთქმული გახდა, მხიარული „მეგობარი ქალები“ მაშინაც არ დავიწყებია და მაღალი წრის ქალბატონებთან შეხვედრების პარალელურად, ისევ აკითხავდა „უძველესი პროფესიის“ წარმომადგენელთ.

20 წლის ასაკში გიმ შეიტყო, რომ მძიმე დაავადებით დასნეულდა. მკურნალობის შემდეგ, თავი დაიიმედა, რომ გამოჯანმრთელდა და კვლავ ზღვარგადასული სქესობრივი ცხოვრება გააგრძელა. ქალებს ხელთათმანებივით იცვლიდა.

პირველი გრძნობა ყმაწვილს პარიზელმა კისკისა ლამაზმანმა — ფანიმ გაუღვიძა. ახალგაზრდა თაყვანისმცემელმა მას ლექსი უძღვნა და პაემანიც დაუნიშნა. საღამოს, როცა ფანისთან შესახვედრად მივიდა, გამაოგნებელ სანახაობას წააწყდა: მისი რჩეული სიცილ-კისკისით კითხულობდა მიძღვნილ ლექსს და გარშემო მყოფებს თავს აწონებდა და ართობდა. მსგავსი საქციელის პატიება გიმ ვერ შეძლო. მას მერე, ქალების მიმართ უნდობლობა და ზერელე დამოკიდებულება გამოუმუშავდა. ის თავის საყვარლებს და თაყვანისმცემელ ქალებს მუდამ დასცინოდა. მაგალითად, მწერალმა ძალიან მსუბუქად ახადა ფარდა ურთიერთობას გრაფინია ემანუელა პოტოცკაიასთან, როცა რომანში — „ჩვენი გული“ — მთავარ პერსონაჟს მიამსგავსა. ბარონესა დე ფრემინში — თამამ, ნებიერა, ცივ და ნარკომან ქალში მთელმა ქვეყანამ გრაფინია შეიცნო. თუმცა, „მშვენიერ მოკავშირეს“ მწერლის ექსტრავაგანტურ გამოხდომაზე უარყოფითი რეაქცია არ ჰქონია,



პირიქით — მათი კავშირი უფრო გამყარდა კიდეც. საყვარლები ძველებურად ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და მიმოწერასაც აგრძელებდნენ.

ცნობილია მოპასანის გატაცება ვისკონსინის სენატორის ქალიშვილით, მარკიზ დ'ალიგრის მეუღლით, ამერიკელი ბლანშ რუზველტითაც. ქალი თანამშრომლობდა ჟურნალთან, რომელსაც ოსკარ უაილდი გამოსცემდა. ის შესანიშნავი ლიტერატორი იყო. მისით აღფრთოვანებულნი იყვნენ: ვიქ-



ტორ ჰიუგო, პოეტი ბრაუნინგი და სხვანი, მაგრამ ბლანშმა არჩევანი მოპასანზე შეაჩერა. ის მწერალს ქალაქგარეთ მდებარე სახლში ხშირად და დიდი ხნით სტუმრობდა.

მიუხედავად მძაფრი ურთიერთობებისა, მოპასანის ნაწარმოებებში ხშირად მარტოსულობის განცდა იჩენს ხოლმე თავს, რომელიც სიყვარულითაც კი დაუძლეველია. როგორც უნდა ეცადოს ადამიანი, რომ მეორე ადამიანში გაგება მოიპოვოს, როგორც უნდა სურდეს, რომ მისთვის ერთობისა და სიყვარულის განსახიერება გახდეს — ეს განუხორციელებელია.

„შერწყმის მტანჯველი წყურვილი ჩვენ გვტანჯავს, მაგრამ მთელი ჩვენი ძალისხმევა უსარგებლოა, მისწრაფებანი — ამაო, აღიარებანი — უნაყოფო, ჩახუტებანი — უღონო, ალერსი — უნდო... არ არსებობს უმეტესი საიდუმლო, ვიდრე სხვა არსების შეუცნობელი აზრია — დაფარული და თავისუფალი, რომლის გაგება, მართვა, დამორჩილება და დაქვემდებარება არ ძალგვიძს!“

მოპასანის აზრით, ადამიანი საკუთარ თავთანაც განხეთქილებაშია. მასში ორი საწყისი იბრძვის — სულიერი და ფიზიკური. ამ მუდმივ ჭიდილში ხან ერთი იმარჯვებს, ხან — მეორე. ჰარმონია მიუღწეველია. ბუნებასთან ერთობასაც კი ვერ მოაქვს სრული სიმშვიდე. ის საკუთარ თავში რაღაც შეუცნობელსა და ავს ფარავს. მასში მომხდარ მოვლენათა წრებრუნვა ადამიანური არსებობის ჩაკეტილ წრეს ჰგავს.

ავადმყოფობის შემოტევები კიდევ უფრო მეტად აძლიერებდა მწერლის პესიმისტურ განწყობილებას. გავლენა არტურ შოპენჰაუერის ფილოსოფიამაც იქონია. ასევე, ოგიუსტ კონტისა და ჰენრი სპენსერის პოზიტიურმა იდეებმაც: მოძღვრებამ „მსოფლიო ნების“ შესახებ, რომელიც შეუწყნარებელია ადამიანური თანდაყოლილი „ცხოვრებისეული ნების“ მიმართ და ბიოლოგიური ფატალიზმის თეორიამ, მოპასანის მსოფლაღქმაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. ეს მის შეხედულებებზეც აისახა, რომ „სუნთქვა, სმა, ჭამა, ძილი, შრომა, ოცნება — ყველაფერი ნიშნავს კვდომას!“ ეს აზრი ხშირად დომინირებს მისი მოთხრობებისა და რომანების სიუჟეტებში.

1884 წლის მარტში მოპასანმა უცნაური წერილი მიიღო. კორესპონდენტი საკუთარ სახელს არ ამხელდა, მაგრამ გზავნილმა მწერალი დააინტერესა. წერილის ავტორი 24 წლის, ვინმე მარია ბაშკირცევა აღმოჩნდა. ის მდიდრულ ოჯახში გაიზარდა. ქრონიკულმა ლარინგიტმა მას ხმა და სმენა დააკარგვინა, ამიტომ თავს მარტოსულად გრძნობდა. გოგონას 34 წლის მოპასანთან შეხვედრაზე არც უფიქრია. თუმცა, უცნობი ქალის წერილებმა მწერლის დაავადებული სულის სიმებს შეარხია. მას შეეშინდა, რომ კვლავ შეიყვარებდა, ამიტომ იძულებული გახდა გოგონასთვის ცინიკური პასუხი გაეცა. მარიამ ასეთი საქციელი მას არ აპატია და წერილების წერა შეწყვიტა. გოგონა მალე ტუბერკულოზით გარდაიცვალა. მოპასანი მივიდა მის საფლავზე და ძალიან ნანობდა საკუთარ საქციელს.

ამის მერე, მწერლის ცხოვრებაში ჟიზელ დ'ესტოკი გამოჩნდა. ამ საბედისწერო ლამაზმანის ნამდვილი სახელი — მარი-პოლ დებარი იყო. ყმაწვილქალობისას, როცა მშობლებმა მისი ლესბოსური ურთიერთობების შესახებ შეიტყვეს, დიდი სკანდალი მოხდა და მარი იძულებული გახდა პარიზში გადასახლებულიყო, სადაც ახალი სახელი — ჟიზელი დაირქვა. კარგი გარეგნობის ქალი ამავე დროს ჩინებული მოსაუბრეც გახლდათ. ის მშვენივრად წერდა, ძერწავდა და ხატავდა. ასევე, ლექციებს კითხულობდა. პარიზელთა შორის საკმაო პოპულარობაც მოიპოვა. მისით ინტერესდებოდნენ კაცებიც და ქალებიც. თვით ქალი კი — მოპასანით იყო დაინტერესებული...

ერთხელ, ჟიზელი თავის საყვარელს — ცირკის მსახიობ ემა ბოერს წაეკიდა და ის დანით დაჭრა. მართლმსაჯულებისგან სწორედ მოპასანმა იხსნა. მწერალმა დამნაშავე ერთ-ერთ თავის სახლში დაასახლა. მათი შეხვედრა საბედისწერო აღმოჩნდა მოპასანისთვის. ნარკოტიკების მოყვარულმა ქალმა საზღვარი არაფერში იცოდა. სწორედ მან უბიძგა მწერალს უფსკრულისკენ. სრულმა თავაშვებულობამ მოპასანზე დამანგრეველად იმოქმედა: ჰალუცინაციების ფონზე, ის რამდენჯერმე შეეცადა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინა. საშინლად ტანჯავდა შაკიკი და ნევრალგიური ტკივილებიც. აწამებდა ტკივილი თვალებში, რომელიც ხშირად აუტანელი ხდებოდა. თან სდევდა შიში. უჭირდა მუშაობა, მაგრამ მხოლოდ მუშაობაში პოულობდა ცოტაოდენ სიმშვიდეს. ასეთ რთულ წლებში დაიწერა მისი მოთხრობები: „ორლეა“; „ის?“; „ვინ იცის?“. მათში ბევრი რამ აუხსნელია, ფანტასმაგორიული, ირეალური. აღმოცენდებიან უცნაური სახეები. ჩნდება გაორების თემა.

1892 წლის იანვრის დასაწყისში, მორიგი თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ, მოპასანი ექიმი ბლანშის საავადმყოფოში დააწვინეს, სადაც სიცოცხლის ბოლომდე დარჩა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „წყვდიადი! წყვდიადი!“

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე კი წერდა: „მე ლიტერატურულ ცხოვრებაში მეტეორივით გავჩნდი და ისე გავქრები, როგორც ელვა“.

**დასასრული**

# სუფრის გაწყობის ხელოვნება

## დიპლომატიური გამასპინძლება შამპანურით და ინგლისური საუზმე — ქართულად

**ბატონი ვიქტორ პლოტნიკოვი პროფესიულ კოლეჯში სარესტორნო საქმის პროგრამის ხელმძღვანელია და სტუდენტებს მომსახურების სფეროში არსებულ სტანდარტებს, ეტიკეტს, საჭირო თვისებებისა და უნარ-ჩვევების გამომუშავებას, მომხმარებელთან სწორ კომუნიკაციას და ბევრ სხვა საინტერესო რამეს ასწავლის — რაც ოფიციანტისთვის აუცილებელია. ბატონი ვიქტორი იმ წესებსა და ნორმებზე გვესაუბრება, რაც ერთნაირად გამოადგება როგორც მომხმარებელს, ისე მომსახურე პერსონალს თუ უბრალოდ, დიასახლისს, სტუმრიანობისას. ინტერვიუს ჩაწერის დროს, საუბარში მისი კოლეგა, ტურიზმის ექსპერტი — ლალი მიქელაძეც გვერთვებოდა ხოლმე.**

თამთა დადეშელი

**ვიქტორ პლოტნიკოვი:**

— როცა ეს საქმე დავიწყე, მაშინ სერვისმენეჯერები არ ერქვათ, იყვნენ მეტრდოტელები ან რესტორნის ადმინისტრატორები. ერთი ქურთი კაცი იყო — ვოვა ბაქიანი, უმაღლესი დონის სპეციალისტი, ასევე, რობინზონ მონასერიძე, თემურ კოჩიაშვილი. მოსკოვში კი იმ ხალხისგან ვისწავლე, ვინც იოსებ სტალინს ემსახურებოდა და ამ საქმის სუპერპროფესიონალები იყვნენ.

### ჭურჭლის განლაგების ქართულ-უცხოური წესები

— სერვირება სხვადასხვაგვარია და რამდენი ადამიანიცაა, იმდენნაირი შეიძლება იყოს. სტანდარტულად კი ორი სახისაა: სრული და წინასწარი. სრული სერვირებაა, რომელიც შეკვეთიდან გამომდინარეობს — წინასწარაა შეკვეთილი თუ იმ მომენტში. წინასწარი სერვირება ნიშნავს, რომ მაგიდაზე უკვე დევს თეფშები, დანები, ჩანგლები, მინის ჭურჭელი, სანელებლები (მარილი, შავი პილპილი, წიწაკა) და ხელსახოცები. ასევეა, სერვირება შეკვეთილი მენიუსთვის და ის, რაც კვების ობიექტზე შეიძლება დახვდეს სტუმარს. სპეციალური შეკვეთის დროს ხდება კორექტირება, ზედმეტი საგნების მოცილება, საჭიროს დამატება და ა.შ. ზოგიერთ რესტორანში ჩვეულებრივი ქართული სერვირება გამოიყენება. აქ პურისთვის განკუთვნილი პატარა თეფში იშვიათად დევს სადმე, ამიტომ იძულებული ხარ, შენსავე დიდ თეფშზე დაიდო ან სადმე — იქვე. სტანდარტულ, თბილისურ სერვირებაში შედის ორი თეფში, ე.წ. ცხელი და ცივი კერძებისთვის. წესის მიხედვით, სალამოს საათებში თეფშზე იდება კონუსისებურად დახვეული ნაჭრის ხელსახოცი, დღის საათებში კი ეს ხელსახოცი დაკეცილი დევს. თბილისში ასევე დებენ ერთ ფუჟერს წყლისთვის და მეორეს — ღვინისთვის. ზოგ ქვეყანაში სამნაირი იდება. თბილისურ რესტორანში ორი კაცი რომ შედის, უკვე მინიბანკეტია, იმდენ რამეს მიირთმევენ (*იცინის*) და ბევრი ატრიბუტი მაგიდაზე აღარ ეტევა.



თბილისურ რესტორანში ორი კაცი რომ შედის, უკვე მინიბანკეტია



ზოგიერთ რესტორანში ჩვეულებრივი ქართული სერვირება გამოიყენება

### საუზმე — ინგლისური და კონტინენტური

— ახლა საუზმის სერვირება თითქმის არ არსებობს. საუზმეს სთავაზობენ სასტუმროს ნომრებში, ფასის შესაბამისად და შვედური მაგიდის სახით. ორი სახის საუზმე არსებობს — ინგლისური და კონტინენტური. ინგლისური საუზმის დროს, სხვა ჭურჭელთან ერთად, სუფრაზე პურის პატარა ლამბაქი იდება. კონტინენტური საუზმე ძალიან მსუბუქია. მასში შედის ერთი ულუფა კარაქი, ერთი ულუფა ჯემი, თაფლი ან მურაბა და ნებისმიერი ცხელი სასმელი. დამატებით, კრუასანი ან სხვა ცომეული. კარაქისთვის დანა გვაქვს,

კრუასანი მზა მიგვაქვს, თავისივე თეფშით და სურვილისამებრ, ვუსხამთ ჩაის, ყავას, ცხელ რძეს და ა.შ. კავკასიელისთვის ეს ტრადიცია სხვანაირადაა: ჩვენთვის იწყება სალათებით და მთავრდება დიასახლისის სადღეგრძელოთი (*იცინის*). კონტინენტური საუზმე ისეთ ქვეყნებშია მიღებული, როგორიცაა: საბერძნეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, პორტუგალია. უფრო მსუყე საუზმეებს კი ჰქვია — ინგლისური, რომელშიც ის ყველაფერი შედის, რაც კონტინენტურში, მაგრამ ემატება ცივი ან ცხელი კერძი ან ორივე ერთად. ამ შემთხვევისთვის, „პრიბორში“ ვამატებთ ერთ დანას მთავარი ან ცხელი კერძისთვის. ვამატებთ ყველს, ლორს, ომლეტს, კვერცხს, სოსისს ან რომელიმე მათგანს და პლუს წვენი ან რომელიმე სხვა სასმელი. ეს საუზმე ყველაზე მეტად უხდება ქართულს. როგორც ჩანს, ჩვენი გემოვნება მათთან უფრო ახლოსაა, ვიდრე მაგალითად, ფრანგებთან. ამ შემთხვევაში, არც ერთი თეფში არ იდება, რადგან ყველაფერი თავისი თეფშით მოდის მაგიდასთან. საჭმელი მოაქვთ, მიირთმევ, ის თეფში მიაქვთ, შემდეგ ცხელი კერძია, ისიც თეფშით მოაქვთ და ა.შ. თუ სასტუმროში იქნებით, შვედური მაგიდიდან მიირთმევთ, მაგრამ დარბაზში ასეთნაირად გაშლილი მაგიდაც იქნება, ინგლისური საუზმისთვის, რადგან არ იციან, ინგლისურს აირჩევთ თუ ფრანგულს. შვედური მაგიდიდან რომელ კერძსაც გინდათ, აიღებთ, დაიდებთ თეფშზე, მიიტანთ მაგიდასთან და იმ „პრიბორებით“ მიირთმევთ, რომელიც მაგიდაზე დევს. რაც შეეხება საუზმეს შამპანურით, ეს დიპლომატიური გამასპინძლებაა.

### სადილის სერვირება

— გააჩნია, რისი შეკვეთაა, მაგრამ ძირითადად, სადილის სერვირებას დაბლდოტი ჰქვია. მასპინძლის სუფრა ანუ ეს არის ის მენიუ, სადაც არჩევანი შეზღუდულადაა. ამ დროს „პრიბორს“ ვამატებთ კოვზს და არ ვდებთ ჭიქას სპირტიანი სასმელებისთვის. მხოლოდ და მხოლოდ მინერალური წყალი ან წვენი. არსებობს „აპარტი“, როდესაც ინდივიდუალურად მოგემსახურებიან თუ რესტორანს ამის საშუალება აქვს.

### საღამო რესტორანში

— საღამოს სერვირება ასეთია: ორ ჩანგალსა და ორ დანას შორის ემატება კიდევ ჩანგალი და დანა თევზისთვის, თეფშის წინ კი პატარა დანა-ჩანგალი — ხილისთვის, დესერტისთვის. გვერდით აუცილებლად დევს პურის პატარა თეფში. ეს არის რესტორნის საღამოს სერვირება. თეფშები მაგიდის კიდიდან ორი თითის დაშორებით უნდა იყოს დადებული. ვინაიდან წვნიანი საღამოს არ მიირთმევა, შესაბამისად, კოვზიც არსად იდება.



ეს არის რესტორნის საღამოს სერვირება

### მომსახურება და სტანდარტები

— სერვირებაში სტანდარტები არ არსებობს. ნებისმიერ ობიექტს, მსხვილ ქსელს თავისი სტანდარტი აქვს, ე.წ. „ჰაუს რულსი“, საკუთარი შემუშავებული შინაგანაწესი. ზოგან დანა-ჩანგალს ხელსახოცში ახვევენ, წყლის ჭიქა იდება, რომელიც ვისკის ჭიქას ჰგავს, პურის თეფში და ა.შ. საქართველოში ლიცენზიები, სტანდარტები, სერტიფიკატები საერთოდ არ არსებობს, ეს არის ჩვენი გარღვევა. ევროკავშირი გვეუბნება — ისწავლეთ ევროპული წესები და მიიღეთ ის, რაც კარგია, თუმცა თქვენ უფლება გეძლევათ, ეროვნული ხასიათისა და მენტალიტეტის გათვალისწინებით, თქვენებური კორექტირება შეიტანოთ. ჩვენთან არის რესტორნებისა და სასტუმროების ფედერაცია, ისინი ამაზე მუშაობენ.

### ქართული ყალბი ვარსკვლავები „პაგონებზე“

— რესტორნებს კლასიფიკაცია არ აქვთ. როცა ამბობენ, ხუთვარსკვლავიან რესტორანში ვიყავიო, ტყუილია. არ არსებობს ხუთვარსკვლავიანი რესტორანი. არის ამდენვარსკვლავიანი სასტუმრო. რესტორანი არის კარგი ან ცუდი. მიშლენის ვარსკვლავები ცალკე თემაა და მათი მინიჭება საზღვარგარეთ როგორც ხდება, ყველამ კარგად იცის. მიშლენის ინსპექტორები ჩვეულებრივი მომხმარებლის სტატუსით შედიან, იქაურ კერძებს დააგემოვნებენ, ერთმანეთთან შეთანხმებით განიხილავენ და თუ მოეწონებათ, მერე გადაწყვეტენ, რომ ერთი ვარსკვლავი მისცენ. ახლა უკვე, მიშლენი დიზაინსა და მომსახურებასაც აფასებს, ასევე, რამდენად პოპულარულია ობიექტი. როდესაც ფრანგები მზარეულების კონკურსებს ატარებდნენ, ამ მზარეულებმა სერვირება ბევრ ოფიციანტზე უკეთ იცოდნენ. იქ ყველაფერს სახაზავებით ამოწმებენ, მილიმეტრებში. 14 კრიტერიუმის გარდა, ყველა დანარჩენი კომპონენტი გასაიდუმლოებულია. მიშლენის თითო ექსპერტი ორი წლის განმავლობაში მზადდება და მათი გადამზადება კოლოსალური თანხა ჯდება. არ ყოფილა შემთხვევა, მათი არჩევა მიკერძოებით მომხდარიყოს. ერთმა მზარეულმა თავი მოიკლა, როცა სამიდან ორ ვარსკვლავზე ჩამოაქვეითეს.

**ლალი მიქელაძე:**

— რაც შეეხება საქართველოს, იყო კომპანია, რომელსაც ეკონომიკის სამინისტროსთან მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული და პარალელურ რეჟიმში სასტუმროებსა და რესტორნებს ვარსკვლავებს „აწებებდა“. ამან ვერ გაამართლა. ამის შემდეგ, გერმანელებს უნდოდათ შემოსვლა, მაგრამ ვინც ამას აწარმოებს, აუცილებლად საქართველოში ფიქსირებული ორგანიზაცია უნდა იყოს. დღეს ვისაც ნახავთ, რომ ვარსკვლავები „პაგონებად“ აქვთ მიწებებული, ამას თვითონვე აკეთებენ...

## „კომპლიმენტი შეფმზარეულისგან“ და ჩაი — მიმტანებს

**ვიქტორ პლოტნიკოვი:**

— ა-ლა-კარტე ყველაზე მარტივი სერვირებაა, ეს არის თქვენი თავისუფალი არჩევანი. არსებული მენიუდან სასურველ კერძს ირჩევთ. ა-ლა-კარტეს სერვირების დროს, ძირითადი კერძის დანა-ჩანგალი დევს, ერთი ფუჟერი წყლისთვის, პურის თეფში და დანა კარაქისთვის. ევროპულ რესტორნებში, როცა შეკვეთას იღებენ, სანამ კერძი გამზადდება, დიდხანს რომ არ ელოდოთ, მიმტანს წასახემსებლად რაიმე მოაქვს, რომ ზედ კარაქი წაუსვა. ამას ჰქვია „კომპლიმენტი შეფმზარეულისგან“, რომელიც სხვადასხვა სახისაა — ფუნთუშეული იქნება ეს, სასმელი თუ უბრალოდ, ფასდაკლება. ჩვენთან ამას აქციას ეძახიან. ჩაი ანუ ხურდის დატოვება, რუსების მოგონილია, ევროპაში კი არსებობს „ქიფსი“, მომსახურების გაუმჯობესებისთვის. ოფიციანტებს ყველაზე ცუდად საქართველოში უხდიან, ამერიკაში კი „ქიფსი“ მთელი სისტემაა. თუ რესტორანში მიხვედით და ცუდად მოგემსახურნენ, უფლება გაქვთ, მიმტანს ცოტა დაუტოვოთ, ხოლო თუ მოგეწონათ, 20-დან 30%-მდე „ქიფსი“. მომსახურება რომც არ მოგეწონოთ, უფლება არ გაქვთ, საერთოდ არაფერი მისცეთ, ასეთ შემთხვევაში მეორედ უბრალოდ, იმ რესტორანში აღარ შეგიშვებენ. ერთხელ, ჰილარი კლინტონი, სენატორობის დროს, რესტორანში შევიდა, ჭამა და „ქიფსი“ არ დატოვა. ამის შესახებ მთელმა ქვეყანამ გაიგო და ისე აღშფოთდნენ, ამ ოფიციანტ გოგონას, სოლიდარობის ნიშნად, მთელმა ამერიკამ „ჩაევიე“ გაუგზავნა.

## ევროპული ტექნიკა+ქართული სტუმართმოყვარეობა= იდეალურ სერვისს

— ჩვენი სტუდენტები ოფიციანტობას რვა თვის განმავლობაში სწავლობენ, ზოგიერთ რესტორანს კი მიმტანი პირდაპირ ქუჩიდან აჰყავს, რომ ნაკლები თანხა გადაუხადოს. 70-იან წლებში, ყველაზე კარგი სერვისი იცით, სად იყო? ბულგარეთში. სპეციალისტები რომ ჩამოდიოდნენ, ამბობდნენ, — კარგი სერვისი იცით, რატომ გამოგვივიდა? გავაერთიანეთ მუშაობის ევროპული ტექნიკა, ქართული სტუმართმოყვარეობა და სუპერმომსახურება მივიღეთო. აქ ოფიციანტის სახეს რომ დააკვირდე, თითქოს მისი ვალი გაქვს, ისე გიყურებს. ცოტას იღიმიან, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ღიმილიც ყოველთვის არაა საჭირო. ჭირისუფალი რომ მიდის ქელეხის შესაკვეთად, იმას ღიმილით ხომ არ უნდა შეხვდე? ადამიანების ფსიქოლოგია უნდა გესმოდეს და სტუმარს სიტუაციის შესაბამისად შეხვდე. ტაქტის შეგრძნებაა საჭირო. ადამიანს რომ შეხედავ, უნდა გამოხატო, რომ მზად ხარ, მოემსახურო. აქ მთავარი მენტალური პრობლემაა: ოფიციანტობა თავიანთ თავმოყვარეობაზე დაბალ პროფესიად მიაჩნიათ, ევროპაში კი პირიქითაა, პრესტიჟულ საქმედ ითვლება. „მე ოფიციანტი ვარ“ — ეს ნიშნავს იმას, რომ სხვადასხვანაირ ადამიანთან მაქვს ურთიერთობა, მათ თვალყურს ვადევნებ, ვაკვირდები, გამოვიმუშავებ უნარ-ჩვევებს, კომუნიკაცია მაქვს და ამასთან ერთად, საკმაოდ სახარბიელო ანაზღაურებასაც ვიღებ ჩემი შრომის სანაცვლოდ.

## საქართველოზე შეყვარებული არაქართველი

**ლალი მიქელაძე:**

— ბატონ ვიქტორს ჰყავს შვილი მოსკოვში, რომელიც ბიზნესითაა დაკავებული და ცოლ-შვილთან წელიწადში ერთხელ ვუშვებთ ხოლმე. ეს ადამიანი შესანიშნავი პიროვნული უნარ-ჩვევებით გამოირჩევა, ურთიერთობების ხელოვნება ესმის. ბევრ საქმეს აკეთებს იქ, სადაც თანხას საერთოდ არ ელის და აკეთებს იმიტომ, რომ თავისი საქმე ძალიან მოსწონს. ერთ-ერთი არაქართული წარმოშობის ადამიანია, რომელსაც სიგიჟემდე უყვარს საქართველო და ქართველები. აქ დაიბადა და გაიზარდა. სტუდენტებს ვეუბნები ხოლმე, — არაქართველი ეროვნების ადამიანს აქვს სისხლში გამჯდარი აქაური სტუმარმასპინძლობა და თქვენც ასე უნდა იყოთ-მეთქი. ნამდვილად, წამყვანი პედაგოგია. ის ოვაცია, რაც ვიქტორ პლოტნიკოვის ხსენებას მოჰყვება ხოლმე, სწორედ იმის დემონსტრირებაა, რასაც ეს ადამიანი წარმოადგენს. ■




ადამიანების ფსიქოლოგია უნდა გესმოდეს და სტუმარს სიტუაციის შესაბამისად შეხვდე

მაიკლ დობსი
(ფრაგმენტები რომანიდან)
მოამზადა რუსუდან ლებანიძემ



# ბანქოს სახლი

გაგრძელება.
დასაწყისი იხ. „გზა“ №17-27

— ეს... ამ... — ენა დაება თავზარდაცემულ ო'ნეილს, რომელიც მთავარ შოლტს უკვე ობობას ქსელში გაბმულ ბუზს აგონებდა. ამ თანხას რეალურად დახარჯულთან საერთო არაფერი აქვს. — როგორც იქნა, ამოთქვა მან ბოლოს.

ურჰარტს პასუხის გაცემა არ უჩქარია. ჯერ ბარმენისკენ შებრუნდა და კიდევ ორი კონიაკის მოტანა სთხოვა, ოსტატურად გაბმულ ობობას ქსელს კი, უფრო მეტი სიმტკიცისთვის, რამდენიმე აბრეშუმის ძაფი მხოლოდ ამის შემდეგღა მიუმატა:

— გასული წლის სექტემბრიდან სააგენტოში სხვადასხვა თანხას დოკუმენტების სათანადო გაფორმების გარეშე რეგულარულად იღებდი და, როგორც უკვე გითხარი, მათმა რაოდენობამ საღლეისოდ 22.300 გირვანქა სტერლინგს მიაღწია. თავიდან შედარებით მცირე თანხით დაიწყე, მაგრამ შემდეგ როგორც ჩანს, მადა მოგემატა და თვეში 4.000 გირვანქამდე ახვედი. არადა, ალბათ, თავადაც დამეთანხმები, რომ ამდენი ჭამა-სმა თვით ყველაზე ბობოქარი წინასაარჩევნო კამპანიის დროსაც კი სრულიად შეუძლებელია.

— დამიჯერე, ფრენსის, ყველა ხარჯი, რისთვისაც ამ ფულს ვი-



ღებდი, სავსებით კანონიერი იყო... — ამოიგმინა ო'ნეილმა.

— რაც უნდა თქვა და ამტკიცო, მაინც არ დაგიჯერებ, რადგან ჩემთვის ისიც ზუსტადაა ცნობილი, თუ ეს ფული როდის და რაში დახარჯე. — კონიაკი სიამოვნებით მოწრუპა სავარძლის საზურგეზე ნებიერად გადაწოლილმა მთავარმა შოლტმა, რომლის მსხვერპლიც უკვე ისე გაშეშებულიყო, თითქოს სავარძელს მიალურსმნესო. — რა არის იცი, როჯერ? — ისევ სრულიად მშვიდად განაგრძო მან შემდეგ, — მე, როგორც მთავარ შოლტს, ყველა იმ ადამიანური პრობლემის პირადად გაცნობა მიხდება, რომელთა უმეტესობაზეც შენ შესაძლოა, ბუნდოვანი წარმოდგენაც კი არ გქონდეს. შორს რომ არ წავიდე, გეტყვი, რომ მხოლოდ ბოლო ორი წლის განმავლობაში ზოგიერთმა ჩვენმა ყოჩაღმა პარლამენტარმა თავი მარტო ცოლის ცემით, ღალატით, თაღლითობითა და ჭკუიდან შეშლით კი არა, სისხლის აღრევითაც კი გამოიჩინა.

— სისხლის აღრევით? — ყურებს არ დაუჯერა ო'ნეილმა.

— საბედნიეროდ, ასეთი მხოლოდ ერთადერთი ფაქტი იყო... რა თქმა უნდა, ამის ჩამდენს არჩევნებში ხელმეორედ მონაწილეობის უფლება აღარ მივეცით, მაგრამ ხმაურიც არ აგვიტეხია. ან კი რა საჭირო იყო და ვის რა სარგებელს მოუტანდა ამის გაკეთება? სწორედ ამიტომაცაა, რომ ამ შემთხვევის შესახებ შენ და შენისთანებს არაფერი გსმენიათ. რაღა თქმა უნდა, პირადად ჩემთვის სისხლის აღრევა ყველა დასაშვებ თუ დაუშვებელ ზღვარსაც კი სცილდება, მაგრამ, საერთოდ, მორალის კითხვით ნამდვილად არ ვარ დაკავებული. მეტიც, ვთვლი, რომ ამა თუ იმ სისუსტის ქონის უფლება ყველას აქვს, ოღონდ — მხოლოდ მანამდე, სანამ ამის შესახებ ფართო საზოგადოებისთვის გახდება ცნობილი.

— ჰო... — ამოიხვნეშა ო'ნეილმა, — ძალიან ფართო საზოგადოებისთვის...

— სხვათა შორის, ერთ-ერთი ჩემი უცროსი შოლტი პროფესიით ექიმია და ჩემთან მხოლოდ იმისთვის მყავს დანიშნული, რომ ადამიანებში სტრესის ნიშნები აღმომაჩენინოს.

— სტრესის ნიშნები? — როგორც იქნა, ოდნავ შეირხა აქამდე ლამის ქვასავით გაშეშებული ო'ნეილი.

— დიახ, დიახ, — დაუდასტურა მას ურჰარტმა, — სწორედაც რომ სტრესის. და უნდა გითხრა, რომ ამ საქმეში საკმაოდაც დავსპეცდი. ჩვენს პარლამენტში ხომ 300-ზე მეტი ადამიანია და თუ საერთოდ ყველას არა, მათ უმეტესობას მაინც მართლაც ძალიან რთულ პირობებში, თითქმის ზღვარზე უწევს მუშაობა. ასე რომ, რაღა გასაკვირია თუ... მოკლედ, გაოგნდები, რომ გითხრა, ჩვენთან, ვესტმინსტერში, ნარკოტიკებს უკვე რამდენი მოიხმარს.

— ვესტმისტერში?.. ნარკოტიკებს?..

— მეტსაც გეტყვი: სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ქვეყნის მოსახლეობის 10 პროცენტი, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, პარლამენტის წევრებიც, ამა თუ იმ ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ცდუნებას ფიზიოლოგიურად ანდა ფსიქოლოგიურად უკვე საერთოდ ველარ უმკლავდება. და ეს მათი ბრალი სულაც არ არის.

— ???

— პარლამენტარები მყავს მხედველობაში... — აზრი სასწრაფოდ დააზუსტა მთავარმა შოლტმა. — რადგან მათ, თავიანთი მდგომარეობიდან გამომდინარე, დალევასთან, სხვადასხვა აბების მიღებასთან და სხვა მსგავს ცდუნება-გადაცდომასთან გამკლავება სხვებზე ბევრად მეტად უჭირთ.

— პრინციპში, მართლაც ასეა...

— სხვათა შორის, დუვრის მახლობლად ძალიან კარგი გამაჯანსაღებელი ფერმაა.

— ფერმა?

— დიახ... ასე რატომ გაგიკვირდა? ნამდვილად ძალიან კარგი ფერმაა, სადაც ასეთ პარლამენტარებს რამდენიმე კვირით ვგზავნით ხოლმე. ჩვენდა საბედნიეროდ, მათი უმეტესობა უკან სრულიად განკურნებული გვიბრუნდება და აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობასაც ძველებურად განაგრძობს.

— კარგია თუ მართლა იკურნებიან.

— რა თქმა უნდა. ოღონდ, მათი პრობლემის შესახებ რაც შეიძლება, დროულად უნდა შევიტყოთ. ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების პირველივე ნიშნებზე ასე მტკივნეულად სწორედ ამიტომაც ვრეაგირებთ. ეს განსაკუთრებით კოკაინის მოხმარებას ეხება, რაც ბოლო ხანებში ნამდვილ უბედურებად იქცა. როგორც ამბობენ, ეს ნარკოტიკი ერთ-ერთი ყველაზე მოდური და იოლად ხელმისაწვდომი გახდა. არადა, იცი, რომ თუ ამ უბედურებას დროზე არ მიხედავ, ცხვირის ძგიდეს ბოლომდე აჩირქებს?

— აბა, მე საიდან უნდა ვიცოდე? — დანაშაულზე წასწრებულივით აიჩეჩა მხრები ო'ნეილმა.

— სხვა მხრივაც ძალიან საინტერესო ნარკოტიკია. — მშვიდად განაგრძო მთავარმა შოლტმა. — ადამიანს მყისიერად აბრუებს და იმის შეგრძნებას უჩენს, რომ ხუთსაათიანი საქმის ხუთ წუთში გაკეთებაც სულ თავისუფლად შეუძლია. ერთი სიტყვით, თვით ყველაზე ჩვეულებრივ მოკვდავსაც კი გენიოსად აქცევს, ოღონდ — მხოლოდ ძალიან მცირე ხნით.

— ალბათ... — ბეჭებზე მაინც არაფრით დაეცა ო'ნეილი. — სხვისი არ ვიცი და პირადად მე, ზუსტად ნამდვილად ვერაფერს ვიტყვი...

— მოკლედ, ერთდროულად ძალიან მიმზიდველი და ძალიან ვერაგი რამეა.

— შესაძლოა, ასეც იყოს...

— ...და ძალიან ძვირად ღირებულიც... — მოსაუბრის საბოლოოდ დამსხვრეული ოცნებების კუბოში ბოლო ლურსმანიც დაუნდობლად ჩააჭედა მთავარმა შოლტმა.



— ვერ ვხვდები, ამ ყველაფერზე რატომ მელაპარაკები? — შესძახა უცბად მოთმინებადაკარგულმა ო'ნეილმა. — მე ხომ ნარკომანი არ ვარ!

— რა თქმა უნდა, როჯერ, რა თქმა უნდა, — მამაშვილურად დაუყვავა მას ურჰარტმა. — მაგრამ ხომ იცი, რომ ისეთი ადამიანებიც მრავლად არიან, ვისაც კაცმა არ იცის, შენზე რისი გაფიქრება შეუძლიათ. არადა, თავადაც მშვენივრად მოგეხსენება, რომ პრემიერ-მინისტრი ასეთ რამეს არასდროს არავის აპატიებს.

— პრემიერ-მინისტრი ჩემს ნარკომანობას არასდროს დაიჯერებს! — უცბად ისე ამოიხვნეშა ო'ნეილმა, თითქოს გულიც თან ამოაყოლაო.

— რასაც ნამდვილად ვერ იტყვი პარტიის თავმჯდომარეზე, რომელმაც ამ დღეებში პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე გამართული საუბრისას მაინცდამაინც თბილად როდი მოგიხსენია. მართალია, პრემიერ-მინისტრისა არ იყოს, ჯერ მანაც ბევრი არაფერი იცის, მაგრამ შენს მხურვალე თაყვანისმცემელს მაინც ძნელად თუ უწოდებს კაცი.

— ვიცი. — ბედს დამორჩილებულივით ჩაქინდრა თავი ო'ნეილმა.

— მაგრამ მაინც არ იღელვო. პრემიერ-მინისტრი ბოლომდე დავარწმუნე, რომ შენთან დაკავშირებით ყველაფერი რიგზეა.

— მართლა?

— აბა, რა! სანამ მხარს გიჭერ, საერთოდაც არაფრის შიში არ უნდა გქონდეს...

კოკაინის მომხმარებელი ნარკომანებისთვის დამახასიათებელი პარანოიამდე მისული შიშების თაობაზე ფრენსის ურჰარტს კარგად მოეხსენებოდა და, ამიტომაც, იმაშიც ბოლომდე იყო დარწმუნებული, რომ მის მიერ თითიდან გამოწოვილი ეს ამბავი როჯერ ო'ნეილის ცნობიერებაში უთუოდ ღრმა კვალს დატოვებდა. თანაც, რადგანაც ასეთ ნარკომანებს სახელის მოხვეჭის დაუძლეველი წყურვილიც გამუდმებით კლავთ, რის მიღწევაც ო'ნეილს მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური კავშირებისა და პრემიერ-მინისტრის მფარველობის წყალობით თუ შეეძლო, თუნდაც ერთი მათგანის დაკარგვაც კი იმედს საბოლოოდ გაუქრობდა და ასეც მოხდა.

— ახლა რაღა უნდა ვქნა? — საწყალობლად ამოიგმინა მან უცბად და თავი აკანკალებულ ხელებში ჩარგო.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# რა წავიკითხოთ შვებულების დროს, შვილებმაც რომ მოგვბაძონ

ვინც ჩვენს ჟურნალს თვალს ადევნებს, შეამჩნევდა, რომ არაერთი სტატია მივუძღვენით თემას — „რა წავაკითხოთ ბავშვებს არდადეგებზე“. დიახ, ზაფხულში ეს მშობლის მთავარი საზრუნავია, თუმცა ნუ დაგვავიწყდება ერთი ჭეშმარიტება: თუ ბავშვი მშობელს ვერ ხედავს წიგნით ხელში, არც თავად დაეწაფება მისთვის შერჩეულ გამოცემებს.

ასე რომ, შვებულების დროს კარგი წიგნით განტვირთვა არა მხოლოდ ჩვენთვის, ბავშვისთვისაც სასარგებლო გახდება. რა წავიკითხოთ შვებულებაში ყოფნის დროს? არჩევანი მართლაც დიდია. უკეთ რომ შეარჩიოთ სასურველი გამოცემა, მცირეოდენ ანოტაციასაც ვურთავთ.










### გაუჩინარებული ქალი
**გილიან ფლინი**

ვაჟი კარგავს ცოლს, ცნობილი მწერლების ნებიერა ქალიშვილს. პოლიცია ცდილობს გაუჩინარების მიზეზების გარკვევას. მალე, ქმარს ცოლის მკვლელობაში სდებენ ბრალს. იწყება გამოძიება, თუმცა, ამ ამბავში ლოგიკური ძაფები იოლად წყდება და იბურდება...

### მობილური
**სტივენ კინგი**

ბოსტონის ქუჩებში დაეხეტებიან იმპულსით ზომბირებული, სისხლს მოწყურებული არსებები და ყველასა და ყველაფერს ანადგურებენ. მთავარი გმირები ცდილობენ, გაარკვიონ, რა ხდება... შეიძლება კი რაიმეს შეცვლა და თუ შეიძლება, როგორ?!

### ობობას გამოჩენა
**ჯეიმზ პეტერსონი**

ჰოლივუდის კინოვარსკვლავის ქალიშვილისა და ფინანსთა მინისტრის ვაჟის გატაცება მხოლოდ დასაწყისია! გარი სონეჯი ბავშვების გამტაცებელია. სასტიკი და შეუბრალებელი. მას „საუკუნის დანაშაულის“ ჩადენა სურს. დაუჯერებელი და მოულოდნელი ფინალი გაგაოცებთ.

### თავებზე მონადირეები
**იუ ნესბო**

როჯერ ბრაუნი თავის უდიდეს ძარცვას გეგმავს. გეგმა იცვლება. საუკეთესო მონადირეზე ახლა სხვა იწყებს ნადირობას...

### უცნაური თომასი
**დინ კუნცი**

ბესტსელერის გმირი, სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარზე მდგომი გალანტური გუშაგი თქვენს გულს დაატყვევებს. თომასის საოცარი ნიჭის შესახებ მხოლოდ მეგობრებმა და საყვარელმა გოგონამ იციან. სწორედ მათი დახმარებით ააცილებს ის დიდ უბედურებას უდაბნოს შუაგულში მოქცეულ პატარა ქალაქს.

### გოგონა მატარებელში
**პოლა ჰოკინსი**

ყოველდღე ერთი და იგივე. რეიჩელი ყოველდღე ერთი და იმავე მატარებლით მგზავრობს. ერთ დღესაც ხედავს რაღაცას, რაც შოკში აგდებს. ახლა ყველაფერი შეიცვალა — რეიჩელს ეძლევა შანსი, იმ ადამიანების ცხოვრების ნაწილი გახდეს, რომლებსაც შორიდან ადევნებდა თვალს.

### ბავშვი 44
**ტომ რობ სმიტი**

სტალინური ეპოქის საბჭოთა კავშირი სამოთხეა, სადაც დანაშაული არ ხდება და მოქალაქეებს მხოლოდ ერთი რამის ეშინიათ: ყოვლისშემძლე ხელისუფლების...

### უკუათვლა
**კენ ფოლეტი**

მამაკაცი რკინიგზის სადგურის იატაკზე გაიღვიძებს. არაფერი ახსოვს. მერე გაზეთში წააწყდება ცნობას თანამგზავრის გაშვებას-

თან დაკავშირებით და მთავარი ამბავი აქ დაიწყება.

**არავის უთხრა**

**ჰარლან ქობენი**

მთვარის მკრთალი შუქით განათებული კამკამა ტბა. შემზარავი კივილი. შორეული ლანდი. ასეთი იყო ღამე, როცა დევიდ ბეკს ცოლი მოსტაცეს. მას ეუბნებიან ახლა, გონს მოეგოს და სამუდამოდ დაივიწყოს წარსული. ის ვერ ივიწყებს!

**ბნელი ადგილები**

**გალიან ფლინი**

კანზასის პატარა ქალაქი გაუგონარი სისასტიკით ჩადენილმა დანაშაულმა შეძრა: 15 წლის ბიჭმა, ბენ დეიმ, დედა და ორი და დახოცა. მკვლელს სასწაულებრივად გადაურჩა დეების ოჯახის მხოლოდ ერთი წევრი — 7 წლის ლიბი...

**კონკიას მკვლელობა**

**მერი ჰიგინს**

ჟურნალისტი ლორი მორენი, მორიგი გადაცემისთვის შეარჩევს ტრაგედიას, რომელმაც თავის დროზე მთელი ქვეყანა შეძრა: მაგრამ ამის ნაცვლად, მკვლელს შეხვდა. როდესაც მეორე დღეს მოკლული გოგონა იპოვეს, მას მხოლოდ ცალი ფეხსაცმელი ეცვა.

**მდუმარე ცოლი**

**ა.ს.ა. ჰარისონი**

როცა მდიდარი მამაკაცი ხარ და წარმატებული ბიზნესი გაქვს, ფარულ სასიყვარულო კავშირებს უნდა უფრთხოდე. კაცმა ეს არ იცის. ამიტომ ერთ დღეს უახლოეს მეგობრის შვილთან შემთხვევითი შეხვედრისას ზღვარს გადაკვეთს.

**ქრისტინი**

**სტივენ კინგი**

ეს ერთი ნახვით სიყვარული იყო. 17 წლის არნი კანინგემი ქრისტინის დანახვისთანავე მიხვდა, რომ მის დასაუფლებლად ყველაფერს იზამდა. ქრისტინი ქალი არ არის, მაგრამ არნი კანინგემს თავდავიწყებით უყვარს.

**სიკომოროთა მწკრივი**

**ჯონ გრიშემი**

იმ ღამემ ძმების ცხოვრება სამუდამოდ შეცვალა. უმცროსი გადაიკარგა და ძალიან დიდხანს ემალებოდა წარსულს. უფროსმა ძმამ კი, სეთ ჰაბარდმა, მშობლიურ ოლქში ცხოვრება განაგრძო, მაგრამ გამუდმებით ღრღნიდა დანაშაულის გრძნობა...

**გზა**

**კორმაკ მაკარტი**

შემზარავი რეალობა: უიმედობისა და გამოუვალობის განცდა, კატასტროფის მოლოდინი, მუდმივი შიში და სიცივე. სიჩუმე. გვამები და კიდევ გვამები...

**დაფლული გოლიათი**

**კაზუო იშიგურო**

„ეს სევდიანი, ელეგიური ისტორიაა... ოცნებისეული მოგზაურობა... მარტივად საკითხავი, ძნელად დასავიწყებელი"... „ეს არის ყველაზე ამბიციური, სარისკო და უცნაური ამბავი, რაც იშიგურომ თავისი 33-წლიანი კარიერის განმავლობაში გამოაქვეყნა".

**ნათელი, რომელსაც ვერ ვხედავთ**

**ენტონი დოერი**

მეორე მსოფლიო ომი. პარიზი ოკუპირებულია. ქალაქიდან მარი-ლორა, ბრმა გოგონა მამასთან ერთად გარბის. მარის მამა — მუზეუმის გასაღებების მცველი. სიურპრიზებისა და თავსატეხების დიდოსტატი. ისინი გარბიან და თან დიდი განძი მიაქვთ — გაცოცხლებული, ხორცშესხმული ლეგენდა.

**ვახშამი**

**ჰერმან კოხი**

ძმები, პაულ და სერჟ ლომანები, ცოლებთან ერთად ამსტერდამში ფეშენებელურ რესტორანში სავახშმოდ ხვდებიან ერთმანეთს. პოულ ლოუმანი ისტორიის ყოფილი მასწავლებელია, მისი ძმა სერჟი — მომავალი პრემიერ-მინისტრი. მათი საუბარი თანდათან დრამად გადაიქცევა — ერთმანეთის მიყოლებით საშინელი ოჯახური საიდუმლოებები ამოტივტივდება და ირკვევა, რომ ორივეს შვილებს სასტიკი დანაშაული აქვთ ჩადენილი.

**არჩევანი**

**ნიკოლას სპარქსი**

თრევის პარკერი — წარმატებული ახალგაზრდა მამაკაცი. მას ყველაფერი აქვს — კარგი სამსახური, სახლი ოკეანის სანაპიროზე, საოცარი ხედი ფანჯრიდან. პარკერს სიყვარულის არ სჯერა და არც ეძებს. თუმცა, გაბი ჰოლანდთან შეხვედრის შემდეგ თრევისი საკუთარ ბედისწერას ცვლის!

**ღირსება**

**ელიფ შაფაქი**

მდინარე ევფრატის პირას მდებარე, მიყრუებული სოფლიდან ლონდონამდე გზა ცრემლით, ტკივილითა და იმედით არის სავსე. ისინი გაექცნენ სამშობლოს, საკუთარ თავს კი — ვერა. რომანი ერთი ოჯახის ამბავს მოგვითხრობს.

**მატყუარა**

**ნორა რობერტსი**

შელბი-ენ ფომროი-ფოქსვორთი დაქვრივდა. ილუზიები გაქრა. კაცი, რომელიც თავდავიწყებით უყვარდა, არა მხოლოდ მატყუარა აღმოჩნდა, თურმე არც არსებობდა... ■








# მარტოხელა ქალთა და მამაკაცთა კლუბი



**იმისათვის, რომ თქვენი განცხადება „მარტოხელა ქალთა და მამაკაცთა კლუბში" მოხვდეს, მესიჯი უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 95 130 მესიჯის ფასი 50 თეთრი. ტექსტის რაოდენობა შეზღუდული არ არის.**



## ქალები

114263 გავიცნობ მამაკაცს, 50-დან 55 წლამდე, დასაქმებულს. ვარ 48 წლის.

114284 მივესალმები ჟურნალ „გზას", მინდა გავიგო 112899 ავტორის ტელეფონის ნომერი. ნატალი ვარ, ქობულეთიდან.

114330 გთხოვთ, გამომიგზავნოთ 11 41 32 მამაკაცის მობილურის ნომერი. გიხდით წინასწარ მადლობას.

114360 მინდა, გავიცნო 55 წლის, მარტოხელა მამაკაცი, რომელსაც აქვს სურვილი, ჰყავდეს მეუღლედ ქალი, რომელიც შეუქმნის მყუდრო და სიყვარულით სავსე იდილიას. ვარ 50 წლის, გაუთხოვარი, ნორმალური ქალბატონი. დანარჩენი — პირადად. არასერიოზულები ნუ გამომეხმაურებით.

114135 ვარ 25 წლის გოგონა. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 29-დან 35 წლამდე ასაკის მამაკაცს. არასერიოზულებმა და ცოლიანებმა თავი შეიკავეთ. ვარ შვილიანი.

113984 გავიცნობდი 45-55 წლის მამაკაცს, რომელიც მაჩუქებს ჯერ არგანცდილ სითბოსა და სიყვარულს, სამაგიეროს ჩემგანაც მიიღებს, ოღონდ ულალატო და სუფთა ადამიანი უნდა იყოს.

114123 გამარჯობა. ვარ 29 წლის, სექსუალური, 178 სმ სიმაღლის, გამხდარი, ლამაზი, ქმარს გაშორებული მანდილოსანი. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 30-დან 40 წლამდე ასაკის, მატერიალურად შეძლებულ მამაკაცს.

113837 გავიცნობ თბილისელ, განათლებულ, თავისუფალ, დასაქმებულ, 60 და მეტი ასაკის, სიმპათიურ, თბილი ბუნების მამაკაცს, ოჯახური ურთიერთობისთვის. ვარ თბილისელი, მშვიდი, თბილი, სიმპათიური ქალი, ბინითა და სამსახურით უზრუნველყოფილი.

113878 ვარ 38 წლის, ქმარს გაცილებული. გავიცნობ 50 წლამდე ასაკის მამაკაცს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვცხოვრობ თბილისში. არასერიოზულებმა არ შემაწუხოთ.

113752 ვარ 46 წლის ქალი. სამეგობროდ გავიცნობ 55-60 წლამდე ასაკის, ერთგულ, დასაქმებულ, სერიოზულ, თბილისელ მამაკაცს, რომელიც მიმიღებს ისეთს, როგორიც ვარ, გვერდში დამიდგება და გულს არ მატკენს.

113802 სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 40 წლამდე ასაკის მამაკაცს, ვისაც სურს ოჯახის შექმნა. ფიზიკურად გადასარევი არა ვარ. ცანცარები და არასერიოზულები ნუ შემეხმიანებით.

113837 გავიცნობ თბილისელ, განათლებულ, თავისუფალ, დასაქმებულ, 60 და მეტი ასაკის, სიმპათიურ, თბილი ბუნების მამაკაცს, ოჯახური ურთიერთობისათვის. ვარ თბილისელი, მშვიდი, თბილი, სიმპათიური ქალი, ბინითა და სამსახურით უზრუნველყოფილი.

113562 ვარ 37 წლის, მეუღლეს გაცილებული, მყავს 1 შვილი, ვცხოვრობ მშობლებთან. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 50 წლამდე ასაკის, მშვიდ, მოწესრიგებულ მამაკაცს.

113703 ვარ 38 წლის, ქმარს გაშორებული, მყავს 1 შვილი. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით, 55 წლამდე ასაკის მამაკაცს.

113384 მყავს ნათესავი გოგო, დასაოჯახებელი, ოღონდ მეუღლეს გაშორებული. ქალბატონებო, თუ ვინმე გყავთ ახლობელი ბიჭი, ცოლგანაშვები, რომელსაც არ გაუმართლა და აპირებს დაოჯახებას, დამიკავშირდით და ჩემს ნათესავ გოგოს დაგაკავშირებთ.

113208 ვარ 45 წლის, ქმარს გაშორებული ქალბატონი, მოწესრიგებული, მშრომელი. ოჯახის შესაქმნელად გავიცნობ 52 წლამდე ასაკის მამაკაცს, გორის სოფლიდან, შინდისიდან ან ყელქცეულიდან.

113234 გამომეხმაუროს ქართველი, თბილისში მცხოვრები, უცოლშვილო მამაკაცი, 40-დან 48 წლამდე, დასაქმებული, ერთოთახიანი ბინით მაინც. ჩემი ახლობელი, უკარება, ექიმი გოგონასათვის. 43 წლისაა, ლამაზია, თბილი და ადვილად შესაყვარებელი. გარეგნულად თანამედროვე.

112944 ვარ 53 წლის ქალბატონი. გავიცნობ ჩემი ასაკის შესაფერის მამაკაცს, რომელიც უზრუნველმყოფს ფინანსურად და ამომიდგება მხარში ყველანაირად.

112946 ვეძებ ასაკოვან, ქვრივ მამაკაცს, თბილსა და ყურადღებიანს, დასაოჯახებლად. ვარ 50 წლის, ქვრივი, თბილისელი.

112965 ოჯახის შექმნის მიზნით მსურს, გავიცნო ცოლს გაცილებული მამაკაცი. თუ გსურთ, ნორმალური ოჯახი, დამიმესიჯეთ. ვარ მეუღლეს გაშორებული, 25 წლის.

112982 საიდუმლო შეხვედრებისთვის ვეძებ მატერიალურად ძლიერ მამაკაცს. ვარ ქვრივი, 50 წლის, თბილისელი.

113056 ოჯახის შექმნის მიზნით დამიმესიჯოს ცოლგანაშვებმა მამაკაცმა, 30-დან 35 წლამდე. ვარ 25 წლის, მეუღლეს გაშორებული.

113057 თუ ვინმეს გსურთ ნორმალური ოჯახი, დამიმესიჯეთ. ვარ

25 წლის, მეუღლეს გაშორებული.

113058 დამიმესიჯოს ცოლგანაშვებმა მამაკაცმა, დასაოჯახებლად.

112834 მშვიდი ცხოვრება მინდა, ოდნავ სიყვარულით გაჟღენთილი. თბილისში ვცხოვრობ, მაქვს ბინა და სამსახური. ოჯახი არ მყავს. გავიცნობ ქართველ, სიმპათიურ და განათლებულ მამაკაცს, ოჯახის შესაქმნელად. ვარ 45 წლის.

112800 მინდა, გავიცნო ნორმალური მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით, 35-დან 40 წლამდე, ცოლს გაცილებული. ვარ 25 წლის, განათხოვარი.

112801 თუ არის მეუღლეს გაშორებული მამაკაცი, დასაოჯახებლად შემეხმიანოს. 35-დან 40 წლამდე. ვარ 25 წლის, მეუღლეს გაშორებული.

112807 გთხოვთ, მომწეროთ 110049 და 111213 მესიჯის ავტორების ტელეფონის ნომრები. ვარ მაღალი, თეთრი. ლამაზი, განათხოვარი ქალი, რომელსაც უნდა თბილი და საამაყო ოჯახი. ვარ 34 წლის. დანარჩენი — პირადად.

112812 გავიცნობ ცოლგანაშვებ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით, 35-დან 40 წლამდე. ვარ 25 წლის, მეუღლეს გაშორებული.

112492 ვარ 53 წლის ქალბატონი. სიამოვნებით გავიცნობდი 60-65 წლის მამაკაცს, ქვრივს და გავყვებოდი ცოლად. ვარ უშვილო და ქვრივი.

112618 გამომეხმაუროს 73 წლამდე პიროვნება, ვისაც ნამდვილად სჭირდება თანადგომა, გამგები, პატიოსანი ოჯახის დიასახლისი, არამატყუარა.

112374 გავიცნობ ცოლს გაცილებულ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით, 35-დან 40 წლამდე. ვარ 25 წლის, მეუღლეს გაშორებული. არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ.

112424 გავიცნობ ბიჭს, სამეგობროდ. ვარ 25 წლის გოგო.

112434 მსურს, გავიცნო ცოლს გაცილებული მამაკაცი, 35-დან 40 წლამდე, ოჯახის შექმნის მიზნით. უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ვარ 25 წლის, მეუღლეს გაშორებული.



## მამაკაცები

114251 გავიცნობ ლამაზ მანდილოსანს, მყუდრო, კომფორტულ ბინაში შეხვედრებისთვის, სადაც ავისრულებთ ყველა იმ სექსუალურ სურვილსა თუ ფანტაზიას, რაც ოდესმე მოგვენდომებია. მიყვარს ვნებიანი და უკომპლექსო სექსი. ვარ 28 წლის, მანქანიანი, დასაქმებული, 187 სმ სიმაღლის.

114256 ვარ ქუთაისელი, 37 წლის. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით 31-35 წლამდე გოგონას. მსუქნები, გაუნათლებლები, შეუხედავები არ შემეხმიანოთ.

114272 გთხოვთ, დამიბეჭდოთ. ვარ ზურა, „პოობშაემსიადან".

114282 გამარჯობა. გთხოვთ, მომცეთ 112256 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი ან ჩემი მიეცით მას. წინასწარ გიხდით დიდ მადლობას.

114283 გთხოვთ, მომცეთ 112633 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი ან ჩემი მიეცით მას.

114308 ვარ ცოლს გაცილებული მამაკაცი, 46 წლის. მყავს 2 შვილი, რომლებიც ცხოვრობენ ცალკე, დამოუკიდებლად. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი კარგ, ოჯახის ქალბატონს.

